

699/3
972/3




სსსს

(93) 9-10

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

9

1972



სსსრ

183

გამოცემის მეთავესება წელი

12/88

9

საქვემდებარი

1972

თბილისი



საქ. კვ. ცვ-ის გამოცემულია

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

3. ჩვენი ჟურნალი

კოეფიკი უპირველეს ყოვლისა

6. არჩილ სულააკაური. მუხრან მამაკარიანი. გივი ქნელაძე. ზოთა ნიუნიანიძე. მორის ფოცხიშვილი. მელაძე კახიძე. თავარ პრისთავი. ჯანსუღ ჩარკვიანი. ანსოზ სალუშვაძე. ვახტანგ ჯავახიძე, ტარიელ ზანტური. ზაურ გოლქვაძე. გივი გეგეკორი. რეზო ამაშუკელი. ლეონიდი

— 50 —

თავისუფალ ერთა
მელე კავშირი ძეური

16. ზაფურ გულიანი. ჩამოღობი ჩემთან, მამოკრებო
ლექსი. თარგმნა ვახტანგ ჯავახიძემ
18. ახილ გულიანი. სიყვარულის სიმღერა. ლექსი.
თარგმნა მორის ფოცხიშვილმა
102. ივანე კოხალია. განვითარებული სოციალიზმი
და მისი ძირითადი ნიშნები

პ რ ო ზ ა

20. რეზო ინანიშვილი. საყვარელი წიგნიდან. მო-
თხრობები
32. გივი მალუღარი. მამოკრები. ისტორიული მო-
თხრობა. დასასრული
64. კარლო კოხარიძე. მოთხრობები
75. გურამ დონაშვილი. ჩემი გუშუტა, ჩვენი ტე-
რეზა. მოთხრობა. დასაწყისი
94. გიორგი ზაღბანიძე. გურბანიძის ბაღიდან. მო-
თხრობა

მ წ ე რ ლ ის - ა რ ქ ი ვ ი დ ა ნ

100. კონსტანტინე მამახუარია. ჩრდილი. ლექსი
წ ე რ ი ლ ე ბ ი
108. ზოთა ბაღრიძე. კეთილად შესახვედრი წიგნი
112. დიმიტრი იოვანიშვილი. „მოღიწური ბოთხრობები“
120. რეზო სირაძე. წარსულის ისტორიკული ნაპრა-
ვის მარჯვენა გზაგზისათვის
130. ლევან მინაბაძე. ჩვენი ჯავახიშვილი და ძველი
ქართული მწერლობა
139. ნოდარ აბატიანი. XV-XVIII საუკუნეების საპარ-
თველოვანი ქართული კოლიტეიკის ისტორიის საპი-
თხრობა
148. ლევან ფრუძე. მესხეთ-ჯავახეთის ყოფა-ცხოვ-
რების მიმართება

ს კ ო რ ტ ი

154. თამაზ კიკიაძე. ერთი საღამოს ქრონიკა
160. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აპაქი ზაქარაძე,
გივი გეგეკორი,
გურამ გვარდუნიშვილი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია კახიკიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოცხაძე,
ნოდარ წულუბსარი,
ტარიელ ზანტური,
სერგი ბილაძე,
თამაზ ბილაძე,
ლუა ჯანაშია.

ჩვენი ჟურნალი

1957 წელს დაარსდა ჟურნალი „ცისკარი“.

ძიებებისა და წარმატების, შემოქმედებითი გამარჯვებებისა და ახალი სახე-
ლების აღმოჩენის სიხარულით აღბეჭდილი გზა განვლო „ცისკარმა“ ამ თხუთმე-
ტი წლის მანძილზე; თავისი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის განვი-
თარებაში, თავისი ხელი დაატყო ლიტერატურულ ცხოვრებას, გამამხნევებელი
სიტყვა უთხრა არა ერთ ნიჭიერ მწერალსა და პოეტს, მისცა მათ სარბიელი,
შექმნა საზოგადოებრივი აზრი მათ შემოქმედებაზე; ყური მიიპყრო ქართული
კულტურის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, განუხრებლად ემსახურებოდა ახა-
ლგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური წრთობის რთულსა და საპატიო საქმეს.

„ცისკარის“ დაარსება მთელი ლიტერატურული თაობის გამოჩენას დაემთხ-
ვა და თავისი ძნელი და საინტერესო მოღვაწეობა „ცისკარელებმა“ ჟურნალთან
ერთად დაიწყეს. „ცისკარი“ იყო მათი წარმატებისა თუ მარცხის მემკვიდრე, მა-
თი მისწრაფებებისა და სურვილების, ეთიკისა და ზნეობრივი მრწამსის ამახ-
ველი, თავისთავადობისა და პოეტური თვისების სარკე. „ცისკარს“ შეუძლია
ქეშმარიტად იამაყოს — ბევრმა ცნობილმა შემოქმედმა, ვინც დღეს ქართული
მწერლობის ბედი იტივრთა, „ცისკარის“ ფურცლებზე მიიღო ნათლობა.

ჟურნალის ირგვლივ მოიყარა თავი ახალგაზრდა პოეტთა, პროზაიკოსთა,
მხატვართა მთელმა პლეადამ; ჩვენი ჟურნალის რედაქციაში მოჰქონდათ მათი
პირველი ნაწარმოებები, პირველი იმედები და მომავლის რწმენა, ჯანსაღი სული
და მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნება. აქ, რედაქციაში, სადაც ნა-
ცად რედაქტორთა და უფროსი თაობის მწერალთა დიდი გამოცდილება ეხამე-
ბოდა ახალგაზრდა თანამშრომელთა ენთუზიაზმს, თანდათანობით იძვრებოდა
„ცისკარელთა“ სახე.

ბევრი რამ ახსოვს „ცისკარს“. მან მოულოდნელი განშორებების ტკივილიც
იცის და ახალ შეხვედრათა სიხარულიც; ხანგრძლივი, დამქანცველი შრომა ახ-
ალბედათა დოსტატებისთვის და ჭეშმარიტი პოეზიით მონიჭებული აღტაცებაც.
ჟურნალს ყოველთვის ახსოვდა მაღალი მოვალეობა, ეროვნული კულტუ-
რის წინაშე რომ დაეკისრა, ახსოვდა ისიც, რომ ახალგაზრდობის ჟურნალია
და სახელმძღვანელო მწერალთა ცოდნა და ტრადიცია ბუნებრივად უნდა შეუ-
თავსოს სიჭაბუკის ძიებებსა და დაუღვინებელ ვნებებს.

„ცისკარი“ თამამად უხსნიდა კარს ყოველ სიახლეს. იქნებ ჯერ კიდევ დაუ-
საბუთებელ პრეტენზიებსა და დაუხვეწავ ბასიათებსაც, მაგრამ ამ სითამამის სა-
ფუძველს თავისი იდეური და ესთეტიკური მრწამსის განუხრებლ სისწორეში,
ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი სიმზნევისა და ზნეობრივი სიჯანსაღის ეჭვმიუ-
ტან რწმენაში ჰპოვებდა. სჯეროდა — ყოველი ახალი სახელი, ნაწარმოები,
პრობლემა მშობლიურ კულტურას საღ ნაკადად მიერთვოდა.

„ცისკარი“ მუდამ ცდილობდა, მკითხველთა და დროის სამსჯავროზე ლი-
ტერატურის მხოლოდ გულწრფელი მსახურების ნაყოფი გამოეტანა. რა თქმა
უნდა, ლიტერატურა არ ინარჩუნებს ყოველივეს, რაც დაწერილა და დაბეჭდი-
ლა, მაგრამ ჟურნალი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სრული სიზუსტით უნ-
და ასახავდეს არსებულ ვითარებას, რეალურ სურათს.

„ცისკარი“ ყოველთვის ჩვენი ლიტერატურის ავანგარდში იდგა და მას ჯა-
მარჯვებთა უტყუარი საბუთიცა აქვს.

საკავშირო და საქართველოს კომკავშირის ყველა ლიტერატურული პრე-
მია „ცისკარში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებს მიენიჭა; მაღალი ეროვნული ჯილ-
დო — რუსთაველის ორი უკანასკნელი პრემიაც ჩვენი ჟურნალის ავტორებს
მიეკუთვნა.

ეს ფაქტი სათანადოდ ახასიათებს ჟურნალის სახეს, მის იდეურ-მხატვრულ
პოზიციას, დამოკიდებულებას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები-
სადმი.

„ცისკრის“ ფურცლებზე აღიზარდა ქართველ პოეტთა დიდი რაზმი, რო-
მელთა მოღვაწეობაც ამჯერად ჩვენი პოეზიის მცირე ნაწილს როდი მოიცავს.
მათ თავისი კვალი დააჩნიეს თვისობრივად ახალი ლექსის შექმნას, მათი შემოქ-
მედების წილში დაიხვეწა ლირიკული პოემის დღევანდელი სახე; მიანიჭეს თა-
ვისებური ინტონაცია პატრიოტულ ლირიკას, გამოთქვეს თაობის მისწრაფება და
ხასიათი. ქართული პოეზიის უძველეს ტრადიციათა ერთგულნი, ისინი დღენია-
დაღ ზრუნავენ პოეტური დამოუკიდებლობისა და კულტურისათვის.

ჩვენ ხშირად აღვნიშნავთ ქართული პროზის აღმავლობას. ის ახალგაზრდუ-
ლი პროზა, დღეს მოწიფულობისა და დაოსტატების ხანას რომ მიაღწია, დასა-
ბამს ჩვენი ჟურნალის პირველსავე ნომერებში ჰპოვებდა. „ცისკართან“ ერთად
განვლო ამ პროზამ განვითარების გზები. „ცისკარი“ იყო არა ერთი ქართველი
პროზაიკოსის გზის დამოცემი, მისი შემოქმედების შემფასებელი, მკაცრი
და კეთილმოსურნე მრჩეველი.

ჩვენს ჟურნალში დაიწყო თავისი ლიტერატურული სიცოცხლე შეცნობის
წადილით შეპყრობილმა, სამართლისა და სიკეთის მთესველმა, იუმორითა და
ლირიზმით აღსავსე ჰაბუქმა. აქ გამოიკვეთა მისი ხასიათი, გარეგნობა, ცხოვრე-
ბის სტილი. აქ აისახა მისი ძიება, იმედი და ეჭვი. „ცისკარში“ იგი ცხოვრები-
დან მოვიდა, პირველსავე ნოველებში, რომანებში, ლექსსა თუ პოემაში გააც-
ხადა თავისი არსებობა. და კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, როგორც თაობის
იდეალის ლიტერატურული განსახიერება, თაობის ოცნების ხორცშესხმული
ხატი.

ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა და ბეჭდავს ცნობილი მწერლების ახალ
ნაწარმოებებს. ეს იყო სკოლა, სადაც ახალგაზრდები სიტყვას უნდა დაუფლე-
ბოდნენ, საკუთარი ნაზარებისა და გაცდისთვის მხატვრული ღირებულების მი-
წიჭების საიდუმლო შეეთვისებინათ; უნდა ეგრძნოთ, რა დიდ პასუხისმგებლო-
ბას აკისრებს მათ მწერლის პროფესია.

„ცისკარი“ ფართოდ ასახავდა ჩვენი ახალგაზრდობის შრომასა და ყოფას.
იგი თავის ავტორებს, პოეტებსა და პროზაიკოსებს მოუწოდებდა შეექმნათ ნარ-
კვევები, გაცნობოდნენ წარმოებას, ადამიანებს, რაც მათი მხატვრული წარმო-
სახვის მასაზრდოებელი წყაროც იქნებოდა.

ჟურნალის რედაქცია მუდამ სათანადო ყურადღებას აქცევდა მთარგმნე-
ლობით ლიტერატურას. ანტიკური ავტორების ქმნილებებიდან მოკიდებული
თანამედროვე საზღვარგარეთელი მოწინავე მწერლების ნაწარმოებებით დამ-
თავრებული, იგი სისტემატურად ბეჭდავს ახალ მთარგმანებს. უნდა აღინიშნოს
მთარგმანთა ხარისხის თვალნათლივი თვისობრივი ზრდა, მთარგმნელთა უაღრე-
ზად სერიოზული დამოკიდებულება ენისა და ლიტერატურული მეტყველები-
სადმი.

დღეს, როცა ლიტერატურული კრიტიკის აღმავლობისთვის ბრძოლა ჟურ-
ნალის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, უნდა ითქვას: ჟურნალ „ცისკრის“
დაარსების პირველივე დღიდან რედაქციის ირგვლივ თავი მოიყარა კრიტიკოს-

თა საკმაოდ ძლიერმა ჯგუფმა, რა თქმა უნდა, ჟურნალი ცდილობდა სათანადოდ შეეფასებინა ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კრიტიკოსთა პროფესიულ დაოსტატებას, პირუთვნელსა და ობიექტურ კრიტიკას. ცდილობდა წამოეჭრა პრობლემები, რომელთა გამო მსჯელობა ლიტერატურული პროცესის სასიცოცხლო ძარღვთან იყო დაკავშირებული.

„ცისკარმა“ ერთ-ერთმა პირველმა დაუთმო ადგილი ქართველი მწერლების გამონათქვამს თანამედროვე კრიტიკაზე; გაშალა ვრცელი დისკუსია სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებზე, რუსთველოლოგიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, კინოსა და თეატრის შესახებ. თავის დროზე მკაცრად შეაფასა სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი. სათანადო ადგილს უთმობდა საზღვარგარეთული ლიტერატურის კრიტიკულ შეფასებას, ლიტმცოდნეობისა და ესთეტიკის თეორიულ საკითხებს, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ეთიკისა და ზნეობის პრობლემებს... ძნელია შემოიფარგლოს თემატური წრე, რომლითაც ჟურნალი წლების მანძილზე დაინტერესებულა. თავი და თავი, რა თქმა უნდა, ლიტერატურის მიმდინარე პროცესების ასახვა, ახალი ნაწარმოების ანალიზი იყო. ამ მხრივ რედაქციამ სათანადო ღონისძიებები ჩაატარა — ჟურნალი ბეჭდავდა საპირისპირო მოსაზრებებს ერთი და იგივე ნაწარმოებზე, უთმობდა ადგილს მოკამათე მხარეებს, რათა მძაფრ პოლემიკაში ჭეშმარიტება დადგენილიყო.

„ცისკარი“ ყოველთვის მჭიდრო კონტაქტებს ამყარებდა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურებთან. მას ჰყავს მეგობრები ჯენი ქვეყნის ყველა კუთხეში. ამგვარი შემოქმედებითი თანამშრომლობით იმ დიდ ტრადიციებს აგრძელებდა, რაც ქართულ ლიტერატურას ოდითგან მოღვაძლა.

ჩვენს ჯანსაღ, მამულშევილური და მაღალი ტრადიციებით აღზრდილ ახალგაზრდობას, მის ჟურნალ „ცისკარს“ არასოდეს დაკლებია მზრუნველი ხელი კომუნისტური პარტიისა, ლენინური კომკავშირისა. გვაკრიტიკებდნენ? — უყოყმანოდ ვლებულობდით; გვაქებდნენ? — გვრძნობდით მეტ პასუხისმგებლობას.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა დიდ თარიღს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავს აღნიშნავს, ჩვენი ჟურნალი ახალი წარმატებებით ეგებება ამ საყოველთაო ზეიშს. ჟურნალში შეიქმნა განყოფილება — „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“, სადაც ნათლად ჩანს ის განუყოფელი ერთიანობა, კულტურული ურთიერთობა და შეუღებლადი ფესვი, ის გულწრფელი მეგობრობა და პატივისცემა, რაც საბჭოთა ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებს.

„ცისკარი“ ახალგაზრდების ჟურნალია, იგი თავადაც ახალგაზრდაა, მაგრამ არსებობის ამ მცირე მანძილზე მუდამ ცდილობდა თავისი მოვალეობა ეროვნული კულტურის, ერის, ახალგაზრდობის წინაშე პირნათლად შეესრულებინა. წლიდან წლამდე იხვეწებოდა მისი სახე და ფორმა, იზრდებოდა ტირაჟი, ემატებოდა მკითხველი.

„ცისკარი“ მომავლის მესიტყვეა და სიკაბუჯის პირუთვნელი მეგობარი. მას ღრმად აქვს შეგნებული თავისი ვალი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის წინაშე. იგი მხნედ და იმედით შეყურებს ქართული ლიტერატურის ხვალისდელ დღეს, რადგან მტკიცედ სწამს მათი, ვისი ერთგული მსახურიცაა — თავისი ხალხის, კულტურის, თავისი ახალგაზრდობის.

აჩივ სუდაკაური

მ ა მ უ ლ ი

არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
როცა მთაწმინდა აქვეა,
როცა გვერდზეა მტკვარი...

ახლავე მივდგებ-მოვდგები,
მაცალეთ, ვიდრე მოგვედები,
გადაგიხადოთ ვალი.

არ ვიცი, ამას რა ჰქვია,
როცა არაგვი აქვეა,
როცა გვერდზეა ჯვარი...

ახლავე მივდგებ-მოვდგები,
მაცალეთ, ვიდრე მოგვედები,
გადაგიხადოთ ვალი.

გ ა მ თ ა რ ი

ეს დამე, თითქოს ტყეა უღრანი
და თოვლს მოელის გარინდებული...
გმადლობ, უფალო! ამ ჩემს ბუხარში
ანთია ცეცხლი კვლავინდებური.

მე ვიცი, მალე მოვა ზამთარი, —
თეთრი ცხენები, შავი მარხილი, —
რათა უშრეტი ცეცხლით გამთბარმა
მოვზიდო ჩემი ბედის აღვირი.

ვიცი, მოვისმენ ფიფქების შრიალს,
მოვისმენ, ვნახავ და გაუფითრდები,

გზაზე ყინულის ღიმილი ყრია
და დამტყრეული სიმწრით თითები.

რანაირია მაინც ეს ცეცხლი,
სულ სხვანაირი ფიქრები იცის,
მას სხვაზე მეტად უყვარს სიცოცხლე,
იწვის და ცხოვრობს, ცხოვრობს და იწვის.

ეს ფიქრიც თითქოს ტყეა უღრანი
და მოლოდინით გარინდებული...
გმადლობ, უფალო! ამ ძველ ბუხარში
ცეცხლი ანთია კვლავინდებურად.

ლ ე ე რ თ ქ ა ტ ი

ხელში გელათი უჭირავს ერთში,
წიგნი უჭირავს მეორე ხელში.
მეფეა კახთა, სომეხთა, რანთა, აფხაზთა, სვანთა და უდიმართა.

ტანზე ქრისტესი აცვია კვართი,
გადაჰყავს თევზნი რიონში მტკვართით.
მზეია კახთა,
მთიები — რანთა,
ლიფლიფი — სვანთა და უდიმართა,

მხარზე ვეება გაუდევს ლოდი
და მოდის, —
თითქოს უტვირთოდ მოდის! —
მეფენი შვიდნი ვინც პურად დასხნა,
საზღვართა გარე ვინც მტერნი გასხნა,
იმერთა წყალთა ვინც თევზნი შთასხნა,
ვინც ვერ ისვენებს საფლავში ახლა.

გივი ძნელაძე

2 3 ა გ ვ ი ს ტ მ

წელი გამდნარა ოცი, კვლავ ოცი,
და კიდევ — ოთხი,
და კიდევ — ერთი!..
შენს წმინდა მიწას. (მოწმეა ღმერთი)
მკვდრეთით აღმდგარის სიხარბით ვკოცნი!..

ისე გავიდა ორმოცი წელი,
და კიდევ — ოთხი,
და კიდევ — ერთი, —
სულს ვერ ვაამე სხეულის ღებენით,
შენი საკადრი დიდებაც ვერ ვთქვი!

როგორც მიწის და ცის შეერთება
არ უნდა მოხდეს აროდეს წესით —

ისე მე და შენ ვერავინ გაგვეყრის,
ჩემო ქვეყანავ,
და ჩემი ლექსიც,
და ჩემი გულიც,
და ჩემი სუნთქვაც, —
სიცოცხლე ჩემი შენ გენაცვალოს,
საუკუნეთა მზეში დაყრილო,
გაუფანტავო კერის ნაცარო!..

ჩვენს გაყრას მაინც ინებებს ღმერთი, —
მზიან ფანჯრებზე მოდგება ჩრდილი!..
უკვდავი დედის მოკვდავი შვილი —
სიკვდილის წინაც ვილოცებ შენთვის!..

ორი კერპი მყავს, ორი მსაჯული:
წინაპარი და შთამომავალი,
განსაკითხავად მათ მივაშურებ
და საგულად მიმაქვს კითხვა მრავალი.

სამთავრესა გვაქვს რაღაც საერთო
ზნე, ხასიათი, იქნებ სვებედიც?
ვერ ვივარგებდით უერთმანეთოდ,
უბრალოდ ვერც კი ვიარსებებდით.

მაკვირდებიან და მიმოწმებენ
არათუ უკვე გავლილ თარიღებს,
არამედ გეგმებს, სიზმრებს, ოცნებებს —
ბედისწერასთან რაც შემარიგებს.

მე რა ვიცოდი თუ წინაპარი
მითვალთვალებდა სათოფურიდან,
თუ ჩემს სტრიქონებს, როგორც ნაპრალებს,
ქინედილით ხელში ჩამოუვლიდა.

თუ გადასწევდა ქორონიკონებს
და ისკუებდა ციხის გოდლიდან,
ლექს შეტეხავდა ნედლ-ნედლ სტრიქონებს
და სალამურა სტვირს გამოთლიდა.

ბებერი ლანი მიმზერს ალერსით,
სწორედ ის არი... წინაპარია,
ვეამაყები, ვატყობ თვალბეჭდით,
ვეამაყები და მიხარია.

დრო და მანძილზე დგას ნათლის შუქად
მხედარი, ბერი და კირითხურო;
ფარს გამომიწვდის და როგორც რუქას,
ქართლის ცხოვრებას ისე ვკითხულობ.

პატარა ფარზე წევს ლეგენდებად
ძველი ომები და ისტორია,

ყველა საქმე და შემოქმედება,
რითაც ვსუნთქავდით და გვიცხოვრია.

ხოლო მემკვიდრე მჭმუნვარე მიმზერს
და ჩაკირკიტებს სტრიქონის ჭრიჭინს,
მისი მღიმარე სათვალის ქიშხე
ათინათივით დახტუნავს იჭვი.

შთამომავალი უფრო მკაცრია
და ლამის არის გადაამეტოს —
და იმ განძიდან, რაც მიაზრია,
რა ცოტა მიაქვს საესტაფეტოდ!

მისი სათვალის სხივი ელვარებს
უსასრულობის მღვრიე ნისლიდან,
არც ის მეგონა, ვარსკვლავთ მგვლევარი
ჩემი წიგნისთვის თუ მოიცილიდა.

ის მშვიდად გახსნის მრავალ ქარაგმას
და ძველ ფორმულებს წაშლის დაფაზე,
ასწონ-დასწონის ძველ ნაამაგარს
და ახლებურად გადააფასებს.

მაინც გვექნება რაღაც საერთო
ზნით, ხასიათით, თუნდაც სვე-ბედით.
ვერ ვივარგებდით უერთმანეთოდ
და ალბათ ვერც კი ვიარსებებდით.

ჩვენ ერთმანეთის ფრთები ვყოფილვართ, —
რწმენა, გამოცდა და გამძლეობა.
თითონ ბუნების წესს შეწყობილა
ფესვის და ყლორტის მემკვიდრეობა.

წმინდაა, როგორც ანდერძი, მსხვერპლი,
რასაც მასწავლის ანდა მავალებს
ორი მსაჯული და ორი კერპი:
წინაპარი და შთამომავალი.

წამის სიღიალე

სიცოცხლე მართლაც ერთი წამია,
წამში ეტევა ალბათ რაც არის, —
სულ ერთი წამის სითამამეა
სიყრმე, სილაღე, ცეცხლი, ნაცარი...

წამია, მე რომ დამღლის და დამწვავს
ტკივილის მაინც არ ღირს გამხელა, —
ერთი წამია, ო, მაგრამ ამ წამს
ბედნიერება ჰქვია სახელად!

ახალი ურმული

ხარო, ხი!
ხი, ხარო! —
როგორ უნდა ვი... ხარო,
შენ რომ ყელი გამოგლადრონ,
ხარო, ხი!
ხი, ხარო!

კორიდაზე გაგიგდებენ,
წარბი არ შეი... ხარო,
სასაცილოდ აგიგდებენ,
ხარად არ ვარგი... ხარო, —
წითელ ბაბთებს აგინებენ,
გზასა და კვალს აგირევენ,
დღეს და ღამეს დაგილევენ, —
ცხარე ცრემლით მატირებენ...
ხარო, ხი!
ხი, ხარო!

შენი მოკვლით ალბათ ჩემზე
ჯავრი უნდა იყარონ, —
ნუ დამტოვებ ზღაპრის ხეზე,
ხარო, ხი!
ხი ხარო!

სადღაც არის ნამდვილად
ჩვენი ბედნიერება, —
ვიდრე ერთად დავდივართ,
დარდი ვერ მოგვერევა,
ხარო, ხი!
ხი, ხარო!
როგორ უნდა ვი... ხარო,
შენ რომ ყელი გამოგლადრონ,
ხარო, ხი!
ხი, ხარო!

მედეა კახიძე

ნუ ჩაიჩოქებ

თუ გაქვს პატარა მიწის ნაჭერი
და შიგ შრიალებს უქმად იელი,
თვით ააყვავე შენივ მარჯვენით
შენი მინდორი უკაცრიელი.
თუ სიყვარული დაგვალულ გულში
თითქოს არის და არც არის თითქოს,
თეთრი სინათლე ქათქათა ნუშის
შემოგიმატებს თვალეში სითბოს.

თუ ღამაზე დღევებს ვიღაცა გიქრობს,
თუ სიმწრით შუბლზე მოჟონავს ოფლი,
შენ მიუმატე თვალეების სითბო,
შენ თუ ოჯახში სითბო არ გყოფნის.
ნუ ჩაიჩოქებ ბედთან უძლური,
თუ მკაცრი ბედი გწონის და გზომავს,
ალმოაჩინე შენი კუნძული
და შეაღიე სიცოცხლე ბრძოლას...

უნდა იცოცხლო

შენ დგახარ ცისქვეშ რბილ მიწაზე და მთელი ძალით
ებლაუჭები სიცოცხლის ფესვებს...

უნდა იცოცხლო,

ქვეყნად უნდა დიდხანს იცოცხლო,

თორემ უშენოდ ვერ იქნება ის გათენება,

შენ რომ ბავშვობის აუზღვრეველ სიზმარს გააგონებს;

ვერ იქნება ის სიხარული,

შენ რომ იწვევ სხვათა თვალებში

და სხვანი რომ შენში იწვევენ;

ვერ იქნება ის „გამარჯობა“ —

მეგობრები შენ რომ გეტყვიან გზად შესხვედრისას,

ის „გაგიმარჯოს“ —

მეგობრის სალამს შენ რომ აგებებ.

უნდა იცოცხლო,

ქვეყნად უნდა დიდხანს იცოცხლო,

თორემ უშენოდ ვერ იქნება ის სიყვარული,

ამ მიწაზე შენ რომ დაგეძებს,

ვერ იქნება ის ერთგულება,

ის ვნება და თავდავიწყება —

ამ სიყვარულს შენ რომ მიაგებ.

თორემ უშენოდ ვერ იქნება

ის ცრემლი და გულისტკივილი,

შენი მოყვასის მწუხარებით შენ რომ აგაცესებს,

და ის იმედი —

შენეული და შენმიერი,

მას რომ სჭირდება, როგორც წამალი,

როგორც სითბო და სილამაზე.

იმ სიხარულის,

იმ ღიმილის,

იმ „გამარჯვების“

და იმ ცრემლის გადასარჩენად,

რომელიც ქვეყნად შენს გარეშე ვერ იარსებებს,

უნდა იცოცხლო!

დამტოვეთ მარტო

დამტოვეთ მარტო, მეგობრებო,

დამტოვეთ მარტო!

მეცოტავება თქვენთან ყოფნა მხოლოდ დღეის დღით...

მე მომენატრა უფრო დიდი, უფრო ხანგრძლივი

სითბო, სსოფნაში დაგროვილი თქვენი ღიმილის,

ძალა, სხოვნაში დაგროვილი თქვენი ნუგეშის
და თქვენი ხელის ვაჟკაცური შემოშველება,

მე მომენატრა მიამიტი თქვენი სიტყვები, —
თან რბმ მოსდევენ მოკლეკაბა ბავშვობის დღეებს
და ყანის პირზე შემორჩენილ გვირილებს ჰგვანან...

და კიდევ რაღაც, —
რაც არსობის არ არის პური,
არ არის ყანა.

მე მომენატრა უხილავი ძაფების ხილვა
და გადაქცევა მოგონების ღია თვალებად:
მე მომენატრა...
მარტოობაში თქვენთან ყოფნის იდუმალება.

დამტოვეთ მარტო.

ჯანსუღ ჩაჩკვიანი

უ ე ხ ვ ე ღ რ ა

მე ვარ ჯიუტი, ბედს მინდობილი...
ჩემი ახო და ჩემი დობირო,
ჩემი სიმდიდრე და სიღარიბე
იმათ, ვინც ქვეყნად მხარი ამიბა.

რაც ერთ კაცს ჰყოფნის, იგი მყოფნიდა,
ჩემი შრომით და ჩემი ოფლითა.

არც მინატრია სხვა გააფთრება,
ოღონდ, როდესაც სულში დათბება —
თავისუფლებას ვნატრობ ფარულად,
— ყმაწვილობაში რომ მქონდა, ისეთს.
ისიც წასულა და გაპარულა,
თუ სხვას უხედნის ქედსა და კისერს.

მე ჩემი თავის ვიყავ დესპოტი,
ასე მჯეროდა, ასე მესმოდა...

იჯდა ყანაში ფიქრი მწყერრივით, —
მარადიული და დარცხვნილი.

არ მომიკია,
ვთესე და ვთონხე,
წყალი ვუმარჯვე მიწას გადაშვარს.
ცოტაც მაცალე, რა უცებ მოხველ,
რა უცებ მოხველ,
ღმერთი არა გწამს?

მე შენ მიყვარხარ!
და მამულო, ეს სიყვარული
ჰგავს ანგელოსთა ღვთისადმი კრთომას.
მე შენ მიყვარხარ
მოკრძალებით და სიხარულით,
ვით ყრმას მოძღვარი,
ვით ლერწმ ვაზი,
ვით სხივს მნათობი...
მე შენ მიყვარხარ!
შენ ხარ შეგება და სინანული,
და მწუხარებაც...

მწუხარებაც...
შენ ხარ — მამული!
დავშვრები შენთვის
და თუ „წახდეს ყოველი ღვაწლი“,
თუ დრო გამეჭვეს
და დამეჭვეს
გუმბათი ტაძრის
შენთვის ნაგები,
მე ვთხოვ განგებას
დაიფაროს ეს სიყვარული —
„შენ ხარ მამული!“

(პოეტის დაბრუნება)

აპა, დასრულდა,
როგორც იქნა მოედო ბოლო
ლაბირინთს, ეჭვებს, აღმაფრენას, იმედებს, ლოდინს...
და დაენარცხა ვერცხლის სვეტი, როგორც სიმბოლო
ცხელი ზაფხულის — გაცდენილი მზის და კომფორტის.
ო, რა ხანია, არ ზღვებია მას ოქროს ეტლი,
უერთგულესი მეგობარი ჟინის და ქროლვის,
ქალნი — ყვავილნი სოფლისანი, საყვლო თეთრი...
სიცილის ზარი — მოწკრიალე „ვარდი და ბროლი!“
ის კვლავ ბრუნდება და ნაცნობ კარს მდუმარედ აღებს,
ღიმილი ჩუმი ველარ ფარავს მზერას უნდობარს,
და შორით უსმენს შემოდგომის გაძარცვულ ბაღებს,
ურცხვ სასიძოვებს, ტელემაქეს და პენელოპეს.

პახანა ჯახანაძე

ო ღო ნ დ...

თუმცა დიდი იმედი მაქვს გულის — ნაამაგარისა,
ხელი მაინც შემაშველე,
ხელი მაინც არ გამიშვა.
რომ არასდროს გამიჭირდეს,
როგორც ერთხელ გამიჭირდა,

არ დამტოვო,
არ მომშორდე,
არ მომშორდე ნაბიჯითაც.
როცა მტოვებ,
 ზუსტუნებენ ბუკები და წინწილები,
და ხელს ისე მაგრად გიჭერ,
 თითქოს წყალში ვიძირები...
გავისტუმრებ მეგობრების ვალებსა და ანგარიშებს,
არაფერიც არ მომივა,
 სანამ შენ ხელს არ გამიშვებ;
არც იმედი არ მექნება ყაჯარანის და არგანისა,
ოღონდ ხელი შემაშველე,
ოღონდ ხელი არ გამიშვა.

გაჩივრ ჭანჭუჩი

ქება მესამე: იმერეთი

(ძველებური რომანსების ზმაზე)

დიდებული აკაკის საიდუმლო ბარათის
ხსენებაზე თვალთაგან ცრემლი რომელს არა დის!
ო, მარადის! მარადის! — მშვენიერ იმერეთის
ცა რომ ვნახე, ჩემ თვალებს ცრემლი იმის მერე დის!
 მარად ვეტრფი იმ ერის —
 იმერეთს!
 იმერეთს!

თესვად მიდის მთესვარი, თუ ჟამია მოროდის,
მე ამ მიწის მუშა ვარ, ო, მარადის! მარადის!
ცა რომ ვნახე ასეთი, მზე რომ ვნახე ასეთი,
და ბიჭები რომ ვნახე — ჩემ თვალს ცრემლი მერე დის!
 მარად ვეტრფი იმ ერის —
 იმერეთს!
 იმერეთს!

მას, ღვთიშობლის წილხვდომილს, მარიამის წილხვდომილს,
გეკითხები, მითხარი! — რა ნება აქვს წახდომის!
როცა თავად განგება დადის ზვარში სასხლავით,
და მოწვეთავს ზედაშე ანგელოსის სისხლივით!
 მარად ვეტრფი იმ ერის —
 იმერეთს!
 იმერეთს!

ბევრჯერ მოსმენილო პანგო, —
ცრემლის დადენამდე კარგო, —
მე შენ მაინც არ დაგკარგავ,
ყველაფერი რომ დაგკარგო!

სიცოცხლეში შენ მიშველი
და ჩემს არყოფნაშიც შეხვალ...
შემშრობელი ჩემი ცრემლის
ისევ შენ და ისევ შენ ხარ!

ორმოცი დღეც და — ისევ მოვალთ, ისევ დაგხედავთ!
ერთი წელიც და — სახლს ჭერს ავხდით, ვიმღერებთ მაშინ!
მერმე ხანდახან მოგიგონებთ, თბილად გახსენებთ,
და ჩაგრთავთ ჩვენი წინაპრების სადღეგრძელოში!
ადამიანურ ნაკლს, რაც გქონდა, ჩამოგაშორებთ!
გაგაზვიადებთ იმათ თვალში, ვინც არ გიცნობდა,
რომ მაგალითად დაგისახონ, მოგბაძონ რათა!
ეს არის შენი უკვდავება, სხვა არაფერი!

ბივი გავაჭკოკი

თ უ ზ ე თ ი

ნოდარ ჩხეიძეს

ჩვენ მივალთ უღელტეხილთან,
გზა აღარსაით უხვევს.

დართლოში ჩამოწოლილი
ღრუბელი ზევით ავიდა,
მე დაგინახე წუხელ.

წარსულის ჭაზე დახრილმა
წყვდიაღს ავხადე გვიმი:
შენი თვალები ბრწყინავდა
და დამცინავი ღიმი...

იქ ციხეს ადგა ნათელი
მთვარის ვეება ტაშტით,
ის იყო ერის დიდება
ანდა დიდების ნაშთი.

ძვალშესალაგი კენესოდა
და ღამეები, ნოდარ,
მესრის კბილებზე გამოზმულ
ცხენის ზურგივით თრთოდა...

ხსოვნა ქრება და იცვლება,
წარსულიც სახეს იცვლის,
მაგრამ ეს მკერდის ფიცარი
სულაც არ არის ფიცრას.

ბევრია გაუგებარი,
რამაც დამასვა ღალი,
ზოგი რამ ცხადი რომ იყოს,
მაშინ ცხოვრება არ ღირს...

ყ ი ნ ვ ჰ ი ს ი

ისევ მოაწყდა
სულს ბრძოლა
მინდვრები ქართლის!...
ცაზე ღრუბელი მოლაღანე
ღველფივით იწვის...
დიდი ხნის დუმილს
დღეს მჭვირვალე ბროლივით გავთლი,
რომ კიდევ ერთხელ
მოკრძალებით ვემთხვიო ყინწვისს...

მომავალს დათვლილს
ბედი მიტომ არაფრად არ თვლის,
რომ სიყვარული
ლანქერივით გულზე გადადის,
როგორც გადადის ერთმანეთში
ბაღები ქართლის
და უნაწესი ფერი მკათათვის!..

შემომანათეს კრამიტებმა
გამომწვარ ფერით,
გუმბათს მტრედივით შერჩენია
წყნარი გალობა...
ლურჯი კედელი
გახუნებულ ფრესკებად მღერის
თამარ-დედოფლის სინატიფეს,
კდემას, ქალობას!..

კურთხეულ იყოს
ფუნჯი იგი და საჭრეთელი,
ვინც განათებულ დიადემად
ხატა კედელი!..
...დამდგარა მუხლზე

საქართველოს ჭირთა მჭვრეტელი
ხელაპყრობილი ლანდი
ზაზა ფანასკერტელის...

დრო არ არსებობს,
არ არსებობს,
მაგრამ სამანი
სიკვდილ-სიცოცხლის
ოღითგანვე გვახლავს სამოსად...
ო, ჭეშმარიტად,
ჭეშმარიტად მოვა მავანი
და კიდევ ახალს
გადაფურცლავს ვეფხისტყაოსანს...

ფაჩუნობს ბინდი,
ჩუმად კრთება ტყე ნაწვიმარი,
დაშრა უამურ მოგონებათ
მრუმე თარეში...
არარაობად მიმჩნია
ყველა წვრილმანი
და მთელს სხეულში
სიმშვიდეა უნეტარესი!..

მზე კი რიკოთით მიბრძანდება
მეწამულ შანდლით,
შეფაკულ ნათლით
დასალიერს ღრუბელი იწვის...
ჩამუჭებული ღამის ბინდით
იძინებს ქართლი
და ანგელოსის ცისფერ კაბას
ვუკოცნი ყინწვისს!..



თავისუფალ ერთან მაღალ ქანქარი ქმარი

უზბეკი პოეტი

გაჟურ გულიანი

ჩემოდით ჩვენთან, მეგობრებო!

როცა ჩამოხვალთ უზბეკეთში, დარში თუ ქარში,
ვიცი მგზავრობით დაღლილები იქნებით მაშინ,
სტუმრისთვის ყველა კარს გააღებს და სუფრას გაშლის,
ყველა მიგიწვევთ ტკბილი სიტყვით საკუთარ სახლში, —
მაგრამ პირველად, მეგობრებო, ჩემს სახლს ეწვიეთ!

თუკი ტაშკენტში თქვენ იკითხავთ გაფურ გულიამს,
ყველა გასწავლით ჩემს სახლს, ყველას თბილი გული აქვს,
უმეგობარო კაცი ქვეყნად დაკარგულია,
ჩემს სულში მუდამ დაუმტკნარი გაზაფხულია
და გელოდებით, მეგობრებო, ძვირფას მეგობრებს!

ა, ჩემი ბალი! შემოაღეთ ოღონდაც კარი,
ზარს ვერ იპოვნით, არ სჭირდება ჩემს ეზოს ზარი,
ა, პირსახოცი, აგერ წყაროც ცივი და წყნარი,
ა, ჩემი გულიც, იგი თქვენი ერთგული არი,
ბალის კარებს და გულის კარებს ერთად გაგიღებთ!

მე ამ ბაღაში ვტრიალებდი დღედაღამ თქვენთვის,
თქვენთვის ვარჩევდი მწიფე ხეხილს და თქვენთვის ვკრეფდი,
მომირთმევია ჭირნახული მეტი და მეტი,
მხოლოდ შაფრანმა ვერ იხარა ვენახის გვერდით,
სხვა ყველაფერი, მეგობრებო, თქვენია, თქვენი!

ყვავილი გინდათ?! მაშ ახლავე მოგიტანთ ყვავილს.
ზოგი ცისფერი არის, ზოგი სისხლისფრად ჰყვავის.
ყვავილებს მოაქვთ ნუგეში და იმედი ხვალის...
წითელ ვარდს ყურთან გამოვინებეთ და ვიგრძნობთ ხალისს,
როგორც გვასწავლის, მეგობრებო, ჩვენი ადათი!

დავიგოთ ნოხი, მოხატული ვითარცა ბაღი,
დავიწყოთ ჭრელი ბაღიშები, ავანთოთ ჭალი,
გავფანტოთ სევდა, გავისხნოთ სიმღერა ლალი
და ჩვენი ქვეყნის ძმადშეფიცულ თხუთმეტი ხალხის
ენაზე ვჭექოთ მეგობრობის მძლავრი სიმღერა!

ზოგი შეჰხარის ბავშვებს, ზოგი უბავშვოდ დარდობს,
ზოგი მზითვებად რძალს თუ სიძეს ღებულობს მარტო,
მალე შეიღიშვილს აკვანს ურწევს, კარს აღებს ფართოდ,
სტუმრის დანახვა უხარია მემკვიდრის პატრონს,
გვეპატიჟება ვახშმობის წინ იგი ჩაიზე!

აღრე ვფიქრობდი და მე ახლაც ამგვარად ვფიქრობ:
უბავშვო სახლი ცარიელი სუფრაა თითქოს.
ხმაურის გამო ახლა ბოდიშს არვისგან ვითხოვ,
ჩვენ ვიხმაურებთ ბავშვებივით, ვილაღებთ თვითონ,
ავახმაუროთ, მეგობრებო ჩემი ოჯახი!

მრგვალია სუფრა, დედამიწას მაგონებს იგი,
ვარსკვლავებივით მოვსხდომივართ მაგიდას ირგვლივ.
ჩამწყვრივებულია დაშაქრული მტევნების რიგი.
აქეთ აწყვია ხორცეული, ნამცხვარი — იქით.
და სუფრას ასდის, მეგობრებო, ღვინის სურნელი!

ხარობს ოჯახი, მისი სითბო შიგ გულში ატანს,
ბაღში შემოდის სურნელება უდაბნოს ქართა.
წითელი ლოყა გამოუჩნდათ ვაშლსა და ატამს.
ჯერ ნესვი გაეჭრათ, მალე მოდის ჭამაში მადა.
თუ დამიჯერებთ, მეგობრებო, ასე სჯობია!

რაკი ვსხედვართ და წასვლას აღარ ვაპირებთ არსად,
ახლა გასინჯეთ ჩვენი კაზი, ნარინი, სამსა, —
არ ითარგმნება ეს სიტყვები სხვა სიტყვის მსგავსად.
თუ გსურთ გაიგო მათი გემო, ფასი და არსი, —
უნდა გასინჯოთ, მეგობრებო, ცალ-ცალკე ყველა!

სახელგანთქმული, შინაური ღვინო გვაქვს ბევრი.
შიგ მზე დაცურავს, თვალს ატყევენებს ანკარა ფერი,
ჩემი აზრია და თქვენ უნდა დამიკრათ კვერი:
სიტყვის უთქმელად ღვინით სავეს ხელადის ფსკერი
გამოვიკელით, მეგობრებო, დაუყოვნებლივ!

აი, მუხარამს, ჩემს მეუღლეს, შემოაქვს ფლავი,
მოცურავს სინი ისე, როგორც პატარა ნავი,
შეეშვით კამათს, ჩამოაგდეთ დროებით ზავი,
ფლავი — ეს არის ჩვენი სუფრის თავი და თავი,
ფლავზე გაპატიჟებთ, მეგობრებო, ჩემი მეუღლე!



ჩაიც დავლიოთ, შევეცენოთ ორიოდ წამით,
შემდეგ პირველად გავეხსენოთ მგოსანი სამი:
ჩვენი ფურკატი, პუშკინი და ძვირფასი ჯამი,
მერე, როდესაც გამოხდება პატარა ხანი,
ჩვენც წავიკითხოთ, მეგობრებო, ჩვენი ლექსები!

მე აქ მიწყვია ბევრი თქვენი წიგნი ნაქები,
ჩემიც აწყვია, განა სდუმდნენ ჩვენი ჩანგები?!
დამიწერია სხვებზე მეტი — არა ნაკლები,
თუ საჭიროა, დაითვლიან ამხანაგები,
მე არასოდეს დამითვლია ჩემი წიგნები!

სიტყვა ძალიან გამიგრძელდა! შორიდან ვუვლი!
ფხიზელია და არ იძინებს ჯერ კიდევ სული,
მაგრამ სხეული არ უჯერებს მის ნება-სურვილს...
მალე გარშემო დამყარდება სიმშვიდე სრული,
და მოისვენეთ, მეგობრებო, როგორც გენებოთ!

ახალგაზრდები გავუყენოთ ბაღისკენ ბილიკს,
ნოხი დავუგოთ გარგარის ქვეშ რბილი და თბილი,
სიძე-დედოფალს სხვენზე ვიწვევთ, ისეთი გრილი
შემოდგომაა უზბეკეთში, რომ გარეთ ძილი
უმჯობესია, მეგობრებო, არ გაცივდებით!

მაშ ასე, გიწვევთ უზბეკეთში და გულით გლოცავთ,
მოუსმინეთ და დაუჯერეთ ჭაღარა მგოსანს:
გინდ მაშინ, როცა მინდვრებს მწვანე სამოსი მოსავს,
გინდ მაშინ, როცა ველოდებით მოსავლის მოსვლას, —
ჩამოდით ჩვენთან, მეგობრებო, ჩამოდით ჩვენთან.

თარგმნა ვახტანგ ჯაფარიძემ

ჰაბიზ გულიაზი

სიყვარულის სიმღერა

ეჭვებიან ბინდებად
მზედაკრული დაირა,
ვიცი, როგორც ვლინდება
მწუხრში მთვარისნაირად.

მახსოვს, როგორც ფანტომი,
ყველა ნაზი ყვავილი,
ირმის ყველა ნახტომი,

ჩანჩქერების ბლავილი,
სადაც ამფითეატრად
მთები ცამდე მიდიან,
სადაც სცენად ჭყიატა
ვარსკვლავების ხილია.

მახსოვს, ღამე უჩვევი,
სხვა ღამეს რომ არ ჰგავდა,
ნისლი თეთრი ფუნჯებით
იისფერად გხატავდა.
სულწასული გელოდა
გული, ბედნიერება,
მღეროდი და მღეროდა
მთელი ქვეყნიერება.

ცა ჩემს მხრებზე იხრება,
წლები ფიქრებს მიჰრობენ,
მიყვარს ყველა სიმღერა,
როცა შენზე ვფიქრობ მე.
მიყვარს, მაგრამ სადა ხარ,
ან ვინ არის გამგონე,
შენს სიყვარულს ხანდახან
სიმღერა თუ მაგონებს.

ეშველება იარებს?
ვშლი ოცნების ბაიარალს, —
ხელს დავკრავ და ჟღერილებს
მთვარე, როგორც დაირა!

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა



ჩვენი ინანიშვილი

საყმაწვილო ღიბნიდან

ნათესავის სიძლესა

პატარა სოსო ავად იყო. მოვიდა ბავშვთა პოლიკლინიკიდან გამოძახებული ექიმი, ქალბატონი ელისო, დაჯდა, სული მოიტქვა — რა უბედურებაა ულიფტოდ მეხუთე სართულიო. ოთახს თვალი მოავლო, — მშვენივრად კოთბილა თქვენთანო. შავი ტყავის ჩანთიდან წითელრეზინებიანი ფონენდოსკოპი ამოიღო, სკამი საწოლთან მიიტანა და სოსოს შუბლზე ხელი დაადო.

სოსოს ვითომც მარტო თავისი საქმე აინტერესებდა, აფუსფუსებული თითებით და შეკრული კოპებით პაწაწინა ელექტროძრავს ჩაჰკირკიტებდა; დედა ყვებოდა შეწუხებული ხმით:

— გუშინ საღამოს ერთი წამოიჩვილა, მუხლები მტკივაო. მაშინ სიცხე არ გამოიშომა, მე მგონი, არცა ჰქონდა, დღეს დილას კი გავარვარებული დამხვდა.

— ხომ არ ახველებს? — იკითხა ქალბატონმა ელისომ.

— არა, ხველა არ შემიმჩნევია.

ქალბატონმა ელისომ სოსოს ჯერ თავი წამოუწია, მერე პირი დააღებინა და ენა გამოაყოფინა, მერე პერანგი წამოხადა და ბეჭზე ცივი ფონენდოსკოპი დაადო.

— ისუნთქე ცოტა ღრმად!

სოსომ ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა.

— ჩაახველე.

სოსომ ჩაახველა.

ქალბატონმა ელისომ ფონენდოსკოპი ახლა გულზე დაადო.

— ღრმად ნუღარ სუნთქავ.

სოსომ სუნთქვა სულ შეწყვიტა.

— გულაღმა დაწექი!

ქალბატონი ელისო ოთხი თითით დაწეა მუცელზე, მერე ქვემოთ ჩაუყვია, მერე მარცხნივ გადაინაცვლა, პერანგი ჩამოუწია, საბანი დააფარა და დედას მიუბრუნდა.

— გაციებულია, გენაცვალე, ყელი აქვს ცოტა შეწითლებული. ნისტატიანი ტეტრაციკლინი მიეცეთ, ოთხ საათში ერთხელ, ნახევარ-ნახევარი აბი, სოდიანი წყალი გამოვავლოთ დღეში რამდენჯერმე, სტრეპდოციდით, ორი სტრეპდოციდი გახსენით ორ ჭიქა სოდიან წყალში, და გაუვლის.

დედას გაუხარდა.

— მიქსტურაც, ხომ არ მიგვეცა, ქალბატონო ელისო, ოცდათვრამეტი და სამი ხაზი აქვს ახლაც.

— კი, მიქსტურაც მივცეთ.

ქალბატონი ელისო თავის სკამიანად წავიდა საწერი მაგიდისკენ, სკამი რომ დადგა, ხელები ისე გადაატრიალა, დედა მაშინვე მიხვდა, დაბანა უნდოდა.

თუ შეიძლება აქეთ მობრძანდითო, სამზარეულოში შეუძღვა, თვითონ სწრაფად დაბრუნდა, კარადიდან ხილი და ალუბალზე დაყენებული არაყი გამოიღო, თევზებიც, მოიტანა, დანებიც.

ქალბატონმა ელისომ ეს რომ დაინახა, გაწყრა, — რა საჭიროა ესენი, რატომ ირჯებითო, მაგრამ დედამ ალერსიანი ღიმილით შეატყუბა ხელები გულთან, — ჩვენი საკუთარი ბაღის ხილია, რომ არ მიირთვათ, არ შეიძლებაო. ამაზე ექიმსაც გაელიმა. დაჯდა და გამოიკითხა: სად ჰქონდათ ბაღი, ის ადგილი შორს არის თბილისიდან, თუ ახლოს, ზაფხულობით გრილა თუ ცხელა, კოლოები ხომ არ იცისო და სხვა.

სოსო ისევ თავის პაწაწინა ძრავს ჩაჰკირკიტებდა, ვერ იქნა და კარგად ვერ მიაბა ძუხსავით წვრილი მავთულები საკონტაქტო ფირფიტებზე.

ჰან მხოლოდ მაშინ ასწია თავი, ქალბატონი ელისო კართან რომ იდგა და ეთხოვებოდა:

— აბა, კარგად იყავი, პატარა ოსტატო!

სოსომ გაუბედავად გაუღიმა და ქალბატონი ელისო წავიდა.

წავიდა ის დღეც.

სოსომ იმ დღეს ორჯერ დალია ტეტრაციკლინი და სამჯერ გამოივლო სოლიანი წყალი. მაგრამ სიცხემ მაინც არ დაუწია, პირიქით, ღამის ათ საათზე ოცდაცხრამეტი გრადუსი ჰქონდა, ცოტა უფრო მეტიც.

უცადეს მეორე დღესაც. მესამე დღეს კი მამამ სხვა ექიმი მოიყვანა, ბატონი ლუარსაბი, დაბალი, სათვალღიანი, ცხვირპაჭუა კაცი.

რომ გაიგო, სოსო ერქვა სოსოს, ძალიან ესიამოვნა.

— რა კარგი, ნამდვილი ქართული, ვაჟკაცური სახელი გრქმევია შენ, სო-

სო! ვაჰ, რა სახელი გრქმევია, კაცო! ქოჩორიც ვაჟკაცური გაქვს, ვაჟკაცურად იმანაც გასინჯა, ბეჭებზე უკაცუნა, ზედ ყურიც დაადო, თავი ისე წამოუწია, ნიკაბი მკერდზე დააბჯენინა, ფეხებიც მოაღუნინა და გააშლევინა. იმანაც იმედიანად თქვა, ნუ გეშინიათ, ყველაფერი მალე გაუვლისო. გამოუწერა წამლები... როცა წერდა, კალამს წვერზე რაღაცა წამოედო, ფანჯრისაკენ შებრუნდა, ისე უყურებდა სინათლესთან მიტანილ კალამს, თითქოს საშინელი მწერი წამოგებულეყოს ზედ. წასვლის წინ კიდევ იკითხა:

— მამ, სოსო, არა? უჰ, სოსო! — და წავიდა.

დაღამდა ის დღეც. გათენდა ავადმყოფობის მეოთხე დღე. დაალევინეს სოსოს ბატონ ლუარსაბის გამოწერილი წამლები, მაგრამ სიცხე მაინც არ გამონელებია. საღამოს ხუთ საათზე ოცდათვრამეტი გრადუსი და ორი ხაზი ჰქონდა.

დაბრუნდა მამა სამსახურიდან. ღიმილით ჩაიჩოქა სოსოს საწოლთან, გახსნა გრძელი კოლოფი, ამოიღო შავი ლაპლაპა, მრისხანე ავტომატი. გაიხარა სოსომ. დაცხრილა, დააცხავა იმ ავტომატით ყველა და ყველაფერი, მაგრამ სიცხე მაინც ჰქონდა. ჰქონდა უფრო მაღალი, — შეიდი საათისთვის ოცდათვრამეტი და ექვსი ხაზი.

დაჩუმდნენ ჰადრებზე. შეხუნძლული ეივყივა ბედურები. ფანჯრის მინებზე ატკაცუნდა გვიანი შემოდგომის ცივი წვიმის წვეთები. მეზობელმა გოგონამ მეცადინეობა დაიწყო პიანინოზე: — ერთი და, ორი და! ერთი და, ორი და! ორი და! მერე დაუკრა პატარა სევდიანი პიესა, რომელმაც სოსოს სადღაც ნანახი ღრმა ტბორი და ლაფნით უმწეოდ დაკიდებული, ნიავისაგან ათახთახებული წნორის ტოტი გაახსენა. და უცებ გაისმა ზარის გაუბედავი ხმა. დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს,

რამაჰ ინანიშვილი
სამაჰვილო წიგნიდან



ვინ უნდა იყოსო. მამა წამოდგა, კარის გასაღებად წავიდა, სიხარულით წამოიძახა, — ვინ მოვიდა, ვინ მოვიდაო. — და ოთახში სოფლელ ნინო ბებიას შემოუძღვა.

ნუ ავწერთ გულის ამაჩვილებელ სცენებს: როგორ წამოვიდა შეწუხებული ბებია სოსოსკენ, როგორ ჩამოიშალა თავსაფრის ბოლოები და თქვა, — ბებო გენაცვალოს შენ, ჩემო ოქროს ბიჭო, ტყუილად კი არ გნახე სიზმარშიო; როგორ შემოაწყო ცივი, ცივი ხელები ლოყებზე და აკოცა თოვლისა თუ წვიმის სუნით გაქედნილიშა.

დავიწყეთ იქიდან, როგორ შემოათარია მამამ ოქროსფერი ტირიფის წნელით დაწნული კალათი და ძველებური ქრელი ხურჯინი.

მამამ ისინი ერთმანეთს მიაყუდა. მერე სამფეხა დაბალი სკამი მოიტანა. დაჯდა, კალათის თავსაკრს პირი აურღვია.

— ახლოს მოსწიეთ, ჩემთან ამოაწყეთ! — ბრძანა სოსომ. მამამ სულ ახლოს მიათრია კალათი და ხურჯინი. დედამ აქ კი ჩაურთო თავისი ჩვეულებრივი სათქმელი.

— ნუ გაბავშვდები ახლა მთლად!

მაგრამ მამამ ყური არ ათხოვა. კალათს თავსაკრი სულ გადაადრო და ხელები სიამოვნებით გაშალა.

— მომიტანეთ სინები და ჯამფილები, ჩქარა!

მოიტანა დედამ მომინანქრული სინები და სხვადასხვანაირი ჯამფილები.

— არა, ეს უნდა დაიკიდოსო.

ამოსწია მამამ, ამოსწია და დამკვრახული რქაწითლის გრძელი ჯაგანი ამოჭიმა კალათიდან. დედამ ჩამოართვა და დასაკიდად წაიღო. ყურძნის ქვეშ ბროწეულები ეწყო. დახეთქილი, შიგნით-შიგან ჩამუქებული, ლალისფრად განათებული ბროწეულები.

— აი, შვილო, ეს უნდა ჰამო, სიცხეს დაგიწევს. — თქვა ბებიამ და რომელიც დიდი ბროწეული იყო, ის მიაწოდა სოსოს, მაგრამ სოსომ ხელი

გვერდზე გააწვინა, ჯერ დამაცალეთ, მერე შევჭამო.

ბროწეულებს თამროს მსხლეები მოჰყვა, ცივები, მძიმეები, გვერდებოკრობოკრობები, მომწვანომოყვითალოები. მამა სათითაოდ იღებდა ამ მსხლებს, ყუნწით ჰაერში ატრიალებდა, შეჰლიმოდა და მერე ფრთხილად, ფრთხილად დებდა სინზე.

მსხლების ქვეშ ვაშლები ჩაუყრებუ-ლიყვნენ: კომშა ვაშლები, კიტრანები, ჟანგურები. ბყო წითელი ყინულა ვაშლიც. ყინულა ვაშლის დანახავზე სოსო წამოხტა, ეგ მომეცითო! მისცეს, ყველაზე დიდი, ყველაზე წითელი, მაგრამ მაშინვე არ ჩაუკბენია. სუნავდა, ლოყაზე იდებდა, ხელებს უტყავუნებდა.

ვაშლების ქვეშ კომშები ბრძანებუ-ლიყვნენ. ისინი სულ მამაბაბური სი-დინჯით დალაგდნენ ჯამფილაზე და ოთახი თავიანთი სურნელებით აავსეს. აცლიდა მამა ბუსუსების პირბადეს კომშებს და თან ამბობდა:

კომშმა თქვა, მე რა ხილი ვარ,
დაბადებით ვარ მაგარი.
მოვწყდები, ჩამოვარდები,
ძირს გამცვივდება ბრაგვანი.

უყურებდა სოსო მამას და იცინოდა, კუჭკუჭებდა გულიანად.

კალათი რომ ამოცარიელდა, მამამ ახლა ხურჯინი გახსნა. ხურჯინის ერთ თვალში ეწყო: გრძელ-გრძელი, დაბრაწული შოთები, დაკლული გაპუტული ინდაური, ნახევარი კვერი თუშური ყველი. მეორე თვალში კი დაუბანელი, თხლე-ჰაჰის სუნიათი, ხელფეხ გაფარჩხული... აბა, რა, თუ მიხედებით? ღვინით სავსე ტიკი. მამამ ის დიდის მოწიწებით და ფერებ-ფერებით ამოაბრძანა, ფრთხილად მიაყუდა აივანზე გასასვლელ კარს და ისიც დადგა მორჩილად, დინჯად, ისევე ხელ-ფეხ-გაფარჩხული... და ისე იდგა მთელი ღამე.

სოსო პირველად არ ხელავდა ამ ვაჟ-ბატონს, მაგრამ მაინც ეცინებოდა, განსაკუთრებით მის ვეება ჭიპზე.



მამა-შვილი რომ ამ ამბებში იყვნენ, ბებია სოსოს ფეხებთან მისცუტკებოდა, შეეყო საბნის ქვეშ უკვე გამოტარი, სასიამოვნოდ ხაოიანი ხელები, ხელ-ნელა, ალერსით უსრესდა თითებს და თან ჩურჩულით ამბობდა:

— შენი სიცხე მე, შენი ხველა მე, შენი ავადმყოფობა მე, შენი სატკივარი მე.

— მშოა, შოთი მომეცითო! — ბრძანა სოსომ. მიაართვეს შოთი. ყველიცო. ყველიც მიაართვეს.

ჰამა, აკნაწუნა ის მშვენიერი შოთი, ცოტ-ცოტა, დაგმევნებით მიატანა ყველი, მერე ჩაბინა დიდი ყინულა გაშლიც.

და, წარმოიდგინეთ, ჩაეძინა!

როცა გაეღვიძა, თურმე გათენება ჯერ კიდევ შორს იყო. ბებიათვის მხარესი საწოლის გვერდით გაეშალათ. სოსოსაც ეს უნდოდა. გააღვიძა. ჯერ ოქროსთმისი და-ძმის ზღაპარი ამბობინა, მერე გიჟისა და ჭკვიანისა.

— რა კარგია რომ ყველანი ერთად ვართ! — თქვა ბოლოს, თითქოს თავისთვის, ბებიას ხელი ლოყის ქვეშ ამოიღო და ისევ დაიძინა.

სიცხე აღარ ჰქონდა. სულ სასიამოვნო, ფერად-ფერად სიზმრებს ხედავდა: მღეროდნენ ფანჯრის მინებზე აცეკვებული, შორეული მთებიდან მოსული წვიმის წვეთები, სოფლურად, მორიდებულად ილიმებოდა კარსმიყუდებული, ვეებაჰიანი ტიკი.

მედიკალიზაცია

I

კახეთში, წყაროსთავის ქვემოთ, ვეება ზერებსა და ხეხილის ბაღებს შორის, მოშამბული სარწყავი არხის ნაპირას, დგას ერთი ძველი, ძალიან ძველი სასახლე. არხის მხრიდან ამ სასახლეზე მაღალი, ქონგურებდამახინჯებული მრგვალი კოშკი ამოსდგომია, ვენახების მხრიდან — გალავანს ზურგმიბჯენილი, ღარიანი კრამიტით გადახურული გრძელი მარანი; წინ, ეზოში, თლიან ქიშკართან, გაუქმებული პატარა ეკლესიაა; იქვე დიდი აკაცია დგას — შემხმარი, შეღეწილი, ფოთლებზე-თხელებული.

ქარიან ამინდში კოშკის სათოფურები და ქონგურები თავზარდამცემად ღმუიან, სასახლის დაძველებული სახურავიდან ავარდნილი თუნუქი გულისგამაწვრილებლად რახუნობს, ეკლესიაში ერთმანეთზე მიჰუჭული ღამურები წრიბინებენ.

ადრე, დიდი ხნის წინათ, ამ სასახლეში მრისხანე-თავადს უცხოვრია. ამბობენ, რიკულებიან კრაქუნა აივანს დღესაც ეტყობა ამ თავადის ჩექმების

ნაქუსლარიო. მოდგებოდა თურმე მოაჯირთან, არწივივით დაჰყურებდა ეზოში აფუსფუსებულ მსახურებს და ქუსლით ბურღავდა იატაკს.

ახლა აქ სამტრედიის მარანია, — შემოდგომაზე, რთველობას, ახლომახლო სოფლებიდან გლეხები ყურძენს ეზიდებიან და სახელმწიფოს აბარებენ. მარნის მუშები იმ ყურძენს უზარმაზარ ქვევრებში წურავენ, ღვინოს აყენებენ და მერე ქალაქში გზავნიან.

ეს მუშები, სულ მეზობელი სოფლები, იმუშავენ რვა საათს, გაიხდიან ლურჯ სპეცსამოსს, გადაიბანენ ტბილიან ხელებს და, რანაირი ამინდიც არ უნდა იყოს, თავთავიანთ სახლებში წაეღენ. მუდმივად კი სასახლეში ორი ოჯახი ცხოვრობს. ერთი მარნის დირექტორისა, მაღლა, მეორე — დარაჯისა და ზერების მეველისა, დაბლა. დირექტორის საკუთარი „ვოლგა“ აქვს, როცა მოესურვება, ქალაქში მიდის და იქ იძინებს. დარაჯს ცოლიც აქ ჰყავს და შვილებიც — ორი ბიჭი.

რეზაზ ინანიშვილი
საუბრეოლო ფიზიკი

ბიჭები ჯერ პატარები არიან, ერთი შვილის ზღვბა, მეორე ექვისის. უფროსს პეტრე ჰქვია, უმცროსს პავლე. მაგრამ ერთსაც და მეორესაც მგლის ლეკვებს ეძახიან. დიდი მგლის ლეკვი და პატარა მგლის ლეკვი! არც დიდს და არც პატარას ეს ზედმეტი სახელი არ სწყინთ. საქმე ისაა, რომ მათ მამას, ლევანს, მგელი ჰქვია. მგელიცა კი არა, ან მგელუა, — პირდაპირ მგელი! ხასიათითაც მგელს გავს. მუხლმაგარი და შეუპოვარი. მიიღებს მომუჭულ ხელს ტუჩებიდან და ისე დაიყმევლებს, შიშის ზარი გაგივლის ტანში. ბევრი მგელი მოუტყუებია ამ ყმუილით და მოუკლავს. ერთი დიდი, ქეროჯაგარა, ბრწყალებგამეშებული ტყაი ახლაც პეტრეს და პავლეს საწოლის წინ უგდიათ. (ძმებს ერთად სძინავთ, თავშეკეცივით). ძალიან სასიამოვნოა ლოგინიდან ამ ტყავზე შიშველი ფეხებით გადმოსვლა.

მგლური ყმუილი პეტრემ და პავლემაც იციან. საღამოობით, კოლმეურნეები რომ სოფელში ბრუნდებიან, ჩასხდებიან სადმე ჩირგვებში და აუშვებენ ნელ-ნელა:

— უუუ!

ვინც არ იცის, რომ ამ მიდამოებში მგელი და მგლის ლეკვები ცხოვრობენ, შეშინებულები გარბიან. ვინც იცის, ეცინებათ. მოჰკრავენ თუ არა მათ ხმას ყურს, თვითონაც მგლურად გაეპასუხებიან.

— უუუ!

მაგრამ მათი ყმუილი ისე ჰგავს მგლის ყმუილს, როგორც ცხენი და რქებმოკაუჭებული ძროხა ერთმანეთს.

დედას გული უსკდება, — ემანდ, ვინმემ თოფი არ გესროლოთ, შვილო. მამაც ეტყვიტ ხოლმე, — ნუ სწყნავით წარამარა, საცა არა მგონიაო. მაგრამ პეტრე და პავლე თავისას არ იშლიან. ან კი სხვა რა უნდა აკეთონ! ტოლი და სწორი არავინა ჰყავთ. მთელ დღეს ან მარანში ატარებენ, მუშებთან, ან არა და აუშვებენ ყურებდაჭრილ დიდ ქოფაკს, ბოინას, აპყვებიან ვენახების

გზას, თუ ვინმეს ძაღლი ჰყავს შინიდან წამოყოლილი, გამოიტყუებენ, ხანაც მიუსევენ და ცოტა ხანში გამარჯვებულები წავლენ სხვა ძაღლების დასამარცხებლად. ან ბარდებში დაძვრებიან. ჩიტის ბუდეებს ეძებენ, ან არა და კოშკზე ავლენ, სხედან იქ ხშირბინდამდე, გადაჰყურებენ ქვეყანას და ნამდვილ მგლებს მოუხმობენ.

— უუუ! უუუ!

მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთი მგელი ვერ მოიტყუეს. ეგ კია, ხანდახან თვით ბოინა ველარ სცნობს მათ ხმას. ასტეხავს ღავლავსა და ხათქახუთქს, მერე მიხვდება თავის შეცდომას, შერცხვება, წავა, შეძვრება სათივეში და გარეთ აღარ იყურება. პეტრე და პავლე კი სხედან კოშკზე. ექუტუტებიან ერთმანეთს და იცინიან, იგუდებიან სიცილით.

II

ახლა იანვარია, მთელს კახეთში დიდი თოვლი დევს, ბავშვები ცას სწვდებიან სიხარულით: გუნდაობენ, ციგაობენ, ტყიდან მოფრენილ ფერად-ფერად ჩიტებს დასდევენ. მგლის ლეკვები კი დაღონებულები დადიან. თვითონ არ ამბობენ, მაგრამ ყველამ იცის მათი დაღონების მიზეზი. ძლივს ერთი მეგობარი გაიჩინეს და ისიც დაკარგეს, არ გაუფრთხილდნენ და დაკარგეს.

აი, კიდევ ვის შეეძლო მათსავით ზუსტად მგლური ყმუილი!

დეკემბრის ბოლოს, სანამ თოვლი მოვიდოდა, მარნის ღირეჭტორმა ცოლი და გოგონა — ექვი წლის ლი ჩამოიყვანა. მგლის ლეკვებს პირველად ასე ეგონათ, რომ გოგონას ჩვეულებრივი სახელი ლია ერქვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლია კი არა, ლი რქმეოდა, და თუ ვინმე ლიას დაუძახებდა, ძალიანაც სწყინდა.

ის მთლად მოულოდნელად გამოეცხადათ.

გაიღვიძეს ერთ დილას მგლის ლეკვებმა, ჩაიცვეს, გავიდნენ გარეთ და რას ხედავენ: მაღლა, რიკულებიან მთაჯირთან, დედოფალსავით ლამაზი გო-

გონა დგას. წითელი ფუმფულა ქუდი
ჰხურავს, ცისფერ ქურთუკზე წითელი
შარფის ბოლოები გადმოჰფენია, წითე-
ლივე რეიტუზი აცვია, წითელივე ჩექ-
მები. დგას მოაჯირთან და თითქმის წვი-
მას უშვერს სახესო, დახუტავს თვალებს
და გაახელს, დახუტავს და გაახელს.
ცხვირი სულ არ ეტყობა.

ვეება კასრებს ამოფარებულმა მგლის
ლექვებმა ნელა, სულ ნელა უყმუფე-
ლეს:

— უუუ!

გოგონა შეერთა, უკან დაიწია. მერე
თითქმის ყველაფერს მიხვდა, მოაჯირს
გადმოეყუდა, თვალები გაუბრწყინდა.
მგლის ლექვებმა კიდევ უყმუფლეს, ჯერ
დიდმა, მერე პატარამ. გოგონას თვა-
ლები კიდევ უფრო გაუბრწყინდა, მოა-
ჯირს მოსწყდა, კიბე ჩამოირბინა, თა-
მამად გაძვრა-გამოძვრა კასრებს შორის
და ახითხითებულ ბიჭებს წაადგა. ერთ-
საც მამის დიდი ქურთუკი ეცვა, მეო-
რესაც. წამოდგნენ. ხელებზე უფრო
გრძელი სახელოები ერთმანეთს მიუ-
ტყაბუნეს და მორჩილად თავდახრილე-
ბი გაუჩერდნენ წინ. გოგონამ შვევით
ამოიხუნთქა, გაედიმა და თქვა:

— აბა, კიდეც!

ბიჭებმა ქვემოდან ახედეს, ჩაიმუხ-
ლეს, თავები მაღლა ასწიეს და ნელ-ნე-
ლა აუშვეს:

— უუუ! უუუ!

გოგონა იცინოდა და ხან ერთ ფეხს
მოინაცვლებდა, ხან მეორეს.

— ლაპარაკი არ იცით?

ბიჭებმა უარის ნიშნად თავები გააქ-
ნიეს.

— აბა, მე როგორ გელაპარაკოთ?

— უუუ! — ამოიძახა დიდმა მგლის
ლექვმა.

— უუუ! — უბასუხა გოგონამ.

ბიჭები სახტად დარჩნენ. გაკვირვე-
ბული თვალებით გადახედეს ერთმა-
ნეთს.

— აბა, ერთხელაც!

გოგონამ ერთხელ კიდევ ამოიყმუფე-
ლა, ახლა უფრო კარგად, გაგრძელე-
ბულად.

ბიჭებს პირები ღია დარჩათ.

— ამას დახე, ე! აბა, ერთხელაც

გოგონამ ცალი ფეხით ჩაიმუხლა,

თავი მაღლა ასწია და გააბა:

— უუუუუუ!

ბიჭებმა ტაში შემოჰკრეს:

— აღექი!

გოგონამ ქურთუკის ჯიბიდან დიდი
მანდარინი ამოიღო და პეტრეს მისცა.
პეტრემ მანდარინი ჰაერში შეაგლო,
დაიჭირა, გადაფტქენა, ლებნები სამ
ტოლ ნაწილად გაყო, ერთი გოგონას
მისცა, ერთი პავლეს, ერთიც თვითონ
შეიგლო პირში.

გოგონამ თქვა:

— მე არ მინდა!

— ჭამე, ჭამე! — უთხრა პეტრემ.

— არა, რა! თქვენ გაიყავით.

— ჭამე. ჩვენც არ გვინდა.

მაშინ გოგონამ მანდარინის ლებნე-
ბი თვითონვე გაყო, ნახევარი პეტრეს
მისცა, ნახევარი პავლეს. იმათაც, მეტი
რა გზა ჰქონდათ, ადგნენ და გადაყლა-
პეს — თითო ლუკმად, თვალდაუხამხა-
მებლად.

ამ წუთიდან გოგონა ბიჭების დაქა-
ლი იყო. მათ ის თავიანთ სამფლობე-
ლოს დასათვალიერებლად წაიყვანეს.

III

ბიჭების სამფლობელოს კი კიდე-
განი არ უჩანდა.

ხევი და წყარო, ბალი და ბოსტანი,
კლდე და რიყე, ბუჩქნარი და ვერხე-
ნარი! დაშლივინობდნენ აღმა-დაღმა,
თან დაჰყავდათ გოგონაც. დაგორდე-
ბოდნენ ბალახიან ფერდობზე, კისკი-
სით მიგორავდა გოგონაც, გაძვრებოდ-
ნენ ბარდებში, მიძვრებოდა ისიც. იძე-
რინეს, იძვრინეს და გავიდნენ ძველ
ნაწიქვილართან, სადაც თურმე ღამ-
ლამობით ჰინკები იყრიდნენ თავს და
ლხინობდნენ.

გოგონას აქ კი შიში ჩაუდგა თვა-
ლებში.

რეპაზი ინანიშვილი

საქმადმილო წიგნიდან

იკითხა/
 ნაწილად
 ჩაფიქრებულად

— აი, ნახე, საცეკვაო ადგილი, სულ მოსუფთავებულია, — ფეხი შემოუსვა პეტრემ მაყვლებს შორის დარჩენილ მართლაც და ძალიან სუფთა ადგილს.

— თვითონ გინახავს? — იკითხა ლიმ.

— ჰინკები? მინახავს, მაშ!

— როგორები იყვნენ?

— მე რომ ვნახე, გაფხორილ ინდაურებს გვანდნენ, ოღონდ სახეები ჰქონდათ კუდიანი დედაკაცებისა.

— არ შეგეშინდა?

— არა. ჯიბეში შავტარა დანა მედო და არ შემეშინდა. როცა შავტარა დანა გიღვეს, ავი სულები ვერ მოგეკარებოდა.

— გოგონამ რიდით შეხედა პეტრეს და სთხოვა:

— წავიდეთ აქედან.

ნაწილად ჩაფიქრებული ნახსიან ფერდობში მოხვდნენ. აქ, დაღვლარქულ ჯაგრცხილების ძირში, ხავსსა და ხმელ ფოთლებში, მორცხვად ჩანაბულიყვნენ უკვე წითლად გამოკოკრილი ყოჩივარდები.

— ჯერ ხელს ნუ ვახლებთ, ერთ-ორ დღეში აყვავდებიან კიდეც და მერე დავერიფოთ. — თქვა პეტრემ.

ლიმ მაინც ჩაიჩოქა, ყოჩივარდებს მოეფერა და თავისი პაწაწინა თეთრი თითებით ხმელი ფოთლები შემოაცალა. ყოჩივარდებმა თითქოს მადლიერებით გაუღიმეს.

მერე ნახეს ტლაპოში ჩაფლული მძინარე ბაყაყი, რომელიც თურმე გაზაფხულამდე ასე უნდა იყოს, მკვდარივით. მერე ვერხვნარში გავიდნენ.

ეს ვერხვნარი უთუოდ საგანგებოდ დაეტოვებინათ სარწყავი არხის ნაპირას, ვენახებს შორის. იდგნენ უზარმაზარი ხეები და თითქოს კენწეროვით ეთათუნებოდნენ ნისლიან ცას.

ერთ ვეება ვერხეს დიდი, შავადგამომწვარი ფულურო ჰქონდა. სამივენი იმ ფულუროში შეძვრნენ და შეიყუყვნენ. ძალიან კარგი იყო აქ ჯდომა. არც წვიმისა უნდა გშინებოდა და არც ქარის. თუ ვერხეს ყურს მიაღებდი, რაღაც ზუზუნსაც გაიგონებდი.

— რატომ შვრება ასე? — იკითხა ლიმ.

ბებერია და თავისთვის ჩაფიქრებულად

— სიცილით თქვა პავლემ.

ლიმ ისევ მიაღო ყური.

— მლერის! — წამოიძახა მან.

— რასა მლერის?

— ზამთრის შესახვედრ სიმღერას.

ბიჭებს გაეცინათ. პეტრემ ქურთუკის ჯიბიდან ხმელი პური ამოიღო და სამად გადატეხა. ჰამდნენ იმ პურს მაღლიანად და თან ლაპარაკობდნენ.

— დედამიწა ბრუნავს. — ამბობდა ლი. — ჩვენ ამ ფულუროში ვსხედვართ და მივქრევართ! კარუსელივით!

— კარუსელი რა არის? — ჰკითხა პავლემ.

— კარუსელი არ იცით? აი, ასეთი, მრგვალი.

სწორეთ ამ დროს ბიჭების დედის ხმა მოისმა:

— პეტრე! პავლე! პეტრე-პავლეს გზას გაგიყენეთ ორივენი! სადა ხართ, ბიჭო! გოგო თქვენთან არის?!

მეტი რა გზა იყო. ფულუროდან გამოძვრნენ. ბიჭებმა ერთი კი ჩამოჰკრეს ხელი ლის გამურულ ქურთუკს, მერე უკან გადგნენ.

დაინახა დედამ, წამოვიდა გაჩქარებით, უფრო აუწია ხმას:

— ერთ დღეს! ერთ დღეს დამიწყებით ორივენი!

ჩაჰკიდა გოგონას ხელი, ირგვლივ შემოუარა.

— უი, უი! რატომ მიწა არ გაგისკდებო, შვილო, და არ ჩაგიტანთ ორივეს! — ლის კი მოეფერა, — წამოდი, გენაცვალე, მაგათ როგორ აჰყევი, მაგ მაწანწალებს.

და წაიყვანა.

დარჩნენ ბიჭები მარტონი. ჯერ ქალაში ჩავიდნენ და იქ იბორიალეს. მერე ბოსტანში ამოვიდნენ, კომბოსტოს ძირები დათალეს და ჰამეს, მერე, ძალიან რომ მოშვიდათ, შინაც შეიპარნენ. ხან ეზოში ტრიალებდნენ, ხან ფანჯრიდან იყურებოდნენ, მაგრამ ლი ვეღარ დაინახეს.

მხოლოდ სადამო ხანს, კოშკზე რომ
აიღნენ და იქიდან გაჰყვებოდნენ ნღვ-
ლიანად, — უუუ! — მათ ყმუილს მა-
ლ აჰყვა კიდევ ერთი ხმა — უფრო
მკალი, უფრო სუფთა, დახვეწილი,
და ამ ხმაზე თითქოს თბილმა, დამამშ-
ვილებელმა ღიმღიმამ გადაუარა ქვეყა-
ნას.

IV

იმ ღამეს კი თოვლი მოვიდა. მგლის
ლეკების სიხარულს საზღვარი აღარ
ჰქონდა. დიდი ქურთუკები ხომ წინა
დღესვე ეცვათ, დიდი ჩექმებიც ჩაიც-
ვეს და ეზოში გაცვივდნენ. დარბოდ-
ნენ, აბუქებდნენ ფაფუკ თოვლს, სა-
ხეს უშვერდნენ ციდან ტაბათ ჩამო-
მავალ ფიფქებს. თან თვალი სულ მალ-
ლა, რიკულებიანი აივნისაკენ გაურ-
ბოდათ.

ცოტა ხანში იქაც გაიღო კარი. ლი
გამოჩნდა, წითლად გამოანათა. დედა
ყელზე შარფს ახვევდა და ძლივს იკა-
ვებდა. ლი ფეხებს აბაქუნებდა, რალა-
ცას ამბობდა. გამოსხლტა, გრიალ-
გრიალით ჩამოირბინა კიბე და თავისი
მაშაზე ჩექმებით თოვლში შემოვარ-
და. ბიჭები ხელებგაშლილი შეეგებ-
ნენ. ლი უცებ დაიხარა, თოვლს თათ-
მანიანი ორივე ხელი ამოჰკრა, ბიჭებს
გადააყარა და დაიძახა:

— ასე თეთრად დამიბერდით!
ბიჭები გახარებული ძაღლებივით გა-
გორდნენ თოვლში. მერე ლის ხელები
ჩაჰიდეს, დატრიალდნენ. სამივენი ერთ-
თად უშვერდნენ სახეს ფიფქებს, წი-
თელ პატარა ენებს. თუ რომელიმე
ფიფქი ენაზე დაეცემოდათ, ტანში სა-
სიამოვნო ჟრუანტელი უვლიდათ.

უცებ ლიმ წამოიძახა:
— ჩვენი ყოჩივარდები? რა მოუვათ
ჩვენს ყოჩივარდებს?

— წავიდეთ, ვნახოთ. — რალაც
ხმისდაწევით თქვა პავლემ.

მიმოიხედეს, ნახეს, რომ არავინ
უყურებდათ და ფრთხილად გავიდნენ
ეზოდან.

უპ, რა ღამაში იყო თეთრად და-

ბარდნული ქვეყანა! რა სასიამოვნოდ
ჩადიოდა პაერი ფილტვებში!

მიდიოდნენ არხის ნაპირ-ნაპირ. წყა-
ლი არხში თითქოს გაშავებულიყო,
გასქელებულიყო. ეცემოდნენ თეთრი
ფიფქები და ქრებოდნენ.

ლიმ თქვა:

— შეხედეთ, წყალი ათას თვალს
ახამხამებს ერთად.

დააკვირდნენ ბიჭები, იმათაც დაინა-
ხეს ეს და გაოცებულები დარჩნენ, ეს
რამე იცის ამ ლიმო.

წრიპინით, ჯიჯლინით გადაიფრინა
ჩხარტების გუნდმა, თითქოსდა შეწუ-
ხებული კუთავდა მაყვლიანში შაშვი,
წამოედებოდნენ რომელიმე ხეს და
თქრიალით ჩამოშვავდებოდა ტოტეი-
დან თოვლი.

უცებ ლიმ დაიძახა:

— მოიცათ, შეჩერდით!

წინ წადგა, თავი გვერდზე გადასწია
და ისე უყურებდა რალაცას.

— თეთრობოხიანი ჭუჭები!

ბიჭები გაუგებრობის ღიმღიმით იყუ-
რებოდნენ აქეთ-იქით.

— ვერა ხედავთ, წყლის პირას!

ახლა კი მიხვდნენ, რაზეც ამბობდა
ლი.

წყლის პირას, უფრო წყალში, ორი
მტკაველის სიმაღლეზე გადაკაფული
ყვითელი ტირიფები იყო ჩამწყრივებუ-
ლი. ნაკაფ ბორჯღლებზე თოვლი ბოხო-
ხებივით დასდებოდათ და მართლაც
ჭუჭებს გავდნენ, წყალში ჩამტერებულ
ჭუჭებს. ლი გაიქცა. ფრთხილად ასწია
ფეხი, ფრთხილადვე დაადგა ერთ ბო-
ხოხს, ჩასკრა, ჩასჰყლიტა სიცილით.
მერე მეორეზე გადაინაცვლა, მეორე-
დან მესამეზე.

და აი, აქ, უცებ... არა, უცებ არა.
აქაც ფრთხილად, ღიმღიმით ასწია ფე-
ხი, ფრთხილადვე დაადგა ერთ ტირიფს
ბოხოხზე; ფეხი თავისუფლად, ძალიან
თავისუფლად წავიდა ქვემოთ, წინ
არავითარი დაბრკოლება არ შეხედა,

რეზაზ ინანიშვილი
საქართველოს ჟიჟინი

ფეხს თვითონაც მიჰყვა და დაყვირებაც ვერ მოასწრო, მიშველეთო და — დგლუმდ! — შიგ წყალში.

წყალი ღიღი არ იყო, ბიჭები ეცნენ და სწრაფად ამოიყვანეს, მაგრამ ლი მაინც დაოსებულებით სუნთქავდა, ფეხებიდან ღვარი გასლიოდა. შინ რომ ასე მიეყვანათ, ხომ დახოცავდნენ დედა და მამა.

— ჩქარა! ჩვენს ვერხვთან, ჩქარა! მიირბინეს იმ გამოფულურობებულ ვერხვთან. მშრალ, უთოვლო ადგილზე გადავიდნენ. პეტრემ ქურთუკი გაიხადა, გაიხადა ჩექმებიც, მატყლის წინდებიც. მერე ჩექმები შიშველ ფეხზე ჩაიცვა, პავლესაც გახადა ქურთუკი.

— ჩვენ მივბრუნდებით და შენ გაიხადე. — ეუბნება პეტრე შეშინებულ, აკანკალებულ ლის. — ერთ წუთში გავიშრობთ ყველაფერს. მანამდე ეს ქურთუკები და წინდები ჩაიცვი. ერთი ჩაიცვი, მეორე მუხლებზე მოიხვიე და ფულუროში შეეჭეპი. ჩვენ შემას მოვიტანთ.

ლი ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდა ბიჭებს. როცა ისინი ვენახის ღობესთან მიცვიდნენ და წნულების მტვრევას შეუღდნენ, სწრაფად გაიხადა, პეტრეს ქურთუკი და წინდები ჩაიცვა, ფულუროში შეძვრა, პავლეს ქურთუკი მუხლებზე შემოიხვია და ჩაყუჩდა.

ბიჭები რომ დაბრუნდნენ, ის უკვე ჩამთბარი იყო. დაბუა ბარტყივით იყურებოდა ფულუროდან. ბიჭებმა შეხედეს, მოეწონათ და გაეცინათ:

— ჩვენ ახლავე!

წნელები დაამტვრიეს, ერთმანეთზე შეაკოკოლეს, მშრალი ბალახი დაგლიჯეს, წნელებს ქვემოდან ამოუდეს და ასანთს გაჰკრეს. გოგონას გული ეწურებოდა, ვაი თუ ცეცხლი ვერ მოუკიდონო, მაგრამ მოუკიდეს. ალი ბურბურით ავარდა მალა, მერე ცოტა დაიწია, მერე წნელებმაც ტაყატაჟი ატეხეს.

ბიჭებმა ლის ტანსაცმლის გაწურვა დაიწყეს. ერთი იქით გადგა, მეორე

აქეთ. გადაგრიხეს რეიტუზი, გადაგრიხეს, უკანასკნელი წვეთებამდე დაღვრთხეს. მერე სვიტერიც ასვეს (თუმცა სვიტერი მხოლოდ ნახევარად იყო სველი), მერე პატარა ვარდისფერი პერანგიც, მერე გრძელყელიანი წინდებიც, ჩექმებიდანაც წამოღვარეს წყალი. ცეცხლის ირგვლივ ჯოხები და ასვეს, ზოგი რამ ზედ გადაჰკიდეს, ზოგსაც თვითონ, ხელით უფიცებდნენ.

ადიოდა ალი — კლავნით, მხიარული ტარციალით. ავარდა ორთქლიც დაშვინდნენ, დაშოშმინდნენ. ლი თითქოს კმაყოფილიც კი იყო.

მაგრამ წნელები მალე ჩაიწვა, ტანსაცმელი კი ჯერ ისევ სველი იყო.

— წადი, გაიქეცი, კიდევ მოიტანე! — უბრძანა პეტრემ პავლეს.

პავლეც გაიქცა, წნელებს ლაწალუწი აუყენა.

და სად იყო, სად არა, გამოვარდა თოვლის ფიფქების ბურუსიდან ვიღაც ვეება კაცი ყვირილით:

— დამიდექ! მანდ დამიდექი!

დაყარა პავლემ წნელები და გამოიქცა. მაგრამ კაცმა თავი არ დაანება, მოჰყვა:

— სად წამიხვალ! სად წამიხვალ, შე მგლის ლეკვო!

სიტყვა პეტრემ ლის ხელი, გადმოიყვანა ფულუროდან.

— შემაჯექი ზურგზე, შემაჯექი! — ყვიროდა შეშინებული.

მაგრამ ლი არ შეაჯდა. წამოუსვა ხელი თავის სველ ტანსაცმელს, პეტრემაც წამოკრიფა ლის ჩექმები და პავლეს ქურთუკი, და გამოიქცნენ.

მორბოდა გოგონა მატყლის წინდების ამარა, შიშველ კანზეზე ეყრებოდა თოვლი, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა. მშვიდობიანად მიირბინეს შინ, კაცმა ვერც ერთი ვერ დაიჭირა: ვერც ლი, ვერც პეტრე და ვერც პავლე.

V

შინ კი — სცემეს მგლის ლეკვებს და მაინც ვერ მოისვენეს. სულ ქამრით აუჭრელეს, აუღლიავეს კანი და მაინც

ვერ მოისვენებს. საითაც არ უნდა მიბრუნებულიყვნენ. დედის წყევლა ესმოდათ.

მოხედრით ლისაც მოხვდა, ოღონდ იმას მარტო დედის გაშლილი ხელი, თანაც მხოლოდ წელსქვემოთ. ჩასვეს დიდ ტაშტში, დაასხეს თბილი წყალი, გააბანეს, მერე ლოგინში ჩააწვინეს, სალამოს სიცხე მისცა, დილით კი (პეტრეს და პავლეს ჯერ ისევ ეძინათ) ქალაქში წაიყვანეს.

იმ დღეს აღარ თოვდა, გამოიდარა, პეტრე და პავლე გარეთ არ გამოსულან. სალამოს მოყინა. დილით გუბეებს სპეტაკი ყინული ჰქონდა გადაკრული. წავიდეთ, ჩვენი ყოჩივარდები ვნახოთო, წავიდნენ. ნახეს. ყოჩივარდები მობუზულიყვნენ, მიწისკენ დახრილიყვნენ, წითლადპირგახსნილი კოკრები შავად შეჰკუმშოდათ. ფოთლები გადაეყარათ და დასთბებათო, — გადაეყარეს და ფუფულოდან ვერხვთან ამოვიდნენ. თითქოსდა ვერხვსაც მოეწყინა. ნაცეცხლართან ლის ქურთუკის ცისფერი ღილი ეგდო, პეტრემ აიღო, ერთ ხანს ხელში ატრიალა, მერე ჯიბეში შეინახა.

მარნის გვერდზე არყის სახდელი აეშუშაებინათ. იქ შევიდნენ. ქურასთან ჩაცუცქდნენ და აწითლებული ხელები ცეცხლს მიუშვარეს. არყის

მხედლებს მწვადი შეეწვათ, თითო დიდი ნაჭერი მიაწოდეს, თავისი პუტა-პირით. შეჰამეს ის მწვადი და შინ დაბრუნდნენ. შინაც ჰამეს საჭმელი, ლობიო და კომბოსტოს მწნილი, მერე ფეხები ტახტზე აიკრიფეს. პეტრემ ლის ქურთუკის ცისფერი ღილი ამოიღო და ფარდაზე გააგორა.

ასე, შუბლგაუხსნელად დაალამეს ის დღეც.

ლამით მგელმა უთხრა ცოლს:

— კარგი, ნულარ სწყევლი, ცოდონი არიან ყმაწვილებიო.

— ვწყევლი კი არა, დავხოცავო!

მგელმა ხმა აღარ გასცა.

მეორე დღეს კი, შებინდებისას, კოშკის თავიდან მგლის ლეკვების სევდიანი ყმუილი მოესმა. მგელი ქვემოთ იყო, ხილნარში, სანიერეს ბარვას ათავებდა. ბარი მიწაში ჩატოვა, ტუჩებზე მომუჭული ხელი მიიღო და ბებერი მგლის ხმით შეეპასუხა, მაგრამ მგლის ლეკვები აღრინდებურად მხიარულად არ გამოპასუხებია. დაჩუმდნენ და ხმა აღარ ამოუღიათ სულაც.

„დახოცა ყმაწვილები ამ უღმერთომო“, — გაიფიქრა მგელმა თავის ცოლზე, ბარი ამოიღო, ჩექმის ქუსლით ჩაფხიკა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა შინ.

ჩვენი გავეშვობის ჯოჯოხი

როდესაც ჩვენ, დიდებს, ხანდახან გვიკვირს, ან ავადმყოფობა გვაწუხებს, ანდა საზოგადოებაში ჩვენი მდგომარეობა, მაშინ გონების სიღრმეებში გაფაციცებით დავეძებთ ბედნიერ წუთებს, რომლებშიც უნდა დაგვიდასტუროს, რომ ცხოვრება ბრძოლად ღირს. და წარმოიდგინეთ, ასეთი წუთები უმთავრესად ჩვენს ბავშვობაში იყრის ხოლმე თავს.

რასაც თქვენ ქვემოთ წაიკითხავთ, და რასაც ზოგიერთები მოთხრობასაც დაარქმევენ, ნაყოფია სწორედ ასეთი ძიებნისა.

ბედნიერები ჩვენც ვიყავით, ჩემი წრის, ჩემი თაობის ბავშვები, ზოლო ჩვენ რით, ამან შეიძლება გაგაოცოთ კიდევ. მაგრამ რას ვიზამთ, ასეა. — ყველა დროს თავისი საოცრებები აქვს მომდევნო დროთა თვალსაზრისით.

ჩემი ბავშვობის ღარიბი ეზოები ოცდაათიანი წლების სოფელში ჩარჩა: დაგვილი, დამარმარებული მიწა, გრი-

ლი ქორვა ბალახი, რცხილის წნელებით შემოწნული თონე, მიწური გომურის ჩაშავებული სანათურები და მათ

მალა ერთიანი მაღალი ცა. არც ყო-
რე, არც გალავანი, არც მესერი! ძეძვის
ლობეებიც კი ქვემოთ, ეზოების ბო-
ლოს — ბოსტნეული რომ არ გაეფუ-
ჭებინა ფრინველსა და საქონელს. თუ
სადმე მიჯნა იყო, — მიწიდან ოდნავ
ამოჩენილი თავწოწოლა ქვა, — იმასაც
მხოლოდ რაღაცით დაბოლმელი ხნიერი
ხალხისთვის ჰქონდა მნიშვნელობა.
ჩვენ, პატარებს, ყველა ეზო სახალხო
და საღალღობო ადგილად მიგვაჩნდა.

ძველ ეზოებში მშვიდი ხმები იდგა.
ეს იყო: მერცხლების ჟღერტული, ბავ-
შეების ჟიჟივი და საღამოობით შინ-
მობრუნებული საქონლის ნაღვლიანი
ბღაჟილი. ეზოს თავში წახუმრებულე-
ბი ეზოს ბოლოში ჩავდოდით გორვა-
გორვით. აქაც, დიდი-დიდი, ხბო შემკრ-
თალიყო, ანდა ქათამი გამტარიყო გან-
ზე. უფროსები ზედაც არ გვიყურებდ-
ნენ, არც უფროსები, არც ძაღლები.

დიდ პატივად ითვლებოდა, თუ კი
ყველიერში ამა თუ იმ ეზოს საქან-
ლისთვის ამოირჩევდა უბანი. დააყე-
ნებდნენ ცაში ასულ უზარმაზარ სამ-
ფეხებს, გადაადებდნენ თავხეს, ჩამოა-
ბამდნენ კოხტადგათლილ ხელნებიან
საქანელას და მთელი ორი კვირა ის
ეზო სოფლის საკრებულო იყო. ქანა-
ობდნენ საქანელაზე კისკისით, შეკივ-
ლებებით და შეძახილებით: „ვინ გინ-
და?!“ „ცხვარიიანთ ქალი“. „შენა, გო-
გო?!“ „მე ყურში გეტყვი“. „შეგაბე-
როთ!“ და აღი-ჩამოდოდა ცის კი-
დურზე პირისპირ მდგარი გოგოსა და
ბიჭის მშვენიერი ლანდი. უკრავდნენ
დაირას, ზოგან დოღ-გარმონსაც, ცეკ-
ვავდნენ გრძელკაბიანი ტანწვრილი
გოგოები, მღეროდნენ საჭიდაოს, ქი-
დაობდნენ ღონედაუოკებელი ჯეილე-
ბი, და იმ ორ კვირაში ისე გაიკვერე-

ბოდა ეზო, ერბო რომ დაგვფორდათ.
ხელით აპკრეფავდით.

მაშინ მიწაც სულ სხვანაირი იყო —
სუფთა, სუფთა, ალერსიანი. ვილა შე-
ესწრება ქორთა ბალახში ისე თავისუ-
ფლად გორვას და ტანტალს. არც შუ-
შის ნამსჭრევეები, არც რკინები, არც
ხრეში! ვთხრიდით, შიგ ვისხვდით,
ხელ-ფეხი სულ შიგ გვჭონდა. თუ
სადმე ხილი იდგა ამ ეზოებში, ისიც
თითქმის საერთო იყო: თუთა და ქე-
რამი, ბალი და ალუბალი. ვინ კითხუ-
ლობდა, ვინ ადიოდა და ვინ ჩამო-
დიოდა. ხილის გაყიდვა ყველას ეთა-
კილებოდა.

ზაფხულის მიწურულს ეზოებში
გაპფენდნენ წისქვილში წასაღებ ხორ-
ბალს, ბევრ-ბევრს, რამდენიმე საცა-
ლოს ერთად. უდიდესი ნეტარება იყო
შიშველი ფეხებით ამ ხორბალზე გა-
დავლა. აქ კი გაწყურებოდნენ დიდები,
მაგრამ ამ წყრომის კილო ბევრად
გვერჩია ზოგიერთების ლოცვას. კიდევ
უფრო უკეთესი იყო სიმინდის რჩევა.
განსაკუთრებით ღამით. მოდიოდნენ
მეზობლები მოსახმარებლად. ენთო
დიდი ცეცხლი. იწვებოდა ჭყინტი ტა-
როები, იდგა საამო სუნი, სიცოცხლის-
კისი. ციდან კი დაგვეყურებდა დიდი,
კეთილი მთვარი.

ზამთრობით მოვიდოდა თოვლი. სულ
გადაათეთრებდა, გადალესავდა იმ ეზო-
ებს. გამოითანდნენ ხის ნიჩბებს და არ-
ნადებს ფარაჯიანი კაცები, გაჰყავლავდ-
ნენ გზას. გაგრძელებოდა თოვა, ათ
დღეს, ორ კვირას, ჰყავლავდნენ კაცები
ისევ და ისევ, და ბოლოს ჩვენზე უფ-
რო მაღალ თეთრ ლაბირინთებში გვიხ-
დებოდა სიარული. მოდიოდა დილა-სა-
ღამოს წყალზე გამოირეკილი საქონლის
მწყრივი, წყნარად, თავების ქნევით, და

მოაოროტქლებდნენ თბილად, სასიამოვნოდ. უბერავდა ქარი და მალლიდან ბლუჯა-ბლუჯა გადმოჰქონდა შუშის ნამსხვრევებივით წქარუნა თოვლი. სოფელს თავს დაჰტრენდა შიმშილით შეწუხებული ტყის ჩიტების გუნდი, გამართული გვექონდა კაკანათები, მახეები. სკოლისთვის კი ხმამალა ვიმეორებდით რალაციით ძარღვების გამთბობ ლექსს:

ზამთარია, უბერავს,
სიცივით ვიბუზებით,
თუ გავიღებ კარებსა,
თქვენთან შემოვფრინდებით.
და თუ არა, ბავშვებო,
მით მაინც გავვახარეთ,
გამოაღეთ ფანჯარა,
საქენკო დაგვიყარეთ.

გაზაფხულზე გავიფინებოდით მყუდროებაში დიდებიცა და პატარებიც. პატარები ვთამაშობდით ქერიჭამიობას, ოთურმას, ლახტს. დიდები ისხდნენ და ხან ჩვენ გვიყურებდნენ, ხან ნეტარებით ულულავდნენ თვალებს მზეს.

გაახურებდნენ თონეს, ჩააკრავდნენ ლავაშებს და პირველ ამოხდილს დაგვინაწილებდნენ ჩვენ, პატარებს და ძაღლებს. არა, ჯერ ძაღლებს, მერე ჩვენ.

ლარიბი, ძალიან ლარიბი იყო ჩემი ბავშვობის ეზოები, მაგრამ რამდენიმე რამე მაინც ჰქონდა გულუხვად: სუფთა, შემოუღობავი მიწა, გრილი, ქორფა ბალახი, ალერსიანი მყუდროები და, რაც მთავარია, ადამიანთა დაუხარბებელი თვალების ღიმბილი.



მეხვი მაღლაჩი

მეამბოხენი

ისტორიული მოთხრობა

2

ჩრდილმა აქლემებიც დაიტია, ცხენებიც და ადამიანებიც. მუსლიმანებმა სუფრა იმ ადგილას გაშალეს, სადაც მიწიდან წყალი მოჩუხჩუხებდა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ მიწაში იკარგებოდა, ქართველებმა კი მწვანე მოლი დაისაკუთრეს, რომლის ბუნებრივი სიხალისე ყველა ხალხის მკსოველს შეშურდებოდა. ამილახვრის მხლებლებს შანშე ერისთავის ცოლ-შვილი, რძალი და ძმისწულები შეუერთდნენ. ადამიანების ფუსფუსმა, ცხოველების ქშენამ და ქურქლის, ეფენებისა და რკინის ქლარუნმა ჯგუფად დარგული ხეები მართლაც თავშესაფარს დაამსგავსა — მწვანე ჰერით გადახურულ, სულის დამაშოშმინებელ ღვთის კარავს, სადაც ფარდაზე მუხლმოყრილი მუსლიმანები ისევე გულშეურვალედ ლოცულობდნენ, როგორც კათედრალურ მეჩეთში.

თავისიანებთან პურის ჭამა მხოლოდ ორმა კაცმა არ ისურვა — გივი ამილახვარმა და შანშე ერისთავმა. სუფრა მათ ცალკე გააშლევინეს, სკამებად უნაგირები გამოიყენეს და ერთმანე-

თის პირისპირ დასხდნენ. სუფრას ხილი და მწვანილი აკლდა, მაგრამ ამილახვარს გვერდით ღვინით სავსე ტიკი ედო და ისე ეფერებოდა, როგორც ახალშობილ ხბოს. მხოლოდ ღვინოს შეეძლო უგუნებობის გაფანტვა, ქვეყნის შეფერადება, იმ მანძილის შემცირება, რომელიც მათ ერთმანეთისაგან და სხვებისგან თიშავდა.

სანამ სუფრას აწყობდნენ, ხმა არც ამილახვარს ამოუღია და არც ერისთავს, მაგრამ როცა მარტო დარჩნენ, ღმერთი ახსენეს, პირჯვარი გადაიწერეს და პური გატეხეს. იმ ადგილიდან, სადაც მუსლიმანები ისხდნენ, ყელში დანაგავრილი ცხვრის ბლავილი მოისმა. შანშე ერისთავი ადრინდელად ზვიადი და მიუკარებელი ჩანდა, მაგრამ შიგნით რაღაც მორღვეოდა, დასკვნობოდა. ორი ბნელი ორმო ქვეყანას უჩინარს, უსაგურს ხდიდა. ამილახვარმა ტიკს პირი მოხსნა, ჯამები გაავსო, ერთი ერისთავს მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო ხელში და ავბედითობას შეჩვეული კაცის უდარდელობით სთქვა:

— მასპინძლობა დღეს მე მეკუთვნის, შანშე-ბატონო. ეტყობა. ჩვენი შე-

დასასრული, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8.

ხედრა წინასწარ ჰქონდა ვილას ნა-
ვარაუდები, იცოდა, რომ თვალდათხ-
რილი და თვალდასათხრელი უხმოდ
არ ჩაუვლიდნენ ერთმანეთს გვერდით,
თორემ ყველაფერი რომ შემთხვევი-
თობას დავაბრალოთ, მაშინ დაბადების
დღიდან ყყოფილვართ ნაავხორცალი
და ნაცოდვილარნი.

— ეს ქვეყნის ნათრევი ქვეყანა შენ-
თვის ყოველთვის უფრო იყო სახლი,
ვიღრე ჩემთვის, გივი-ბატონო.

— ამ მოუწყობელ სახლში სასიკე-
თო არაფერი ხდება, მაგრამ ღვინო
ჯერ არ გამოლეულა.

— სადაურია?

— ატენური.

— გზაში გაილახებოდა.

— საზრუნავს ჩვენ რა გამოგვილევს,
შანშე-ბატონო, მაგრამ გალახული ქვე-
ყნის შვილს გალახული ღვინოც მოი-
ყვანს ხასიათზე. ღვინის სმა და თვალე-
ბის დათხრა კაცობრიობამ თითქმის
ერთდროულად დაიწყო.

შანშე ერისთავმა გაღიმება სცადა.
მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სქელი
წვერი მის დამძიმებულ, მკაცრნაოქე-
ზიან სახეს კიდევ უფრო ამძიმებდა. ამ
სიმძიმის მიღმა მარტო წარსული კი
არ იმალებოდა, არამედ რაღაც ისე-
თიც, რის დაჯერება გარედან მაცქე-
რალს უჭირდა. ძნელი იყო სიბრძნისა
და სიშშავის მორიგება, იმის დანახ-
ვა, რომ ეს ხეიბარი კაცი ოდესღაც
მართლაც ჩვილი ბალღი და უმწეო
არსება იყო.

ამილახვარმა თავი მოაბრუნა და
მზის ქვეშ გართხმულ ქვეყანას გაჩე-
და. ორი ქედდახერგილი ბორცვი ისე
ხშირად კვეთდა ერთმანეთს, რომ შო-
რიდან მსხვილად დაგრებილ ბავარს
გავდა.

— ეს მწვანე კუნძული რომ ვილა-
ცას მსხვილი თოკით არ დაება, ტივ-
ტივს დაეიწყებდით და უღაბნოს ველა-
რასოდეს დავაღწევდით თავს, — სთქვა
ამილახვარმა და თვლები ისე მოკუ-
ტა, თითქოს გახურებული მზე ხეებს
შორისაც შემოიჭრა.

— ჩვენ უკვე კარგა ხანია ვტივტი-
ვებთ, გივი-ბატონო.

— ტივტივს როგორმე გავუძლებთ,
მაგრამ ნავი თუ გადაბრუნდა, შორი-
დან დაძრული, გახურებული ტალღე-
ბი ჩვენს ნაგვემ სხეულს ირგვლივ შე-
მოერთყმება, სითხეს გამოსწოვს, გა-
მოაშრობს და მანამდე არ მოეშვება,
სანამ არ დაანახშირებს.

— ერთხელ მე ეს უკვე გამოვცადე,
მას შემდეგ მზეც კი შავი ფერისაა.

— შავი მზე, ალბათ, თეთრზე უფრო
მეტუნვარეა. კიდევ კარგი, დაბმული
ვართ, თორემ ვერც ღვინოს დავლე-
დით და ვერც ორიოდ სიტყვას ვე-
ტყოდით ერთმანეთს.

შანშეს თავი არ აუღია, გვერდზე არ
გაუხედავს. ქვეყანას მისთვის სიგრძე,
სიგანე და სიმაღლე აკლდა, ყველა
ფერს ერთი თალზი ფერი ჩრდილავ-
და და ადებებდა.

— რა უფრო გესიამოვნება, შანშე-
ბატონო, ხზოს ხორცი თუ გულის ყვე-
ლი?

— ეშმაკი თუ მართლა დაბორია-
ლობს ამქვეყნად სადმე, ჩვენი შეხედ-
ვარე სიცილით უნდა კვდებოდეს. —
სთქვა ერისთავმა ისეთი გამომეტყვე-
ლებით, თითქოს რაღაც დათმო, სამუ-
დამოდ ამოირეცხა გულიდან.

— ეს ცხოვრება რომ უკბილო ხუმ-
რობა და უთავებოლოდ წაღმა-უკუღმა
ტრიალია, ამას ეშმაკის სიცილზე უფ-
რო ჩვენი შეხედვრა ადასტურებს,
შანშე-ბატონო, მაგრამ მე მაინც მიხა-
რია, ცოცხალს რომ გხედავ, თავი რომ
მხრებზე გაბია. ჩვენს უბედურ თავს
დაბადების დღიდან იმდენი მახვილი
ემუჭრება, რომ აღარც კი იცი რო-
მელს მოერიდო. აწი, თუ ქვეყანა არ
დაიქცა, ქერსა და საწოლს აღარავინ
შეგვიცლებს, შენი თავის ბრალმდებ-
ელიც და დამცველიც შენვე იქნები.
იცოცხლე, ღმერთმა ხელი მოგიმარ-

აივნი მალულარიბა
მეამაჩიხენი

თოს და მშვიდობიანად ჩაგიყვანოს საქართველოში.

— საქართველოდან ორი მახვილი თვალი წამოვიღე, უკან კი ორი ბნელი ორმო მიმაქვს. ამ თვალების დათხრაში შენც მიგიძღვის ბრალი, გივი-ბატონო, მაგრამ ბედმა მაინც აგარიდოს ის მძიმე ხვედრი, რაც მე მარგუნა წილად.

შანშე ერისთავმა ჯამი ისე მიიტანა პირთან, თითქოს ბალზამით იყო საფხე და როცა დასცალა, დასახიჩრებული სახის ერთი მკაცრი ნაოჭი შეურბილდა.

— რამდენი ხანია ღვინო არ დამილევია, ღვინო კი არა, პურიც არ მიჭამია ხეირიანად. თვალების დათხრას ისე არ გავუწამებოვარ, როგორც უმწეობამ, ხეიბრობამ გამაწვალა. არ მინდოდა სიკვდილი იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი სისხლის სუნითაა გაქლენილი, სადაც ჩემისთანა გადამთიელის საფლავს მიწასთან ასწორებენ. შეიძლება მცირედი სიხარული მე კიდევ მელის ამქვეყნად, თუ ვერ დავინახავ, ფეხს მაინც დავადგამ მშობლიურ მიწას, მაგრამ რა ვუთხარი ისეთ ღროს, როცა ყოველი მისწრაფება შეცდომაა და ყოველი კაცური საქმე დანაშაული, — სთქვა შანშე ერისთავმა და პურისა და ყველის ნაჭერს ისე ადვილად მიაგნო, თითქოს სიბრმავეს მისთვის ხედვის უნარი არ წაურთმევია.

— ეს ქვეყანა თუ აბუჩად არ აივდეს, იმ ორიოდ სასიამოვნო წუთსაც წაგამწარებს, რომელიც დიდი ვაივავლაბით უნდა დასტყუო. ეტყობა, მართლები იყვნენ ჩვენი წინაპრები, როცა ამბობდნენ, ცხოვრება იმისთვის კი არაა შექმნილი, რომ გეფეროს და თავზე ხელი გისვას, არამედ გაცდუნოს და ან საკულთარი თავის გმობამდე მიგიყვანოს, ანდა დანაშაულამდეო.

— როცა ჯაჭვით დაგაბამენ და თვალებთან გავარვარებულ ფირფიტებს მოგიტანენ, ქვეყანა ქრება, ქრება ყველაფერი, რისი აბუჩად ავდებაც შე-

იძლება და მზად ხარ დასაქვად ხალხით იბღალო. სიკვდილის დასაქვად ხალხის წინ ცხოვრება იცვლება, სულ სხვაგვარ სახეს ღებულობს.

თვალდათხრილი ერისთავი მის წინ იჯდა, ღვინოს სვამდა, ლაპარაკობდა, მაგრამ წამება და ადამიანი ერთად ვერ თავსდებოდა, ასეთ შესისხლბორცებას ცოცხალი აზრი და ღღის სინათლე ვერ გულობდა.

— მე, როგორც ვხედავ, ცხოვრების სახის ცვლა კაცს ჭამის მადას და ღვინოს სმის სურვილს არ უკარგავს, — სთქვა ამილახვარმა უფრო შთაბეჭდილების შესამსუბუქებლად, ვიდრე ჯერ კიდევ გაუზუნარი ტყვილის გასადიზიანებლად.

შანშე ერისთავს გაეღიმა, მაგრამ მის ღიმილში იყო რაღაც დაუძლეველი, ღიმილის უარმყოფელი.

— ეს, ალბათ იმიტომ, რომ ბრმას თვალით გადმომა არ შეუძლია.

— გაუმაძღრობა მარტო თვალის თვისება როდია.

— წარმოდგენით შექმნილ ფასეულობას ფასი არა აქვს, გივი-ბატონო.

ღვინომ, ჩრდილთა სიმკვეთრემ და წყლის სიახლოვემ ქვეყანა გადაასხვან, ღროს რაღაც ისეთი შესძინა, რაც მანამდე არ გუხუბოდა, არ ერწყმოდა. გივი ამილახვარი შანშე ერისთავის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, ცდილობდა დაენახა, რა კვალი დასტოვა მის სულში ტყვილმა, უმწეობამ, ქვეყნის გაუჩინარებამ, რისთვის ბრუნდებოდა საქართველოში — სასიკვდილოდ, წამებულის როლის სათამაშოდ თუ დაკარგულის ასანაზღაურებლად.

შანშე ერისთავმა ამილახვარს ჯამი ჩამოართვა და ბრმა თვალებით სივრცე მოქაჩა, მოთოკა.

— შენს სახეზე მე ახლა არაფრის ამოკითხვა არ შემიძლია, გივი-ბატონო, მაგრამ ზოგ რამეს თვალით დანახვა არც სჭირდება. სიბრმავე ხეიბრობა უფროა, ვიდრე სიბეცე. ის, რაც შენ გაინტერესებს, მე თითქმის მოვინელებ

— წამებასაც გავუძელო, მარტობა-
საც და სინდისის ქენჯნასაც, მაგრამ იმ
საბედისწერო დღიდან დამწვარი ხორ-
ცის სუნის და გამჭრალი სივრცის მშუ-
შენის ზმა სამყაროს თვისებაც გახდა.

ამილახვარმა ღვინის ძალა იგრძნო
და ისე მოავლო თვალი ქვეყანას, თით-
ქოს მასთან ერთად თვრებოდა მიწაც,
ცაც და მწვანე ფერიც. იცვლებოდა
არა მარტო ხილული ნიშნები, არამედ
ღვთის ხელწერაც.

— ჩემთვის ჯერ თვალეები არ დაუ-
თხრიათ, შანშე-ბატონო, მაგრამ სამ-
ყარო მაინც ისე კარგავს და იძენს
თვისებებს, როგორც ეს ღვინო ფერ-
სა და გემოს. როცა საკუთარ სახლში
ფებს შესდგამ, ქვეყანა გამარტივდება,
წარსული ბურუსში გაეხვევა და შეიძ-
ლება ერთ მშვენიერ დღეს მრავალყა-
მიერიც კი შემოსახი.

— ქართველებს რომ ნაკლები გვემ-
ღერა და მეტი საქმე გვეყვებინა, შე-
იძლება ამ დღეში არ ჩავვარდნილი-
ყავით.

— შავი ღლე ისეთ ხალხსაც დასდ-
გომია, რომელიც ნაკლებს მღეროდა
და მეტს აკეთებდა. ეტყობა, გაჩენის
დღიდან ჩვენ ზუსტად იმდენი შეცდო-
მა ჩავიდინეთ, რამდენსაც მუხთალი
ბელი თხოულობდა. ახლა კი სიმღერა
ბედის გამოწვევა უფროა, ვიდრე და-
ნაშაული. დავლით, შანშე-ბატონო,
მარხვით ღვთის გულს მაინც ვერ მო-
ვივებთ, მამაზეციერმა კარგა ხანია ჩა-
იჭნია ხელი ჩვენზე. გაუმარჯოს გაუ-
მარჯვებელთა ბრძოლას!

ამილახვარს ღვინო სწყუროდა და
როგორც კი ყელიდან ბგერები ამოუშ-
ვა, ჯამი პირთან მიიტანა. ის, რაც არ
მომხდარა, შეიძლება არც მომხდარი-
ყო, შეიძლება სადღაც უკვე იღვსე-
ბოდა სისხლმოქარბებული ბრალმდებ-
ლის დასაკლავი დანა, შეიძლება ცოდ-
ვები და შეცდომები უკვე წყვილდებ-
ოდნენ ერთმანეთის გასაბათილებ-
ლად.

ამილახვარმა ცარიელი ჯამი სუფრა-
ზე დააგდო და ამოქოლილ, ამოლე-

სილ სათოფურებს შეხედა, რომელთა
უკან მარადიული შუალაშე და ღმწან-
შირებული, დაკრუნჩხული გვამების
მღუმარება სუფევდა. ერთ ღროს მას
და თვალდათხრილს რაღაც აკავში-
რებდა, უფრო მტრობა, ვიდრე მეგობ-
რობა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მტრო-
ბაც იცვითება და მრავალი წლის შემ-
დეგ ხელახლა იწყება ზოგი რამის მი-
ჩქმალვა და ზოგის გამომწეურება,
ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვე-
ბის წინაშე ან თავის მოკატუნება, ან-
და ყალყზე შედგომა. შანშე ერისთა-
ვი წამებული კი იყო, მაგრამ წმინდა-
ნობამდე ბევრი რამ აკლდა.

— როცა, აი, ასე ზიხარ, ღვინოს სვამ,
ირგვლივ ჩრდილი გარტყია და დღის
ჩვეულებრივ დინებას ხელს არაფერი
უშლის, ქვეყანაზე თითქოს არც უბე-
დურება არსებობს, არც საფრთხე და
არც სასჯელი, არაფერი ისეთი, რაც
ხალხს მუსრს ავლებს, ქალაქებს მი-
წასთან ასწორებს, სოფლებს წყალს
ატანს. და უეცრად აბობოქრდება, წინ
გადაგელობება, შეგაკრთობს, შეგზა-
რავს და კიდევ ერთხელ დაგარწმუნებს,
რომ საფრთხე და საშინელება ამ ქვე-
ყანაზე კი არ შემცივრებულა, არამედ
გაძლიერებულა, მომრავლებულა.

— უბედურების მეტი ჩვენ რა
გვინახავს, გივი-ბატონო, მაგრამ რა
ფრთხილად არ უნდა იყო, გულგრი-
ლობისა და უდარდებლობის უკან ჩასაფ-
რებულ უბედურებას მაინც ვერ შეუკ-
რავ გზას. ამას წინათ სპარსეთის ერთი
ქალაქის მოსახლეობა ისე ამოწყვიტა
მუცლის მწვავე სახადმა, რომ ცარიელ
ქუჩებში მხოლოდ ძაღლები და კატები
დაეხეტებოდნენ. გასულ ზაფხულს
ერაყში დიდი გვალვა იყო, გვალვას კა-
ლიების ლაშქარი მოჰყვა და ადგილობ-
რივი მოსახლეობა ისე დაიმშა, რომ კა-
ცი კაცის ხორცს ჭამდა. რამდენი მი-
წისძვრა, პირი, წყალდიდობა ახსოვს
საქართველოს, რამდენი ცივი ზამთარი

გივი მაღულარიძე
მეამბოხინი

და შიმშილობა, მაგრამ ბუნების მტრობას როგორმე გავუძლებდით, ირგვლივ რომ ამდენი სისხლმორწყულებული მტერი არ გვეხვიოს.

— თამარის შემდეგ რომ კიდევ ერთი საუკუნე გავგეძლო, მარტო მონღოლებს რომ გავმკლავებოდით, მეერ ალარაფერი გვიჭირდა, მაგრამ მონღოლებმა და მათმა ნაშვიერებმა წელში გავტეხეს. მას შემდეგ ვეღარ მოვმრავლდით, თავისუფლად ვეღარ ამოვისუნთქეთ. ქრისტეს ჯვრის ტვირთვამაც დაგვალა. ოსმალებსა და სპარსელებს რა უჭირთ. სელიმ პირველმა ერთ დღეში ორმოცი ათასი შიიტი ამოსწყვიტა და ამით მის სახელმწიფოს არაფერი დაკლებია, ჩვენ კი ორმოცი ათასი კაცი დიდი ხანია არ გამოგვიყვანია ბრძოლის ველზე.

— ძალა სწორედ მაშინ გვაკლია, როცა შეგნებული გვაქვს, ვინა ვართ, რა დღეში ვართ და რა გველის.

— ჩვენ არა მარტო ძალა გვაკლია, შანშე-ბატონო, არამედ დანიშნულებაც. ჩვენთან დაახლოებას და დამეგობრებას არავინ ცდილობს, არავის არაფერში ვჭირდებით. ქართველები გარიყული ხალხი ვართ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული მოვისპობით თუ შევრჩებით ამ ქვეყანას. გაუმარჯოს იმათ, ვინც მახეშია გაბმული და კბილებს მაინც ილესავს!

— რომ გვამტყრევენ ამ ალესილ კბილებს?

— არაფერია, დაგვამტყრიონ. იცი, რომელიღაც ხალიფმა თუ სულთანმა მონადირეთუხუცესს უბრძანა, ლომებისათვის კბილები დაეძროთ, ბრჭყალები დაეჭრათ და თავისუფლად გაეშვათ სასახლის დიდ ბაღში. ლომებს კბილები კი დააძვრეს, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ხალიფის რამდენიმე მოხელე შეეჭამათ.

— ერთი ასეთი არაქი რომ ნადირ-შაჰისათვისაც შემოინახო, შეიძლება ცალი თვალი შეინარჩუნო.

— თუ ცალი თვალი შევინარჩუნე, მეორეს ველარავინ დამთხრის.

შანშე ერისთავი აღარ იღივებოდა ისე უსიამოდ, შემზარავად, რა თქმაობა? შეგნეულობის ღვინით გაჭრილმა მუცელსა. საკუთარ თავთან საუბარს ისევ ძველ მოქიშპესთან საუბარი ერჩია და მზად იყო მანამდე მჯდარიყო სუფრასთან, სანამ მასპინძელი მასპინძლობას გაუწევდა.

— ყანწებზე ხომ არ გადაესულიყავით, შანშე-ბატონო?

— არა, ჯამით სმა მირჩევნია.

მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა, მწვანედ შეფერადებული სინათლე რბილდებოდა, ყველა ის ნაჭრილობები და ნაწიბური, ორ ბნელ ორმოს რომ გარს ერტყა, ცხადად იკვეთებოდა, საშინელებას სინამდვილის უტყუარი ნიშნებით ამჟღავნებდა. თვალის რქოვანი გარსი, წინა სენაკის ნამი, ბროლი და მინისებური გარსი დამწვარი და განადგურებული იყო, მაგრამ დაუზიანებელი არც თვალის მამოძრავებელი კუნთები, თვალბუდე, ქუთუთოები და ცრემლის სადინარები დარჩენილიყო. მარჯვენა თვალის ზედა ქუთუთო ბასრ იარაღს დაეგლიჯა, მსხვილი ნაწიბურები ერთმანეთს შეზრდოდა. მარცხენა თვალის გარე კუთხე ცეცხლს ამოქეპამა, ორმოში კიდევ ერთი პატარა ორმო გაჩენილიყო. ერისთავს მსხვილი, გოროზი თვალები ჰქონდა, მაგრამ საკუთარი სანის დანახვა მას უკვე აღარ შეეძლო და მხოლოდ იმას ზარავდა, ვინც მის თვალებს გარედან შეჰყურებდა.

— ის, რაც მე მაინტერესებს, უბრალო ცნობისმოყვარეობა არაა, შანშე-ბატონო, ხომ იცი, თვალდათხრილს თვალხილულთა შორის თვალდასათხრელზე უკეთ ვერავინ გაუგებს. რას წარმოადგენს ბრმისათვის ეს ქვეყანა?

შანშე ერისთავი ერთხანს დუმდა, საკუთარ წვერს ეფერებოდა, შემდეგ კი ბრმა თვალები ამოიწმინდა და ნაღვლიანად სთქვა:

— იმასვე, რასაც თვალხილულთათვის. მე რომ დაბადებით ბრმა ვყოფილიყავი, მაშინ, ალბათ, არ მეცოდინე-



ბოდა, რომ ეს ქვეყანა არა მარტო ბრმებისათვისაა ბნელი, არამედ მხედველთათვისაც. საგნების ხილვის უნარმა იმაზე მეტი ვერაფერი მასწავლა, რაც სიბნელეში ყოფნამ და მარტოობამ. ახლა ყურადღება ნაკლებად მეფიანება, თვალთ აღქმულის ერთმანეთთან დაკავშირება ან დაცალკევება არ მჭირდება და ამიტომ უფრო შიგნით ვიყურები, ვიდრე გარეთ. შიგნით ყურება გარეთ ყურებაზე უფრო იოლი და სასიამოვნო არაა, მაგრამ ერთი დიდი უპირატესობა აქვს. ბევრ რამეს ხედვით ისეთს, რაზედაც მანამდე წარმოდგენა არ გქონდა.

— თუ ბრმები ნათელმხილველები ხდებიან, მაშინ არც ისე ცუდად ყოფილა მათი საქმე.

— მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, გივიბატონო, ვისაც არ ესმის, თუ რადიდი უპირატესობაა ქვეყნის საკუთარი თვალთ დანახვა, არც იმათ, ვისაც სიბრმავით გამოწვეული უბედურება არაფრად მიაჩნია, მაგრამ ბრმებზე უმრავლესს სასწაულებს ყვებიან. თქმულებას თუ დავუჯერებთ, ილიადა და ოდისეა ბრმა ჰომეროსმა შეთხზა. ერთი ბრმა იტალიელი მხატვარი საღებავებს თურმე მგრძნობიარე თითებით აზავებს და უჩვეულო ფერებს ჰქმნის. ამას წინათ ერთმა ინგლისში ნაყოფმა სპარსელმა თავადმა მიაიმბო, ვიდაც დაბადებით ბრმა ინგლისელი სწავლული დიდებულ ლეკციებს კითხულობსო გემეტრიაში. წინასწარმეტყველთა უმრავლესობა ან განგებ იბრუვიანებდა თავს, ანდა, მართლაც, ბრმა იყო. ასე, რომ ბრმების საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც თვალბილულთ ჰგონიათ, მაგრამ მე უკვე იმ ასაკში ვარ, როცა კაცს შეგუების უნარი დაიღუპება აქვს და არაფრის თავიდან დაწყება აღარ შეუძლია. სიცოცხლის დანასრულამდე ისიც მეყოფა, რაც მეხსიერებამ შემომინახა, რაც ერთ ღროს საკუთარი თვალთ აღვიქვი.

მოსწრაფე ფოთლებით გადახურულ თავშესაფარში აღამიანების ყაყანმა,

რკინის ქლარუნმა და ცხოველების ქმუნამ იკლო. საჭურისმა პურის ჭამა მთავა, რამდენიმე ჯარისკაცი თვალყურის სადევნებლად დააყენა, დანარჩენებს კი უფლება მისცა თავქვეშ უნავირობი ამოედოთ და თვლემას მისცემოდნენ. ყველაზე უძლურს და ანახლს ყველაზე მეტი უფლებები ჰქონდა, მისი, რატომღაც, უფრო ეშინოდათ, ვიდრე ახალგაზრდა სპარსელი თავადიშვილისა. ამასობაში ქართველებმაც მოათავეს ჭამა-სმა და თვალის მოსატყუებლად მდგელოზე წამოწუნენ. საჭურისი მაინც ვერ ისვენებდა, ხეებს შორის დაბორილობდა, ბრძანებებს ხან სპარსულად იძლეოდა, ხან თურქულად. ბოლოს მათ სუფრას მიუახლოვდა, შეთავაზებულ ღვინოზე უარი განაცხადა, მაგრამ სათქმელის თქმა მაინც ვერ გაბედა და უხმოდ გაბრუნდა უკან. მალე მისი არათანაბრად განვითარებული სხეული ისე მოიკრუნჩხა ხალიჩაზე, თითქოს დედის მუცელში ყოფნა მოენატრაო.

როგორც კი ღვთის კარავი თვლემას მიეცა, ბებერი, ნანგრევებითა და ერთფეროვანი ზმანებებით გაოგნებული ქვეყანა ცოტათი მოსულიერდა, გაახალგაზრდავდა, სხვებს განუდგა და მათთან მოცოდდა. მისი ნაჯიჯნი, ნაოხრალი გარეკანი უმრავლეს მოუშუშებელ და მოუშუშებელ იარებს დაეფარა, მაგრამ მაინც ცდილობდა მოლონიერებულყო, უკეთ მოკაზმულიყო, მათთან ერთად ექეიფა, ყური დაეგდო, რას ეუბნებოდა თვალდათხრილი თვალდასათრელს, რა ჰქონდათ ქართველებს სოფელთან სადავო.

— საჭურისი თავზე იმიტომ დავადგა, რომ ჩვენთვის პურის ჭამა ჩემწარებიანა, მაგრამ შენმა დათხრილმა თვალეებმა შეაჩერა. — სთქვა ამილახვარმა, როცა მიხვდა, რომ აწი მათ ხელს აღარავინ შეუშლიდა.

— საჭურისი რომ იყო, ხმაზე შევატყ-

გივი ბაღულაძე
მხატვარი

ვე. შეიძლება იგი ჩემზე უმოწყალოდ აწამეს, მაგრამ მაგათ ხმასა და სუნს ვეღარ ვიტან. მიკვირს, როგორ ძლებს ჩემი ძმა ისე შაჰის კარზე, რას პოულობს მათთან საერთოს. იცოცხლე, გივი-ბატონო, ამ გზაზე ღმერთი შენზე უკეთესს ვერავის შემახვედრებდა.

შანშე ერისთავის მკაცრი ნათქვამი ერთმანეთს ეთიშებოდნენ და ცალცალკე რბოდებოდნენ. მას უკვე აღარაფრის შეცვლა, აღარაფრის გადასხადებრა აღარ შეეძლო და თუ ქსნის ხეობის ჩამუქებულ ტყეებს დარუბანდის ციხის ქონგურები ცვლიდა, დარუბანდის ციხის ქონგურებს კი ზორასნის ჭურღმულები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

— ამ გზის კიდევ ერთხელ გავლას და უკან დაბრუნებას მე ალბათ ვეღარ შევძლებდი, ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა ამ ცხელ ჰაერს შეეზავებოდა, ჩემი ძვლები ამ უდაბნოში გაიბნეოდა, — სთქვა ერისთავმა და უბიდან ქისა და ჩიბუხი ამოიღო. თამბაქოს წვეას სპარსეთში მიჩვეოდა.

— ერთი საქმისათვის ორჯერ არავის სჯიან, შანშე-ბატონო. მაგრამ შენ იქნებ კიდევ აპირებ აჯანყებას?

ერისთავს გაეცინა.

— ჩემი ხნის კაცი და ისიც ბრმა თავის თავს თუ აუჯანყდება, თორემ სხვებს ვერაფერს დააკლებს. ცხოვრებამ იცის სად შემოგაცვდა ჯავშანი, სად გაგიყაროს შხამიანი ნესტარი. უკან რომ გამარჯვებული დაებრუნებულყავი, გზაში შემომეგებებოდნენ, თავს მღაბლად დამიკრავდნენ, მაგრამ თვალდათხრილს, შეიძლება, საქართველოში მეტი ბრალდება წამომიყენონ, ვიდრე სპარსეთში წამომიყენეს. ჩემი შინ დაბრუნება ჩემს მეტს არავის გაახარებს, ალბათ.

— მკვდრეთით აღმდგარი და შინ დაბრუნებული, მართლაც, არავის უყვარს, მაგრამ ძაღლებს ყოველთვის უხარიათ პატრონის დანახვა. რამდენადაც მახსოვს მწვერებისა და ნაგაზების მთელი ზროვა გყავდა.

— თვალები რომ დათხრილი მაქვს, ეს არც ძაღლებს გამოეპარებათ ნახვდევლობიდან, მაგრამ მე ჯერ კიდევ ვიცი, დამიბრუნებენ მამულს თუ არა.

— უმამულოდ შენს არსებობას რა აზრი ექნება?

— მოსაპოვებელი სწორედ ისა მაქვს, რასაც სიცოცხლე შევალივ.

შანშე ერისთავი ყოველთვის პატარა ხელმწიფე იყო და მამულის დაბრუნებაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ტახტის ბოძებაზე. რბევისა და ძარცვის შემდეგ ქართველების ერთადერთი სიმდიდრე მიწა იყო და ამ მიწას კბილებით ებლაუქებოდნენ.

— რომ არ დაგიბრუნონ, რას იზამ?

— ჰკითხა ამილახვარმა.

— არ ვიცი, ქართლს ახლა მეფე და გამგებელი ჰყავს. თეიმურაზმა დიდი პატივი დამდო, ნადირ-შაჰს ჩემი თავი გამოსთხოვა, იქნებ მამულიც დამიბრუნოს.

ერისთავი ტყუილად უჩიოდა შეგუების უნარის დაჩლუნებას. ხმის მიხედვით თვალილულზე ნაკლებად არ ასხვავებდა აღამიანებს ერთმანეთისაგან, პურის, ყველის და ხორცის ნაქერს ფრთხილად, მარჯვედ იღებდა სუფრიდან, ხოლო როცა ჯამს თითებს შორის ჩაიდგამდა, ცხადად გრძნობდა, პირამდე იყო სასმისი სადსე თუ არა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთად ისხდნენ, ხელიდან არაფერი გაეპარდნია, წვეთი ღვინო არ დაუქცევია. ნიჭს თავისი გაჰქონდა. ბრმა ერისთავი კაცურად იქცეოდა და ხეიბრობას თითქმის არ იმჩნევდა.

— ერთ დროს მეფის ყოლას უმეფობა გერჩია, შანშე-ბატონო. — სთქვა ამილახვარმა ისე, თითქოს რაღაცამ გააღიზიანაო.

— უფუნური მეფის ყოლას უმეფობა ყოველთვის ჯობია. ჩვენი უბედურება ისაა, რომ საკუთარი ნაკლის შეუფასებლობა და ღირსების გადაფასება გვიყვარს, თავი ყველას მართალი გვგონია, სინამდვილეში კი ყველა მტყუანი ვართ. ჩვენი არც ღმერთი ჰგავს ღმერთს, არც

სახელმწიფო სახელმწიფოს და არც კაცობა კაცობას. ამიტომაც ვიხარავებით ტყუილუბრად. როცა წმინდანებს სახეში ვაფურთხებთ, როცა ყველაფერში ეჭვი გვეპარება და ერთმანეთის არაფერი გვჯერა, მაშინ იმის თავი მაინც უნდა გვქონდეს, რომ ყველა ძველი კერბი დავლევოთ და უამრავი სიცრუისაგან განვთავისუფლდეთ.

ამილახვარი მიხედა, რომელი კერპების დაღწევაზეც ლაპარაკობდა ერისთავი, რისგან თხოულობდა განთავისუფლებას, მაგრამ იცოდა ისიც, რომ კერპების დაღწევა დროზე და ცხოვრების პირობებზე უფრო იყო დამოკიდებული, ვიდრე სურვილზე. შეუზღუდველი თავისუფლებისაქენ სწრაფვამ ერისთავი მხოლოდ ვააბოროტა, გააუგნურა. ამიტომაც ჰკითხა მოურიდებლად:

— უამრავი სიცრუისაგან განთავისუფლება მეზობლის ოჯახის ქალიანბავშვიანად ამობუგვასაც ხომ არ ნიშნავს?

ერისთავმა უკან დაიხია, წარბები შეიკრა. ყბების მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ამ თემაზე საუბარი არ სიამოვნებდა.

— მე მტერს ვებრძოდი, ჩემი მეზობელი კი მტერს ეხმარებოდა და დროს ჭეიფში ატარებდა. განა იმ ოჯახის ბატონმა არ გასწირა ქალები და ბავშვები, განა ჩემზე ადრე არ წაიწყმიდა სული. ვინ ატანდა ძალას, ვინ იცნობდა ჩემს რძალსა და ძმისშვილებს მის მეტი. გამდგარიყო ვანზე, დაეთმო გზა ლტოლვილთათვის, ამისთვის მას პასუხს არავინ მოსთხოვდა, მაგრამ არა. ლალატი ძვალბილში გვაქვს გამჯდარი და სხვაგვარად ვერ ვძლებთ. ჩვენში მანამდე არ აღმოიფხვრება ერთმანეთის სიძულვილი და შიში, სანამ მოლაღატე დარწმუნებული იქნება, რომ აკვაცობისათვის არ დაისჯება. ეს რომ მხოლოდ ერთ ან ორ კაცს ეხებოდეს, არაფერს ეტყუოდი, მაგრამ ბოროტმოქმედება, უპასუხისმგებლობა, უზნეობა ხალხსაც რყვნის და ასეთი ხალხი ველარ უძ-

ლებს გაჰირვებას, ფიზიკურ და გონებრივ ტანჯვას.

— სისხლი ჩვენ ყველას გეცხია ზე, ყველა ერთი და იმავე სენით ვართ შეპყრობილი, მაგრამ მკვლევლობასა და სისასტიკეს შორის დიდი განსხვავებაა.

— ეს ცხოვრება ისეა მოწყობილი, გივი-ბატონო, რომ რა შორსაც არ უნდა გადგე, შეგნებულ თუ უნებლიე მკვლელობას თავს მაინც ვერ ააჩივებ, ხოლო თუ რაიმე საქმისა ან მიზნისათვის იბრძვი, სასტიკიც უნდა გახდე, ზოგჯერ ისეთი სასტიკი, როგორიც შენამდე არავინ ყოფილა. კაცი კაცის ან ყმა ან მოსიხხარი მტერი და როცა მკვლევლობაზე ან სისასტიკეზე უარს ამბობს, უარს ამბობს ცხოვრებაზეც. მკაცრი განაჩენი ჩემს თავს იმ დღეს გამოვუტანე, როცა ავჯანყდი. ამიტომ არც მოღუწების უფლება მქონდა და არც მტრისა და მოლაღატის დანდობის.

— ბარძიმ ერისთავს რაღას ერჩოდი, ციხიდან თავის ფეხით გამოვიდა, ნებაყოფლობით დაგნებდა?

ჯარისკაცები მოშორებით იდგნენ, მოურიდებლად იქექებოდნენ, მაგრამ მათ თვალს მაინც არ აშორებდნენ. ორი კაცის ერთმანეთის პირისპირ ჯდომა და ღეინის სმა ერთს თუ ართობდა, მეორეს აღიზიანებდა. ზოგს უხაროდა, რომ ვიღაც თავგასული ქართველი სპარსეთში მიჰყავდათ თვალების დასათხრელად, რადგან თუ შესაძლებლობა მიეცემოდა საკუთარ სოფელში ან ქალაქში შეივლიდა, თავისიანებს ინახულებდა, ზოგს კი ის სწყინდა, რომ ჩრდილსა და უზრუნველ ცხოვრებას მოსწყვიტეს, ამ უდაბნოში გადმოისროლეს.

— ყველაფერზე რაც გამიკეთებია. ახლა პასუხის გაცემა ძნელია, გივი-ბატონო. მაშინ მხოლოდ ერთი აზრი მასუღღგმულებდა. მკაცრად, სამაგალითოდ დამესაჯა ყველა, ვისაც იმ საზარელ დანაშაულთან რაიმე კავშირი ჰქონდა. ბრალი, ალბათ, იმაშიც მიმი-

გივი მაღულბარი
მეამბოხენი

ძღვის, რომ ლეკები დავიჭირავე და ქართლი ავაწიოკებინე, მაგრამ საკუთარი ძალებით ურთურობა ერისთავს ვერაფერს დავაკლებდი, ხელიდან დამისხლტებოდა, სპარსელების ზურგს ამოეფარებოდა, მე კი დათმობას, პატივსასიკვდილი მერჩია. მაშინ რომ შური არ მეძია, საკუთარი ხელით გამოვიჭრიდი ყელს.

— კი მაგრამ ბავშვები. ბავშვები როგორ ამოუბეგე ცეცხლში?

— ჯერ ერთი, არც ისეთი ბავშვები იყვნენ, როგორც შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, მეორეც ურთურობა რომ დამნებებოდა, მოზარდებს ხელს არ ვახლებდი. ჩვენი მტრები მარტო გადამთიელები კი არ არიან, გივი-ბატონო, არამედ დროც ჩვენი მტერია. დრო არ ითმენდა, დაყოვნების საშუალებას არ იძლეოდა. ყიზილბაშები უკვე ემზადებოდნენ არაგვის ხეობაში შემოსაჭრელად. იმ ომში ან მე უნდა დავეღუპულიყავი ან ურთურობა ერისთავი, ან მოღალატე ან დილატიანებული.

— რას იტყობი, ქსოვრისთან ომის შემდეგ რომ ვახტანგი ასე მოგგცოდა?

— როცა მეფე შუღლის წყარო უფროა, ვიდრე ქვეყნის გამგებელი, მაშინ ყველას უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია.

სუფრას არაფერი შემატებია, მაგრამ მაინც მდიდრული ელფერი ჰქონდა, სასმელი და ჭურჭელი უფრო ახალისებდა, ვიდრე ნაირნაირი კერძები.

— შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, შანშე-ბატონო, ყველაფერში ან ბედია დამნაშავე, ან სხვები. ბრალდებულის სკამზე ჯდომას შენც ბრალმდებლის სავარძელი გირჩენია, რადგან ასე უფრო აღვილია ქვეყნად ბოგინი, მაგრამ აგერ უკვე რამდენი საუკუნეა, რაც მძიმე ცოდვებს ჩავდივართ, ცხოვრებას უშედეგო ბრძოლაში, ქიშპობაში და სოფლის მღურვაში ვატარებთ, ხოლო როცა ძალა გამოგველევა, ნაღალატეგნი ეხვდებით ერთმანეთს. მთელი საქართველო შენ უკუენურობაში და სისასტიკეში გდებს ბრალს. შენ მე ლალატში,

ქართველი თავადები თეიმურაზის გარდატის მიტაცებაში, თეიმურაზის ქართველ თავადებს მუხანათობაში, ხოლო ნასყიდაშაჰს ყველა მემამბოხეებად და ეშმაკის მოციქულებად მივაჩნევართ. ასეთ ვითარებაში მტყუანისა და მართლის გარჩევა ძნელია, სიმაართლე ან ძალას ემორჩილება, ანდა იმდენია, რამდენიც ფოთოლი, აი, ამ ხეზე, მაგრამ რადგან ყველას ერთი ბედი გველის, რადგან ბრალდებას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაექცევა, მაშინ კაცური კაცისათვის მაინც ის სჯობია, რომ თავის საქმე აკეთოს და თუ სხვა გამოსავალს ვერ იპოვის, ღირსეულად წააგოს თავი.

— თუ ვაქაცობა და პატიოსნება, ვაქაცობა და სამართლიანობა, ვაქაცობა და მტრის სიძულვილი ერთი და იგივე არაა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ღირსეულად წააგებ თავს თუ არა?

— მარადიულობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არავითარი, მაგრამ ცხოვრებას და ადამიანის საქციელს მაინც ადამიანი სჯის და ამიტომ კაცურ კაცს თავი გასათასხრებლად, ფეხსადგილში გადასაგდებად არ ემეტება. ამის ღირსი არც ჩვენ, ქართველები ვართ, რადგან სანამ აქამდე მოვიდოდით, ათასი ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. შეიძლება, ღმერთს მე არაფრად მივაჩნიებო, შეიძლება არც ამ ქვეყანას ვჭირდები რამედ, მაგრამ რადგან ვიშვი, რადგან სხეულში ჩემი სული მიდგას და მხრებზე ჩემი თავი მბზია, იმის უფლებაც მაქვს, რომ ღმერთსაც ავუჩანყდე, ხელმწიფესაც და ყოფიერებასაც.

ამილახვარმა ცას ღიმინარევი მუქარით ახედა, მაგრამ მზერა მწვანე სახურავს ვერ გასცდა. ხის ფოთლები ისე ირხეოდნენ, ისე შრილებდნენ, თითქოს ჩრდილებს ქსოვდნენ და დედამიწაზე აფენდნენ. მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ შეხმატებლებული ჩურჩული, იმ ადგილის შემოსევა, საიდანაც უნაყოფობა განდევნეს, მაგრამ ორიოდ თვის შემდეგ მათ სამოსელს ქარი დაფლეთდა, ნაფლეთებს უდაბნოში გაიტანდა და გაძარცვულნი, ალბათ, ისევ დაუპო-

რისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ის და შანშე ერისთავი უპირისპირდებოდნენ.

— ამ ღვინოს არც ფერი შეცვლია და არც გემო. ჩემმა ერთგულმა ყმებმა საგზალი ურმეებით მომართვეს, მოთქმა-გოდებით გამოამაცილეს, მაგრამ სპარსეთში გამოყოლა ერთი ახალგაზრდა აზნაურის გარდა არავინ ისურვა. თუმცა რისთვის უნდა გამოედოთ თავი. ჩემი არავის არაფერი მართებს, დავალებული მხოლოდ მე ვარ მათგან. — სთქვა ამილახვარმა და შანშე ერისთავს ღვინო მიაწოდა.

— არ ვიცი, რით აეხსნა, შემთხვევითობით თუ საკუთარი ხასიათის უზიაროებით, მაგრამ ბედმა შენ ყოველთვის უფრო გწყალობდა, ვიდრე მე, გივი-ბატონო. ამ გზას ისე ადგახარ, თითქოს სპარსეთში სასწელი კი არ გელის, არამედ ღიდება და პატივისცემა. მე წყალი და ლუქმა პური მენატრებოდა — შენ ღვინო და სურსათ-სანოვავით დატვირთული აქლემები მოგყვება უკან. მე დაბორკილი ვიყავი — შენ საკუთარ ცხენზე ზიხარ და არაფერი გბოჭავს. მე გვერდზე გახედვის უფლებას არ მაძლევდნენ — შენ თითქმის არც კი გიცავენ. რა ვუთხრა იმ განგებას, ვინც ასე ანაწილებს კაცთა შორის ავსა და კარგს.

მოვარაყებული ჩიბუჭი შანშე ერისთავს სიდარბაისლეს მატებდა, მაგრამ ამილახვარს ცოტა სასაცილოდ ეჩვენებოდა თამბაქოს წვევა და კვამლის პირიდან ბოლქვა-ბოლქვად გამომშვება.

— ბედს ზოგჯერ ხელის შეწყობა სჭირდება, ზოგჯერ კი ხელის შეშლა. ვინც ამას ვერ ახერხებს, ყოველთვის მეტს აგებს.

— ბრძოლა ორივემ წავაგეთ. განსხვავება ჩვენს შორის მხოლოდ ისაა, რომ მე უკვე დამთხარეს თვალები, შენ კი ამ ცოტა ხანში დაგთხარიან.

— ბრალდებულისათვის ცოტა ხანი ცოტა არაა, შანშე-ბატონო, მანამდე შეიძლება ქვეყანა ან წალმა შეტრიალდეს ან უკუღმა.

— ერთ დროს მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ როცა გიჭირს, სასწაულის იმედი უფრო გაქვს, ვიდრე საკუთარი თავისი.

— სასწაულის იმედით გაიქეცი გზიდან?

— მახლობლად შამხნარი და მდინარე იყო. წყალში შესვლა რომ მომესწრო, შეიძლება დღეს ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილიყო.

— მაშინ რომ გზიდან არ გაქცეულიყავი და ნადირ-შაჰის სპარსეთში დაბრუნებას დალოდებოდი, შეიძლება თავთან ერთად თვალებიც შეგვენარჩუნებინა.

— ნადირ-შაჰის იმედი მე კი არა, მის შვილს არ ჰქონდა. ჯალათი, რომელმაც მას თვალები დათხარა, ჩემს ჯალათზე გამოუცდელი აღმოჩნდა და ექიმებს დიდი ჯაფა დასჭირდათ მის გადასარჩენად.

— ეტყობა, შაჰს გადაწყვეტილი აქვს თვალდათხრილი მოამრავლოს ამქვეყნაზე. — სთქვა ამილახვარმა გესლიანი ღიმილით და იმ ერთმა სიტყვამ, რომელიც ხშირად ადგებოდა ენაზე, ფოთლების სანდომიანი შრიალი სახიფათო ჩურჩულად აქცია, პური გაამწარა, გააუგემურა. მან ისიც კი არ იცოდა წინასწარ, შაჰს მიჰგერიდნენ თუ პირდაპირ ჯალათებს მისცემდნენ ხელთ და თვალებს ისე დათხრიდნენ, რომ ხმასაც არ ამოაღებინებდნენ. თუმცა ჯალათებთან საერთო ენა არასოდეს არავის გამოუნახავს და რაღა იგი გამონახავდა. წინა დღით დასჯილის გმინვა და გოდება კარებში შემოფეხვებოდა, სქელი, ცხიმოვანი კვამლით გარუჯული კედლები დანაშაულის კვალს დაფარავენ და მას ან გამოიყვანენ, ანდა ხელით გამოიტანენ იქიდან, სადაც თავის ფეხით შევიდა. შანშე ერისთავს ყველაფერი ეს უკვე განვლილი ჰქონდა, მაგრამ დაიწყებით რომ ვერაფერს დაივიწყებდა, ამას თვალთ დანახვა არც სჭირდებოდა.

ამილახვარმა შორს ყურებას ღვინის დასაზმა ამჯობინა და წარმოდგენას პუ-

რის გაუგებრობის, გამწარების უფლებად აღარ მისცა.

— ჩვენ ისეთ დროში გავჩნდით, იმდენი ცოდვა დღეს და გადმოღულს ირგვლივ, შანშე-ბატონო, რომ აღარც კი იცი, ვინ გაამტყუნო და ვინ გაამართლო, რა დააბრალა შენს თავს და რა სხვას. აქამდე ხალხი მხოლოდ მაშინ მიდიხ, როცა ან დიდი უბედურება დაატყდება თავს, ანდა ამოწყვეტის გზაზე დგას. ჩვენი ხსნა მხოლოდ ცოდვა-მადლის ზუსტად გამიჯვნას, ყველაფრის სასწორზე აწონ-დაწონას შეუძლია, მაგრამ ქართველები ისედაც ცოტა, ისედაც გათიშულნი ვართ და თუ კიდევ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავუპირისპირდით ერთმანეთს, აღარც მოყვარესთან გვექნება სადავო რამე და აღარც მტერთან, — სთქვა ამილახვარმა და ზელში რომ ღვინით სავსე ჯამი არ სჭეროდა, ვილაცას შეუჟერებდა.

— ამიტომ ჩვენს თავსაც ყველაფერი უნდა ვაპატიოთ და სხვებსაც, არა?

— შენს თავს შენ ისეთი რამ აპატიე, რაც ზოგიერთს აქამდე საფლავში ჩაიყვანდა. მართალია, საზღაურაც გაიღე, მაგრამ მაინც არ ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც უფლება აქვს ცოდვა-მადლის მკაცრად გამიჯვნა მოითხოვოს. ამისთვის მე და შენ არ გამოვდგებით. საქმისა და ცხოვრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა არაფრით არ ნერხდება, არაფერს არ გააჩნია მხოლოდ თავის თავი და მხოლოდ თავის ბოლო. საქმის, მომავლის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, არავის არაფერი არ უნდა ეპატიოს, მაგრამ მხოლოდ მომავლის იმედით ცხოვრება ხალხს ერთხანს აგულიანებს, უამრავ სისხლს აღვრევინებს, შემდეგ კი ისე ღლის, ისე თიშავს, რომ საერთო არავისთან არაფერი აქვს. აღზევებულნი ნაძარცვ ქონებას იტაცებენ და ისაკუთრებენ, ხელმოცარულნი კი ბედს ეგულებიან და ჩივილს იწყებენ. ჩვენ ამდენ ღვინოს იმიტომ ვსვამთ და ამდენს იმიტომ ვმღერევართ, რომ მომავალს ხან შიშით ვუყურებთ, ხან ზიზღით.

ამილახერის სახეზე ზიზღი მაშინვე რაღაც მუქარის მაგვარი გამჟღავნდა.

შავ ღღეში რომ ვართ, უსახლოვანესა არაა, გივი-ბატონო, მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის, ჩვენ ჯერ კიდევ ვარსებობთ, ხალხად ვითვლებით და ამიტომ ვალდებულნი ვართ ჩვენი არეულ-დარეული ყოფა ჩვენვე მოვაწესრიგოთ. მოწესრიგება კი მანამდე არ მოხერხდება, სანამ ყველა ერთ მიზანს არ დავისახავთ, ერთ კანონს არ დავემორჩილებით. — სთქვა ერისთავმა ისე, თითქოს არსად აღარ ეჩქარებოდა.

— საქართველოს თუ ამით რამე ეშველება, მზად ვარ, უმკაცრეს კანონს დავემორჩილო, შანშე-ბატონო, მაგრამ იქ, სადაც კანონი არ მოქმედებს, მართალია გამარჯვებული და მტყუანია დამარცხებული, იქ, სადაც კანონი მოქმედებს, მართალია ის, ვინც ამ კანონების გამოყენება იცის, ვისაც სასამართლოში საქმის მოგება შეუძლია და მტყუანია ის, ვისაც ამის თავი არა აქვს, ზოლო იქ, სადაც ადამიანი ბედსა და გამჩენს უპირისპირდება, სადაც კაცთა მოდგმის ნამოქმედარი ზუსტ სასწორზე უნდა აიწონოს, მართალი არავინ არ შეიძლება იყოს, თვით მამაზეციერიც კი. როგორ გინდა იცხოვრო ამქვეყნად და არავის არაფერი დაუშავო, როგორ გინდა აკეთო რაღაც და არავინ და არაფერი გაიღო მსხვერპლად, როგორ გინდა, შენი პირადი მისწრაფებები, შენი ხასიათის უზიადობა სხვების მისწრაფებებს და ხასიათის უზიადობას დაამთხვიო, როგორ გინდა, ერთ კანონში ჩაატო ის, რაც არავითარ კანონში არ ეტევა. ხშირად კეთილ, სამართლიან საქმესაც კი უბედურება მოაქვს. შენმა აჯანყებამ იმდენი ხალხი შეიწირა, რამდენიც ზოგჯერ დიდ ომში არ დაუპირისპირებო ქართველებს, მეც ბევრი მებრძოლი და კაცი ყმა მომიკლეს, მაგრამ როცა უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა წყვდიადში იძირება, მაშინ ამ წყვდიადის გასაშუქებლად ვილაცამ რაღაც უნდა გააკეთოს, თუნდაც ამისთვის სისხლის გაღება დარჩეს საჭირო. შენ რომ უგუნურობა არ გამო-

გეჩინა და ლეკების დახმარებით ურთულთ ერისთავის ოჯახი ასე სასტიკად არ ამოგებულა, დღეს ქვეყნისათვის წამებული გმირი იქნებოდა.

— როგორ გმირადაც შენ მოგაქვს თავი, არა? — ჰკითხა ერისთავმა ისეთი ღიმილით, რომ გესლმა გადახრუკული მინდვრების ფერი მიიღო.

— შენზე ნაკლებად ცოდვილი არც მე ვარ, შანშე-ბატონო. რაც მე ცხოვრებაში ცოდვები ჩამიდენია, რამდენიმე კაცის ჯოჯოხეთში გასაგზავნად იმარბედა, ფიცის გატეხვას მე არ მოვრიდებოვარ, კაცის კვლას და ღვთის გმობას, მტერთანაც მიბრძოლია და მოყვარესთანაც, მაგრამ უგუნური და უცნებობით არასოდეს ვყოფილვარ, ასეთი რამ ჩვენ — ქართველებს — არ გვეკადრება, ჩვენ ზომ ოსმალები, ყიზილბაშები და ლეკები არა ვართ. მართალია, ძალა და ცხოვრებისადმი ცხოველური სიყვარული მონები არასოდეს ვყოფილვართ, დამპყრობლები არც სწავლა-განათლებით გვჯობდნენ, არც ზრდილობით და არც კაცთმოყვარეობით. ძლიერ მტერს მარტო იმიტომ კი არ ვუჭანდებოდით, რომ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, მშვიდობიანად ვერ მოვეურიგდებოდით, არამედ იმიტომაც, რომ საბოლოოდ არ გადაგვარებულყავით, არ დაგვეკარგა რჯული, ენა, ხასიათი და ის, რითაც ქართველს ქართველად მოაქვს თავი. უცხო, გარედან მომზირალ თვალს ჩვენი არაფერი ესმის, ამდენი წინააღმდეგობისა და აუხსნელი ამბების ერთად თავმოყრა და გაგება უჭირს, მაგრამ ეს არც გასაკვირია, არც საეგალო და არც სამარცხვინო. დამადლებით ვერაფერ ვერაფერს დაგვაძლდის, რადგან არაფერ არაფერში დაგვხმარებია, არავის სისხლი და ქონება არ გაგვიფლანგავს. ჩვენს თავს ისე ვუვლიდით, როგორც შეგვეძლო, როგორც გაჭირვება და ჭკუა გვიკარნახებდა. შეიძლება, ზოგიერთს ისიც კი მოეჩვენოს, რომ ჩვენივე თავის მტერი ვართ, არ ეცდილობთ შეგკავშირდეთ,

გავვერთიანდეთ, დანგრეული აღვადგინოთ, კანონიერება დავნერგოთ, ერთი სიტყვით, ქვეყანას და საკუთარ მოვეუაროთ, მაგრამ, იქნებ, ჩვენ სხვებზე უკეთ ვიცით, რომ როგორც არ უნდა შეგკავშირდეთ და გავვერთიანდეთ, ირგვლივ შემოსეულ მტრებს მაინც ვერ მოვერევით, იქნებ, იმიტომ არ ვაშენებთ და არ ვაწესრიგებთ არაფერს, რომ მძარცველები ჩვენს ნაშრომსა და ნაღვაწს ერთ დღეში გააცამტვერებენ, იქნებ, ჩვენ სწორედ ის დრო დაგვიდგა, როცა უკეთესია ღარიბ-ღატაკი ვიყოთ, ვიდრე მდიდრები, იქნებ, იმიტომაც დავიშალებთ და დავიქსაქსენით, რომ გვიჩვენია მტერს ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ათ სახელმწიფოსთან, ათ მეფესთან და თავადთან ჰქონდეს საქმე, იქნებ, ათი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბრძოლის წაგებას, ასი პატარა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლის წაგება გვიჩვენია. იქნებ, ჩვენთვის სიჭიუტე, სიკერბე ბევრად უფრო დამლუბველია, ვიდრე ზოგი რამის არ შემჩნევა, გამასხრება, გაუფასურება. ჩვენ რომ დიდი ერი ვიყოთ, სხვების დაპყრობის თავი რომ გვქონდეს, მაშინ ჩვენს გაერთიანებას წინ არაფერი დაუდგებოდა, მაგრამ ჩვენ არსებობისათვის, თავის გადასარჩენად ვიბრძვით და ყველაფერი, რასაც ცუდად თუ კარგად ვაქეთებთ, მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება. ძლიერ, ხალხმრავალ სახელმწიფოს ყოველთვის ურჩევნია ბრძოლის ველზე შეებას მოწინააღმდეგეს, სუსტი კი ცდილობს ძალები დაქსაქსოს და ვიწროვებში ჩაუსაფრდეს მტერს, რადგან საბოლოო გამარჯვება ბრძოლის მოგება-წაგებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ გამძლეობაზე. იმიტომ ზოგჯერ არც კი იცი რა სჯობია — თავდაცვა თუ თავდასხმა, ვინ უფრო ადრე აღიგვება პირისაგან მიწისა — დამპყრობელი თუ დაპყრობილი. იმან, რაც მე კაცობრიობის წარსულის შესახებ ვიცი, ერთ რა-

გივი მაღულარია
მამაიონხინი

მეში დამარწმუნა. სუსტ, დაპყრობილ ხალხებზე აღრე სწორედ ის ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა, რომელიც ქუხდა, მსოფლიო იმპერიებს აკოწიწებდა, მეზობლებს თავზარს სცემდა.

ამილახვარი სრულიად არ ჰგავდა გარიყულ, საკუთარი თავის ამარა დარჩენილ კაცს. იქცეოდა ისე, როგორც მოსწონდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა და ამბობდა იმას, რის უთქმელობაც ცხოვრებას ლაზათს უკარგავს.

— ჩვენ რომ ერთმანეთს არ ვჭამდეთ, არ ვლაღობდეთ, მაშინ საკუთარი თავისადმი სასაყვედურო არაფერი გვექნებოდა. ერთად ვიქნებოდით თუ ცალცალკე, გავიმარჯვებდით თუ დავმარცხდებოდით, ეჭვი და უნდობლობა არ მოგვეწამლავდა, არ გავგაუგუხნებოდა, არ ჩავგადენინებოდა რაღაც ისეთს, რისი მონელებაც ჭირს — სთქვა შანშე ერისთავმა და იგრძნო, რომ ღვინო ერეოდა, სათქმელს ისე ველარ ამბობდა, როგორც სურდა.

— ტყუილად გგონია, შანშე-ბატონო, რომ შუღლი, ღალატი, შური და გაუტანლობა მარტო ჩვენი, ქართველების თვისებაა. ბერძნებმა ყველა ამ თვისების შემოქმედება ისე მწვავედ განიცადეს თავიანთ თავზე, რომ მათი გამოჩნატეული ღმერთები თუ ქალღმერთები შექმნეს და ზოგი კვარცხლბეგზე შეაყენეს, ზოგი კი ქვის კედელზე ამოტვიფრეს. რა გასაკვირია, მშიერ კაცს სხვისი ლუკმა შურდეს, როცა შურის გრძნობისაგან მეფეებიც კი არ არიან თავისუფალი, რა გასაკვირია, მეზობელს მეზობლის ეშინოდეს, როცა მღვდლებიც კი ერთმანეთს ეჭვის თვალით, უნდობლად უყურებენ. რომელ ქვეყანაში არ ყოფილა ძმათა შორის სისხლის ღვრა, ტანტისათვის ბრძოლა, ქიშპობა, ყაჩაღობა, რბევა, დამნაშავის გაბატონება და უდანაშაულოს დაჯჯა. ბიზანტიელებს, არაბებსა და სპარსელებს ჩვენ კი არ ვასწავლეთ ცოცხლად ტყავის გაძრობა, ძელზე გასმა, თვალების დათხრა, არამედ მათ გვასწავლეს, მამული ჩვენ კი არ წავგირთმევია მე-

ზობლებისათვის, არამედ მათ წავგართვეს, ნაძარცვით ჩვენ კი არაფერი გვბოძებოდა, არამედ ჩვენი მტრებმა ჩვენი წინააღმდეგობა არ არსებობს ისეთი უზნეობა და დანაშაული, მარტო ჩვენი თვისება რომ იყოს, მარტო ჩვენ რომ ჩავგედინოს. განსხვავება ჩვენსა და სხვა ხალხებს შორის მხოლოდ ისაა, რომ მძიმე დღეში ვართ, უსაშველოდ გვიჭირს, გაჭირვებულს კი ღმერთისა და ზნეობისათვის არ სცალია, ცხოვრება ამდენი პარბაშის საშუალებას არ აძლევს. მისი ერთადერთი მიზანი არსებობის შენარჩუნებაა, სულერთია, რის ხარჯზეც არ უნდა მოხდეს ეს. გადახედე სპარსელი და თურქი ისტორიკოსების მატყინებებს, ჩვენ იმიტომ კი არ გვლანძღავენ, იმიტომ კი არ გვეძახიან შაითანს, რომ არ ვვარგევართ, არამედ იმიტომ, რომ მათ ნებას არ ვემორჩილებით, შაჰებსა და სულთნებს სიცოცხლეს ვუმშარებთ. აგერ უკვე რამდენი საუკუნეა, რაც თავს გვესხმიან, თითქმის ყოველ წელიწადს გვიპყრობენ, მაგრამ ჯერაც ვერ დავუპყრივართ.

ცა ისევ ისეთივე მოწმენდილი, სიციხით შეხუთული იყო, მაგრამ ფოთლებს შორის რატომღაც სულ უფრო ნაკლები და ნაკლები შექი ატანდა. შეიძლება გარედან მომდინარე სინათლეს ღვინის ნაპერწკლებით გაშუქებული ვანწყობილება ჩრდილავდა, ან შეიძლება კუნძულმა ადგილი მოინაცვლა და ცის დასალიერს მიუახლოვდა. შანშე ერისთავს ამის დანახვა არ შეეძლო. მაგრამ არც გივი ამილახვარს აინტერესებდა, რა იცვლებოდა ირგვლივ, დრო წინ მიიწევდა თუ ერთ ადგილას იტკეზნებოდა. იმდენი ღვინო, რაც ღლეს დალია, თბილისიდან წამოსვლის შემდეგ არ დაუღვევია, იმდენი სიტყვა, რაც ღლეს დახარჯა, მთელი გზის მანძილზე არ დაუხარჯავს. ქვეყანა, რომელსაც ხან თვალით ზომადა, ხანაც ნაბიჯებით, იზარებოდა, თავზე ენგრეოდა, მაგრამ მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნანგრევებს შორის დაღუპულიყო, გადამთიელებისთვის შეეწირა ის.

რაც მას და მის ქვეყანას სჭირდებოდა.

— მე რომ ბრალდებული ვიყო, ალბათ, ასეთ დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი ლოდინს, როგორც ახლა ვანიჭებ, — სთქვა ამილახვარმა და ერისთავის მახვილი სმენა მარტო სიტყვების აღსაქმელად კი არ მოეშადა, არამედ ფარული აზრის ამოსახსნელადც, — ყველაფერს აუცილებლობით ავხსნიდი და მართებულად მივიჩნევი, მაგრამ ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის დაახლოებით იმხელა მანძილია, რამხელაც დედამიწის ერთი უკიდურესი წერტილიდან მეორე უკიდურესს წერტილამდე. შეიძლება, სწორედ ეს უკიდურესობა ჰყოფს ქვეყანას ორ ნაწილად. ერთი ეკუთვნის იმას, ვის ხელშიც სამართალია და არაფრის ძიება არ სჭირდება, მეორე იმას, ვინც სამართალს ეძებს და ვერ პოულობს. ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო იქნებოდა, სამართალი რომ სხვადასხვა მოხელეებისა და სადივანბეგოების ხელში იყოს, მაგრამ მე მხოლოდ ერთი კაცი მდებს ბრალს და მიუხედავად იმი-სა, რომ ჩემი ბრალმდებელი უფლებამოსილი ხელშია და სასტიკი მბრძანებელია, მაინც მიჩვენია საქმე ერთ კაცთან მჭონდეს, ვიდრე სადივანბეგოებში მოკალათებულ მოხელეებთან.

— მუსლიმანებს და, ალბათ, თვით ნადირ-შაჰსაც დღემდე არ უყვართ ყადები და მათი ხელქვეითი. სპარსეთში მოსამართლეებისა და ხელისუფალთა უფლებამოსილებანი ჯერაც არ არის გამოიწული, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე სახელმწიფოებრივ დანაშაულს ეხება. შენ რომ გადასახადი არ გადაეხადა, ან რამე მოგეპარა, რა თქმა უნდა, შაჰთან არ მიგიყვანდნენ, მაგრამ მეამბოხის დასჯა და შეწყენარება მხოლოდ შაჰის ნებაზეა დამოკიდებული.

— ამბობენ, მისი შიშით ყველა კანკალებს და მასაც ყველგან შეთქმული და მოღალატე ელანდებო.

— არსად არ ბუდობს იმდენი შიში, აჩრდილები და ავი ზრახვები, რამდენიც სასახლეში.

მობიბინე ხალიჩაზე ნათელი ლაქები ჩნდებოდა და ისევ ჭრებოდა. ნაჭები ფრთებს შლიდა, ქარის ძალას იძენდა. ამილახვარმა გზას ოდნავ დაბინდული თვალებით გახედა და მის სახეზე რაღაც ისეთი გამოისახა, რაც მანამდე კანკეშ იყო დაფარული. აღგზნებულს ცოტა მოგონილ ამბად ეჩვენებოდა ამ გზის არსებობაც, შანშე ერისთავთან შეხვედრაც, ნათქვამის სიმსუბუქეც და უთქმელის სიმძიმეც. ძილში ყველაფერი ეს სხვაგვარად დალაგდებოდა და შეიძლება ისეთი რამ მოლანდებოდა, რაც შეუძლებელს შესაძლებლად გახდიდა, ან ყველას დადანაშაულებდა ანდა ყველას გაამართლებდა.

საჭურისმა ჯერ თავი წამოსწია და მხოლოდ ამის შემდეგ წამოდგა ფეხზე. მისი მჭისე ხმა ისე გაისმა მთელეშარე სამყაროში, როგორც ყორნის მოულოდნელი ჩხავილი. მუსლიმანები და ქართველები წამოიშალნენ, ცხენებს, აქლემებს და ხორცშესხმულ ქვეყანას მიაშურეს. ყველაფერი აირ-დაირია, აყაყანდა, აედერდა. გზა აღჭურვას, ტანსაცმლის ტანზე მორგებას, შემართვას მოითხოვდა, მაგრამ სხვების ფუს-ფუსი ამილახვარსა და ერისთავს არ აფორიაქებდა. ისხდნენ და მანამდე სვამდნენ და საუბრობდნენ, სანამ უნაგირები არ გამოაცალეს, სუფრა არ აალაგეს. უმეტესობას ცხენი უკვე შეეკაზმა, ჩაღვადრებს საპალნეაკიდებული აქლემები წამოეყარათ, ჯარისკაცებს იარაღი აესხათ. მოძრაობდა ყველა და ყველაფერი და ამ მოძრაობაში სიცხარე, მოუთმენლობა იგრძნობოდა.

— საქართველოში ხომ არაფერს და-მაბარებდი, გივი-ბატონო?

— დაბარებას დაბრუნება მიჩვენია. ახალგაზრდა აზნაურმა ამილახვარს შეკავშული ცხენი მოჰგვარა და სადავე ხელში შეაჩეჩა. დრო იყო თვალდათრბილი და თვალდასათრბელი ერთმანეთს გამომშვიდობებოდნენ, თავთავიანთ გზას დასდგომოდნენ.

გივი მაღულარიძე
მეამიგონი



— ჩვენი გზები რომ არ იყრებოდეს, საქართველოში რომ ერთდ ვბრუნდებოდეთ, უთქმელი, დაუღწეველი და შეუქმელი არაფერი დაგვრჩებოდა, შან-შე-ბატონო, მაგრამ რადგან ქვეყნად ქალათი არსებობს, მსხვერპლიც უნდა გამოინახოს და ამჟერად ბედმა მე გამწირა. — სთქვა ამილახვარმა და ცხენს ყბაზე ხელი მოუთათუნა.

ერისთავი თამბაქოს ეძაღებოდა, ოფლით დანამულ სახეზე ლაქები ემატებოდა.

— განწირულს სხვაგვარი ხმა და სიცილი აქვს, გივი-ბატონო. შენ ან იმის იმედი გაქვს, რომ თავს დაიხსნი, ანდა ვერ წარმოგიდგენია, რა საშინელებაა თვალების დათხრა.

ამილახვარმა შანშე ერისთავის ყორნისფერ ულავს შეავლო თვალი და უნებლიედ გაიფიქრა, სად იშოვა ამ ხეიბარმა ეს დიდებული ცხენი.

— ამ ამბავს მე ისე კი არ ვუყურებ, შანშე-ბატონო, როგორც გარკვეული მოვლენების კანონიერ შედეგს, ან ცოდვათა საზღაურს, არამედ როგორც ბედისწერას, რომლის ნამდვილ არსს აქამდე ვერავინ ჩასწვდომია.

— ბედისწერას ლოდინი და დროის გადავადება არ უყვარს, თორემ ამდენი მომდურავი არ ეყოლებოდა.

— მე რომ ავბედილობას შეჩვეული არ ვიყო, ყოველი საფრთხის შემოფეთებაზე რომ გული მეღვოდეს, მაშინ ამ გზას არ დავადგებოდი, შენი არ იყოს, მე საკუთარი ხელით გამოვიჭრიდი ყელს, მაგრამ რამდენ სასიკვდილოდ ნასროლ ტყვიას ჩაუსისინებია გვერდით, რამდენი ხიფათი და სასჯელი ამცდენია. იქნებ, ღმერთმა ამჟერადაც მიხსნას.

— ხომ გაგიგონია ქართული ზღაპარი, სადაც გამოცდილი გამოუცდელს ეუბნება, წასული ბევრი მინახავს, უკან დაბრუნებული კი არავინო.

— ქართულ ზღაპარში ერთი ყოველთვის ბრუნდება უკან და, შეიძლება, ის ერთი მე აღმოვჩნდე. მშვიდობით, შან-შე-ბატონო, თუ უკან ამ გზითვე დავ-

ბრუნდები, შენს სიტყვებს მოვუგონებ. — სთქვა ამილახვარმა მსხვერპლსთან გარიგებული კაცის ორაზროვანი ღიმილით და ცხენს მსუბუქად მოექცა ზურგზე.

იქ, სადაც მას ელოდნენ, გულჩვილი და დამთმობი არავინ დახვდებოდა. სიტყვას არავინ შეაწევდა. ეს აზრი ჩრდილივით გამოჰყვა საქართველოდან და ნელ-ნელა, შეუმჩნევლად წამლავდა, მაგრამ ამგვარი შხამი მის ძლიერ სხეულს ადვილად ვერ მოერეოდა, ისე ვერ დააუძლურებდა, რომ საკუთარი თავისათვის ეღალატა.

ქართველები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და ორ ჯგუფად გაიყვნენ. დასავლეთისაკენ მიმავალთ სულ სხვა გამომეტყველება ჰქონდათ, ვიდრე იმათ, ვისი გზაც აღმოსავლეთისაკენ მიიქცენებოდა. ამილახვარმა ცხენი ადგილიდან დასძრა და როცა მტერიან გზაზე გავიდა, უკან დარჩენილი მწვანე კუნძული უმტკივნეულოდ ჩააბარა წარსულს.

3

დახრილი, კიდევბშეწითლებული მზე სიმძიმეს კარგავდა, მოკრიალებულ ცაზე ფეხს ველარ იკიდებდა. ყოველი მრუდე თუ სწორი ხაზი პირვანდელ სიმკვეთრეს იძენდა, მოშლილი ზღვრების აღდგენას ცდილობდა. ახლა უკვე შეიძლებოდა ისე სუნთქვა, როგორც დედამიწა სუნთქავდა, იმ უთანხმოების შემცირება, რომელიც მას და დროს შორის სუფევდა. შეიძლება, ქვეყანაც ექაჩებოდა ქვესკნელის ბნელი, გრილი მარნიდან გამამხნევებელ, გამახალისებელ წვესს და მანამდე სვამდა, სანამ არ დათვრებოდა, იგივე ზომ ვილაცის შექმნილი იყო, ვილაც ისეთის, ვისაც მისთვის არაფერი უკითხავს, არაფერი აუხსნია.

გზაზე ავარდნილი მტვერი ღრუბელივით იკვრებოდა და იქეთვე მიედინებოდა, საითაც შანშე ერისთავი და მისი მხლებლები მიდიოდნენ. ერისთავთან შედარებით მას ერთი დიდი უპირა-

ტესობა ჰქონდა. შანშეს არავინ გამო-
სარჩლებია, მას კი თეიმურაზმა სოლო-
მონი გამოაყოლა და ნადირ-შაჰთან რა-
ყიში გამოატანა, სადაც მის შეწყალე-
ბას სთხოვდა. თეიმურაზის თხოვნისა-
თვის რომ შაჰს ანგარიში გაეწია, ამ
ორ ხანს ქართლში არ გამოგზავნიდა,
მაგრამ მეფისა და დედოფლის განმეო-
რებითი თხოვნა რალაცას ნიშნავდა, მის
კართან სიახლოვეზე და შეუვალობაზე
მეტყველებდა. სანამ ასეთ კაცს ჯალათს
გადასცემენ, ყველა მოსალოდნელ შე-
დეგს ითვალისწინებენ. თეიმურაზი, რა
თქმა უნდა, მისი გულისათვის შაჰს არ
წიქიკიდებოდა, მაგრამ შაჰს ქართველე-
ბის მიმართ ამდენი ნდობა არ ჰქონდა.

ყვითელი და ცისფერი სიბრტყე,
სხვადასხვადრად შეღებილ, ერთმანე-
თისავე პირშეჭეუთ თასებს რომ
ჰგავდა, ხან უახლოვდებოდნენ ერთმან-
ეთს, ხანაც ისე შორდებოდნენ. რომ
უზარმაზარ ბზარში ჩაუქრობელი ცეცხ-
ლის სიკაშკაშესთან ერთად მარადიული
ჩრდილიც იჭრებოდა. შემდეგ ყვითე-
ლი თასი ცოცვას, რყევას იწყებდა და
კიდევები ისე აცვდებოდა, თითქოს
ვიღაც ბასრი კბილებით ღრღნიდა.
ტყვე რომ არ ყოფილიყო, ცხენს
დებს შემოკრავდა, გააჴენებდა, გაა-
ხელებდა, ეცდებოდა ამოეწურა, დაე-
კეცა დაუქცეავი სივრცე, თუ ყველა-
ფერს ვერ ზიდავდა, იმას მაინც მიი-
ტანდა ქვეყნის დაღრღნილ კიდემდე,
რასაც ედავებოდნენ, მაგრამ, რო-
გორც კი ცხენს მათრახს შემოკრავ-
და, უკან მომავალიც მაშინვე აყი-
ვინდებოდნენ, იარაღს მოიმარჯვებდ-
ნენ და დასაჴერად დაედევნებოდნენ,
შემდეგ, რამდენიც არ უნდა ემტკიცე-
ბინა, გაქცევა არ მინდოდაო, მაინც
არავინ დაუჴერებდა.

ამილახვარმა ცხენი ნებაზე მიუშვა
და როცა რომელიღაც საგნის მეორე-
საგან გამოცალკევება გაუჴირდა, მიხ-
ვდა, რომ დანაწევრებული ღროიდან
კვლავ ამოირეცხა აწმყო. ციხე გატე-
ხილი, კედელმორღვეული იყო, მაგ-
რამ აღება კედელმორღვეულ ციხესაც

უნდოდა და თეიმურაზმა ზედმეტ
სისხლისღვრას მისი კიდევ ერთი
რობის შესრულება, თამარ დედოფ-
ლის თბილისიდან სურამში ჩამოყვანა
ამჯობინა. თამართან შეხვედრა იმი-
ტომ ისურვა, რომ კეთილი, გონიერი
ქალი იყო, ქართლის ტახტი მემკვიდ-
რეობით მას ეკუთვნოდა და, რაც მთა-
ვარია, ნადირ-შაჰთან უფრო ადვილად
პოულობდა საერთო ენას, ვიდრე თეი-
მურაზი. წინასწარ ძნელი იყო იმის
თქმა, დატყვევების შემდეგ როგორ
მოექცეოდნენ სპარსელები და მტრუ-
ლად განწყობილი ქართველები, მაგ-
რამ როგორც არ უნდა მოქცეოდნენ,
რა ბრალდებაც არ უნდა წაყენებინათ,
თამარი მისი განუხჯელად დასჯის, ძალ-
ლივით მოკვლის უფლებას არავის მის-
ცემდა, წინ აეფარებოდა. ამიტომაც
აღარ ზარავდა მორღვეული კედლის
ცქერა, ფართო ლიობიდან სინათლის
მსხვილი ნაკადი იჭრებოდა და მოპირ-
დაპირე კედლის მარჯვენა კუთხეს ეცე-
მოდა, ქვის სიპირქუშეს არბილებდა,
ჯარისკაცები უსაქმოდ დაბორილებდ-
ნენ, იცოდნენ, რომ დაფერდებულ,
გვერდგამონკრეულ ხომალდზე დიდ-
ხანს ვერ დარჩებოდნენ, მაგრამ მო-
უთმენლობას არ იჩენდნენ, ციხიდან
არ გარბოდნენ. მხოლოდ ერთი ჯმუ-
ხი, მტკვარგადმელი აზნაური დაადგა
ამას წინათ ქვაზე ჩამომჯდარს თავზე
და ჯიუტად ჰკითხა:

— რას აპირებთ, გივი-ბატონო?

მტკვარგადმელ აზნაურს სიჩუმე,
ლოდინი და გაუარკვევლობა უფრო
აფრთხობდა, ვიდრე ხელჩართული
ომი.

— ბრძოლა წაგებულა, ჩემო გი-
ორგი, საფიქრებელი ახლა მხოლოდ
ისაა, რომ რაც შეიძლება ნაკლები
მსხვერპლი გავიღოთ.

— ჩააბარეთ ციხე და მსხვერპლსაც
ნაკლებს გავიღებთ.

— ჯერ ადრეა. ამ კედელმორღვეუ-

გივი მაღულარიძე

მიამგომინი

ლი ციხის ფასად რამდენიმე თავის გამოსყიდვა შეიძლება. სანამ კაცს მტერთან დაზავების მცირედი შესაძლებლობა მაინც აქვს, დანებება სისულელეა.

— მე თუ შემრჩება თავი მხრებზე? უნდოდა ეთქვა, მაგ გასიებულ თავს ის ფასი არა აქვს, რასაც ადებო, მაგრამ ამ მოუხეშავ კაცთან ლაპარაკს მისი თავიდან მოცილება ერჩია.

— ნუ გეშინია, სანამ ცოცხალი ვარ, მაგ თავს არაფერი ემუქრება.

უკმაყოფილებას სხვებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ ხელალებით გამოწვევას ვერავინ უბედავდა. მას ჯერ კიდევ შესწევდა იმის ძალა, რომ ურჩნი აელაგბა.

თეთრი, დედოფლის საკადრისი კარავი იმავე ადგილას გაშალეს, სადაც გასულ წელს თეიმურაზს შეხვდა. სურამის მაცოცხლებელი ჰაერი ღენთის სუნისა და მტერისაგან გაიწმინდა. ცის მსუბუქი თალი და ზურმუხტოვანი ტყე-ველი ძველი მტრობის დავიწყებას, სიცილს, სიხარულს, კაცთა შორის თანხმობას მოითხოვდა, მაგრამ ბუნების ეს ძახილი, ალბათ, იმათ ყურამდე არ აღწევდა, ვინც დაბლა ელოდა. თუმცა, რით ამოავსებდა გალმობიერებულ-განათიფებული ქვეყანა უკან დარჩენილ ნატერფალსა და ნამუხლარს, რით შებოჭავდა იმათ სულს, ვისაც მისი სულის შერყევა და მოდრეკა სურდა. ჯერჯერობით მხოლოდ გაშლილ კარავს და აღჭურვილ, მორთულ-მოკაზმულ მტრებს ხედავდა, რომლებიც მასთან შესახვედრად ზარ-ზეიმით ემზადებოდნენ.

ადევნებული ჩრდილი ისე დაგრძელდა, რომ გზას გასცდა და ველზე გაიჭრა. ამილახვარმა მწუხრისაკენ პირშექცეული დღის უღლეურობა იგრძნო, ბეჭებში მოიხარა, ცოტათი დაცხრა. სველი პერანგი ტანზე ეწეებოდა, ზურგს უჭაობებდა, მაგრამ საცვლებს მანამდე ვერ გამოიცვლიდა, სანამ გზაზე ფუნდუკი ან ქარვასლა არ შეხვდებოდა, კარს, კედელს ან

ფარდას არ ამოეფარებოდა. სადაც წაუკითხავს, ბაღდადელი ჩაუფიქრებელი დამნაშავეს დასჯის წინასწარ ახალს აცმევდნენ, მდიდრულად მოსავდნენ და ბუკის ბლაგილითა და ნალარის ცემით ალ-მანსურის მოედანამდე მიჰყავდათ, სადაც მსხვერპლს წითელ, უსახელო ჯუბაში გამოწყობილი, ქანდაკებასავით დადუმებული ჯალათი ელოდა. ხალიფებისათვის დამნაშავეს დასჯა მარტო განაჩენის აღსრულება კი არ იყო, არამედ დიდი სანახაობაც. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, მბრძანებელთა სისასტიკე გაათქვცდა, მაგრამ კაცის საჯაროდ დასჯამ და მოსისხარე მტრების შერიგებამ სანახაობითი სახე მაინც არ დაკარგა.

იმ დილით მოსირმული ჩოხა ჩაიცვა, მაღიანად ისაუბმა და ციხიდან შეუქურველი გავიდა. თაღაცვაზე, უკან დაბრუნებაზე ფიქრი ზედმეტი იყო, ამდენი თვალთმაქცობის თავი აღარ ჰქონდა. რაკი ბედმა უმტყუნა, სჯობდა ჩაჰყოლოდა, თავის ფეხით მისულიყო იმათთან, ვისთანაც დატყვევების შემდეგ ძალით მიათრევდნენ. სიტყვა, სიტყვი, აზრის სიცხადე და ბუნდოვნება მახვილ კუთხეებს ცოტათი შეარბილებდა, დიწყოებოდა ამბების სხვაგვარად დალაგება, ცოდვათა შემსუბუქება, ურთიერთგამომრიცხავ მოვლენათა გაზვიადება, ერთი სიტყვით თავის მართლება, რის უფლებაც ყველა მოკვდავს აქვს, რადგან დამნაშავე არასოდეს არ ყოფილა მარტო ის. ვისაც ადანაშაულებენ.

სწორედ ამის იმედი ჰქონდა, როცა კარვისაკენ მიაბიჯებდა. თუმცა უყურადღებოდ არც სხვა მოსაზრებებს ტოვებდა, განსაკუთრებით ერთ ნათელ აზრს, რომლის საფუძვლიანობაში ეჭვი არ ეპარებოდა. თამარი და თეიმურაზი აუცილებლობას ემორჩილებოდნენ, თორემ ყიზილბაშები მასზე ნაკლებად არ სძულდათ და ამიტომ სპარსელებთან ნაომარ კაცს ასე ხელალებით, უღვთოდ არ გასწირავდ-

ნენ, მანამდე არ გაიმეტებდნენ სასიკვდილოდ, სანამ ნადირ-შაჰი ან მის დასჯას არ მოითხოვდა, ანდა ისპაჰანში არ დაიბარებდა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დრო იღუპა. მიჯნებისაკენ გადაჩოქდებოდა და გონზე მოსვლის, ახალ საფრთხესთან შეგუების შესაძლებლობას მისცემდა. თეიმურაზს მხოლოდ ერთი რამ შეეძლო ესაყვედურებინა, ჩემი გამეფების შემდეგ რატომ არ შესწყვიტო ბრძოლა, მაგრამ ამ ბრალდების შემსუბუქებას როგორმე მოახერხებდა.

გზა მარჯვნივ უხვევდა, აღმართს მიჰყვებოდა, კლდეებისაკენ მიემართებოდა. შორს, ცის დასალიერთან შიშველი კედელი მძიმე, დანაოჭებულ ფარდასავით ირხეოდა, თანდათან მუქდებოდა და მიღმა მდებარე ქვეყანას — ტყეებს, მდინარეებს, სოფლებს და ქალაქებს ფარავდა, ფარავდა ყველაფერს, რაც დაღლილ, უძინარ თვალს ენატრებოდა, რაც მუდამ ან სათხოვნელი, ან სადავო, ან ძალით დასასაკუთრებელია, მაგრამ ახლა არც დავის უფლება ჰქონდა და არც რაიმეს ძალით დასაკუთრების. ჯერ ის უნდა მოენელებინა, რისთვისაც პასუხს სთხოვდნენ.

კარავში მეფე-დედოფლის გარდა ქართველ და სპარსელ დიდებულებსაც მოეყარათ თავი. ამდენი ხალხის დანახვა არ ესაიმოვნა, არ უნდოდა მოწმეთა თანდასწრებით ეთქვა ის, რაც სათქმელი არ იყო, მაგრამ წარბი არ შეუხრია, ღიმილი არ გამრუდებია. მასზე ძლიერი და ახოვანი ირგვლივ არაფერ ჩანდა. შეიძლება ეს იყო იმის მიზეზი, რომ მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ, სახეში შეაჩერდნენ. დიდებულთა ამ საკრებულოში პირველი სიტყვა მას უნდა ეთქვა პირველი ნაბიჯი მას უნდა გადაედგა, მაგრამ სანამ ადგილიდან დაიძრებოდა, ვილაცისთვის თვალი უნდა გაესწორებინა და მან დედოფალი აირჩია. ამის შემდეგ სხვები მხოლოდ მოწმეებად იქცნენ. თამარი უკვე დიდდა იყო, ორი

თუ სამი შვილიშვილი ჰყავდა, მაგრამ რამ მაინც ახალგაზრდა, მიმზიდველი ჩანდა. უხდებოდა ტახტზე ჯდომა, დედოფლობა. ოდნავ მამაკაცური შებლი, სანდომიანი სახე და ბევრი უბედურების მომსწრე, ჭკვიანი თვალები სიივესა და სისასტიკეს გზას უღობავდნენ, უგუფურთაგან თმენასა და განსჯას მოითხოვდნენ. ქართლი მარტო სამფლობელო კი არ იყო მისი, არამედ დიდი, გაღარიბებული ოჯახიც, რომლის დასაცავად, გამოსაკვებად და მოსაღონიერებლად თავს არ ზოგავდა, ქართველებს სახლშიც ესარჩლებოდა და სახლს გარეთაც. ამიტომაც უყვარდა დიდსა და პატარას, ყველა გაჭირვებული მის კალთას ეფარებოდა. შანშე ერისთავი მან გამოსთხოვა ნადირ-შაჰს და არა თეიმურაზმა.

ფეხშებორკილი, მოუქნელი არასოდეს ყოფილა და ამიტომ თამამად, უკან მოუხედავად დაიძრა ტახტისაკენ. თამარი მარტო დედოფალი კი არ იყო მისი, არამედ სისხლით ნათესავიც და სიყრმის მეგობარიც. რამდენჯერ ურბენიათ უთამაშიათ ერთად, რამდენჯერ წაჩხუბებულან და ისევ შერიგებულან. დღეს კიდევ ერთხელ უნდა შერიგებულიყვნენ და იგი დარწმუნებული იყო, რომ დედოფალი პირს არ მოარიდებდა, ბედის ამარა არ მიატოვებდა. სანამ ხმას ამოიღებდა, თამარის წინ მუხლი მოიყარა, კალთაზე ემთხვია, შემდეგ მკერდიდან პატოსანი თვლებით შემკული, ცხოველყოფელი ჯვარი მოიხსნა და დედოფალს აჩუქა. მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა კარავში მისი ძლიერი, მკვეთრი ხმა. ლაპარაკობდა ქვეყნისა და არსებობის შეუსაბამობაზე, თავისუფლებაზე, შესაძლებლობათა გადაფასებაზე და შეცდომებზე, ლაპარაკობდა ისე, რომ არც სხვებს ადინაშაულებდა და არც საკუთარ თავს, არც არავის იწვევდა და არც არავის

გივი მაღულარიძე
მთაწმინდა



უპირისპირდებოდა, რადგან ცოდვების მონანიება კარავში თავმოყრილ დიდებულებს დანაშაულის აღიარებად კი არ უნდა მიეჩნიათ, არამედ მისი დაუდგარი ხასიათის კიდევ ერთ უხიავობად. და ეს ასეც მოხდა. სითამამემ, ცხოვრებასთან პირისპირ შეხვედრის უნარმა და აკინძულ სიტყვათა ძალამ ჯარემო და დიდებულები მის სასარგებლოდ განაწყო. დედოფალს თვალები გაუბრწყინდა, თეიმურაზმა გვერდზე დაიწყო ყურება, სპარსელი დიდებულები კი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მისი ბედის გადაწყვეტა მათი საქმე არ იყო.

მოწინააღმდეგესთან შეხვედრას რომ დაზავების ხასიათი ჰქონოდა და არა გამარჯვებულის მიერ დამარცხებულის დატყვევებისა, თამარსა და თეიმურაზს მოსთხოვა უვნებლობა აღეთქვათ, ხატზე დაეფიცებინათ, რომ არაფერს დაუშავებდნენ. თეიმურაზი ცოტათი აიშირბა, მაგრამ თამარს ყოყმანი არ დაუწყია. ფეხზე წამომდგარმა ხატი მოითხოვა და როცა მოგვარეს, პირვეარი გადაიწერა, ხატის წინ მუხლი მოიყარა და ფიცი სამჯერ გაიმეორა. მარცხით გამოწვეულმა კმუნვამ კვლავ იცვალა ფერი, კიდევ ერთხელ გარდაისახა სიხარულად. ქართველი თავადები ხელს ართმევდნენ, მეფედედოფალთან დაზავებას ულოცავდნენ. თამარმა და თეიმურაზმა სუფრის გაშლა ბრძანეს, მისი სახლთუხუცესად დანიშვნა იქვე გადასწყვიტეს და სპარსელ დიდებულებთან შეარიგეს. მინდვრები, ტყით შემოსილი ფერდობები, ყველაფერი, რასაც მინაბული ცა ზემოდან დაჰყურებდა, იმედიანად სუნთქავდა, მარადისობისაკენ ისწრაფოდა და მასაც თან მიაქროლებდა, ავებელითობას და მარცხს ავიწყებდა. მიწა, მთელი ამქვეყნიური სიბინძურისა და სიწმინდის, ავისა და კარგის დამტევი მიწა, გულზე კი არ ეყარა, არამედ ფეხქვეშ ეგებოდა და ახალი გზებისა, ხიფათისა, სიხარულისა და მწუხარებისაკენ მიუძღოდა.

● თბილისი ზარების რეკავშირით ზამთრით და ნადრევი ნაფხულის მომთენთავი სიცხით შეეგება. ქალაქი გამოცოცხლებულიყო. გაზრდილიყო, მალეასა და მარხვას გადასჩვეოდა. ქუჩებში თათრულთან და სომხურთან ერთად ქართულიც ისმოდა. შავი თვალები და მუქი ფერის კანი ვეღარ ჩრდილავდა თეთრ კანსა და ლურჯ, თაფლისფერ ან ჭროლა თვალებს. ყველა ეკლესია აღდგენილი და შემკული ჩანდა, ყველა სახლი გადახურული და მდგმურებით სავსე. სამქროებიდან უროს ცემა, ჩარხის ჭრიალი და ხელოსნების ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ბაზრისაკენ ერთად მიედინებოდნენ აქლემები, ცხენები, სახედრები, ადამიანები, ძაღლები, იმედი, უიმედობა, გამდიდრების სურვილი და ლუკმაპურზე ოცნება. ნათელი დღის ცხოველმყოფელობა ბრბოს ამხნევებდა, აგულუხვებდა, აყაყანებდა. ქალაქი ჩვეულ წეს-ადათებს ემორჩილებოდა, მაგრამ ყოველი სახლის სარკმელიდან აღმოსავლეთი იცქირებოდა, ყოველი თალი ისე იყო მომრგვალებული, როგორც ნახევარმთვარე. საუკეთესო სისხლი საქართველოს აღმოსავლეთმა გამოსწოვა და ახლა თავის გავლენასაც ახვევდა ნაძალადევად თავს. ჩოხის ნაცვლად მოქალაქეებს თალხი ფერის, ფართო ტანსაცმელი ეცვათ, ღუქნებში ქართული, ომახიანი სიმღერების ნაცვლად აღმოსავლური სევდით გამსჭვალულ, გამყვიან ბაიათებს მღეროდნენ, მოჩხუბარნი სპარსულად ან თურქულად უფრო ხშირად ავინებდნენ ერთმანეთს, ვიდრე ქართულად. ქართველებს ჯერ კიდევ უძნელდებოდათ მიწიდან აყრა, ქალაქში გადასახლება, რადგან მიწის დათმობა ქვეყნის დათმობას უდრიდა. აღმოსავლეთის სუნსა და სიბილწეს მხოლოდ ეკლესია გადაურჩა. ისლამმა ჯვარი ვერ შემუსრა, ვერ ამოძირკვა.

ამილახვარს თავის მობრუნება არ დასჭირებია იმისათვის, რომ მიმხვ-



ღარიკო, ვინ ვის გვერდით მოდიოდა და ვინ ვის ელაპარაკებოდა. ზოგჯერ მის სმენამდე მთელი წინადადების აზრიც კი აღწევდა. საჭურისი გრძელ ამბავს ჰყვებოდა, იგონებდა ბავშვობას, მისი მომხრეების ტახტისათვის ბრძოლას, დამარცხებას, დასაჭურისებას, განდევნას, სტამბოლში, ბეირუთში, დამასკოში და ქაიროში გატარებულ დღეებს, ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეებთან შეხვედრას, ელჩობას, აღზევებას, უსამართლოდ შერისხევას, მამულის დაკარგვას, უკანვე დაბრუნებას და კვლავ აღზევებას. ყველაზე მეტად ნადირ-შაჰს ემაღლიერებოდა. აქლემების ეყვანთა ჟღარუნი და უწყლო ველები უსაზღვრო მღუშარება ისე ეხამებოდა უსიამო ბგერებს, რომ სინამდვილეს არაამქვეყნიურ სამოსელში ახვევდა, დაღლილებს და დაუძლურებულებს ბნელ თავშესაფარს სთავაზობდა. ამ თავშესაფარში ცხენი და კაცი თვალდახუჭულნი უნდა შესულიყვნენ, მაგრამ სიბნელის ცქერით მას შემდეგაც იჭერებდა გულს, როცა თვალებს დათხრიდნენ.

თბილისმა მისი დაბრუნება არც იუყადრისა და არც იუცხოვა, ისე შეეგება, როგორც ახირებულ, თავზე ხელაღებულ შვილს. მოქალაქენი ხმამალა ესალმებოდნენ, თავადები სადილად პატიუებდნენ, წინასწარ გამოსყიდულ სასახლეში ცოლი და ნათესავები ელოდნენ, მთელ იმედს მასზე ამყარებდნენ. იგი კვლავ საჭირო, ანგარიშგასაწევი კაცი იყო, მღელვარე ზღვამ ვერ შთანთქა, ვერ მოაშთო. მაგრამ გულს ის უკლავდა, რომ ოთხ შვილში ერთი არ შერჩა, უძეოდ უნდა გადაგებულიყო. მიწა, მიწა და მარტოობა იყო მისი წილხვედრი ამქვეყნად, მისი მემკვიდრე და მესაიდუმლე. შეიძლება ნათია ჯერ კიდევ ამშვენებდა შაჰის ჰარემს, შეიძლება მოუწოდებელი მოინელა და დაქწრობას აყვავება ამჯობინა, მაგრამ ნადირ-შაჰის მეუღლე მისთვის სულიან-ხორციანად დაკარგული იყო. მეორე ქა-

ლიშვილი, ირაკლი ბატონიშვილის სატრფო და სასძლო, გათხოვებამდე გარდაიცვალა, ორი უწლოვანი ვაჟი კი აჯანყების შემდეგ დაეღუპა. ამიტომაც უჭირდა ცოლთან მარტო დარჩენა, მასთან საუბარი. ერთი შვილი როგორ ვერ იხსნა, ვერ გამოსტაცა სიკვდილს კლანჭებიდან. შეიძლება იმ დღეს, როცა მათ მიწას აბარებდნენ, ან ღვინოს სვამდა, ანდა სისხლს ღვრიდა, შეიძლება სიკვდილმა იმისთვის დაინდო, რომ მის გულში მეტი მწუხარება დაეთესა, დაეძაბუნებინა, ლეშად ექცია. მის მოთოკვას, მოტეხას მტერიც ცდილობდა და მოყვარეც, ცხოვრებაც და სიკვდილიც, მაგრამ სხეული არ ძაბუნდებოდა, სული არ იდრიკებოდა. იმ საღამოს ქაიხოსრო ორბელიანს ეწვია, გათენებამდე სვა, ილაპარაკა, იოხუნჯა და დილით ისე გამოცხადდა მეფის კარზე, თითქოს საკუთარ ოჯახში გამოიძინა.

ფერისცვალება სულში გაჩენილ უდაბნოს მოსავდა, ნიღბავდა, მაგრამ სინამდვილესთან შეგუება მაინც ჭირდა. განაჩენი საფრთხისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ გარდუვალობის ბეჭდით იყო დადაღული და ბრალდებულს იძულებულს ხდიდა მონაწილეობა მიეღო მთელ იმ საშინელებაში, რაც დასჯას წინ უძღვის. სამოსშემოძარცულს, ჯაჭვით დაბმულს კი არ უნდა ეყვირა და ეტირა, არამედ უხმოდ, ამაყად აეტანა ტკივილი და წამება, ჯალათებისათვის წინააღმდეგობა კი არ უნდა გაეწია, არამედ მიხმარებოდა, გაედვილებინა მათთვის საკუთარი თვლები დათხრა. თავის მოკვეთას თვლების დათხრასთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ცულის მოქნევის შემდეგ დასჯილისათვის ყველაფერი ერთბაშად თავდებოდა. თვალდათხრილისათვის კი სწორედ დასჯის შემდეგ იწყებოდა აუტანელი ტანჯვა.

გივი მაღულარიძე
მეამბოხენი



ამილახვარმა ხელი ისე მოიქნია, თითქოს აბეზარ მწერებს იგერიებოდა ცხენი შუა გზაზე გაიყვანა. ყოფიერების ზღვარი არც წინ ჩანდა და არც უკან, მაგრამ უკან დარჩენილი ცხოვრება ნაკლებად ბუნდოვანი იყო, მსხვერპლს არ თხოულობდა და კარს მხოლოდ ძველ ნაცნობებს უღებდა. სახლთუხუცესობა საკმაოდ თავსამტკრევი, პასუხსაგები თანამდებობა იყო, მაგრამ საარფიანიც, სახელმწიფოს ძთელი შემოსავალი და გასავალი მის ხელში იყრიდა თავს, მის დაეთრებში ინუსხებოდა, რისთვისაც გასამრჯელოდ შემოსავლის ერთ მეათედს უხდიდნენ. სამაგიეროდ ჯაფაც დიდი ადგა. საჭირო იყო ძველი მოხელეების დათხოვნა, ქურდების აღაგმვა, ხარკამკრეფლების, აღმრიცხველებისა და მოლარეების შერჩევა, სახელმწიფო წელში იმართებოდა და მხარის აბმა, მხარში ამოდგომა სჭირდებოდა. ერთი თვის შემდეგ საქმე ცოტათი გამოსწორდა, უგზო-უკვლოდ არაფერი იყარებოდა, უანგარიშოდ არაფერი იფლანგებოდა, მაგრამ სწორედ აქ წააწყდა იმას, რასაც შეკრული წრე ჰქვია. ამ წრის გარღვევა, გადალახვა ვერაფრით ვერ მოახერხა. როგორც კი რომელიმე მოხელე თავს გამოიჩენდა, მაშინვე აწინაურებდა, ჯამაგირს უორკეცებდა, მაგრამ დაწინაურებულთა უმრავლესობა თვალსა და ხელს შუა ოხრდებოდნენ, ურცხვად თვალთმაქცობდნენ და არაფრის მაქნისინ აღარ იყვნენ. ათ კაცში მხოლოდ ორი თუ სამი აკეთებდა საქმეს, დანარჩენები კი ჯამაგირს ტყუილად ლებულობდნენ და იმ ორ-სამ კაცს მუშაობაში ხელს უშლიდნენ. ეს რომ კანონზომიერი მოვლენა იყო, მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა ერთი და იგივე ამბავი რამდენჯერმე განმეორდა. მას შემდეგ ხელაღებით, დაუფიქრებლად არავინ დაუწინაურებია, უმიზეზოდ არავინ დაუთხოვია სამსახურიდან. მხოლოდ ქურდობის უფლებას არ აძლევდა არავის. იგი რომ დიდი

სახელმწიფოს სახლთუხუცესი უთქოლიყო, უამრავი ხელქვეითი რომ ჰყოლოდა, მაშინ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა სახელმწიფოში, რომლის შემოსავალი მეფის კარის შესანახად ძლიერ კმაროდა.

გაფითრებული მზე ლაქებით იფარებოდა, ცის კიდეურს ეტმასნებოდა, ბორცვთა ჩრდილები იზრდებოდნენ, სიმკვეთრეს იძენდნენ, სამოციქულოდ ემზადებოდნენ. დამწუხრებული, განაცრისფრებული დრო ნაცემ ძალღლივით მიძუნძულებდა შარავნაზე და დასიცხული სიმბურვალეს ანთხევდა, სიბნელეს ნირწამხდარი ეგებებოდა. განწყობილების ცვლა თითქოს არაფერს არ ცვლიდა, მაგრამ შედამები-სას უფრო მგრძნობიარე, უფრო ადვილად დასათრგუნი იყო. ყველაფერი, რაც აღრე მესხიერების სხვადასხვა კუნჭულში ფართხალებდა, ამ დროს ერთად იყრიდა თავს და მწარე ფიქრებს ასაზრდოებდა. რა უნდა ენახა ან ამ, ან სხვა გზის ბოლოს ტკივილისა და უაზრობის მეტი, რა სიკეთეს ელოდა მომავლადვი მზის ქვეშ გაიზომული ბებერი დედამიწისაგან, რომელსაც მალე თვალითაც ვეღარ დაინახავდა.

— რაკი ეს უდაბნო გამოვიარეთ, ღია ცის ქვეშ ღამის გათევა აღარ მოგვიწევს. — უთხრა საჭურისმა ახალგაზრდა თავადს და ალაპი ახსენა.

იმ მხრიდან, სადაც კლდე კედელივით იყო აღმართული, გრილმა ნიავმა დაუბერა და თან რაღაც ნესტის სუნის მაგვარი მოიტანა. ნახევრად ჩასვენებული მზე ისე თრთოდა, როგორც უეტრად გაწყვეტილი აზრი და როცა წამიერად გამჭრალი ქვეყანა კვლავ გამოიკვეთა, მესხიერება თბილისის მკრთალ კონტურებს ჩაებლაუქა. ის სასახლე, რომელიც მათ სავარჩეულოს ეკუთვნოდა, ორჯერ ჰქონდა გაყიდული და გამოსყიდული. ყილდა მაშინ, როცა თბილისში არ ედგომებოდა და ყიდულობდა, როცა უკან ბრუნდებოდა. ახალი პატრონის ხელ-

ში სასახლეს თუ ემატებოდა რამე, თორემ არაფერი აკლდებოდა. მეფე-დედოფალმა მამულიც უკლებლივ დაუბრუნეს. კახეთში გახიზნული სამი ათასი ყმა ქართლში გადმოიყვანა, თავთავიანთ სოფლებში დაასახლა და ორი წლით ხარკისაგან გაანთავისუფლა. ყველაფერი ისე ეწყობოდა, როგორც ცხოვრებაში არ ხდებოდა. იმის მაგივრად, რომ დაესაჯათ, აწინაურებდნენ. იმის მაგივრად, რომ თვალყური ედევნებინათ, ყველგან თავისუფლად უშვებდნენ, მაგრამ მოსვენებას მაინც ვერ პოულობდა, გული არც სახლში უდგებოდა და ვერც გარეთ იქარებდა მოწყენილობას. ოთხი წლის გამუდმებულმა ბრძოლებმა, ყოველდღიურმა საფრთხემ, მოუცულობამ და მოუსვენრობამ მშვიდ, აწონილ-ლაწონილ ცხოვრებას გადააჩვია, ბევრი რამ გააუფასურა ისეთი, რის უფლებებელყოფაც ცხოვრებას ერთფეროვანს ხდის. ვეღარ იტანდა ზერელე, უთავებოლო საუბარს, საზოგადოებაში ან ჩუმად იჯდა, ან მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა, რაც მასპინძელს და მის სტუმრებს აღიზიანებდა. ცოლს ვეღარ ეყარებოდა, ქალიდან მოუჩაგეს ახალგაზრდა, ლამაზი ყმა გოგო ჩამოაყვანილა, ხარკად დაისვა, მაგრამ ქალს ისეთი რიდი ჰქონდა მისი, რომ საწოლშიც კი ვერ იღებდა ხმას. ერთ თვეში რაღაც დაირღვა და ის ქვეყანა, რომელიც მისი სამოქმედო ასპარეზი, მისი სარბიელი იყო, ხელიდან ეცლებოდა, საკუთარი თავის ამარა ტოვებდა. მარტობამ გულჩათხრობილი გახადა, წვერში თეთრი გაეჩია, სახის ფერი შეეცვალა. ამგვარ დარჩევებს, ნაადრევად დაბერებას მისი ბუნება ვერ ეგუებოდა და როცა გული ყელში მოებჯინებოდა, სანადიროდ გარბოდა, ჯავრს კურდღლებზე, ტახებზე და შვლებზე იყრიდა.

კლდის უკან კიდევ უფრო მაღალი კლდე აღიმართა და სივრცე წახნაგებით დასერა, ბუნდოვანი და ცხადად

გამოკვეთილი წახნაგებით, რაც გარემოს სახეს უცვლიდა, ამახვილებდა მცირე ხნის შემდეგ ეს ხელოვნური შექმნილი, სივრცეში გამოკიდებული სამყარო ისევ ირღვეოდა და თვალს ხელახლა უხდებოდა მათი ერთმანეთთან დაკავშირება, დალაგება, ქაოსიდან გამოყოფა. ამასვე აკეთებდა თბილისში, როცა აივანზე გამოსული მტკვარს გადაჰყურებდა და უხეიროდ ნაგები ქალაქის ერთ საგნად შეეკრას, ერთ მუქში მოქცევას ცდილობდა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სადაცაა დაეუფლებოდა და საუფლებელს, მაგრამ როგორც კი ჩრდილები ადგილს მოინაცვლებდნენ ან თვალი განზე გაეჭიქოდა, ქალაქი თავის პირვანდელ სახეს იბრუნებდა და სხვაგვარად დალაგებას თხოულობდა.

აივანზე ხშირად იმიტომ გამოდიოდა — განსაკუთრებით ნაშუალამევს, როცა ქალაქს ეძინა და ყოველი ბგერა წინათგრძნობას ან მატებდა რამეს ანდა აკლებდა, რომ ხვალინდელი დღის იმედი არ ჰქონდა. თეიმურაზი და თამარი საბოლოოდ შეურიგდნენ, პატივს სცემდნენ, რჩევას ეკითხებოდნენ, მაგრამ ნადირ-შაჰი, რომელსაც ქვეყნად გამკითხავი არ ეგულებოდა, ამბოხებას, ფიცის გატეხვას, აბუჩად აგდებას არ აპატიებდა, სპარსელების სისხლის დაღვრისათვის ან თავს მოითხოვდა მისას ან თვალებს. მარიობის თვემდე სპარსეთიდან არაფერი ისმოდა, წარსული ცოტათი დავიწყებასაც კი ეძლეოდა, მაგრამ მარიობისთვის დამდეგს ისპაჰანიდან ეს ორი ხანი ჩამოვიდა და ყველაფერი ისევ აგორდა, აბორგდა.

მზის ჩასვლის შემდეგ დროის ყველა საზომი გაქრა და მთვარის ამოსვლამდე ცა ისევ მითრვებული იქნე-

გივი ღალულარია
მეაგოიანი

ბოდა, როგორც ქართლის ნასახლარები. ვალმოხდილი დედამიწა ბუნდოვანებით იმოსებოდა, კლდესა და კლდეს შორის ლამის შავი პირი მოსჩანდა. ლამის შავ პირს დაბადების დღიდანვე იცნობდა, რადგან თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც მისი ძე, მისი ნათლული იყო. რაც ლაშქრობაში, ღვინის სმაში, სიყვარულში და ხეტიალში ღამე უთევია, რაც ნათელისათვის წაუტრთმევია და ბნელისთვის მიუტრთმევია, გასაფლანგავადაც კმაროდა და გადასანახავადაც.

იმ საღამოს ბნელი ისეთივე მწუხარე ჰანგებს ღლინებდა, როგორი პირიც ჰქონდა. ისპაჰანიდან ჩამოსული ხანები დედოფალს ეწვივნენ, ნადირ-შაჰის რაყიმი მიართევს და შერა ცისკენ აღაპყრეს. დედოფალმა გრაგნილი გახსნა და გაფითრდა. შაჰი მეფე-დედოფალს სწერდა, გივი ამილახვარს ან მანდ დათხარეთ თვალები, ანდა აქ, სპარსეთში გამომიგზავნეთო. წალმა მბრუნავი ჩარხი ერთ წუთში უკულმა დატრიალდა. თამარს არც დაბრმავება სურდა მისი და არც ისპაჰანში გაგზავნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ამიტომ ერთ-ერთი უნდა აერჩია. არჩევას დიდი ფიქრი და გამჭკრიახობა არ სჭირდებოდა. დედოფალმა იქვე, მათივე ენაზე განუცხადა შაჰის დესპანებს, ამილახვარს მე ვერ დავსჯი, უვნებლობის ფიცი მაქვს დადებული, მრდიო მასთან და საქმე თქვენ თვითონ მოაგვარეთო. ხანებს სხვა არაფერი უნდოდათ, დედოფალს მადლობა გადაუხადეს და დარბაზი დასტოვეს.

ნიავემა მიმართულება იცვალა, ჩრდილო-დასავლეთიდან დაუბერა და ამილახვარმა გაოფლიანებული ცხოველებისა და სველი ტყავის მძაფრი სუნი იგრძნო. ძილი არ ეკარებოდა, დღისით წოლას და თვლემას ჩვეული არ იყო, მაგრამ წელის ტკივილს და მოხრილი მუხლების ბეუილს კარგა ხანია გრძნობდა. გრილი ნიავე ზურგ-

ში სცემდა, პერანგი ტანზე აშრებოდა, მხლებლები უხმოდ მოქანდაკდნენ გზას. ცხელმა დღემ გალახა, დაღალა, მაგრამ ვერც დაჯახნა და ვერც წარსული გამოსტაცა ხელიდან.

ხანები მხოლოდ მეორე დღეს ესტუმრნენ. საჭურისს აღრეც იცნობდა, შაჰის კარზე შეხვედრია, ახალგაზრდა თავადს კი პირველად ხედავდა, მისი არც ვინაობა იცოდა და არც სადაურობა. მიუხედავად ამისა, მაინც გულლიად, თავზიანად მიიღო, ტახტი და ბალიშები შესთავაზა. სტუმრის გულის მოგება, მოთვინიერება არ უჭირდა, სუფრას ხშირად მახედ იყენებდა, მაგრამ ხანებმა საფრთხე იგრძნეს და საქმეს შეუდგნენ. საჭურისი მარჯვენა მხრიდან ამოუდგა გვერდით, ახალგაზრდა თავადი მარცხნიდან, მარჯვენა ცერზე ერთმა მოჰკიდა ხელი, მარცხენაზე მეორემ და როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერს ჩვეულების მიხედვით აკეთებდნენ, ტირილითა და მოთქმა-გოდებით შაჰის ნება აუწყეს. საჭურისი მართლა ტიროდა, ტიროდა ისე, თითქოს ცრემლის ღვრა სიამოვნებას ანიჭებდა, ახალგაზრდა თავადს კი თვალთმაქცობა უჭირდა, არაბუნებრივად ზღუქუნებდა. მუსლიმანთა ამ სასაცილო ჩვეულების მნიშვნელობა კარგად იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა. თბილისის ყველა კარი დახშული იყო, ყველა გზა შეკრული. წინააღმდეგობის გაწევას უაზრო სისხლისღვრის მეტი არაფერი მოჰყვებოდა. ამიტომ ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია, ხელეები გულზე დაიკრიფა და მსახიობური დარბაისლობით წარმოსთქვა: „დაე აღსრულდეს დიდებული შაჰის ნება მის ფეხთა მტვერზე, გივი ამილახვარზეო“. ხანებმა შევებით ამოისუნთქეს. ალაჰს მადლობა შესწირეს და დიდ დარბაზში გაჰყვნენ. ნაშუადღევს დატყვევებულს რამდენიმე ქართველი თავადი ეწვია, ქართველებს სპარსელი მხედართმთავრები მოჰყვნენ. სასახლეში ერთბაშად იმდენმა ხალხმა მოი-

ყარა თავი, რომ ეგონა ღვინო გათე-
ნებამდე გაგრძელებოდა, მაგრამ რო-
გორც კი შებინდა, ხანებმა იარაღი
მოსთხოვეს, ციხის კარამდე მიაცილეს
და საგანგებოდ შერჩეულ მცველებს
ჩააბარეს.

დატყვევებული რამდენჯერმე ყო-
ფილა, მაგრამ პატიმრობა იმ საღამოს
პირველად გამოსცადა. ვიწრო სარკ-
მელი ძლივს ანათებდა შეუღლესავ,
ნესტიან კედლებს, თიხის უსწორმას-
წორო იატაკი ერთმანეთში გაზავე-
ბული შშორის, შარდისა და ვირთხე-
ბის სუნი იყო გაქვნილი. რკინით
შეჭედო კარს უკან შეიარაღებუ-
ლი მცველები იდგნენ. ფანჯრიდან
მტკვრის ნაპირი, რიყე, მეტეხი და
ისნის ერთი უბანი მოჩანდა. სიცხით
შეწუხებულ ქალაქს დაძინება უჭირ-
და, ქუჩებში ჭერ კიდევ კიაფობდა
სინათლე, მაგრამ გარეთ ყურება არ
უნდოდა, რადგან ეს ნესტიანი საკანი
არც საბოლოო თავშესაფარი იყო მი-
სი და არც ის ადგილი, რომელსაც
უნდა შეჩვეოდა. დამწყვდეული მხო-
ლოდ მანამდე ეყოლებოდათ, სანამ
ხანები სამზადისს მოათავებდნენ. მიუ-
ხედავად ამისა, ერთ ადგილზე მაინც
ვერ ჩერდებოდა, კედლიდან კედლამ-
დე დადიოდა, საკუთარი ნაპრევი
იშვამებოდა. რის იმედით მიდიოდა
სპარსეთში, რა უნდა ენახა შაჰის
კარზე ისეთი, რაც კაცის თვალში მრავ-
ალჯერ არ ამოუკითხავს, რატომ უნ-
და ეღიარებინა ბედისწერად და გარ-
დუვალობად ის, რაც უაზრობად მი-
აჩნდა. საქართველოში თუ მემკვიდრე
არა, მომვლელი და გზის მაჩვენებელი
მაინც ეყოლებოდა, სპარსეთში კი
თვალეზთან ერთად თავსაც დაკარგავ-
და. განარისხებულ შაჰს ერთი სიტყვის
შებრუნებისათვის შეეძლო მისი მოკე-
ლა. ღირდა კი ამდენი წვალება იმისა-
თვის, რაც ბოლოსდაბოლოს მაინც
უნდა აღსრულებულიყო, განა არ ეუბ-
ნებოდა დასჯის წინ მაცხოვარი მოცი-
ქულებს, „ვერ ხელეწიფების სოფელ-

სა მოძულეზად თქვენდა, ხოლო მე
ვძულ, რამეთუ ვწამე მისთვის, ვითრ
მედ საქმენი მისნი ბოროტ არიან“.

ამილახვარმა გვერდზე ისე მიიხედა,
თითქოს მძიმე ფრთის შემოკვრა მო-
ესმა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ
მისკენ ღამის მეტი არაფერი მოცო-
ცავდა, კვლავ იბრუნა პირი.

მცველებმა საკანში ანთებული სან-
თელი, ხის ტახტი და სურსათ-სანოვა-
გით სავსე კალათა შემოიტანეს. სანთ-
ლის შუქის ციმციმმა და კუთხეში
დადგმული, ხალიჩაგადაფარებული ტა-
ხტის სიმყუდროვემ ცხადპყო, რომ არ-
სებობა ციხეშიც შეიძლებოდა, მაგ-
რამ მომავალზე ფიქრი მაინც უსამაფ-
და, ყველა საფუძვლიან ვარაუდს
აცამტყერებდა. შუალამდე მუხლი არ
მოუყუცავს, ყელი არ გაუსველებია,
ნაშუალამდევს კი რკინით შეჭედო
კარს მიადგა, ღონიერად დააბრახუნა
და საწერ-კალამი და ქაღალდი მოი-
თხოვა. მცველებს არც ღრენა დაუწ-
ყიათ და არც უჯიათობა გამოუჩენიათ.
ბატის ფრთა, მელანი და ქაღალდი მა-
გიდასთან ერთად მოართვეს. წერილე-
ბის წერა არ უყვარდა, გაშიშვლებად,
დაფარულის გამკლავებად მიიჩნდა,
მაგრამ იმ ღამეს ისე ეცოდებოდა თა-
ვი, რომ კალამი მოიმარჯვა და თეთრი
ქაღალდი შავი ნიშნებით ააჭრელა.
წერდა დედოფალს, წერდა ხელმარჯ-
ვედ, წაუბოძიებლად. უჩიოდა ქარ-
თლის ბედს და საკუთარ ბედს, ქართ-
ველი კაცის მძიმე ხვედრს და სოფლის
უკუღმართობას, წარსულსა და მომავალს.
ყოველი სიტყვა სევდით იყო
გამსჭვალული, ყოველი წინადადება
შეკრული და გამართული. სანამ გზას
დაადგებოდა, დედოფლისათვის უნდა
დაემტკიცებინა, რომ მის სპარსეთში
გაგზავნას არავითარი აზრი არ ჰქონ-
და, ზედმეტი წვალების მეტს არა-
ფერს მოუტანდა. შეიძლება შაჰს სა-
სიკვდილოდ არ გაემეტებინა, სიცოცხ-

იმი ბაღულარია
მამაგონანი

ლე არ მოესწრაფა, მაგრამ თავისუფლებას დასჯის შემდეგაც არ მიანიჭებდა, ხეიბარს დილეგში ჩააგდება და შემდეგ მის გამოსხნას წლები დასჭირდებოდა. ამიტომაც დაბეჭივებით სთხოვდა თვალეზი მისთვის აქ, საქართველოში დაეთხარათ, თვალდავსებული უმცროსი ძმისთვის მიეგვარათ და საკუთარ მამულში სიკვდილის უფლება მიეცათ.

საკანში სახედრების ყროყინი შემოიჭრა. ფეხზე წამოდგარმა ქალაღი დაახვია, მცველებს გადასცა და უკან გაბრუნებულმა ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ პირდაპირ ტახტისაკენ გაემართა. მაღალ, თაღოვან კერს სინათლის შუქი ვერ სწვდებოდა, მკაცრი მზერა სიბნელის მკაცრ მზერას აწყდებოდა. იღუმალეზა, რომლის არსი უსახურობა და დუმილი იყო, სიფხიზლეს, საკუთარი თავის გვემას, ტკივილის გაზვიადებას თხოულობდა, მაგრამ მან უსახურობასთან პაექრობას თვალის დახუჭვა და ძილი არჩია. ძილში ყველა საფრთხობელას ძალა მოაკლდებოდა და ციხე ავბედილობას დაკარგავდა.

იმ დილით კიდევ დიდხანს იძინებდა, აფუსფუსებული, აყაყანებული ქალაქის ხმაურს რომ არ გამოეღვიძებინა. თბილისის ხალისიანი სუნთქვა ჰანგებად იღვრებოდა, საკანში შემოჭრილი ღღის სინათლე ცხოველმყოფელი სვეტივით თრთოდა. ტანგაუხდელს ფეხზე წამოდგომის მეტი არაფერი დასჭირებია იმისათვის, რომ გონს მოსულიყო, ცხოვრებას შეგებებოდა. ჭმუნვა, შიში, მარტოობის გრძნობა და საღდაც გაქცევის, გადაკარგვის სურვილი უკვალოდ გაქრა, ღამის გადამღები მწუხარება მიჭეფარე სისხლის მძლავრმა ტალღებმა გადარეცხა. უხაროდა ფეხზე რომ იდგა, ქვეყანას რომ საკუთარი თვალეზით ხედავდა, სული რომ კვლავ ივსებოდა სიამაყის გრძნობით და ბედისა და მტრების გამოწვევის სურვილით. რა უნდა გადაღობებოდა გზაზე ისეთი, რაც სხვას არ გადაღობებია, რა უნდა შემთხვეოდა

ისეთი, რაც სხვას არ შემთხვევია. სანამ საქართველო გადამთიფლებს უწყრათ, სანამ ურჯულოებს წარეს უნებია, არც დამარცხება გაუტეხდა გულს და არც ჭმუნვა მიიყვანდა სასოწარკვეთილებამდე. თვალეზის დათხრა არაფერი იყო იმასთან შედარებით, რის გადმარჩენადაც იბრძოდა.

კალათში ყველი, კვერცხები, შემწვარი წიწილები, მწვანელი, ხილი და თავმოკრული ქილები აღმოჩნდა. პუროის მარტო ჭამა არ უყვარდა, მაგრამ ციხეში იმიტომ ჩასვეს, რომ ქართველებისათვის მოერიდებინათ, გარე სამყაროსაგან მოეწყვიტათ. მარტო დარჩენილ კაცს სხვა მაღა აქვს, სხვაგვარი განწყობილება ეუფლება, მაგრამ საკუთარ განწყობილებას იგი იმდენ ანგარიშს არ უწევდა, რომ ჭამა-სმაზე ხელი აედო, თავი წმინდანად ან წინასწარმეტყველად წარმოედგინა. ტყემალში ამოვლებული წიწილის ზორცი უღვინოთაც იჭმებოდა, წიწაქისა და მწვანელის სურნელება შმორის სუნს აბზობდა. თვალეზის დათხრა რომ სამუდამო პატიმრობით შეეცვალათ, საწინააღმდეგო, ალბათ, არაფერი ექნებოდა, მაგრამ შაჰს ერჩია იგი მკვდარი ან თვალდათხრილი ენახა, ვიდრე დამწყვდეული ჰყოლოდა.

მეორე დღეს დედოფლის ხელით დაწერილი ბარათი მიიღო. თამარი ამხნევებდა, აიმედებდა, ურჩევდა ისპაჰანში გამგზავრებულიყო, პირადად ხლებოდა ნადირ-შაჰს, რადგან საქართველოში ვერავინ გამოესარჩლებოდა, ვერავინ დაცავდა სასჯელისაგან, სპარსეთში კი იმ კაცთან ექნებოდა საქმე, ვინც მის ბედს განაგებდა. თვენახევარში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, განაგრძობდა თამარი, შაჰის რისხვა დაცხრეს, სპარსელებს ომში ნაცადი ვაჟაკები დასჭირდეს, აზობოჭრდეს ის, ვისი დაჭერაც არც ვიწრო გზას შეუძლია და არც კლდოვანს. უდროოდ აჩქარება სულმოკლე, წინდაუხედავ ადამიანებს სჩვევიათ, მე კი შენი ჭკუის, გამჭრიახობის და ვაჟა-

ცობის იმედი მაქვსო. მაგრამ ყველაზე მწარე, გადაყრულ მათრახივით მსუსხავი მაინც ბოლო წინადადება იყო. თუ ჩემს გულწრფელობაში, ჩემს ერთგულებაში ეჭვი გეპარება, შემიძლია სპარსეთში გამოგყევ და შენი თავი შაჰს შევავედროო.

სირცხვილით აღრეც ბევრჯერ დამწვარა, მაგრამ საკუთარი თავით ისე უქმაცოფილო, როგორც იმ დღეს იყო, არასოდეს ყოფილა. ქალი სპარსეთში გაყოლას, მფარველობას, შაჰთან შეზღოვანობას სთავაზობდა, ასეთ რამეს დედოფლისაგანაც კი არ მოელოდა. მცირედმა ექვმა დიდი გაუგებრობა გამოიწვია. ამ გაუგებრობის გასაფხანტავად კიდევ ერთი ბარათის დაწერა იყო საჭირო. ქალალდი და სანვარ-კალამი მაგიდაზე ეწყო, იქვე იღწე წყლით სავსე დოჭიცი. წყალი პირდაპირ დოჭიდან მოსვა, ქალალდი წინ დაიდო და ბატის ფრთა მელანში ჩააწო. დედოფალი, წერდა მსხვილი, მსუქანი ასოებით, მე რომ მიძიმე დანაშაული, გაუგონარი ბოროტმოქმედება ჩამედინა, მაშინ, ალბათ, მართლაც დაშორდებოდა დახმარება და თანაგრძნობა, მაგრამ მე ბრძოლა წავაგე, დამარცხებული მეომარი ვარ და ამიტომ არც სინანულის გრძნობა მაწუხებს და არც სინდისის ქენჯნა მითხრის სამარეს. შაჰი, შაჰი და მოსამართლე, საზღაურს თხოულობს და ეს საზღაური მე უნდა გავიღო, ან სიცოცხლეს უნდა გამოვესაღმო ან თვალებს. ჩემთვის ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ თქვენ გულწრფელი, სათნო ადამიანი ბრძანდებით. ამიტომაც შემაწუხა ექვმა და გაუგებრობამ. თვალების აქ, საქართველოში დათხრას იმიტომ კი არ გთხოვდით, რომ სასჯელის შემსუბუქების იმედი მქონდა. არამედ სამშობლოში დარჩენა კჟუასთან უფრო ახლო მეჩვენებოდა, თუმცა უგუნდობად არც სპარსეთში გამგზავრება მიმაჩნია. მე ძაღლის ბედი მაქვს და ისე არ გამწირავს, რომ დასატრებელი გავხდე. თქვენს გვერდით

ყოფნა, თქვენთან ერთად მგზავრობა ჩემთვის დიდი პატივია, დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა. მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს სპარსეთში გამომყვეთ, შაჰს ჩემი თავი შეავედროთ. ჯვარი იმან უნდა ზიდოს, ვინც იტვირთა და თუ ამის ძალა არ შესწევს, ვერავითარი ვედრება ვერ უშველის. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, დედოფალი, ნუ მოგაქვდებით ღვთის წყალობა ნურც თქვენ და ნურც საქართველოს, მე კი ჩემს გზას გავუდგები და ან დავიდუბები, ანდა საწადელს ვეწევი.

ასე დამთავრდა მათი მიწერ-მოწერა. მეოთხე დღეს ციხის კარი გაუღეს, ცხენი მოჰგვარეს და მეფე-დედოფალთან, ქართველ თავადებთან და ნათესაებებთან გამოთხოვების უფლება მისცეს. უმცროსმა ძმამ უამრავი საჭმელ-სასმელი ჩამოზიდა ქალიდან, დიდი და პატარა თბილისში ჩამორეკა. ნათესაებები ეხვეოდნენ, ემშვიდობებოდნენ, ისეთი მოთქმა-ტირილით აცილებდნენ, თითქოს უკან ვეღარ დაბრუნდებოდა. ამ აზრისა იყო დიმიტრიც. თვალცრემლიანმა განზე გაიხმო და ჩურჩულით უთხრა, ორ-სამ დღეში ხალხს შევეგაროვებ, სპარსელებს გზაში თავს დავესხმები და ძალით გაგანთავისუფლებო, მაგრამ ძმას მადლობა გადაუხადა, ნათესაებებს ცოტაოდენი ფული დაურიგა და ფეხი უზანგში გაუყარა. მღვრიე დღე ცრემლის ღვრამ და უამრავმა უცხო თვალმა კიდევ უფრო აამღვრია.

ამილახვარი ისე გასწორდა უნავიროზე, თითქოს გამგვირვალე სივრცე ამოწურა, წარსულს ანგარიში გაუწო-რა და მშობლიურ ქვეყანას საბოლოოდ მოსწყდა. სინათლე სულს ღაფავდა, კლდეთა სიღიადეს აქინებდა.

ვიზი მაღალარია
მეამბოხენი

სოლომონი ხანებს წამოსწეოდა, სა-
ჭურისა და ახალგაზრდა თავადს რა-
ღაცას უხსნიდა. დაღლილი ცხოველები
შებრალებას, ბნელთან შენივთებას
თხოულობდნენ, მაგრამ გზა ღრმა ხე-
ვისაქენ ეშვებოდა და კლდეებს შო-
რის უჩინარდებოდა. ჯერჯერობით მის
ხვედრს ქართველებიც იზიარებდნენ
და სპარსელებიც, ჯარისკაცებიც და
ჩალვადრებიც, მაგრამ როგორც კი
შაჰის კარამდე მიაღწევდნენ, ყველა
შემოეცლებოდა, ირგვლივ სიცარიე-
ლე შემოერტყემებოდა და გამაწამებ-
ლი ლოდინი ხან იმედს ჩაებლაუჭებო-
და, ხანაც უიმედობის მუქ სუღარაში
გახევოდა. შეიძლება შაჰს იმ დღესვე
არ დაესაჯა, ციხეში დაემწყვდია, ისე-
თივე ბნელ ჭურღმულში ჩაეგდო, რო-
გორც კლდოვანი მთის უფსკრულებ-
ში ისადგურებდა, მაგრამ შავი ძაღ-
ლის ლეკვი მაინც ყველგან მონახავ-
და, გვერდით მოუწევებოდა, აწყმუტუნ-
დებოდა. ძილი ძილს აღარ ემგვანებო-
და და ღვიძილი ღვიძილს. როგორც კი
თვალს მიუთლავდა, წამოიშლებოდ-
ნენ მოგონებები, მოჩვენებები, მაჯლა-
ჯუნები და ზოგი გულზე დააწებებოდა,
ზოგი ტვის დაუწყებდა ჯიჯნას, ზოგი
კი დიდი ვაივაგლახით თავმობმულ ვა-
რაუდს გამოუთხრიდა ძირს და იგი
კარგახანს იფართხალებდა ჩამოქცეუ-
ლი გუმბათის ნანგრევებს შორის, მაგ-
რამ შეიძლება შაჰს მეტი სულგრძე-
ლობა გამოეჩინა, დასჯამდე მისთვის
რომელიმე ძველი სასახლე მიეჩინა,
სტუმრების მიღებისა და საჭმელ-სას-
მელის ყიდვის უფლება მიეცა. მაშინ
ბნელეთის მოციქულებს მათ ნებაზე
არ აპარპაშებდა, დროს ლავამს ამოს-
დებდა და ხან გააჟენებდა, ხანაც ად-
გილზე გააშეშებდა. ფული თუ არ
ეყოფოდა, ივალებდა, ისესხებდა, სა-
სახლეში ძველ და ახალ ნაცნობებს,
გამაჰმადიანებულ ქართველებს, უცხო-
ელ დესპანებს, ალაჰის ყმობისაგან
განთავისუფლებულ სპარსელებს მოი-
წვევდა, ლხინს ლხინზე გადააბამდა და
იმდენს დაღევდა, იმღერებდა და იო-

ხუნჯებდა, რომ მისი უღარდებოდა
გამჩენსაც კი შეშურდებოდა. ^{გაჩენსაც}
გზა თანდათან ვიწროვდებოდა,
კლდეებს შორის მიიკლავებოდა,
უცხო სამეფოში იჭრებოდა. ფათერაკი
ცოტათი გაართობდა, გაამხიარულებ-
და, მაგრამ წინ არაფერი დახვდებოდა
ისეთი, რაც გააკვირვებდა, ზღაპრებს
ან ძველ თქმულებებს მოაგონებდა.
ხევს მიღმა მდებარე ქვეყანა მხოლოდ
სახელით, საზღვრებით, რჯულითა და
ენით იყო უცხო, თორემ იმის ცქერას,
რასაც ზეგანიდან დანიხავდა, თვალი
დიდი ხანია შეეჩვია. სპარსეთი ჩვეუ-
ლებრივი სახელმწიფო იყო, შეიძლება
სხვა სახელმწიფოებზე ცოტათი უფრო
ჩამორჩენილი, გაწამებული, დაღლი-
ლი, მაგრამ სპარსეთშიც სასჯელითა
და სიკვდილით მთავრდებოდა ყველა-
ფერი, რასაც შეუბღალავი რწმენა,
ქეშმარიტი სიყვარული, თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლა და დაკანონებული
ცხოვრების წინააღმდეგ ამბოხება
ჰქვია. ჯალათი და მსხვერპლი სპარ-
სეთშიც ისევე მარტო რჩებოდნენ
ერთმანეთის პირისპირ, როგორც
ზღის გაღმა ან ცხრა მთას იქით მდე-
ბარე ქვეყნებში.

ღრმა, გადმოწოლილი კლდის ქიმიტ
გადახურული ხევი გვირაბს უფრო
ჰგავდა, ვიდრე წყლის ამომშრალ კა-
ლაპოტს, სადაც ყოველი ბგერა, ყო-
ველი ჩქამი გამოძახილს პოულობდა
და ქვის კედლებს ასკდებოდა. ვინმეს
რომ ეს ვიწრო, ბნელი ხერელი თავსა
და ბოლოში ამოეჭოლა, ქვის ტომრად
იქცეოდა, ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ვარსს
დაემსგავსებოდა. ჯოჯოხეთისათვის გა-
მოსადეგი ჭურღმულები ამქვეყნად
სხვაგანაც ბევრი უნახავს, ზოგჯერ შე-
საფერისად მოუერთავს და მოუწყვია
კიდეც, მაგრამ ახლა არ უნდოდა ცე-
ცხლი გაეჩალებინა, მდულარე კუპრის
ბუხუბუყი მოესმინა, გოგირდის სუნით
მოშხამულიყო. ისპაჰანში ნამდვილი
ჭურღმული, ნამდვილი ცეცხლი, ნამდ-
ვილი წამება ელოდა და წარმოდგენა



ხელოვნურად შექმნილ უხამსობას ვე-
ლარ იტანდა.

მარტო რომ ყოფილიყო, გვირაბის
თღრთოთღრთ ფსკერზე უჩირადდნოდ
სიარული გაუჭირდებოდა, მაგრამ ცხე-
ნი წაუფორბილებლად მიიკვლევდა
გზას და მის მძიმე სხეულს მორჩილად
მიათრევდა. იმ საუფლოდან, სადაც
სიხარულს სთესენ და მწუხარებას იმ-
კიან, გადმოსაზიდი, სხვის ქვეყანაში
გადმოსატანი აღარაფერი ჰქონდა. აჩ-
რდილები ჩრდილებად იქცნენ, ბნელს
შეგრქნენ და შეესისხლბორცნენ, ზო-
ლო ცხენებისა და აქლემების ფეხის
ხმა ისე ისმოდა ღრმა ხევიში, როგორც
ადესში შერეკილი, ქედმოხრილი კენ-
ტარების ფლოქვების ცემა. უდაბური
ველებისა და ამ კლდოვანი ჭურღმულის
მიღმა ან სასუფეველი უნდა დახვედ-
როდა, ანდა უძირო ორმო, რომელიც
ერთბაშად შთანთქავდა, მტვრად აქ-
ცევდა, მაგრამ მიწიერი გზები ასე
მარტივად, ასე აზრიანად არსად არ
თავდება, არც აღმოსავლეთით და არც
დასავლეთით, არც ღვთისკენ მიმარ-
თული და არც ეშმაკისაკენ გაკვალუ-
ლი.

ცხენი ისე აიჭრა ზეგანზე, თითქოს
მართლაც ქვესკნელის გზა ამოიარა და
ერთი წუთით რომ არ შეჩერებულე-
ყო, გული გაუსკდებოდა. ვარსკვლავე-
ბით მოქედნილ ცას ერთი ნაოჭი არ
აჩნდა, სავსე მთვარის მაცდური სხი-
ვები მთებსა და ხეობებს ეფინებოდა,
დედამიწას ურცხვად ეარშიყებოდა.
დაბლა, ვრცელ და ნაჭირნახულევ
ველზე მდინარე მიიკლანებოდა, იქო-
ჩრებოდა, მთვარისა და ვარსკვლავე-
ბის მაცდუნებელ სხივებს ირეკლავდა.
მდინარის პირას სპარსეთის ერთ-ერთი
უძველესი ქალაქი იყო გაშენებული.
ბრტყელსახურავიანი, რუხი ფერის
სახლები ერთმანეთს ეტმასნებოდნენ,
შუბებივით აღმართული მინარეთები

ცის საუფლოში იჭრებოდნენ. სისხლი-
თა და ოფლით მონაგარი ბალები
ბოსტნები, სოფლები და ქალაქები
ლამის ღუმილი, სიცოცხლის სუნთქვა
და უკან ჩამწკრივებულ მეთვალყურე-
თა ფრთხილი მზერა, ყველაფერი, რაც
ცხოვრებას მოსავდა და აშიშვლებდა,
იფარავდა და ძარცვავდა, აღამაზებდა
და ამაზინჯებდა, აღმოზიერებდა და
ასასტიკებდა, ცოტათი მასაც ეკუთვ-
ნოდა, სიკვდილიანად მისი წილხვედ-
რი იყო და თუ გამჩნემა ქვის გამძ-
ლეობა, მოკრიალებული ცის უბიწოე-
ბა და ვარსკვლავთა უკვდავება არ მია-
ნიჭა, ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას,
რომ მშობლიური მიწის სიყვარულზე
და არსებობისათვის ბრძოლაზე ხელი
აეღო, ბოლომდე არ მიეტანა ის, რაც
წინაპრებმა გადმოუღოცეს, უგუნუ-
რად გაეფლანგა ისედაც დატაცებული
და შებილწული საუნჯე.

სიშორისა და სინატიფისაგან ფერ-
მისდილი ქვეყანა ჯაფრის გულიდან
ამორეცხვას, წარსულის დავიწყებას,
გალმოზიერებასა და განკაცებას თხოვ-
და, ევედრებოდა, ეცნო ღამე და
ირგვლივ გამეფებული იღუმალება,
დამცხრალიყო, გაგულგრილებულიყო,
შერიგებოდა ბედსა და ღმერთს, უდა-
რდელად მიეტოვებინა სოფლები და
ქალაქები, ისევე უხალისოდ ჩაველო
სასახლეების, ქარვასლების, ღუქნებისა
და საროსკიპოების გვერდით რო-
გორც მილიონებს ჩაუვლიათ, ისევე
მშვიდად შეგებებოდა ტკივილსა და
სიკვდილს, როგორც ბევრი ბრძენი კა-
ცი შეგებებია, მაგრამ ფერმიხდილი
ქვეყნის მომადუნებელი ჩურჩული მის
გულს არ ეკარებოდა, მის ნებას ვერ
არყევდა. დატყვევებულსა და მსჯავრ-
დებულს არავითარი სურვილი არ
ჰქონდა მეტი თანაგრძნობა გამოეჩინა

გივი მაღულარია
მეამბოხენი

ამქვეყნის მიმართ, ვიდრე ოდესმე გამ-
ჩენს გამოუჩენია. თუ წუთისოდელს
ასე სჭირდებოდა კაცთა მოდგმის სია-
მაყისა და სიგიჟის დათრგუნვა,
მოკვდავთა განკაცება და გაღმობიე-
რება, ჯერ ისინი უნდა გაღმობიერებუ-
ლიყვნენ, ვინც 'მის ქვეყანას სულს
ხდიდა, ვინც მხოლოდ იმიტომ ასა-
მართლებდა და სჯიდა, რომ მასზე
ძლიერი იყო.

მთვარით განათებული ველი სულ
უფრო ცხადად იკვეთებოდა. ნათლად
მოსჩანდა ქალაქის მაღალი გალავანი,
ბორცვზე წამოყუდებული ციხე, დი-
დი, ბნელი შენობის წინ გაშლილი
მოედანი. ზოგიერთი სახლის ვიწრო
სარკმლიდან სუსტი სინათლე გამოს-
ქვოდა, კედლებს შორის დაბუდებულ
ჩრდილებს აკრთობდა და ციური სხი-
ვების სიმსუბუქის შეძენას ცდილობ-
და, მაგრამ ზღვარდაუდებელი სივრცის
გაფართოებას ვერაფრით ვერ ახერ-
ხებდა, ყოველ ნაბიჯზე გადაულახავ
დაბრკოლებას აწყდებოდა. მისი ციმ-
ციმი მხოლოდ ქრაქის ბუბუტვა იყო და
ქვეყანას ვერაფერს წაგლეჯდა.

ქვეყანა ღამეს, სიზმრებს, უხორცო
და ხორცშესხმულ აჩრდილებს ეპყ-
რათ ხელთ, ეპყრათ ისე ხარბად, რომ
გათენებამდე ვერაფერს ვერაფერს დას-
ტყუებდა, მაგრამ სიზმრებისა და აჩრ-
დილების ამ მდუმარე საუფლოში ამი-
ლახვრის მახვილი თვალი ისეთ რამეს
ამჩნევდა, რაც თვალით არ ჩანდა,
ისეთ რამეს გრძნობდა, რაც სხვა დროს
არ უგრძნვია. მისი დაღლილი, ქუჭ-
ყიანი სხეული ჯავშნით იმოსებოდა,
ჯავშნის ელვარე ზედაპირზე სხვისი
თუ საკუთარი ნააზრევით მოწამლული
ისრები სხლტებოდა, იღებოდა სიბნე-
ლისა და მარტოობის შავი კარი, რომ-
ლის უკან იმედი და ვაჟკაცის გამა-

ფიცებელი სიჭველე სუფევდა. სა-
ქართველოში ათასობით ფიქტურულ
ვი ტიროდა და მათი ცრემლების შე-
საშრობად თავიც საჭირო იყო და თვა-
ლებიც, ათასობით კაცი შიმშილობდა
და მათ გამოსაყვებად ჭკუაც საჭირო
იყო და მკლავის ძალაც, ათასობით
უცხო თესლი, უცხო გავლენა, უზნეო-
ბა იკიდებდა ფეხს და მათ ამოსაძირ-
კვავად სულიც საჭირო იყო და გუ-
ლიც. როგორც არ უნდა წაელეკა ქვე-
ყანა სისხლსა და სიბნელეს, რა სას-
ტიკადაც არ უნდა მოქცეოდა ბედი,
იმას მაინც ვერ უსაყვდღურებდა, რომ
არ იცოდა რას სჩადიოდა, ვის ესარჩ-
ლებოდა და ვის უპირისპირდებოდა.
გრძელი, ყველა გზაზე უფრო მოსაწ-
ყენი, დამქანცველი გზა უკვე გამოი-
ჩრა, უკან მოიტოვა მზის მცხუნვარება,
მოკეთებები, მოვალეები და ახლა მის-
თვის სულერთი იყო, ვის ჭერს შეაფა-
რებდა თავს, როგორ მიიღებდა სპარ-
სეთის ეს უძველესი ქალაქი. რაკი
ბედმა ასე შორს, ასე მტრულად განწ-
ყობილ ქვეყანაში გადმოისროლა, ყო-
ველი ნაბიჯი საკუთარი თავის იმედით
უნდა გადაედგა.

ამილახვარმა ცხენი ადგილიდან დას-
ძრა და იმის მაგივრად, რომ გარდუვა-
ლი ტყვილისათვის მომზადებულიყო,
ღამეს და წინ გადაშლილ ქვეყანას
თამამად გაუდიმა, ისე დაეშვა დაღ-
მართში, თითქოს წინასწარ იცოდა,
რომ არ წაიქცეოდა.

1 ავტორს საჭიროდ არ მიაჩნია სპარსეთში
გაქცევნის გზის ამილახვარს, მაგრამ რადგან ამ-
ბავს დასრულება სჭირდება, მოგვაქვს ნაწყ-
ვეტი გზის ამილახვრის ძმისწულის, ალექსანდ-
რე ამილახვრის თხზულებიდან „გეორგიანუ-
ლი ისტორია“. ეს მცირე მოცულობის თხზუ-
ლება ამ ოცდათორმეტი წლის წინათ გერონ-
ტი ქიქოძემ თარგმნა რუსულიდან,

სპარსეთის ერთ ქალაქში გავლის დროს ბიძაჩემმა ფრიად სასიქადულო საქმე ჩაიდინა. მან დაინახა, რომ ქუჩაში ერთ წარჩინებულ კაცს უმოწყალოდ სცემდნენ ფეხის გულეზზე: ამ კაცს გადასახადი არ გადაეხადა, რითაც შაჰი ისე განრისხებულა, რომ მისთვის ნახევარ მილიონად ღირებულ ქონება ჩამოუერთმევიათ. მაგრამ ხარჯთამყრეფნი მაინც თავის წილს სთხოვდნენ: მათ ათი შაური ერგებოდათ ყოველ ათ მანეთზე, რაღა გადაეხადა, რაც არა დარჩა რა? ბიძაჩემმა თავის უკანასკნელი ფული მიაცემინა და გამოასყიდინა საბრალო კაცი. ამის გამო თანხლებელმა კახელმა თავადი-შვილებმა ბიძაჩემი კიდეც გაჰყიდეს თურმე: რა გესაქმება ვიღაც სპარსელთან? ფული თვითონ გვეჭირია ყოველ გარემოებაში, ისიც კი არ იცი, სიკვდილი მოგელის თუ სიცოცხლეო. ბიძაჩემს უბასუხნია: თუ მომცლეს ფული რად მინდა, ხოლო თუ ცოცხალი დავრჩი, მე უნდა ვფლობდე ფულს და არა ფული მეო. განთავისუფლებულ სპარსელი თავის მხსნელს მიუახლოვდა თურმე და მისი სახელი და გვარი ჩაიწერა. ხოლო შემდეგ, როცა თავისი აღრიხდელი ღირსება აღიდგინა, მან ბიძაჩემს უხვად მიუზღო სამაგიერო.

ამგვარად მიადწიეს სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანს, რაიცა შაჰს აცნობეს. შაჰმა ბრძანება გასცა გივი ამილახვარი ბოქაულს ჩააბარეთ, ხოლო მე არ დამანახოთ: თუ დავინახე ყოველი მისი ბოროტმოქმედება გამახსენდება და შემომაკედებაო. ამის შემდეგ ბიძაჩემს მცველები მიუყენეს თურმე: მაგრამ მასთან ხშირად სავაზმოდ დადიოდნენ ეთიმადოვლე და მთავარსარდალი, რომლებიც ჩვენივე ერის შვილები იყვნენ და ღიდად მეგობრობდნენ ბიძაჩემს. ამის გამო ერთხელ მის თანხლებზე აზნაურს ცრემლთაფრქვევით ეთქვა კიდეც, რა გეს-

ტუმრება და გემზიარულება, როცა გარს მცველები გვადგიან და ყოველ დღე სიკვდილს უნდა ველოდეთო. რაზედაც ბიძაჩემმა თურმე ღიმილით უბასუხა: თუნდაც მე მომკლან, შენ არავინ ხელს არ გახლებს, ხოლო თუ ჩემი ბედი გალონებს, გეტყვი რომ სწორედ დღეს წერილი მივწერე ეთიმადოვლეს და სესხად ათი ათასი მანეთი ვთხოვე, რაც მან მაშინვე აქლემებზე აკიდებული გამოძიგზავნაო. ამით ბიძაჩემმა თავისი ახალგაზრდა აზნაური დაარწმუნა, რომ მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელოდა, ვინაიდან თუ ეს ასე არ ყოფილიყო, მას ფულს არ ასესხებდა ადამიანი, რომლის ხელში მისი საქმე იყო.

ერთხელ მოხდა, რომ მაჰმანდარებმა (სტუმართა მიმღები მოხელეები) შაჰს, რომელმაც თავისი ამირახორბაში (შტალმეისტერი) მოითხოვა, შეცდომით ამილახვარი, ე. ი. ბიძაჩემი მიუყვანეს: ბიძაჩემს ის იყო ევაზშმა და სტუმრები გაეცილებია. მას ეწინოდა ასეთი უდროო მოთხოვნისა, მაგრამ მაინც შაჰს ეახლა. მივიდა და მისაღებ დარბაზში დაჯდა, სანამ ეშოკალასები (ცერემონიეისტერები) მის მოსვლას მოახსენებდნენ. მანამ კი იგი თავიანთ შორის დასვეს და როგორც წარჩინებულ პირთა სტუმარმასპინძლობას შეეფერება, ყალიონი მიაწოდეს.

ამილახვრის გაგონებაზე შაჰმა თურმე თავის ეშოკალასებს და მაჰმანდარებს დაუყვარა, მე ჩემი ამირახორბაში მოვიტხოვე და არა ამილახვარი. ეს თვალთ არ დამანახოთ, მაგრამ ამასთანავე თურმე ბრძანა უკეთეს ბინაზე გადაეყვანათ იგი, გაედიდებინათ მისი შესანახი ხარჯები და ათასი მანეთი ეგრეთწოდებულ სააბანო ფული მიეცათ, რაიც სპარსელებში უმაღლესი მოწყალების ნიშნად ითვლებოდა.

გივი მაღალარია
მეამბოლენი

როცა შაჰმა გაიგო, რომ დედოფალი თამარი გარდაიცვალა, ხოლო თეიმურაზმა ორმოცი დღის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან თავად ციციშვილის ქვრივი შეირთო, დიდად განრისხდა და წამოიძახა: — მე საქართველოს მართველობა თამარს ეუბოძე და არა მის ქმარს, რომელმაც არც კი დაიცადა, გლოვისათვის დაწესებულ ვადას გაველოო.

მომიზეზა რა დაქვრივებული თეიმურაზის სულმოკლეობა, შაჰმა მას არბაში დაადო. სპარსეთის შაჰებს ჩვეულება აქვთ, რომ როცა ვინმეს გაურისხდებიან, ჯერ არბაშს აღებენ, ხოლო შემდეგ სჯიან ფულის გადაუხდელობისათვის. როგორც კი თეიმურაზმა გაიგო, რომ შაჰმა ორი მილიონის გადახდა დამაკისრაო, მაშინვე მიხვდა, რომ იგი მასზე გამწყრალი იყო და თავისი ოჯახით კავკასიონის მთებში გაიხიზნა. აქ მას აცნობეს, შაჰმა ამილახვარი გაანთავისუფლა და ჯარით საქართველოში გზავნის შენს შესაპყრობადო. ამ ცნობამ თეიმურაზი სასოწარკვეთილებებში ჩააგდო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ბიძაჩემს ვერსად დამალებოდა და გადასწყვიტა ნებაყოფლობით გამოცხადებოდა შაჰს, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო უნდა ჰქონოდა შეწყალების იმედი.

ნადირ-შაჰმა მართლაც გაანთავისუფლა ბიძაჩემი, მიიწვია იგი და უთხრა: გაბატონებულივე შეცოდებას, სამაგიეროდ შენც უნდა გვემსახურო. გაძლევი ოცდაათოთხმეტი ათას ჯარისკაცს, წადი საქართველოში და სამეფო მართვა-გამგეობა იკისრე, ხოლო თეიმურაზი მისი ვაჟი ირაკლითურთ დაიჭირე და გამომიგზავნე! — თუმცა ბიძაჩემს სულით და გულით

უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ მადგა და მზადებას შეუდგა. მაგრამ სწორედ მისი წამოსვლის წინა ღამეს ნადირ შაჰს მისი ძმისწულის ადილ შაჰის წაქეზებით სასახლის მცველები დაესხნენ თავს და მოკლეს.

ამ სახელოვანი ხელშეწყობის სიკვდილის შემდეგ დიდი არეულობა დაიწყო, ვინაიდან ხანები აღდგნენ და ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა. თითოეული მათგანი ცდილობდა ხელთ დაეჭირა ტახტი. მაგრამ ყველას ადილ შაჰმა აჯობა, რომელიც ბოლოს ავიდა სპარსეთის ტახტზე. ამ არეუდარების დროს ბიძაჩემთან თავი მოიყარა ათასზე მეტმა ქართველმა, რომელთაც სპარსეთში სხვადასხვა თანამდებობა ეჭირათ. მათთან ერთად ბიძაჩემი წარუდგა შაჰს და თავყანი სცა მას. ადილ შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო და ყულარაღასობა, ე. ი. მთელი გვარდიის უფროსობა უბოძა. ამის შემდეგ ბიძაჩემს შაჰ-ყული-ხანი ეწოდა. მან მრავალჯერ გაიმარჯვა თავის გვარდიით, ხოლო როცა ერთხელ ინდოეთის ერთი გამაგრებული ქალაქის აღების შემდეგ შაჰს წარუდგა დიდი ნადავლით, ამ უკანასკნელმა მოოქვილი და თვალმარგალიტებით შემკული ხმალი შეიხსნა და თავისივე ხელით მას დაჰკიდა. სხვა საჩუქრებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ხმალი ოცდაათ ათას მანეთად იქნა შეფასებული.

ბიძაჩემმა სპარსეთში არა თუ შური არ იძია თეიმურაზის წინააღმდეგ, არამედ სიკვდილისაგანაც იხსნა იგი.

¹ დანამდვილებით ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ შეთქმულებაში, ალბათ, ქართველებიც მონაწილეობდნენ, შეიძლება გივი ამილახვარიც, რადგან შაჰის კარზე ბევრი წარჩინებული ქართველი მსახურობდა, ხოლო სასახლის დაცვა თითქმის მთლიანად ქართველებს ჰქონდათ დავალებული (შენიშვნა ავტორისა).

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
ბიბლიოთეკა

ერთს შეტაკებაში, რომელიც ამ მდელ-
ვარე დროს ხშირად ხდებოდა ისპაჰა-
ნის ქუჩებში, თეიმურაზი დატყვევე-
ბული იქნა სპარსელი ჯარისკაცების
მიერ და მას ალბათ მოკლავდნენ,
რომ ხმამაღლა არ დაეძახა, ზელი არ
მახლოთ შაჰ-ყული-ხანის ძმა ვარო.
ამიტომ იგი უვნებლად მიიყვანეს ბი-
ძაჩემთან, რომელმაც მადლობა უთხ-
რა ჯარისკაცებს და დაასაჩუქრა ისინი:
ამის შემდეგ თეიმურაზი საქართველო-
ში დაბრუნებამდე განუყრელად ბიძა-
ჩემთან იმყოფებოდა, მას თავის
მხსნელს უწოდებდა და ცდილობდა
კავშირი და მეგობრობა მთელს ჩვენს
ოჯახზე გაეგრძელებია.

ბიძაჩემი სპარსეთში დარჩა მესამე
შაჰამდე, რომელსაც იბრაჰიმი ეწოდე-
ბოდა. ამ შაჰმა მას ორი დაბა აჩუქა
ნახჭევანის სახანოში, მაგრამ იბრაჰიმს
დიდხანს აღარ უყავნია და მას შემდეგ
ჩქარა შესწყდა ნადირ-შაჰის შთამო-
მავლობის ხაზი. სპარსეთში საშინელი
არევ-დარევა დაიწყო.

ბიძაჩემმა, რომელიც გახეზიერებუ-
ლი იყო შაჰების სამსახურში, არ

ისურვებდა ვაჭილების ყმობა, თავი მოუ-
ყარა სპარსეთში გაბნეულ ქართველ
ჯარებს და სპარსელების წინააღმდე-
გობის მიუხედავად სამშობლოში
რუნდა დიდად მორჭმული. თეიმურაზ
მეფემ იგი დიდი დიდებით მიიღო,
ირაკლი მას თავის მამას უწოდებდა.

ამის შემდეგ ბიძაჩემს დიდხანს აღარ
უტოცხლია, განაწესა თავის მემკვიდ-
რეობის საქმეები, მრავალი ტაძარი
და ციხე-სიმაგრე ააგო დანგრეულთა
ადგილას, არა მარტო საამილახვროში,
არამედ მის საზღვრებს გარეშეც, მრავ-
ალი ქველმოქმედება ჩაიდინა, თავი-
სი დასაფლავების წესი განაგო და
გარდაიცვალა.

ბიძაჩემი პატივით დაასაფლავეს.
კუბოს სამი სარწმუნოების სამღვდე-
ლოება მიჰყვებოდა: წინ მიუძღოდა
მართლმადიდებლობის სამღვდელოე-
ბა, მარჯვნივ კათოლიკეებისა, ხოლო
მარცხნივ სომხებისა. მათ უკან კი მი-
დიოდნენ მეფე, ჩვენი ოჯახი და წარ-
ჩინებული თავადიშვილები. გლოვა
მთელ საქართველოში დიდხანს გაგრ-
ძელდა.



პირველი კომპიუტერი

მედიის რეჟიმები

უშნოდ გამწლიებული ბიჭი იყო, ნამ-
ჯიღეჭია, სიარულიც მორღვეული იყო-
და, თანაც ხან კიტელი ეცვა დიდი, ხან
— შარვალი. ერთი სიტყვით, ის რომ
ჩვენს სოფელში მილიციის ინსპექტო-
რად დანიშნეს, მაგის დაქვრივ ქაქუცა
ჩოლოყაშვილს რა ვუთხრათო, გამომგ-
ზავნი ამოვუტრიალეთ. ჩვენებური
მუტრუკების ამბავი რომ ვიცით, გვე-
გონა, კბილის ქარადაც არ გაჰყვებო-
დათ, მაგრამ ორრადე თვეში ისეთი
ვინმეები შეახედა ღრუბელს, იმათ
ნაცვლად ჩვენ დაგვსუსხა ჰინჭარმა. აქ-
ლემისა და ნემსის ქურდი არ გაარჩია
ერთმანეთისაგან და აქი ერთ წელიწად-
შიც დააწმინდავა წყალი. მაშინ გავი-
გეთ, რაც ყოფილა ძილში ჩაყოლილი
სიმშვიდე, ის სიმშვიდე, ობიან პურზე
გადტარებული დღის სამღუარვს რომ
არ გათქმევინებს და არც შავ ხალა-
თზე დადებული ლურჯი საკერებლისას.
ოქრო დაგვგდო ეზოში, ვის ება დასა-
ლუბი თავი, ვინ იფიქრებდა, ცუდათა
დევსო. რეგვენ მეზობლებსაც ხო
ერთბაშად დაავიწყდათ ლაპარაკი. და-
ლოცვილმა, გაგვაგებინა სიმშვიდის გე-
მო, სიმშვენიერის ბანგით გაგვაბრუა,
მერე საკუთარ სამხრეებზე დაცვენილი
ვარსკვლავები იცოტავა, ედემის კარზე
მიგვაყენა და დაგვტოვა — ეგ არის და,
ამოვაგდე სამგლეთით.

ის გამწლიებული წავიდა და მის
ნაცვლად გოგონების თვალგასახარი ინს-
პექტორი გამოგზავნეს. მოლანდებო
იყო, რა იყო?! — ვიდრე სადაურობითა
და გვარი-სახელით გავიცნობდით, დაგ-
ვემშვიდობა კიდევ...

მთელ სოფელში ჭრავინ იცის, რაზე
დაიმდურნენ ჩხიკვიშვილები და კახა-
ძეები. განაყრები რომ იყვნენ, რაღაც
მიზეზი ჰქონდა მაინც გამოტყვევბოდა,
მაგრამ სად ესენი და სად ისინი! ორივე
საკმაოდ მოზრდილი გვარია და, საუბე-
დუროდ, ერთ უბანში შექტუხებულახ.
მათ ნაშვილებს უერთმანეთოდ მზე არ
ამოსდით და მთვარე არ ჩასდით, ვიდ-
რე ბიჭებს ხმა არ დაუბოხდებოდათ, გო-
გონებს — წყვილი ვაშლი არ ამოუბურ-
თავთ მკერდს. მერე კი ისეთ ბღვერას
ისწავლიან, თითქოს არც ჰქონიათ ბავ-
შვობა. ჩხიკვიშვილი რძლად არ ითხოვს
კახაძეს და არც თვითონ გაატანს ქალს.
თუმცა ამაზე, საერთოდ, საუბარიც არ
ყოფილა ოდესმე.

კახაძეებს დაეკარგებათ რაზე და
ჩხიკვიშვილებს აბრალებენ, ჩვენაო მა-
გათზე მეტი მტერი არა გვყავს, მაგ
ამოსაგველების მეტო, ვითომ ქურდო-
ბა მხოლოდ მტრობის მიზეზი იყოს —
მეტი არაფერი. სამაგიეროდ, სესხისა
და ვალისა ჩხიკვიშვილებსაც მშვენიე-
რად მოეხსენებათ. მოკლედ, გაუთავე-



ბელი ჩხუბი და აყალმაყალი აქვთ, რაც ხშირად მარგილების ტრიალში გადადის და გათენებასავით უბრალოდ, სასმართლოთი, მთავრდება ხოლმე. და ციხეში სხდებიან კახაძეები და ჩხიკვი-შვილები, ჩხიკვიშვილები და კახაძეები. სოფელს კი ფიქრი ტანჯავს, ის მაინც გაგვაგებინა, საიდან მოდის ამათი მტრობაო. ისინი კი ამაზე, ალბათ, არც ფიქრობენ — კინაიდან ვერ გამოუძებნიათ საამისო დრო.

ეს ახალი ინსპექტორი რომ დაგვინიშნეს, პირველი საქმე გიორგა ჩხიკვიშვილმა მიუფრიალა: თურმე ანანია კახაძეს, ამ უმაქნისსა და ნოტოს მოსხლეტის ოსტატს, წამოუღია ნავავი და ზედ ჩხიკვიშვილების ჭიშკართან დაუყარა. ეგეთი აბუჩად აგდება გაგონილა, ხალხნო?!

— განცხადება დამიწერეთ, — ურჩია ინსპექტორმა და სკამიდან ტახტზე გადაჯდა, ღონიერად შეატრია ტახტი, კრიალებს თუ არაო. კრიალებდა რომელია!

— წელან დავწერე, შენი ჭირიმე, — გიორგამ ოთხადდაკეცილი ქაღალდი ამოიღო შარვლის ჯიბიდან, გაშალა და უკუღმა მიაწოდა.

ინსპექტორი წამოდგა, განცხადება გამოართვა და ჯერ ტახტს დახედა:

— ქვეყანას გააგებინებს, ინსპექტორი კაბინეტშიაო. არ დავწვები ამ ტახტზე.

— თუ არ მოგწონს, რათ უნდა დასწვრო?

— არ დავწვები, ოპერატიულობაში შემისლის ხელს.

— კოპერატივში აქვთ კაი ტახტები.

— დახლქვეშ ხომ არ ჰყიდიან? — დაინტერესდა ინსპექტორი.

— იმოდენა ტახტი დახლში რას შეეცევა?!

ინსპექტორს გაელიმა. მერე ქაღალდს დახედა, შეაბრუნა, მშვიდად ჩაიკითხა და თავი ასწია:

— იურისტ ბრძანდებით?

— არა, უფროსო, მეოთხე ჯგუფიდან გამომაგდო მამაჩემმა.

— ცუდი კაცი ყოფილა.

— რას ამბობ, ე?! კაცი იყო, რომე დეკლუს ათაგებდა ხაშლამად! მემჩნეოდნო უფროსო...

— მაშინ წიგნი რატომ გაგაგდებინა ხელიდან?

— სამჯერ ჩავრჩი მესამეში და იქნება ხბორში ივარგოსო.

— კაი კაცი ყოფილა.

ინსპექტორმა საქალაღდე გახსნა და გიორგას განცხადება გაშლილი ჩადო. მერე ის საქალაღდე რომ დახურა და შეკრა, ტახტს გადახედა ისევ.

— როდის წამობრძანდები ნავავის სანახავად? — გაუბედა გიორგამ.

— დიახ, — წამოდგა ინსპექტორი, — აუტანელი ტახტია, მგონი რაღაც მითხარით?

— როდისა ნახავთ-მეთქი დანაშაულის საბუთსა?

— ახლავე! ჩვენი სამუშაო ისეთია, ცხელ კვალზე თუ არ მივატანეთ, რისაკვირველია, ჩემო ბატონო, დიდად დავვიანდებო. ხანძარივით საშურია ჩვენი საქმე, ცხელ-ცხელს უნდა მიასწრო.

— ცხელ-ცხელს კი არა, ახლად გაღუებულს უნდა მიატანო და მიაშველო წყალი, მაშა!

ინსპექტორი მიხვდა, რაღაც კარგად ვერ გამოივიდაო და, ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ გამოსავალს მალე მიაგნო:

— წავიდეთ, — თქვა და საქალაღდე აიღო. მერე კარი გამოიკეტა, ორჯერ გადაატრიალა გასაღები და ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, — შორს ცხოვრობ?

— აქვე ვარ, სოფლის ბოლოს.

— შორი ყოფილა.

— თუ გეჩქარება, აეს აკაკის ხეც შორს არი.

— დღეს ბინის დაქირავებაც უნდა მოვასწრო.

— ხვალ მე მოგაძებნიწებ, ამაღამ კი ჩემთან დარჩი, ერთმანეთი გავიცნოთ.

— მადლობელ ვარ, — თქვა ინსპექტორმა.

პარლმ კომპარტმ
მიტარობები

ტორმა, — მომჩივანთან ღამის გათევას
გვიკრძალავს კანონი.

— ეგრევე სწერია სამართალშიც?

— სხვა სიტყვებითა სწერია.

— ეგრე ქრისტიანულად რო დაეწერათ, მაშინ მეც გავიგებდი და ფასიც დაეკარგებოდას.. რაკი გეჩქარება, უფროსო, მოკლეზე ჩავიაროთ.

ქუჩა გადსჭრეს, მოხრეშილი, საუბნო გზა ჩაიარეს და ჩრდილიან ორ-
ლობეში შევიდნენ.

— შენი სახელი მიბრძანე, — უთხრა გიორგამ.

— திருநெல்வேலி.

— ვერ დავიმახსოვრებ. ძნელია ცხოვრება. შვილო, ამ წინეზზე იყო, სათივე ღამიწვეს გვარამოსაგდებმა კახაძეგმა...

— დაახლოებით როდის მოხდა ეს ამ-
ბავი?

— თმე რთ მთავრდებოდა.

— მაშინ დაბადებულიც არ ვიყავ.

— რა ცერ-ცერ წახვალ, განა შენ
გამოიკვლიე-მეთქი... სიტყვის მასალად
გითხარია... ქათამია? — მაგათ უნდა მო
მიტეხონ ფეხი! ძაღლი იყო? — მაგათ
მიაკვდათ ის ძაღლი სულში! ბოსტნი-
დან — ქონდარსა მპარავენ, ~~ორთვალა-~~
დან — გოდრულასა, გოდრულიდან — კო-
კურასა, კოკურიდან — წყალსა, ფარეხი-
დან — ცხვარსა საჩეხიდან — თოხსა,
ვენახიდან — ქოხსა, აიენიდან — ფეხსა-
წმედ ტილოსა!... აივრეა, შვილოსა!...
ისევ მე მეუბნებიან, რა გაყვირებსო?!
ერთხელ კიდენა რაღაცა ჯანდაბური
იმისი... ღმერთო გამახსენე, იმისი... ჰო,
საბჭოდი მანქანის მანჭიკი ამასხლიტეს!

ინსპექტორს ელდა ეცა:
— საბეჭდი მანქანა რათ გინდა?!

— როდის გითხარი, მინდა-მეთქი? ერთხელ ერთი კაცი მომადგა კარზე, დამე გამათვინიო. გავათევიანე კი არა, დაპირქვევებული ჭიქების ჭახა-ჭუხში დაბრძანდა მრავალი. ნეტაი გენახა, რა დასაღევსა სვამდა! მეორე დღეს მეუბნება, რაღა სხვაგან ვიჯახირო, ბარემ ამ ზაფხულს შენ ამიყვანე მდგმურათაო. რა უნდა აკეთო-მეთქი. წიგნებსა ეწერო.

მთელი ის ზაფხული სათოფედ აკარგა-
ქარებია სასამელს, ის ვეება ქვეყნის
კაკუნმა ობლის მღვდარი იგივე გამოათა-
ვა. მართლა რამენა სწერდა თუ ერთი-
ბოდა, მაგისას ვერაფერს გეტყვი, ჰვე-
ყნიერების ამბავი კი იმან რო იცოდა.
ცოდნაც იმას ჰქვია! ერთიც წასვლი-
სას გატყურა კიდევ; აილო თავისი ვეება
ჩემოდანი, ის ჯანდაბური მანქანაცა, მე-
რე კიბიდან მომიტრიალდა, აეს მანქანა
თქვენ გეპროთო, დამივდო კიბეზე, კარ-
გა იყავითო და წავიდა. ბარე ოცი წელია
ველოდეები და ბაიბური არსაიდან ისმის
ან რაღაცა უზბედურებაა იმის თავსა, ან
ჰგონია გზაზე დაეკარგეო, ან კიდენა ვი-
რი კიტრათა ღირს. გადავადგო? როგორ
გადავადგო, შეაფსუსება. არ გადავადგო
და, რა თავში მიხლია! მართალს არ ვამ-
ბობ?

--- მართალი ბრძანებია.

— როდელი ერთი გამახსენდება ამ
აღრენილ ხასიათზე!.. კახაძეებისთანა
უგვანო და ურჯუიი ხალხი, ჩემო ძაო
და შვილო, ტყუილად არ ეძებო, სხვა-
გან არსად არ იქნება!..

— შენ ისე ლაპარაკობ, მგონი ამ სოფელში საქმე არ მომავლდება.

— მომაცლდებაო?! მე მითქვამს და
შენ ისმინე — აუხვალ კი?

— მეც ეგ მინდა.

— რატომ?! — ეწეინა გიორგას.

— მაშე უსაქმოდ ვიყუ?

— რათ იქნები უსაქმოთა, აბა ვახედო, რამოდენა სოფელია! ალაზნამდე კიდე სულ ჩვენი ზვრებია. შენ მაიწოდინე თორემ, მე გაჩქებ. ბარსა, ჭიკოლა და სარსა, სავაზეს და თოხსა, ძაღლების მოსაგერიებლად—გოხსა, კაკალსაც და ქვასაც, სასხლავსა და სხვადაც, საქაჯავს და საწურავს... გეუბნები კაცურად!.. რას იტყვი, არა გჯერა?

ორლობე ჩათავდა და ისევ საუბნო
გზაზე გავიდნენ.

— ეს რა დაწესებულებაა? — ერთ წაგრძელებულ, აგურის შენობაზე ჰკითხა ინსპექტორმა.

— წიგნაკრები.

— მშვენიერი წიქვილი გქონიათ!

— რათ გვინდა რო! ბარე ორი აღ-
ღომა გაივლის ხოლმე, მაგის ხმაური
არ გვეყურება — ხან გამომცხვარსა
ვციფლობთ, ხან დაფქულსა. ტყუილად
გადაყარეთ წყალში ჯანი და ავური.

იმ წისქვილის ქვემოთ, ორსართული-
ან სახლთან შეგროვილი ხალხი დაინახა
ინსპექტორმა:

— ხომ ვერ მეტყვი, ჩემო ბატონო,
რა საკითხზე ექნებათ თათბირი?

— იქ მოხდა, რაც მოხდა და აქი მი-
ვედით კიდევც...

მთელი უბანი, კახაძეების გარდა, გი-
ორგას ჭიშკართან მიხროვილიყო. ღო-
რების აჩიქნილი სტადიონი მიეტოვე-
ბინათ და ბურთის დევნით გასავათებუ-
ლი ბიჭებიც თავზე აღგნენ ორიოდ ნი-
ჩისმოსმა ნაგავს.

გიორგამ თვალი გადაავლო აყაყანე-
ბულ ჭირისუფლებს და გაიფიქრა —
ყველა ჩხიკიშვილი არ მოჩერჩეტე-
ბულა?! ნეტა მე რომ მოვკვდები, მაშინ
თუ მოვლენ ეგრე უკლებლათაო.

ინსპექტორმა მორიდებული სალამი
თქვა, მერე ხალხი გაარღვია, თვალი მო-
ჭურა და ისე დახედა ნაგავს.

პირველად ხედავდნენ ახალ ინსპექ-
ტორს და ამიტომაც გასუსული მისჩე-
რებოდა ხალხი.

— ანანია კახაძეს დამიძახეთ! —
ბრძანა ინსპექტორმა.

— აქ ორი ანანია კახაძეა, თქვენ რო-
მელი გნებავთ? — ჰკითხა კოჭლმა
კალატოზმა.

ხალხი აფხუყუნდა — ერთი ანანია
ოთხმოცს უახლოვდებოდა, მეორე ანა-
ნია კი, იმ ბერიკაცის შვილიშვილი, ჯერ
ისევ აკვანში ღნაოდა.

ინსპექტორმა გიორგას გადახედა.
გიორგამ წყენა არ შეიშინია, ბალღებს
მიუტრიალდა:

— გავარდით, ანანიას დაუძახეთ.
სეირის მოლოდინით გაფიცებულნი
ბიჭები მაშინვე გაცვივდნენ და იქვე,
ეზოს თავში გადმოშდგარ სახლს მია-
წყდნენ:

— ჰაი, ანანია პაპაე!

— პაპაე, მილიციის ინსპექტორი დახის!
დახის!

გიორგას კბილა კაცი საჩეხეში გამო-
იკაევა, სარცხი ეჭირა ზელში:

— რაო, ღობემძვრალეობ? — ეტყო-
ბოდა, ქვევრსა რეცხავდა, თეთრად გა-
ბურდული სახე შავი წინწკლებითა ჰქო-
ნდა მოფენილი.

— ინსპექტორი გეძახის, — თან ხე-
ლიც გაიშვირეს.

— ვინაო?! — ხმა დაიწვრილა ანა-
ნიამ.

— ინსპექტორი. აი, იქ არი. გიორგა
პაპა ვიჩივის, ეზოში ნაგავი შემომიყა-
რაო.

— რატო აივანზე არაო?

— რა ვიცი, ახლადდაგვილ ეზოშიო.
ანანიამ სარცხი კედელზე მიაყუდა,
სახეზე მაჯა მოისვა და ბიჭებს გაჰყვა
ხუხუნუსით:

— რა უნდა, შვილო, ბევრი-ბევრი
შვიდი პარასკევია მედოს წინა, რატო
არ მამასვენებს! ჩემ ჭირად ისწავლა
წერა-კითხვა?! რაღა უნდა, კაცო, ხო
შეიმოსა და მუცელიც ამაიყორა!

ინსპექტორმა ანანიას მოსვლა მაშინ
გაიგო, გიორგას ცოლი რომ აყვირდა:

— ესა გვლუპავს, ეს მამაჩემის გზა-
კვალზე წასასვლელი!

— პაგაგა!

— ერთი შენს გასვენებას მამასწრო
შენი ეზო-ყურედან!

— მაგაზე გული არ გაიტეხო, იგეთი
ოხერი ხარ, ჩემს გასვენებასაც მოესწ-
რები, შენი ქმრის გასვენებასაც.

ინსპექტორმა ნაგავს დახედა და ანა-
ნიას ჰკითხა:

— ბატონო ჩემო, თქვენ დაყარეთ აქ
ეს ნაგავი?

— შე კაი კაცო, რას მატყობ მენაგვი-
სას?! —

— რომ გიჩივის?

— რაკი მიჩივის, შვილონიაე, მორჩა,
დამიმტკიცა და ეგ არის?

კარლო კოხმარიძე
მ.ოთხმოცეტი

— გიჩივის! — ჯიუტად გაიმეორა ინსპექტორმა და შუბლი შეიყრა.

— მე კიდენა შენ გიჩივი — შარშანწინ შენ მომპარე გამშრალი ძროხა. ეგ რე არ არი?

— როგორ გეკადრება?! — ეწყინა ინსპექტორს.

— შენ არ გეკადრება გამშრალი ძროხის მოპარვა და მე გეკადრება სხვის ჭიშკარზე ნაგვის მიყრა?! რას უსმენ ამ უსაქმურებსა! ხუთ-ხუთი ეაქვაცი გდია მაგ ჩაოხრებულ ოჯახში და, აბა, მიხედე, სახლია ეგა? ეგენი მარტო იმას ითვლიან, სხვას რამდენი გოდორი ყურძენი დაუდგა და რამდენი ოთხფეხი დაუდის! დღეში რატო ოც საჩივარს არა სწერენ მილიციაში! ახალ სკამზე რო დაჯექი, რატო არ დაითვალე, რეგერთი იყო დაბულულულებული?

— თქვენ რამდენს სწერთ დღეში? — გაელმა ინსპექტორს.

— ოცს რო ეგენი დასწერენ, ათი ჩვენ აღარ დავწეროთ?

ხალხი უკვე ქირქილიდან ხითხითზე გადავიდა.

— ხედავ? — თქვა ინსპექტორმა, — არც თქვენ ყოფილხართ ანგელოზები.

— ეგრეა, შვილონიავ, მა! მე რომ მაგათოვინ მეყურებინა, ეგეთ სახლს კი არ წამოვკიშავდი!

— ჰაიტ, შენი! — კბილები გააყრა ჭუნა გიორგამ, — ჩემთან მაინც რა გალაპარაკებს! შენი უფროსი ბიჭი სოფლის თავკაცად რომ იჯდა, იქიდან არ აფუცდით ნაწენი მარი ნეხვივითა? აბა, გაიხსენე, მაშინ არ იპარავდა: ცხვრის ფერმიდან მატყლსა, ისა კიდევ — ბატსა, ყურძენსა და ფულსა, გუთანსა და პურსა, აფურსა და კირსა, ქატოსა და ფქვილსა, მარანიდან ღვინოსა... ეგრე იყო, შვილოსა!.. ორნახადი არაყიც? — იმასავით გალაცდით!..

— შენი შვილი უფრო აღრე არ იჯდა მაღლა?

— მაშინ სად იყო, გაუგებელო, ამდენი გამორჩენა და მამაძაღლობა?

— ეგეც ჩემი ბრალია?

— რუსხელმწიფობა ნუ გგონიათ,

ესლაც, თავზე დაგაქცევ ჭერსა! — გაიწია გიორგას ცოლმა, მაგრამ დღესათვის ბმა გააკავეს, — შენ არ იყავ, ოქროზე რომ ახურდავებდი ცხვარსა! ამასთანაც ვიტყვი და იმასთანაც!

— თქვი და თქვი! — გაცეცხლდა ანანია, — ოლონდ, ვიდრე მე ვიტყოდე, ვინძლო არ დაივიწყო ისიც, შენი ჭმარი ნესვის ქურდობაზე რო იჯდა ცისეში!

გიორგას გაელიმა:

— ნაკელის ქურდობაზე-თქო, გაუგებელო! მაგას აკი არცა ვმაღავ!

— ვინ დაგამალინებს, ნეხვის ყვანო!

სხვები იცინიან, ინსპექტორს კი ელიმება.

— ტელევიზორი უნდა გავყიდო და აღარც კინოში შევალ, — გაეცინა კოჭლ კალატოხს, — მუქთად ვერთობი. ნოვალ, ჩამოვჯდები აქმ ყორეზე და ვარ ჩემთვის. რა ღმერთი გაუწყრებათ, დღეში ორჯერ მაინც არ დაირიგენ. მშვენიერად ვერთობი.

— არც შენა ხარ კაცი კაცი, — უთხრა ზესო ნაშოფრალმა, — ამ დამთხვეულებს, წაუკითხე სახარება, იქნებ შენ მაინც ვააგებინო რამე.

— როგორ არ ვააგებინებდი, მაგრამ მისმენენ?..

ინსპექტორმა მეტრიანი მოითხოვა. მიუბრუნინეს. გაშალა მეტრიანი და საჭნეს შეუღდა:

— გაიწით იქით! — წელში მოიხარა და მეტრიანის წვერი გაუსვა მიწას, — ეს ერთი... ეს—ორი... ესეც ცამეტი სანტიმეტრი. ჩავიწეროთ: მასასადამე, ჭიშკრიდან ორი მეტროსა და ცამეტი სანტიმეტრის დაშორებით ყრია ნაგავი... ახლა აქეთ გავვლოთ: ეს—ერთი, ესეც ხუთი სანტიმეტრი. ესე იგი, გზიდან მეტრისა და ხუთი სანტიმეტრის დაშორებით დაუყრია ნაგავი.

— ხელები ჩაუფუცუნდეს მიწაში ანანია კახაძესა! — ცას შეჰღალადა გიორგას ცოლმა.

ანანიამ ცერად გაჰხედა:

— ცოტაც მოიცა, გამოჩნდება ჩემი დედაკაცი და ის ავიწყობს ხმასა.



ინსპექტორმა ყორეზე შედგა მარცხ-
ნა ფეხი, მუხლზე საქაღალდე დაიღო და
გახსნა:

— ახლა აქტი.

— დაქერას მიპირებ? — ჩაიღმა
ანანიამ.

— დაჯარიმებას.

— დაჯარიმებით ექიმმა უნდა დამა-
ჯარიმოს.

— უყურე, შენ?! — გაუყვირდა ინს-
პექტორს. — საჭიროზე მეტიც გცოდ-
ნაა?

— რაკი წერა-კითხვა იცი, ვანა ყვე-
ლაფერი უნდა ჩაიჯღაბნო? მაშ ამდრო-
ულა კაცმა წამოვიღე ნაგავი და აქ
დავყარე საღვლოდ? ვანათლებული
შენ მყავხარ და რატომ არ ჩაუყვირ-
დები ამას?

ინსპექტორი გიორგას მიუბრუნდა:

— ბრალდებულის გვარი ჩამაწერინე.

— კახაძე, უფროსო.

ანანიამ ახლა გიორგას შეუთია:

— პირი გამოირეცხე და იგრე ახსენე,
ჩემი გვარი!

— გამარიდეთ, თორე შემომაკდე-
ბა! — გადაირია გიორგა.

— ოღონდ თქვენს საუჯუნო განსვენ-
ებას მომასწრო და მეგრე ჩემი თავიც
მიქელგაბრიელის ფეშქეში იყოს! — გა-
ცინა ბესო ნაშთფარლმა; ახლაც იმ-
დენი დაელოა, ძლივს იდგა ფეხზე. სმა
ვერ მოაშლევინეს და კიდევ იმიტომ
დამშვადობეს საჭეს, — შენ სმა მერე
გენახა! ამ მკვლარძალებმა, აქეთ ამოვ-
ლა შემძალეს! ამდენი ჩხუბი გაგონი-
ლა? რა გაჩხუბებთ, ჩემის ტიალებო! —
კოჭლ კალატოზს ყავარჯენი წაპვლი-
ჯა ხელიდან და ნაგავს გაუსვა შუაზე, —
ეს რალა საჩხუბარია, აჰა, წილი დაეუ-
რეთ, ნახევარი ერთსა და ნახევარი მე-
ორეს! მოგრჩით?

ინსპექტორსაც გაეცინა, ბესო კი იდ-
გა და ისევ ნაგავს დასჩერებოდა —
ნაგავში მკვდარი მამინო ეგდო.

— საწყალი მიმინო! — დაიხარა და
აიღო. — ფრთა აქონდა, მოტეხილი,
მთელი სამი თვე ელოლიავებოდნენ
ბაღლები, ძლივს მოარჩინეს და მოაუე-

რიანეს, მწყერზე უნდა გაგვეშოთო, ^{გაგვეშოთო} ^{მეგვეშოთო}
მიმინო თვალებთან მიიტანა, წელში
ნოზრილმა გაარღვია ხალხი და ყორეზე
ჩამოჯდა, — „მიმინო შეეჩვია ბაღლებს,
ხელიდან ართმევდა ხორცს, მხრებზე
აჯდებოდათ და უკანაც დასდევდა...“
ზე გარყვნილ წიწვოლსავით. თავის ტყე-
შალისაკენ აღარ იხედებოდა და მაინც
არ ენდობდნენ — მოკლე ბაწრით ჰყავ-
დათ დაბმული. საქმელს რომ დაუგვია-
ნებდნენ, მხოლოდ მაშინ ასენდებოდა
ღრმა შემოდგომის აცრიატებული ღლე-
ყვითლადგაყიებული ფოთლები და ბა-
რდებში მობუზული ჩიტები. სხვა იყო
უბაწროდ შიმშილი, სხვა იყო ის შიმშით
სავსე ქვეყანა, სხვა იყო უფოთლო ხეზე
დარჩენილი ბუდე. მაგრამ ერთ ღლეს
ყველაფერი ერთად დაკარგა — როცა
ნარჩიტას უთვალთვალებდა, გასართო-
ბად ესროლეს თოფი და ალვის ხიდან
ჩამოავდეს. ეცადა ფრთების გაშლას
და ვერ მოახერხა, ვეღარ დაიმორჩილა
ცალი ფრთა. ნახნავში, ბელტზე დაეცა.
ვიდრე ხელს წაატანდნენ, გამოერკვა
მოულოდნელობის ელდიდან და ღიჭის
ბარდში შეეკიკვიდა. ორი ღლე იმ ღი-
ჭის ბარდიდან არ გამოსულა — ნისლია-
ნი ცისკენ გაურბოდა თვალი და სიზმარ-
ში ღონიერ ფრთებსა ხედავდა. ბოლოს
შიმშილმა რომ შეაწუხა, საშოვარზე
გამოკანკალდა; იკვკვივა, იკვკვივა და
აღამიანებს კი გადაეყარა. გაქცევა სცა-
და, მაგრამ დაიჭირეს და ყველაზე კეთილ
არსებებს, ბავშვებს მიუყვანეს საჩუქ-
რად. ბავშვებმა მაშინვე დაიჭირეს განე-
ბიერებული კატა, ტომარაში ჩასვეს და
შორს, ძალიან შორს, ჩხიკვებისა და კო-
დალების ტყეში გაუშვეს სატან-
ჯელად... იატაკზე დაკიკვივებდა მი-
მინო, აბრიალებდა ვეება თვალებს
და ჩაგუბებული სითბო თვლემას
რომ მოჰგვრიდა, ეზოში გამოშლილი
წიწვოლების წიფწივი გამოაფხიზლებ-
და ხოლმე... საჩეხის დაჭიანებულ კოჭ-
ზე მერცხლის ბუდე იყო მიკრული, ბარ-

აკარლო კოხარიძე

მოთხრობები



ტყეებით სავსე ბუდე—მიმინო ასაფრენად იწევდა, მაგრამ სკამის ფეხზე გამო-
ბმული ბაწარი დაბლა ახეთქებდა ისევ.
უგემური ეჩვენებოდა უზრუნველად ნა-
შოვნი ხორცი და ნატეხარში ჩამდგარი,
მტერის ქერცლით გასიპული წყალი. სა-
თივეზე მისეული ბულურები ცისკენ
უხმობდნენ. ზვინჭაში ვაპარული ფშა-
ნებისაყენ უხმობდნენ, მაგრამ დაგრეხი-
ლი ბაწარი ექაჩებოდა უკან, და ფეხი
სტკიოდა მიმინოს. ხანდახან შეხსნიდ-
ნენ ბაწარს და საგულდაგულოდ დაკე-
ტილ ოთახში უშვებდნენ. მიმინო კედ-
ლებს აწყდებოდა, ფანჯრებს აწყდებოდა
და მთელი სხეულით ძაგძაგებდა. მაშინ
ალარც ბალებზე მოფრთხილული ხორცი!
ალარც ძღომაზე მიწოდებული ხორცი!
ტყე-ჭალა ენატრებოდა მიმინოს, შიშით
დაფეთებული მესკიები ენატრებოდა:
მიმინოს, ზეობაში ჩაპარული თეთრი
ბურუსი ელანდებოდა მიმინოს. დრო
გადიოდა და ნატვრა და მოლანდებაც
თანდათან იკლებდა: გასუქდა და დაზან-
ტდა მიმინო. მერე ბაწარი დაუგრძელეს
და ეზოში გამოიყვანეს. ბალები ბაწ-
რის წვერს მოჰკიდებდნენ ხელს, ცაში
შეავდებდნენ მიმინოს და ირაოს აყე-
თებინებდნენ ხეხილისა და კრიაშულის
ეზოში. მიმინოც ლივლივებდა ხეების
გასწვრივ, აივნის გასწვრივ: უცნაური
წივილით უხმობდა სოფლის თავზე გა-
დაფრენილ დღეებს. დაგრძელებულმა
ბაწარმა გულუგვითელებზე ჩასაფრების
იმედი გაუღვივა, მაგრამ მიმინოსთან
ერთად იმ დღეებმაც მიიძინა სამუდა-
მოდ — ერთ საღამოს, როცა უკვე მწყე-
რზე სანადიროდ წაყვანას უპირებდნენ,
თვალი მოარიდეს ბალებმა და ვილაც
შურიანმა შურდულით ჩამოუყარა
ფრთები...”

ბურღლუნით წამოდგა ბესო ნაშო-
ფრალი:

— ტყვეს რაღა სიკვდილი უნდა, შვი-
ლო, იგრეც მკედარი არა არის?! —
ბესო ნაშოფრალს ახლა შემოესმა ხალ-
ხის ყაყანი — ინსპექტორი ანანის
ეუბნებოდა:

— მოდი, ხელი მომიწერე აქტზე.
ბესო ნაშოფრალი მიუახლოვდა
ინსპექტორს:

— რაზე უპირებ წვალებას?

— ამისი დაყრილია ნაგავი.

— მოიცა, მოიცა! ჯერ არ მოსულხარ
და უკვე ზუმრობის ხასიათზე დადქი?

— ხელს ნუ მიშლი ძიებაში, ამხანა-
გო! — ანანის კალამი გაუწოდა, —
ხელი მოაწერე აქტზე.

— ამას რა ძიება და სტეპენდიანი
უმაღლესი უნდა! — გაბრაზდა ბესო
ნაშოფრალი, — მთავრიშვილის ბიჭებსა
ჰყავდათ მიმინო და მოუკლეს. ჰოდა,
ნაგავიც იმათ მოუყარებიათ აქ. — ისევ
ნაგავში ჩაავლო მიმინო, — ეს ერთი
საბუთი! მეორე კიდევ ისა: ეგე, მიმინო
ნახმარ რვეულთან არა გდია! აბა, დაიხა-
რე და წაიკითხე, რა ლამაზად აწერია,
მთავრიშვილი ზურაბაო! ჰო, ეგრეა,
მაშა!..

ეს იყო და ეს! — ამის შემდეგ ის
ინსპექტორი ალარავის უნახავს ჩვენს
სოფელში, გახსენებით კი ახლაც იხსე-
ნებენ: ჯერ დაწვრილებით ჰყვებიან
ნაგავის ამბავს, მერე მიმინოს იმ ნიკო-
რა კამეჩსაც უმატებენ, მართო მთავ-
რიშვილებს რომ ებათ უღელში.

მოდი შენ და გაამტყუნე სოფელი!
ხითხითით ჩაათავებენ ამბავს, ოღონდ
ბოლოს ფიქრიანად დაამატებენ ზოლმე,
ის ლამაზი ინსპექტორი მაინც კაი კაცი
იყო.

და არც ამაში ტყუიან.

თეთრი კეღელი

ჩამოდგა მატარებელი და ღვართა-
ფიც მოვარდა — თითქოს მიწაზე ჩა-
მოეხმო ჩაბნელებული ცა; დროდადრო

მაღალი ხეების კენწეროებს მისხებავდა
ელვა და მჭახედ იმტვრებოდა გაყინული
ღრუბლები. ის გაბნეული ნამტვრევი



დიდხანს ახსოვდა სიბნელეში დარჩენილ თვალებს და მერე გაუმხელულ შიშად მიხმაურობდა გონებაში.

ჩამომსვლელები ერთბაშად ჩამოცვივდნენ ვაკონებიდან, ერთბაშად შევარდნენ მოძალებულ წვიმაში, სადგურის ვეება მოსაცდელიც უცებ აავსეს ქშენით, ბუზღუნით, ბარგი-ბარხანითა და შემოყოლილი წვიმის წვეთებით.

მატარებლის გასვლის ზარი რომ დაიკრა, მოსაცდელში დამხდურებმა საათებზე დაიხედეს. იცოდნენ: წასასვლელად აკივლებული ელმავალი მეზობელი სადგურის წვიმის წიაღში შევარდებოდა თუ არა, მაშინვე შემოჰკრავდნენ იმ მატარებლის გამოსვლის ზარს, რომელსაც ასე, მოჩქარეს მოუთმენლობით ელოდნენ. მოსაცდელში ჩაგუბებული, არეული ხმაური ბუზუნად გადიოდა ღია კარიდან, მერე წვიმის შრიალში იკეპებოდა თანდათან, იკეპებოდა და იკარგებოდა...

მალაშა, პალსტუხიანმა კაცმა პორთფელი ფანჯრის რაუაზე შემოდო და იქვე, სკამზე მისვენებულ, ჩაფიქრებულ ბერიკაცს მხარზე ხელი შეახო:

— კიდევ შემოგჩათ სიგარეტი, ბატონო გიორგი?

ბერიკაცი გამოერკვა:

— რა ბრძანეთ?

— კიდევ შეგჩათ სიგარეტი?

ბერიკაცი უხალისოდ წამოდგა, პიჯაკის ჯიბეები მოიჩხრიკა, შარვლისაც; ბოლოს ისევ პიჯაკის შიგა ჯიბიდან ამოიღო სიგარეტის გაცრეცილი კოლოფი:

— წარმოგიდგენია, ყველა ჯიბეს მოიჩხრეკ და, მაინცდამაინც უკანასკნელ ჯიბეში იპოვნე!

— მთლად ასეც არ არის, — თქვა პალსტუხიანმა და სიგარეტი მოსრისა, — ასეთი რამ იშვიათად გვემართება ბოლშე და ამიტომაც ვაქცევთ ყურადღებას, დიდხანსაც ამიტომ გვამახსოვრდება.

ბერიკაცმა ყოყმანით გადააქნია თავი.

— ეერ ვიტან ასეთ უბედურ წვიმას! — პალსტუხიანმა ცხვირსახოცი გადაი-

სვა სველ თმაზე, — იმ დროს მოგწოდებდა, როცა მშვენიერ ხასიათზე ხარ. მანდ რთოდ, ქორწილს არ შეენის უამინდობა.

ბერიკაცი ისევ სკამზე დაეშვა.

— უბედური წვიმა!

— რას ბრძანებ, შეილო! — შეესიტყვა გაფაშფაშებული დედაკაცი, — მთელი აეს სამი თვეა, მაძულეები გავცინიორწყლა გვაღვამ... ნეტა ჯერ არ გადაივლიდეს, მაღამოდ დაგვედინა გულზე! პალსტუხიანს არაფერი არ უთქვამს, თავი შეაბრუნა ღია კარისაკენ და ელნათურების შუქზე აციმციმებულ გუბეებს გააცქერდა.

ბერიკაცმა მშვიდად გადახედა გაფაშფაშებულ დედაკაცს, ღრმად ამოიოხრა და ხელში შერჩენილი სიგარეტის კოლოფი ისევ პიჯაკის შიგა ჯიბეში ჩაიღო.

— შენ ისა ბრძანე, რო, ეგე, ქარი აეკვიატა და ამ ორიოდ წუთის მუქარაზე გადაატარებს წვიმას, — გულზელი დაიკრიფა გაფაშფაშებულმა დედაკაცმა.

ელვის გაკვესნებაზე, ზედ მოსაცდელის ფანჯრებთან მომდგარი, ქარით ათახიბებული ზეარი მოჩანდა, ისე იქნევიდა აუხვეველ ყლორტებს, თითქოს წვიმის წვეთებს უმარჯვენბო.

დარბაზში მომწყვდეულ ფიქრს აშრილებდა წვიმა, ანათებდა ელვა და გასაველელი, ჩასაფრებული გუბეებითა და ამღვრეული რუებით დაპატარავებული გზები.

მოსაცდელში გაჯის სუნი იდგა. ეტყობოდა, ახლახან დაეწყოთ რემონტი — თეთრად მიეთხუპნ-მოეთხუპნათ აქაურობა და პაიპარად გავარდნილიყვნენ. ეს თეთრი კედლები ფანქრითა თუ ნახშირით თვალმოსარიდებლად დაეჯღაბნათ, ზედ ათასნაირი უხამსობა ეწერა. ქალებიც ისე დაეხატათ, თითქოს ამ დარბაზში აღარასოდეს იქნებოდა მათი ფეხი. მაგრამ ამაზე არავის გალიმებია, არც შუბლი შეუჟრავს ვინმეს, რაკი ამ-

კარლო კოხარიძე
მოთხრობები

გვარი გამოფენა და მიძინებული სიტყვების ასე აყვირება ყველა პროვინციული სადგურის მშვენება.

— მატარებელი იგვიანებს, — თქვა ვილაძემ.

— აბა, ხვალ ქვეყანა შეიყრება!

— შენ ეგა თქვი!

ბერიკაცს გაელიმა.

— ჰო, — ჩაფიქრდა ჰალსტუხიანი, — ომიც ასე მახსოვს: დაგვიანებული მატარებლები და სადგურის მოსაცდელის შემაზრუნენი სუნი.

წვიმამ მოუმატა. ელვასაც სინათლეში ხშირად გამოჰყავდა მოსაცდელის ფანჯრებთან მომდგარი ზვარი და მიწებსაც უფრო ხშირად გაუღიოდა ზრიალი...

შორიდან მატარებლის გუგუნნი მოისმა. წამსვლელები აჩოქაოლდნენ.

სკამიდან ქალი წამოდა, კალთაში მონებვირე ოთხიოდე წლის ბიჭი ხელში აიყვანა, რაღაც უთხრა ხმადაბლა,

მერე სკამზე დასვა და ხელჩანთა დაულო გვერდით.

ბერიკაცმა და ჰალსტუხიანმა ერთმანეთს შეხედეს: ქალი საბილეთო სალონისაკენ წავიდა, ბიჭი კი ორივე ხელით ჩააფრინდა ხელჩანთას. თან აქეთ-იქით იხედებოდა შიშით.

— ხედავ, ბატონო გიორგი, — ჰალსტუხიანმა ნერვიულად მოქაჩა სიგარეტი, — ეს ბიჭუნა ცხოვრებას მალე გაიცნობს.

— მე კი ვფიქრობ, გაცნობილი აქვს უკვე...

მატარებელი სადგურში შემოგრიოდა. ხალხი გასასვლელს მიაწყდა.

ჰალსტუხიანმა პორთფელი აიღო ფანჯრის რაფადან და ბერიკაცს უთხრა:

— ლოდინში უარესად არ დაგვალამდეს, ბატონო გიორგი, წავიდეთ. რამდენი ხანია ქარი აუღვია, ამ უბედურ წვიმას კი გადასაღები პირი არ უჩანს.

ქ ქ ლ-ქ ქ ქ

ლავინა

ჩვენში ასეთ წყევლასაც გაიგონებთ: — შენს ეზოში ახტალა ამოვიდესო. გეცოდინებთ: კურორტია ახტალა, ბაღნარია პირდაპირ, ამიტომაც ვერ მივხვდი, ცუდი რა იყო იმაში, მშვენიერი ეზო-ყურე თუ გექნებოდა! ერთხელ მეც მომავოლეს ეს წყევლა და ბებიას მივუბრენინე ამბავი. გული ამოივლო ბებიამ, ვინც ჩვენ გაგვიმეტა, აგრემც ადრე და მალე იმის ეზოში ამოსულა ახტალაო. ის ისეთი ბებია მყავდა, ბევრი ზევწნამუდარა არ უნდოდა, რას ნიშნავს მეთქი, ვკითხე და ისიც მაშინვე მომიყვა:

ერთი მდიდარი მღვდელი იყო; სახანაგ-სათესიც იმას ჰქონდა და საქონელიც იმას დაუდიოდა. ხნავდა — მთელი დღის საგალზე გაიტანდა კვალსა, ფრთამოქცეულს დადგამდა — ვერ გაუწვდენდი თვალსა, ნახირი კიდევ, ბოლოს მთაში რომ იქნევდა, თავი ალაზნაზე ეღო.

სარჩო-საბადლებელი უვსებდა და უმიძიმებდა ბელელ-მარანსა.

არავინ ჰყავდა უმადური: არც მეზვრე, არც მენახირე, არც მოჯამაგირე და არც სოფელი.

ნათელ-მირონი იყო — არავის დაუტყრდა, ზიარება იყო — არავის დაამადლიდა, აღსარებას ეტყოდნენ და — ხატის მეტს არავის გაანდობდა. მკვდრის გაპატიოსნებაც იმან იცოდა და ცოცხლისაც.

ძე არ აღირსა ღმერთმა, ასული კი ოთხი ჰყავდა: ერთი აღმოსავლეთით გათხოვილი, ერთი — დასავლეთი, ერთი — სამხრეთით და ერთიც — ჩრდილოეთით.

სხვა ღებისაგან განსხვავებით ეს ღები ერთმანეთთან არ ჩხუბობდნენ, უყვარდათ და ნამდვილადაც უყვარდათ ერთმანეთი.

მღვდელი ღვთის შიშსა და მორჩილებას ასწავლიდა თავის მრევლს. რაკი თვითონ არ გადაუხვევდა ხოლმე განგების ნებ-სურვილს, სოფელიც მორჩილად მიჰყვებოდა. მაღლითა და სი-

კეთით გაივსო სოფელი: იწამა ღმერთი პატროსნებისა, ღმერთი — ერთგულებისა, ღმერთი — ბედნიერებისა...

სოფელმა ხორცის გვემა არჩია სულის გვემასა.

მღვდელი იგი ღმერთი იყო სოფლისა, ღმერთი თვალხილული და ღმერთი ჭეშმარიტი.

მაგრამ ერთხელ გაოცების ჩურჩულით გაიღია ღამე — მღვდელმა კვირას გუთანი გამართაო.

არ დაიჯერა სოფელმა, თუმცა ვერკი მოიშორა ეჭვი, ვერ შეელოა მორიდებას და ჩურჩული ჩურჩულად დარჩა.

მომდევნო კვირა ღამეს იმატა ჩურჩულმა.

დაუჯერებელი რაღაო და გაუბედეს მღვდელსა:

— კვირას ხარ-კამეჩი შეგიწუხებია, მამაო?!

— გარჯა შეწუხება არ არის, შვილო ჩემო.

— ხარ-კამეჩის შეწუხებაა, მამაო.

— ამინდს ვეშურები, შვილო ჩემო.

— ხარ-კამეჩიც სულიერია, მამაო.

— ზამთარში დაისვენებს, შვილო ჩემო.

— რწმენას დაემორჩილე მამაო.

— ადამიანს ყველაფერი ემორჩილება, შვილო ჩემო.

— ღმერთს ემორჩილება, მამაო,

— ადამიანია ღმერთი, შვილო ჩემო...

სოფელს რწმენა დაეკარგა მღვდლისა, მაგრამ გულიდან ერთბაშად ვერ ამოიღო მორჩილება და მორიდება.

ისევ რეკდნენ ეკლესიის ზარები, ხალხიც ისევ იწერდა პირჯვარს და ისევ ანთებდა სანთელსაც.

ისევ ლოცულობდა ხალხი, მაგრამ იმ ლოცვას მაღლი აკლდა და მხურვალე-ბა.

ერთ კვირა დილით მღვდლის ეზოს ერთი თეთრწვერა, დაკონკილი ბერიკაცი მიადგა:

— ოჯახიშვილებო!

ფოფოდიამ გამოიხედა, დაინახა და შეიცოდა:

— უი, ჩემს დღეს, მათხოვარი ყოფილა!

თეთრწვერა, დაკონკილმა ბერიკაცმა მღვდელი იკითხა.

მღვდელსაც მათხოვარი ეგონა და გასაკითხის გამოსატანად შეტრიალდა სახლში.

თეთრწვერა ბერიკაცი შეჰყვა:

— აჩქარებას გატყობ, მამაო?!

— მეჩქარება, შვილო ჩემო.

— კვირას სად მიგეჩქარება, მამაო?!

— სახნავ-სათესად, შვილო ჩემო.

— ღმერთს რაღა პასუხს აძლევ, მამაო?!

— ღმერთი უჩემოდ არ არსებობს, შვილო ჩემო.

— უშენოდაც იარსებებს, შვილო ჩემო..

ახლა კი მიხვდა მღვდელი, ვისაც ელაპარაკებოდა და შიშით გახევდა.

— შენს შვილებს უხმე! — მკაცრად თქვა ღმერთმა.

იმ დროს ოთხივე შვილი თავისთან ჰყავდა მღვდელს — ღმერთმა ესეც იცოდა.

უხმო შვილებს: მოვიდა ოთხი ქალი და ოთხივემ თითო შვილი მოიყოლა.

ღმერთმა მშვიდად გადახედა ყველას, მერე თქვა:

— წაიყვანეთ ბავშვები და თქვენ თქვენს სახლებში წადით, რაც არ უნდა მოხდეს, შინ მისვლამდე უკან არ მოიხედოთ! ამას მე გირჩევთ, ღმერთი სიმართლისა და ღმერთი ჭეშმარიტებისა.

მაშინვე დამორჩილდნენ, შვილები აიყვანეს ხელში და გზას გაუდგნენ:

ერთი — აღმოსავლეთით, ერთი — ჩრდილოეთით, ერთი — სამხრეთით. რომელიც დასავლეთით წამოვიდა, იმას აკვანში ეწვა შვილი; აკვანი მხარზე შეიდგა და ასე გამოსწია.

მოდის აჩქარებული. ნაბიჯი აურია შიშმა, ღუმილმა, ლოდინმა. დიდი გზა

ბარლო ანდრეიძე
მოთხრობები

გამოიარა და უცებ ისეთი გრუხუნი მოესმა ზურგიდან, თითქოს ზეციდან ვეება მთა ჩამოვარდაო.

ქალს დაეიწყა ღმერთის რჩევა, თურმე უკან მოიხედა და გაქცევა დაშინე...

იმ ადგილას, სადაც ის ქალი გაქცევადა, ქალ-ქვას ეძახიან დღესაც. ახლა იქ ზეარია გაბმული, აღრე — დაცემული მიდორი იყო.

ჩემს პატარაობაში რამდენჯერ მინახავს უზარმაზარი ლოდი: ქალს მხარზე მოხატული აკვანი შეუდგამს — მარცხენა ხელი იმ აკვნისთვის ჩაუბლუჯია, მარჯვენა განზე აქვს გაშლილი და შიშით იხედება უკან. აკვანში ჩვილია ჩაყრული, იმასაც შიშის ჩრდილი დასცემია სახეზე.

ჯერ ფეხზე იდგა ეს ლოდი, მერე — წაიქცა. დიდხანს ეგდო პირქვედამხობილი — მხრებზე აწვიმდა წვიმა და

ათოვდა თოვლი. ნელ-ნელა ეფლომოდა ბალახში, თანდათან იძვრებოდა წაში. ბოლოს გრძელი ხარო გასჭრეს და ჩამარხეს, ხვნაში ხელს გვიშლისო. თურმე ბრძანა ღმერთმა და გული გაიხსნა მიწამ — შიგ ჩაიქცია მღვდლის სახლ-კარი — ამან დაიგრუხუნა სწორედ.

მღვდლის ნასახლარზე ახტალა ახლა — გაუთავებლად ჩუხჩუხებს ტალახი, მიწა დუღს და განელება არ ეტყობა. ვიდრე აღამიანები მიხედებოდნენ ამ ტალახის სიკეთეს და ქვეყნის ოთხივე კუთხიდან მოაწყდებოდნენ, წესი იყო ასეთი: იმ ტალახში მხოლოდ ხარ-კამეჩს აბანავებდნენ. ისიც ხშირად მინახავს — ხან ქილა ამოუყოლებიათ რქით, ხან ზედადგარი და ხან რა. დავინახავდით გოგო-ბიჭობა და სინანულით გავაქნევდით თავს, საწყალი მღვდელიო. დიდებს არასოდეს წამოსცდენიათ ამგვარი შესაცოდი სიტყვები, თუმცა არც ის მახსოვს, ჩვენთვის დაეშალათ ოდესმე.

გუგამ როჩანაშვილი

ჩემი გუშუტა, ჩვენი ტერეზა

პარალელში ერთხელ ამბავი მოხდა, მტრისას.

ვინ იფიქრებდა და, იმ ამბის შემდეგ პარმენა დვალმა, მთელს გუბერნიასი სახელგაყარდნილმა თამადამ, სმას თავი მიანება და, შეფიქრებულს, ღამ-ღამობით ვარსკვლავებს უჭვრიტინებდა — ყანწის ნაცვლად გრძელი ქოვრიტი ეკავა და თვალის მაგივრად პირზე კი იყუდებდა უცანებად პირველ ხანებში, მაგრამ მერე შეეჩვია და ქოვრიტს სწორად ხმარობდა. არადა, ამბავი მოხდა, ავ თვალსაც კი დაენახებოდა — პარალელის ორი ტიტანი, ორი მოქალაქე, რომელთა უძლეველობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ერთმანეთს შეერკინა და ხომ უნდა დამარცხებულიყო რომელიღაც, რაც ჩვენთვის, პარალელთათვის, წარმოუდგენელი გახლდათ და ისე, უბრალოდ კი არ წაქილიყდნენ, არა, ბატონო — ერთმა პერანგი გადაიძრო თავზე, უშნოდ გამობზევილ ტოტზე ჩამოვიდა და ნამდვილად სწორად მოიქცა. — მეტოქის დასაშინებლად ისე დაბურცა რიყის ქვასავით კუთხები, რომ პერანგს მაშინვე დაფლეთდა, მეორემ კი სახელოები დაიკაპიწა, ქმარზე ძეშვკით მიბმული საათი მოიხსნა და პირველივეს, ვინც თვალში მოხვდა, პატარა ხნით შენახვა სთოვა და ცნობილი თამადის, პარმენა დვალის ნიშანზე ისე დაეძგერნენ ერთმანეთს და მერე და მერე მუშტების ყრუ ბრავაბრუვი, რომ გაისმა, და ისე დაბზირალ-

დნენ, რომ შემკრთალ პარმენა დვალთან ერთად ხალხი მახლობელ ხეებზე აძვრა და ამ შერკინებას ასე უმზერდნენ.

პარალელში რა არ მომხდარა, მაგრამ ამდაგვარი? აჰ, არა, არა... ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, მაგრამ სწორედ პარალელში, დიდი ქორწილისას, შემწვარ გოჭს კბილებშუა მსოფლიოში პირველად რომ გაუჩარეს ბოლოკი და ასე მიართვეს თამადას. ბუნებრივია, სუფრის გამოცოცხლების ეს ახალი ხერხი, საერთო აღტაცებისა და ქრიამულის გამომწვევი, მეზობელ ქალაქებსა და სოფლებს სწორედ პარალელიდან მოედო, მერე გადასწვდა შორეულ დაბებსა და ვრცელ დასახლებებს და ბოლოს, ბუნებრივია, ისე გავრცელდა, რომ აღარცვის ახსოვდა, სწორედ პარალელში დიდი ქორწილისას პირველად რომ გაუჩარეს შემწვარ გოჭს დრუნწში ბოლოკი. მაგრამ ორი პარალელთა შერკინების ამბავი, დიდად სამახსოვრო, არ მინდა, უკვალოდ რომ გაქრეს და შერკინების შემდეგ გუბერნიის ტენორმა, პალტოს საყელოზე კარაკულშემოვლებულმა ოსიკო არჩევანიძემ კი აღნიშნა, რომ „ასეთ დიდებულ სანახაობას არასოდეს გადაეფარება დავიწყების მტკრიანი, მონაცრისფრო ფარდა“, მაგრამ მაინც, მე, თქვენი მონა-მორჩილი, დიდად ვშიშობ, რომ „დროთა უწყალო დაღმა-დინებამ“



(ესეც ოსიკო არჯევანძის სიტყვებია) არ წაშალოს ეს უმაგალითო შერკინება და ისე კი, რომ ითქვას, სულ შაშაი კუტუბიძის ბრალი გახლდათ ყველაფერი, და რომ არა ითქვას, რის შაშაი, რა კუტუბიძეო, აქვე მოგახსენებთ, რომ შაშაი კუტუბიძე ჰარალეთის თეატრის დირექტორ-ადმინისტრატორი იყო.

ჩემი ჰარალეთი... ჩემი ქალაქი, მიხეველ-მოხვეული, მთებშუა ზეჟად ჩავარდნილი, თავისთვის იდგა, ვის უშაგებდა რამეს. ჯერ იყო და, უბრალო, მომცრო სახლებით იწყებოდა, ეზოებში ვარდი, გეორგინი იდგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგი ხასხასა მოლიც გვინებდა ეზოებში, ხეები იდგა მწვანედ გატიკინებული და ჩრდილი ზაფხულში კი იყო და ზამთრობით არ იყო, მაგრამ არც გვინდოდა, სახლსუკან ვენახები გვქონდა, ვუვლიდით, ვრწყავდით, ქურბები გვეგულებოდა მარანში, ღვინო ორშიმითი სულ ლიკლიკით ამოგვქონდა, შექამანდს ხის კოვზებით შევექცევოდით, თალიანი ბუხრები გვედგა სახლებში, ზამთარ-ზაფხულ კვამლი ასდიოდა ჰარალეთს, ნაკვერჩხლებზე ჭყინტ სიძინდს ვწვავდით, კვამლი თვალებში გვხვდებოდა და ცრემლი გვდიოდა, ზოლო დრო, მოგვხსენებათ — ვადიოდა. ამ უბრალო სახლების შემდეგ, სადაც ჭეშმარიტი ჰარალეთელები ვცხოვრობდით, ქვემოთ და ქვემოთ, უფრო ღიდი, შთამბეჭდავი სახლები იდგა, სახურავებზე ოქროსფერი რკინის მტრედებიანი, აივნებიანი, შუშაბანდებიანი და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იქაც ჭეშმარიტი ჰარალეთელები ცხოვრობდნენ, ქალაქის ცენტრში კი, მთავარი მდინარის პირას, რომელზეც გაზაფხულობით ხიდად მორი იყო გადებული, ჰარალეთის სიამაყე, სამსართულიანი შენობა იდგა, სვეტებიანი, მარმარილოთი მოპირკეთებული. ჰარალეთის მშვენება მისი ადამიანები გახლდათ — ზოგი ცუდი, ზოგი უფრო ცუდი, ზოგიც კარგი და საშუალო, ჰარალეთის მთავარი სიამაყე კი სწორედ ეს სამსართულიანი შენობა იყო, ყავის-

ფერი დრამატული თეატრის დირექტორის დანიშვნაზე ბევრი აღსანიშნავი რითა, შაშაი კუტუბიძემ განაცხადა, ახალგაზრდობაში მომღერალი ვიყავიო, იმხანად კი ჩურჩულით ძლივს ლაპარაკობდა, ზოლო ავი ენები იძახდნენ, სანთლის არაყმა გადაუწვა ხმაო და იგივე ავი ენები იმასაც ამბობდნენ, შაშაი კუტუბიძეს მისდღემჩი არ უმღერიაო და თუ ლოთის დანიშვნა ყოფილა აუცილებელი კულტურულ ადგილას, ბარელამ პაპიკო-ლოთი დაგენიშნათო, თუმცა პაპიკოს აზრადაც არ მოსვლია ეს, რადგან ჩუმი ლოთი გახლდათ და კულტურულ თანამდებობას ჩრდილში ყოფნა ერჩია. შაშაი კუტუბიძე მანამდე საბილიარდოს გამგე იყო და ამანაც შეუწყო ხელი — საბილიარდოც კულტურული დასვენების ალაგა და ჩვეიც გვაქვს, ბატონო, რაღაცა გამოცდილებაო... მერე, ისიც კი იცოდნენ დამნიშნავებმა, ქალაქის თავის მოადგილემ კაკოია გაგნიძემ და იმისმა თანაშემწემ ბუხუტი ქვაქარავამ, რომ თვით სანკტ-პეტერბურღში დაწინაურებული ჩინოვნიკ-სოვეტნიკი გულბაატ კანსტანტინოვიჩ კუტუბიძეზე შაშაის ნათესავი თუ არა, მოგვარე მაინც ნაღდად იყო და, რა გახდა, ბოლოსდაბოლოს, ამდენს რომ გიყვებით, ეგეთები მომხდარა? — დანიშნეს, მოკლედ, შაშაი დირექტორად. ერთი ურიადნიკიც, გვარად კაველაძე მიუჩინეს წესრიგის დამცველად და ზორბა მაუზერით ქამარზე, წარმოდგენებს პირდაფრენილი გატაცებით უყურებდა, მაგრამ როცა გაიგეს, კაველაძე ყრუ ყოფილაო, აბა რაღას უყურებსო და ალბით ვერიკო თირიშვილი თუ მოსწონს, თორემ სხვა რომელი არტისტი მოეწონებოდაო, დაასკვნეს. კაველაძე ღღეღაღამ თეატრში იყო, გრძელ ქარქაშს ხელისგულით მაგრად მიიჭერდა ბარძაყზე, სკამის ფეხს ხმაურით რომ არ წამოდებოდა და რეპეტიციაზე ასე შედიოდა. ერთი მოწვეული რეჟისორი ღიდი უცნაური, ესე იგი, თავისებური კაცი აღმოჩნდა და ფეხისწვერებზე მომავალი ზონზრობა კაველაძის დანახვა-

ზე გაბრაზებულმა შესძახა: „გაბრძნ-
ლით გარეთ, მოქალაქე, მე არ მსურს,
უცხო ხალხმა რომ გაიგოს ჩემი მუშა-
ობის მეთოდით“. იმან არ იცოდა, კავე-
ლაძე ყრუ რომ იყო და ეს რომ აუხს-
ნეს, მაინც სიტყვის კაცი აღმოჩნდა და
მიუხედავად იმისა, რომ რაღაცა ცუდს
მიმხვდარი კაველაძე დამანამუსებლად
უმზერდა — „ასე ჩვენში, ხომო?“ —
მაინც თქვა: „მერე რა, მაინც არ მინდა,
ყრუმ და ათასნაირმა... ეე... ათასნაირე-
ბმა ჩემს მეთოდს რომ უყურონო“ და
გარეთ მიაბრძანა დიდად ენერგიული,
ვეშმარტიად თეატრალური ეესტიით.
ასე რომ, ნირწამხდარი კაველაძე იმი-
სი რეპეტიციების დროს თეატრის შე-
სასვლელთან, მტკრიან კიბეზე მოწყე-
ნილი იჯდა და მაუზერით კაკალს ტე-
ხავდა, ძალიან უყვარდა ნედილი კაკალი.
სხვა დროს სულ თეატრში იყო, ხან პა-
რტერში ბოლთას სცემდა, ქანდარაზე
ადიოდა, ღამითაც თეატრში რჩებოდა,
ჩაკეტავდა ურდულით კარებს, მიმოი-
ხედავდა, ხომ არსაიდან ბოლავდა და
შუა სცენაზე დადგმულ დიდ სკივრს
მიაშურებდა. ეს სკივრი წარმოდგენი-
სას ბევრნაირ მოვალეობას ასრულებ-
და — ხან საწოლი იყო, ხან მაგიდა,
ხან კიდეც საფლავის ლოდი და კიდეც
ვინ ჩამოთვლის, რა... ხოდა, მიაშურებ-
და კაველაძე სცენის შუაგულს და ჩვენ,
ფანჯარაზე გარედან აკრული გოგო-
ბიჭები, გაფაციცებულნი შეგყურებ-
დით, როგორ გაიშლიდა ლოგინს დიდ
სკივრზე, რომელშიც ატლასის ფარდა,
პუდრი, პომადა, პარიკები და ამგვარი
რამე-რუმეები ინახებოდა; მერე კავე-
ლაძე მოიხსნინდა მაუზერთან ქამარს,
ღვეღზე ჩამოკიდებულ ხმაღს თავსზე-
მით გადაიძრობდა, გაიხდიდა მძიმე
ჩექმებს და, სკივრზე ჩამოიჭდარი, და-
ბუყებულ ფეხის თითებს ნეტარებისა-
ვან თვალეზაბუჯული აათამაშებდა,
მერე გაიხდიდა ურიალდიკის ხალათს,
შარვალს, გემოვნებისდამიხედვით აა-
ფუებდა ბალიშს, ტყუპად ასწევდა კან-
კებს და ლოგინზე მოკალათდებოდა,
მერე საბანს დაჭორფლილ ბეჭებზე წა-
იხურავდა და ახლა რომ ვუყვირდები,

რამდენი წელი გავიდა და მე, ვისაც, ბე-
დმა რომელი თეატრი არ გინდა და რომელი
ნაირილა მსახიობის ყურება არ მარგუ-
ნა, მაინც თავისუფლად, მაინც უტო-
მანოდ შემოძლია ვთქვა, რომ ურიალდიკ
კაველაძესავით ბუნებრივად არავინ
მოქცეულა მსოფლიო თეატრების სცე-
ნებზე.

ჰოდა, თეატრში, საღამოობით, ხალ-
ხი იკრიბებოდა. გამოვეწყობოდით პა-
რალელულები შედარებით კარგად, ვი-
საც რა გვქონდა, ქალები მორჩენილ
ოდეკოლონ „ფანტაზიას“ ბავშვებსაც
გვაკუთვნებდნენ თავზე, ჩავკიდებდნენ
ხელს, მეორეში ქოლგები ეკავათ, კაკა-
ლა მამიდას რკინის ყუთში, რომლის
გასაღებიც შაშია კუტუბიძეს ებარა, შა-
ურიანს ჩავაჩხაკუნებდით, შევიდოდით
პარტერში, ფანრები ბლღეილებდნენ
სცენაზე, ჩაბნელებულ დარბაზში „ფა-
ნტაზიის“ სუნნი იდგა, კაკლა მამიდა
რკინის ყუთით ილღიაში ვაწვებდასწევ-
და მავთულზე ჩამოკიდებული ყვითე-
ლი ატლასის ფარდას, ავერ გამოვიდო-
და ჩვენი ტიტეკო ლლონტი, ინგლისე-
ლი გრაფი იყო ვითამ, აიღებდა ხის
ხმაღს და გაურტობდა შიგ გულში თა-
ვის ბიძაშვილ ეფრემა ლლონტს, ტირო-
და ცხარედ ესპანელთა პრინცესა ვე-
რიკო თირიშვილი, შაშია კუტუბიძე
სადმე მიფარებულში შაურიანებს ით-
ვლიდა და, მოგესხენებთ, დრო გადი-
ოდა.

თეატრი ბევრს გვიყვარდა ძალიან,
რამდენიმე პარალელულის კი, წარმოიდ-
გინეთ, დიდად არ ეპიტნავენოდა. ზოგს,
მაგალითად, ფული ენანებოდა და ამ-
ბობდა, ტიტეკოიას ლლიცინში რა ყრი-
აო, სხვასაც ფული ენანებოდა, მაგრამ
ამბობდა, ამდენი ხალხის ნასუნთქ პა-
ერში ბაცილებია, ბატონოო და მესამე-
თაც ფული ენანებოდათ და ჩიოდნენ,
წელი მაქვს გაკავებულიო, მჭვალავსო
და რა ვიცი, ასე... კი გვიყვარდა მაინც
ჩვენი თეატრი უმრავლესობას, კარგი
იყო თუ ცუდი იყო, ჩვენი იყო და ჩვენ

გუგამ დოჩანაშვილი

ჩემი ბავშვობა, ჩემი ბედობა



რომ არ გვევლო, აბა, სხვა ქალაქებიდან ივლიდნენ?!.. დავდიოდით ასე, დრო-გამოშვებით, ნება-ნება, და როგორც იქნა, ოსიკო არჩევანის მამა, ღრჯუ და პირქუში სამსონა არჩევანიძე, ერთადერთი კაცი, ვინც არასოდეს ყოფილა თეატრში, ძლივს დაითანხმა შვილმა — იმას, ოსიკოს შემხედვარეს, თეატრი და საერთოდ ხელოვნება ჭირის დღესავით სძულდა — შვილი წამართვა ხელოვნებამ, ყანაში აღარ მებმარებაო — ჰოდა, დღენიადაგ ჩამოფლეთილ ტანსაცმელში გამოწყობილმა, ოსიკოს დაყენებული ხვეწნა-მუდარის შემდეგ — „არ შეიძლება აგრერიგ, მამავო“, მოირგო ახალი ჩოხა და ეზოში გამოვიდა. ერთი გამოპნეტრებული ძაღლი ჰყავდა, რალაცა ქრონიკული სურდო სჭირდა, აფჩიკვებდა წარამარა და სულ რომ დაკარგა ყნოსვა, ადამიანებს ჩაცმულობისდამიხედვით არჩევდა ჩინოგნიკივით, და რომ დაინახა სამსონა არჩევანიძე, ეზოში სულ სხვა ეშხით მომავალი, არ ეტაკა და არ უკბინა? გადართია სამსონა — თქვენ და თქვენი თეატრიცო, ისევ გამოეწყო ძველმანებში და „არ შეიძლება აგრერიგ, მამავო“, მწუხარედ აღნიშნა ოსიკომ და კიც მოხვდა პალო კოჭებში. ჰოდა, იმის შემდეგ, ქული შეგვგდოთ კი არა, შარვალ-ხალათიც ზედ რომ მიგეყოლებინათ, სამსონა მაინც არ შევიდოდა თეატრში, სადაც მისი უფროსი შვილი, ოსიკო არჩევანიძე, ანტრაქტებში ცნობილ სიმღერას — „მშვენიერთა ხელმწიფას“ ქანდარისაკენ ხელაპყრობილი მღეროდა.

ქალაქის თავის მოადგილე კაკოია გაგნიძე და იმისი თანამეგობრე ბუხუტი ქვაპარავა მხოლოდ პრემიერებზე დაიარებოდნენ და შაშია კუტუბიძე პირველ რიგში კაკოიასათვის ბალიშს დებდა სკამზე, საზურგეზე კი მუთაქას მიყუდებდა. ბუხუტი ქვაპარავასათვის მხოლოდ ბალიში იყო განკუთვნილი — ზომ უნდა ყოფილიყო რალაც განსხვავება უფროს-უმცროსში თანამდებობით, თორემ ისე ქვაპარავა ასაკით უფროსი გახლდათ — და ვერაფერი

პარტიცისცმა იყო, ჩემის აზრით, პირველ რიგში ჯდომა — მთელს მთელი იმით ეყრებოდით თავზე. ურიადნიკი კაველაძე, ფეხზე მდგარი და კედელს მიყრდნობილი, ხმალჩამოკონწილგებული, ისევ პირდაფენილი მიჩერებოდა ვერიკო თიროშვილს, მოგვსენებარ, დრო — გადიოდა და დრო რას ასცვლის და მერე სხვა ქალი ამოიჩემა, მერე — კიდევ სხვა და, თავის სკივრზე თავმიდებულს, თამამ სიზმრებში ხან ვერიკო თიროშვილი ესიზმრებოდა, ხან — მარგალიტა თალაყაძე, ხან კიდევ მაკრინე ჯაში და ლუიზა თუშაბრაშიშვილი. ისე, სიტყვიერად, ვის გაუზმებოდა თავის ოცნებებს, ფეხისწვერებზე დაბოდილობდა თეატრში, მაღულად უქვრივინებდა სხვადასხვა ქალებს და მხოლოდ ასე, ოცნებებში იცვლიდა გულის რჩეულებს, მაგრამ ისე ზმირ-ზმირად, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას, ურიადნიკი კაველაძე პლატონური დონე ჟუანი იყო.

და ყოველი ტაშის გაგონებისთანავე, ტკბილ ბურანში ჩაძირულ ოსიკო არჩევანიძეს ელანდებოდა საკუთარი თავი, მუხლამდე ვარდებში ჩაფლულს, მილანის ცნობილ „ლა სკალაში“ „ბის-ზე“ წარდგენილს, ლოჟა-ქანდარებისაკენ პეროვანი კოცნების ტყორცნითა და თავის ღრმა დაკვრით გართულს, წარმოედგინა ასეთი აფიშაც — „საოცრება მთა-გორიანი კავკასიიდან — ტენორი ოსინიო პარალეთინი—ყოველ ქალის ოცნება“, და ეს აფიშა ისეთი ცხადი და თანაც ისეთი საეჭვო იყო, განსაკუთრებით „პარალეთინში“ ბგერა „ჰ“ ისე ანტერესებდა, რომ შაშია კუტუბიძეს დაეკითხა, ნეტაი იტალიურში „ჰ“ თუ არსებობსო და ყელგადამწვარმა შაშიამ აღმფთვებისაგან სულ ხრიკალ-ხრილით უთხრა, აბა რა, ბიჭო, „ჰ“ რომ არ იცოდნენ იტალიელებმა, „ჰ“-ამლეტს ისე ზომ ვერ დადგამდნენ და რაღა გგონია, იტალიაში „ჰამლეტი“ არ იქნება დადგმულ-განსახიერებულიო? ოსიკოსაც დაუჯდა ქუთაში ეს აზრი, და აფიშამ მეტი დამაჯერებ-

ქალის გარდა ყველაფერი იყო, სხეულის აგებულებას სულაც თავი რომ დავანებოთ, ყველა პარალელურს ერთად გალახავდა, და ყველამ მასხრად აიგდო არდალიონ ჭედია და იმანაც, ცოდნა წყალში რომ არ გადაჰყოფდა, თქვა, არა, ბატონო, კაცის სახელიცაა, ამასთანავე საბერძნეთში ერთი ბრმა მკითხავი იყო, იმას ერქვა ტერეზიაო, ხოდა ტერეზა და ტერეზია რამ გაყო და ისე, ქალსაც კი ჰქვია ხანდახანო, მაგრამ სამსონა მაინც ნაწყენი დარჩა — რაღა ჩემი შვილი მოიყვანე მაგალითად, აგერ ერთი და იგივე სახელია შურა და ქალსაც ჰქვია და კაცსაცო. საშაც ეგრე არ არისო, პარმენამ, დღელმა. მოკლედ, ტერეზა ისეთი ყმაწვილი იყო, ათ კაცს უდრიდა სხეულითა და ღონით, ხოლო რაც შეეხება ჭკუას, უკაცრავად პასუხია, მაგრამ... მოკლედ, ჭკუით ვერ დაიკვეხნიდა. დიდად საკვირველი კი იყო, საიდან ჰქონდა იმოდენა ღონე. მე, მაგალითად, გამიგია ისეთი ხალხი, რომელნიც დღენიადაც ვარჯიშობენ, სხეულს იკაყებენ, კუნთებს ილიდებენ გამუდმებული ვარჯიშითა და სხეულის წრთობით და შემდეგ ფოტოსურათებს გაჯგიმულნი იღებენ, მაგრამ ტერეზას თავის დღეში არც უვარჯიშია, არც ტანი დაუზღვია სველი ტილოთი, არც ურბენია აღმართ-დაღმართ ზოგიერთივით, თოხს დააჰკერინებდი კი არა, ღვინოს არ ამოიღებდა ჭურვიდან, ჭიდან წყლის ზიდვას სულაც თავი რომ გავანებოთ და საიდან ჰქონდა იმოდენა ღონე, კაცმა არ იცოდა, ვერავინ ვხვდებოდით. ერთადერთი იმისი ვარჯიში ის იყო, ვინმეს მიეპარებოდა, ილიაში ხელებს სტაცებდა და ჰაერში ისროდა ჭინჭის ბურთივით. ამას კიდეც არა უშავდა, მიწასთან მიახლოვებულ მსხვერპლს ნაზად იჭერდა, მაგრამ ერთხელ ვილაცამ დაუძახა და მიტრიალდა — სულ გადავიწყდა ჰაერში ავდებულნი კაცი და მოგესხენებათ, ალბათ, დედამიწის მიზიდულობის კანონი და ამიტომ ჰარალუთელები ერთთავად კედელ-კედელს აკრულნი დაჯიარებოდით, ტერეზა რომ

არ მოგვპარვოდა; ყველას ამოგახსნელი გვქონდა ზურგზე ხალხი, ვინც ვინც რამეს გაუბედვადო თუ რა — თვით ბოქაული ტიტეინიძეც კი, პარალელის რისხვა, ვითომ ვერ ამჩნევდა იმის გამოხდომებს (ცარიელი კასრის დაგორება უყვარდა ქვაფენილზე და ეტლების გადაყირავება), ისე კი, ტერეზაზე ალბათ ძალიან ბრაზდებოდა, რადგან მისი ყოველი უმსგავსი საქციელის შემდეგ მოედანს თვალს მოავლებდა, პაპიკო-ლოთს დაინახავდა და, ტერეზაზე გაბრაზებული, იმას შეუძახებდა: — მოდი აქ შენ!

ჩვენი პაპიკო-ლოთიც წყნარად წამოდგებოდა ჩრდილიანიდან და შორიასლოს აეტუზებოდა.

— რა გქვია, ბიჭო, შენ!

— პაპიკო.

— ლაპარაკი!! — დაიქუხებდა ტიტეინიძე.

იღმა ჩვენი პაპიკო თავისთვის, ვის უშევებდა რამეს.

— რა დღეა, ბიჭო, დღეს!

— ოთხშაბათი.

— ლაპარაკი!! როგორ გავიდნენ თავს, ხედავ? — გაჯგიმულ მკერდზე დაიხდავდა და მოხრილ პაპიკოს ისევ ეკითხებოდა:

— ხვალ რა დღე იქნება!

— ხუთშაბათი.

— ზეგ?

— პარასკევი.

— ლაპარაკი!!

მერე ტერეზას ცალი თვალით გახედავდა, „სმიტის, ვენსონისა და K²-ს“ ტიპის ცეცხლმსროლზე მოისევამდა ხელს და იტყოდა:

— ბუხუტი ქვაჭარავას ფაეტონს ხომ არ ჩაუვლია აქ!

მაგრამ პაპიკო, ჩემო ბატონო, ამჯერად ხმას აღარ იღებდა...

— ხომ არ ჩაუვლია-მეთქი!

იღმა პაპიკო ჩუმად.

— არ ამბობ, ხომ? — იფეთქებდა ტიტეინიძე, — მოლაპარაკებაა, ხომ? ბუნტია, ხომ, ბუნტი? კაველაძე, მოდი აქ!!

ჩვენი ურიადნიკიც ქარქაშს ბარძაყ-

ზე მიიჭერდა და სმენადქცეული მიუახლოვდებოდა, თუმცა, სმენა სად ჰქონდა, ყრუ იყო.

— ბუნტია, ხომ? კაველაძე!

— ცხრამეტია მგონი... — ამბობდა კაველაძე.

— რა ცხრამეტია, ბიჭო... — იბნეოდა ბოქაული.

— ივლისის, უფროსო.

— პატ! — ჰქუხდა ტიტვინიძე. — მე თქვენ გაჩვენებთ! ავგიოლიეს ხომ, მასხარაობაში, ხომ? მოგჭრით ყველას თავს!!!

პაპიკოს, ჩუმ ლოთს, ლურჯი თვალები ჰქონდა.

პარალელში რა ქორწილი უნდა ჩატარებულყო ისე, სუფრის თავში პარმენა დვალი რომ არ მჯდარიყო, ლექსიც კი მიუძღვნა ერთმა: „გული შენ უნდა გვიხარო, სუფრისა თავსა ზიხარო“ — პარმენა დვალი დიდ, სასახელო ყანწს რომ მიიყუდებდა პირზე და ყანყარათო დგუშვით თანაბრად რომ აუწ-დაეწოდა, პარმენა დვალი მაცდურ ჭინჭილიდან ბოლო წვეთს რომ გამოუწვნიდა, პარმენა დვალი გულ-ლია ჯამს რომ დაეწაფებოდა, პარმენა დვალი მთელ სუფრას რომ აჩვენებდა გადმოპირქცავებულ სასმისს, ამის დანახვა ერთ რამედ ღირდა, ხოლო ათ რამედ ღირდა იმისი ლაპარაკი — დასურათბატებულ სადღეგრძელოებს ამბობდა. რას არ იტყოდა იმისი ენა: „გუგულებივით ზიხართო“, „იკუპუშქუშქუშეთო“, „უმთვარო ღამის ციურ-მანათობელო ვარსკვლავო“ და „მზიან დღის შუქსა დამჩრდილვარეო“, „დღით ღამის ტურფად მომყვანო და ღამისა გამანათებელო“, „სამშობლო ერთიაო“ და ასე. ხუმრობაც კარგი იცოდა, სიტყვა-პასუხიც. ხმაც მშვენიერი ჰქონდა და, სახეაწითლებული, ყელს მოიღერებდა და მეორე ხმას თვალდახუჭული, ეშხით ამბობდა, მე-რე ახალ სადღეგრძელოს იტყოდა, მოწყენილს გამოაცოცლებდა, აღგზნებულს — დააშოშმინებდა და ერთი ნაკლი ის ჰქონდა, რომ თამადაობაში

ფულს იღებდა — ვის არ გვაქვს თითონ ნაკლი. მაგრამ სხვა საქმე იმას არ ჰქონდა, ეს იყო მისი ხელობა და რა ექნა — ვერ ვამტყუნებდით. ისე კი, გამოთრობა ხშირად უწევდა და ბოლო დროს სახე წითლად დაელაქა, ცხვირიც წითლად აუხსახსადა და, ვაიმე, ლოთი არ ვეგონო ამ ხალხს და ფასი არ დამეკარგოსო, გაიფიქრა და ერთ მშვენიერ დღეს, ხალხის თანდასწრებით, ჩვენს პაპიკოს მიუტრიალდა და უთხრა: „რაა, კაცო, ამდენს რომ სვამ...“ პაპიკომ ერთი კი ახელა და მერე ისევ წავიდა თავის ამღვრეულ ფიქრებში. „ნუ სვამ, ბიჭო, ნუ, — მიმართა პარმენა დვალმა, — ლოთობაზე ცუდი რაა ამ ცხოვრებაში... მე, მაგალითად, — და ხალხს მოავლო თვალი, — სამ იმდენს ვსვამ ყოველდღე, ვიდრე შენ ერთ კვირაში, მაგრამ ლოთი კი არ ვარ, ბიძია — მე რომ ვსვამ, ვმხიარულობ, ხალხიც მხიარულობს, ამბებს ვყვებით, შენ ხარ ჩემი ბატონი, შენ კი, პაპიკო, რატომ ხარ სულ ასე ჩუმად, სადღეგრძელოსაც არ იტყვი, ისე დალევ ერთ-ორ ჭიქას და მიჯდები კიდევ ხის ჩრდილში. არ ვარგა ეგრე, პაპიკო, ან სულ ნუ დალევ, ანდა ბევრი დალიე და მხიარულად, არ ვარსწორი?“

მაგრამ პაპიკო წყნარად იჯდა და ნაღვლიანად დასცქეროდა მიწას.

„რას გაჩუმებულხარ ქვაზე დახატულივით, — გააცინა პარმენამ ხალხი და სიცილი რომ მიწყდა, განაგრძო, — მე რომ გიკვირდები, რაღაცა დარდი უნდა გქონდეს შენ. ახლავე გეტყვი, რატომ — მუშაობა შენ არ გეზარება, ვინმე დახმარებას რომ გთხოვს, ყველას ეხმარები და ფული სულაც რომ არ მოგცენ, არ დაგცდები სიტყვა... ქვაზე დახატულივით, — იხუმრა ისევ, — ბოროტი კაცი შენ არ ხარ, შენი ცუდი საქმე კაცს არ გაუგია, შეყვარებულიც არ უნდა იყო — ეგ ისეთი ამბავია, ისეთი რამაა, მაინც გაუმხელდი ვინმეს, ანდა სულაც ჩვენი შეგამჩნევდით

გურამ დოჩანაშვილი

ჩემი ბუმბუა, ჩვენი ბიძიჭა

და სხვა რაღა რჩება, დარდი გაქვს რა-
ღაცა გულში...“

მაგრამ პაპიკო ისევ წყნარად იჯდა
და ძველებურადვე ნაღვლიანად დასც-
ქეროდა მიწას.

„ახლა, შენ რომ დაგჩერებივარ, —
განაგრძო პარმენა დვალმა, — შვი-
ლებს გეფიცები, გული მტკივა — კი
ხარ ლოთი და სამარცხვინო, მაგრამ მა-
ინც ჩვენი ხარ, ბიჭო, ჩვენში გაიზარ-
დე, ერთი წყალი გვისვამს, ერთი ჰე-
რით გვისუნთქია და ამიტომ მტკივა
გული შენს შემხედვარეს, აბა...“

პაპიკომ თავი ასწია და სადღაც
შორს, გადაკარგულში გაიხედა.

„ახლა რაღაცა უნდა გკითხო და უნდა
მითხრა აქ, აქავე, ამ ხალხში, — განაგ-
რძო პარმენამ და ურიადნიკ კაველამი-
სათვის არც შეუხედავს, ისე იხუმრა,
— როგორ მოგვჩერებია ეს ბედოვლათი,
ვითომ ესმოდეს რამე... — დიდი სი-
ცილი ატყდა და კაველამიც ხალხს
უგულოდ აჰყვა, მაგრამ მერე შენიშნა,
ყველა მხოლოდ მას რომ შესცქეროდა.
პაპიკოსა და პარმენას გარდა და რაღა-
ცა ცუდი უგრძნო გულმა, მაგრამ ამ
დროს პარმენამ რჩევა-დარიგება განა-
გრძო და თვალი მოაცილეს, — ხოდა,
პაპიკო-ჩემო, რაღაცა მინდა გკითხო
და შემომხედე ერთი, თუ კაცი ხარ...“

პაპიკომ თავი მოაბრუნა და პარმენა
დვალს ლურჯად ამღვრეული თვალე-
ბით ახედა.

„აგერ სულ შენიანები ვართ, შენი
მეზობლები, შენი... შენი კეთილები!..
ჰოდა, ვატყობთ ჩვენც, რაღაცა დარდი
რომ გაქვს, თორემ აბა ჩემებრ მხიარუ-
ლი კაცი რატომ გალოთდება და გვით-
ხარი, პაპიკო, თუ კაცი ხარ რა დარდი
გაქვს... თქვი და გულს მოგეშვება“.

პაპიკომ კი თქვა:

— ვთქვა?

— თქვი!

და პაპიკომაც თქვა:

— კაცია საჭირო.

— რო? — ყურებს არ დაუჯერა
პარმენამ, — ვინაო?

პაპიკომ კი ისევ გაიხედა შორს, გა-
დაკარგულში და გაიმეორა:

— კაცია საჭირო.

— რა კაცი, ბიჭო? — კანაღდამი გსმისა-
ირია პარმენა, — რაღა ქალივით ლაპა-
რიკობ შენ...

მაგრამ პაპიკო ჩუმად იჯდა, მოწყე-
ნილი დაჩერებოდა მიწას.

— კაცები ვართ აბა რა ვართ ჩვენ!
— იწყინა პარმენა დვალმა, — აგერ,
კაცი არაა პატივცემული აკაკი გავნიძე
და ბუხუტი ქვაჭარავა? კაცი არაა,
აგერ... სამსონა არჯევანიძე და პატივსა-
ცემი ბოჭაული ტიტვინიძე? აგერ,
კაცი არაა ეს ჩვენი ტერეზა და ჩვენი
თეატრის თორმეტ მსახიობს სულაც
თავი რომ გავანებოთ, კაცია აბა რაა
შაშია კულტბიძე, ა?

აქ კი პაპიკომ შენიშნა:

— კი გამოგრჩა ბევრი, მაგრამ... კა-
ცია მაინც საჭირო.

— აუჰ! — თავში ხელი შემოირტყა
პარმენამ, — გესმით, ხალხნო? გესმით,
რას ამბობს? კაცები რომ არ ვიყოთ,
როგორღა გამრავლდებოდა მაშინ ჰარა-
ლეთი და აგერ, ეს ჩვენი ურიადნიკიც
კაცი რომ არ იყოს, იმნაირად მიაჩერ-
დებოდა მარგალიტა თალაკვაძეს?

— იმას აღარ უყურებს, — თქვა კა-
კალა მამიდამ, — კარგა ხანია, იმისაკენ
აღარ გაუხედავს.

— აბა ვის უყურებს ეს ჩემი ცოდ-
ვით... ვის უყურებს, კაკალა, მაკრინე
ჯაშს?

— არა, არა.

— აბა ვის, ქალო, დაკარგა აბა კაცო-
ბა?

— ლუიზა თუშაბრამიშვილს მიჩერე-
ბია სულ.

— მერე, შე ქალო, რამ გაყო მარ-
გალიტა თალაკვაძე, ლუიზა და მაკრი-
ნე ჯაშს? ქალი ქალია, ჩემო კაკალა და
ტყვილა რატომ გამაწყვეტინე სიტყვა...
რაღაცას ვამბობდი და... რა იყო კაცო,
რამ დამავიწყა... რაღაცა უცნაური
თქვეს და როგორ ვერ ვიხსენებ, რა
იყო მაინც...

— კაცია საჭირო, კაცი, — თქვა პა-
პიკომ, წამოდგა, თითი მაღლა აიშვირა
და გაიმეორა, — კაცი.

— რანაირი გნებავს მაინც, გვიბრძო-

ნო ეგება, ამ გლახაკს ვერ ხედავთ? რანაირი გინდა მაინც, პაპიკო ბატონო, სქელი, ხმელი, მაღალი თუ მომსუქანო?

— ეგ სულერთია, — თქვა პაპიკომ, ისევ შორს, აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა, — მთავარი ისაა, რომ კაცია საჭირო, მაგრამ ის კაცი მარტო მე კი არ მინდა, ყველას გინდათ, სუყველას, კაცია საჭირო.

ეს პირველი რთული წინადადება იყო, პაპიკოს პირიდან ამოსული. მანამდე მხოლოდ „არა“-სა და „ჰო“-ს ამბობდა, „არ ვიცი“-საც კი ვერ ათქმევინებდით—მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე.

— სად მიხვალ, ბიჭო, უყურე ამას, სად მიდიხარ-მეთქი! უყურეთ, უყურეთ, როგორ მიაქვს ფეხები, პრინცს არ ჰგავს სულ? ამის შემხედდვარეს...

აქ კი პარმენას სიტყვა გაუწყდა, რადგან ხუმრობის იშტაზე მოსულმა ტერეზამ ილიაში ხელები სტაცა...

2.

ხოლო დრო, მოგეხსენებათ, გადიოდა.

ამ წინადადებებს ისე ხშირად ვიმეორებ, ცოტათი უხერხულიცაა მეონი, მაგრამ რა ვქნა, სწორი კია და — დრო ყოველთვის, ყველგან გადის და ჩვენი პარალელი გამოჩაყლისი რად უნდა ყოფილიყო—ჩვენშიც სწორედ ისე გადიოდა დრო, როგორც სხვაგან, მაგრამ ჩვენ, სხვა ქალაქელთაგან განსხვავებით, დროსტარება უფრო ვიცოდით, ოპოპოპოპო! — ღომი და სულგუნი, ჭყინტი ყველი და პრასშემოხვეული მქადი, ღვინო ზედ... ქოთნის ლობიო, კარგად შექმავული, მწვადი, გენაცვალე, თევზი შემწვარი, თავისი მაშარაფით. უჰუჰუჰუჰუ! ნაქეიფვეს კაი დილის არაყი, მყავე კიტრი და პამიდორი, გამხმარი ტარანა, ხაში ვიცოდით ქონიანი ისეთი, მსოფლიოს რუკას ჰგავდა — პაპ-პაპ, პაპ-პაპ, პაპ! — გავიდოდა დრო, რას იზამდა აბა...

და თუნდაც მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო, პარალელში რაღაცა ყოველთვის იცვლებოდა — ერთ

დროს, მაგალითად, ხალიანი ბიჭები იყვნენ მოდამი, „ხალიანო ბიჭები“ სიმღერაც კი გაჩნდა მოფერებითი ასეთი, და ოსიკო არჩევანიძე გასათხოვარ ქალიშვილებთან საუბრისას ვითომ ყურს მიუშვერდა მოლაპარაკეს და სინამდვილეში იმ ხალიან ლოყას აჩვენებდა, მერე კი, ხალი მოდიდან რომ გადავარდა, და ასეთი სალანძღავი გამოთქმაც რომ გაჩნდა — „შე ხალიანო, შე დახალულლო“, ოსიკო მეორე ყურს მიუშვერდა პროწკია-პროწკია, სასერიზოდ ქოლგით გამოსულ პარალელელ ქალიშვილებს. მერე იყო და, დიდი კამათი ატყდა — შაშია კუტუბიძე აფრიალებს პრინცის ავტორის გვარს არ აწერინებდა მსოფენ კაცს, არღალონ ქედიაა და ძალიან რომ მომრავლდა უცხოეთის პიესები, ვიღაცამ თქვა, ეს ხალხურს არა ჰგავს და უთუოდ შაშის დაწერილი იქნებაო, ბარაქალა შაშისაო, ეს ბოლო პიესა მაინც რა კარგი გამოუვიდა, „ვერაგობა და სიყვარული“, სახელები არტისტებისთვის განგება აქვს შეცვლილი და ერთი მაინც დატოვა ნამდვილი—ლუიზა თუშაბრამიშვილისთვისო... ამ აზრის მომხრენი ძირითადად შაშის ნათესავები და ის ახლობლები იყვნენ, რომლებსაც უშაურთან უშეგებდა თეატრში, სხვები კი, შაშის მტრები, იძახდნენ, თუ მაინცდამაინც ცოთმა უნდა დაწეროს პიესა, პაპიკო ყოფილა, გენაცვალე, მაგების ერთპიროვნული ავტორიო და ერთმა ისიც კი თქვა, შაშია რანაირად დაწერდა პიესას, ყელი გადამწვარი აქვს და ხმა კიდევ ჩახლეჩილი და პიესაში ხომ სულ ხმამაღალი ლაპარაკიო. მოკლედ, ვიკამათეთ ბევრი... აზრთა გაცვლა-გამოცვლები იყო.

მერე ერთი თეთრწვერა, წელში ძალიან გამართული ბერიკაცი გადმოსახლდა პარალელში — მალხაზ კაკაბაძე. ახალგაზრდობაში ემსახიბობდით, მერე მომბეზრდა მაღალ საზოგადოებაში ტრიალი, მიყრუებულ სოფელში დაესახლდა და ყანაში ვიმუშავე მთელი სიცოცხლეო, ახლა კი ისევ მომინდა თეატრი, კარ-მიღამო გავყიდე, აქ, პარალელში პატარა ხუხულა ვიყიდე, მორჩენი-

პარამ დოჩანაშვილი

ჩემი ბუნება, ჩემი ბედება

ლი ფული სულ შაურთანებად გადას-
ხურდავა შაშია კუტუბიძემ და ერთი წა-
რმოდგენა თუ გავაცდინო, აგერ ჩემი
წვერი და აგერ ჩემი ულვაშიო და რო-
ლში შევიდა და კინალამ სულ ჩამოიბ-
ღღვნა სახე. ისე კი, რაც მართალია, მა-
რთალია, არ აცდენდა წარმოდგენას —
ქანდარახე უყვარდა ასეულა, გაიგვიმე-
ბოდა იქ და თვალმოკუტებული დასცქე-
როდა მსახიობებს და ტიტულო ღლონტს
სიტყვა თუ შეეშლებოდა, ხელად გამო-
სძახებდა ზემოდან — ძველი პარალე-
თელი რომ ყოფილიყო, ნამდვილად
იმისი გვეგონებოდა ყველა უავტორო
პიესა.

პაპიკო-ლოთი კი დაღონებულ ავ-
და ხის ძირას, ხანდახან შორს, გადაკა-
რგულში გაიხედავდა და მერე ისევ და-
აჩერდებოდა მიწას. „როგორაა, პაპიკო,
საქმე, — შეუძახებდნენ პარალეთლე-
ბი, — აბა, საჭიროა კაცი? „კი“, ხმა-
დაბლა ამბობდა პაპიკო. „სადაა მე-
რე...“ „მოვა, — ამბობდა პაპიკო, —
აუცილებლად მოვა“. „არ გაუვა წყალი,
ხომ?“ „მოვა.“ „ეინ დაგაღვივინა
დღეს?“ „კაკალა მამიდან“. „რა გაუქე-
თე მაგიორში“. „ვენახი გავუთოხნე შეი-
დი რიგი“. „ყოჩაღ! ახლა დაელოდე იმ
შენ კაცს მანდ, ოლონდ არ ჩაგეძინოს,
ბიჭო...“ „არა, არა, რა დამაძინებს...“
„ისე, როგორ უმატა ლაპარაკს, ა? რა
გადის ნეტავ დღეს თეატრში...“

ტერეზა ბოლო დროს გადაგვერიკ
სულ. მიადგებოდა ვინმეს ღობეს, აუ-
ღენდა ლაწალუნს, დაეძგერებოდა მერე
ხეებს. შუაზე გაღატეხავდა, მთავარ მდი-
ნარზე ხიდად გადებულ მორს არ აჩე-
რებდა — ასწევდა, დაირტყამდა მუხ-
ლზე და სადღა იყო ჩვენი ხიდი, მერე
თეატრის მარმარილოს ბოძს დაეჯაგუ-
რა და, კიდევ კარგი, მამამისმა სამსონამ
მოუღიტირა ილიაში და ტერეზა ძირს
გაგორდა და კინალამ გაიგულდა სიცი-
ლით. ეს ერთი კარგი თვისება ჰქონდა
— ელიტინებოდა ხოლმე, თორემ უთე-
ატროდ დარჩებოდა პარალეთი. ბოჭა-
ული ტიტუნიძე მშვენიერად ხედავდა,
რაც ზღებოდა და, გაგულსებულს, პა-
პიკო-ლოთი ქალაქის განაპირას, მა-
ღალ გვიმრანში ემალებოდა და იქ იჯ-

და მოწყენილი. ხელობით ღუნეირმა-
ცმა ჩამოიარა ერთხელ პარალეთში, ხა-
რი თოკით მოჰყავდა და ილიაში მამ-
ლის ბოლო ჰქონდა გამოჩრილი, შეაგ-
როვა კაპიკ-კაპიკი, მერე მამალი ხარის
რქაზე დასვა, ხარს კი ხელები მოჰხვია
და ქშინვა-ქშენით რომ ააცილა ცოტა-
თი მიწას, მიეპარა ამ დროს ტერეზა, წა-
ავლო იმ კაცს ხელები და თავის ხარიან-
მამლიანა ისროლა ცაში. მამალს რა
უჭირდა, გაგულსებული კრიახით დაე-
შვა მიწაზე, ის კაციც ტერეზამ დაიჭი-
რა ჰაერში, ხარმა კი... ვიქეიფეთ, მო-
კლედ, იმ დღეს, რა გვენაღვლებოდა რა
— დანახარჯი სამსონა არჩევანიძემ გა-
დაიხადა. ტერეზას არ დაუღუგია, თუმი-
ცა, ჩვენთვის სულერთი იყო, გინდ ფხი-
ზელი და გინდ მთვრალი — ერთნაირი
იყო სულ. და ტერეზას განსაკუთრებუ-
ლი აღტკინების მიზეზი თურმე, როგ-
ორც მალე შევიტყუთ, ქალი ყოფილა.
არა, ქალი ვის არ გვიყვარს, რომელს
არ გაგვიყოლებია ჩუმად თვალი, მაგ-
რამ, ნამდვილად უხერხული იყო, ტე-
რეზა ქალებს ისე გულდაგულ მიჩერე-
ბოდა... მოკლედ, ცოტაც და სულ ნა-
ფოტებად იქცეოდა ჩვენი პარალეთი,
ბეწვზე ვკიდა ყველას სიცოცხლე, ყვე-
ლას ყანა და მარანი, ყველას ბალი და
თუთა, და, ღმერთო, შენ ააშენე მარგა-
ლიტა თალაკვაძის ოჯახი... ტერეზა და-
მშვიდებული დაიარებოდა ქუჩებში და,
კაი გუნებაზე დამდგარი, თავისი ჰკუთ
წაუღლიდნებდა ხოლმე. ასე ყვიროდა:

ქალო ჩამოდი კიბე-ზეეე!!
ქი-იშმიში მაქ ჯიბე-ზეეე!!!

ხოლო დრო, კარგად მოგვხსენებათ,
გადიოდა.

3.

წელიწადი არ მახსოვს კარგად, ისე
კი, 24 სექტემბერი იყო — მაკრინე ჯა-
ში თხოვდებოდა. მაკრინეს დიდად შე-
ძლებული მშობლები ჰყავდა და მთელი
პარალეთი დიდიან-პატარიანა ქორწილ-
ზე იყო დაპატიჟებული. სიძედ ყელბაფ-
თიანი ოსიკო გახლდათ, და სხვა რა გზა
იყო — მამამისმა სამსონამ გამოამხეუ-
რა ტახტში შენახული ჩოხა-ახალუხი

და იმ სურდოიან ძალს კიდევ რომ არ ეგბინა, ეზოს გარეთ, ლობესთან წვა-
ლებ-წვალელებით შეიკრა ღილები, ტერე-
ზაშაც ძმის ხათრით წითელი ატლასის
პერანგი ჩაიცვა და კუნთები მოადუნა,
რომ არ გახეოდა. პარალელში სადილი
არ გაკეთებულა იმ დღეს, ყველა ქორ-
წილისათვის ინახავდა თავს, ნაშუა-
დღევს წაიხეხეს და ერთი სული
გვექონდა საღამოს რვა საათამდე — ამ
ღმოს იყო დანიშნული ქორწილი, ასე
ეწერა მოკურკურე მტრედებიან ბარათ-
ზე. მსახიობები, რა თქმა უნდა, პირ-
ველ რიგში დაპატიჟეს — მსახიობი
კარგია სუფრაზე. იმ დღეს თუმცა „ვე-
რაგობა და სიყვარული“ გადიოდა, მაგ-
რამ ვინ მივიდოდა თეატრში. შაშია კუ-
ტუბიძემ მაინც ხრიალით გამოაცხადა,
აჟფერი არ ვიცი მე, გინდაც არავინ
მოვიდეს, რვა საათისთვის ყველანი პა-
რიკებში იყავით და მესამე ზარს რომ
დარეკავს კაკალა, და თუ არავინ არ იქ-
ნება მოსული მაყურებელთაგან თეატ-
რში, ე მაშინ გადაიცივით და წამოდი
ქორწილზეო... კაი ბატონოო, ტიტკო, მ-
ლონტმა და თავის ბიძაშვილ ეფრემა
ლონტთან კამათი გააგრძელა — ჰოდა,
იმას გულებნობდი, კი ჯობია დამბაჩა
ხმაღს, დამბაჩიანი კაცი ყოველთვის
მოერევა ხმლიანს, მაგრამ ამასაც დაუკ-
ვირდი, დამბაჩით ფანქარს გათლა რომ
მოგინდეს, დამბაჩით ფანქარს გათლი
შენ? ყველაფერს თავისი ადგილი აქვს,
ეფრემა, ყველაფერს...“ ტიტკო ლლო-
ნტი საქეფოდ იყო აღგზნებული და
ამიტომ ლაპარაკობდა ასე გატაცებით
— დრო რომ გაეყვანა. დრო კი ისედაც
გადიოდა და რომ შესრულდა რგის ნახე-
ვარი, შაშია კუტუბიძის ნიშანზე კაკა-
ლა მაშინვე პირველი ზარი მისცა, გა-
გიგონია? — ვინ მოვიდოდა... რვას
რომ დააკლდა ათი წუთი, შაშია კუტუ-
ბიძემ ისევ დაიქნია თავი და კაკალა მა-
შინვე მოერედ დარეკა ზარი და ვერცო
თირქვეშ ღილებზე წაივლო ხელი
— არც ერთი მაყურებელი არ ჩანდა,

ყველანი გავარდნილიყვნენ ეზოში და
საცმლის გამოსაცვლელად და მერე სო-
ფრომ ჯამის შეძლებულ ოჯახში, ქორ-
წილზე, რომ ამ დროს, სად იყო სად
არა, გამოჩნდა ჩვენი წვეროსანი მალ-
ხაზ კაკაბაძე, ჩაავლო კაკალა მაშინვე
რკინის ყუთში შაურაიანი, ავიდა ქანდა-
რაზე, გახედა სცენაზე შექუჩულ, დაბ-
ნეულ არტისტებს, ჩაახველა მუჭში და
დაიძახა:

— რაა, კაცო, აღარ იწყებთ სპექ-
ტაკლს?

— ეფრემამ კი, რომელიც მიღერს ანსა-
ხიერება, შესძახა:

— არ ხართ დაპატივებული ქორწი-
ლში, მალხაზ?

— კი.

— რამ მოგიყვანა მერე ამ დასაწყვე-
ში!

— სპექტაკლი მიჩვენია მე.

— ახლა ერთი კაცის გულისათვის
ქორწილს უნდა დავაკლდეთ ამდენი
ხალხი? — შეიცხადა ტიტკო ლლონ-
ტმა, — ერთი ყველასთვისო, არ გავი-
გია შენ?

— ყველა ერთისთვისო გამიგია მე!

— გვლუპავ, მალხაზ? — იყვირა მი-
ლერმა.

— რატომ გვლუპავ მე, ბიძა, მე კი არ
ამომირჩევია შენთვის არტისტობა, რა-
საც იკისრებ, გაანადლო უნდა ის. რა-
ღაცა არ მახსოვს, ჩემთან რომ მოსული-
ყავი და გეკითხა, რა ხელობას მიჩრეც,
მალხაზ ბიძაო...

— კი მაგრამ, ასე უგულო თამაშის
ყურებას, არ ჯობია კაი ქორწილი? —
მხრები აიწურა პრეზიდენტმა ფონ ვალ-
ტერმა.

— არაფერი არ ვიცი მე! — გაცხარ-
და მალხაზი. — ბიჭო!.. ხომ ჩაეგდე
ყუთში შაურაიანი? შენ გეკითხები, კა-
კალა!

— კი.

— ხომ დაგეჭვი ჩემს ადგილზე თავის
დროზე!

— კი, მარა...

გურამ დოგანაშვილი

გიმი ბეზუბა, ჩემი ბიძა

— მარა და ბარა არ ვიცი მე!! ბაბუ-
აშენისაა ეს თეატრი, ტიტეოკო თუ იმპე-
რიის?

— იმპერიისაა, მაგრამ...

— ჰოდა, დაიწყეთ ახლავე. ამდენი
ლაპარაკის თავი სად მაქვს მე...

— კი, მარა...

— რა გააკირეთ ამ „მარა“-თი საქმე!
„მარა“-თი არ იწყება ეს პიესა, წესიე-
რად დაიწყეთ. გირჩევთ მე!

— არ დაიწყებთ! — დაიძახა გაკაპა-
სებულმა ჰოფმარშალმა ფონ კალბმა.

— რაო? — მუქარით იკითხა მალხაზ-
მა, — არ დაიწყებთო? სადაა ღირეჭ-
ტორი!

შაშია კუტუბიძე სცენის შუაგულში
გამოვიდა. ასე, როგორც იყო, უპარი-
კოდ და უპუდროდ, როგორ დამშვენ-
დებოდა ბანდიტის როლი?

— რა ხდება აქ! რისთვის გიხდის
ფულს იმპერია! ახლავე დაიწყებინე მაგ
ხალხს თამაში, თორემ... რკინის ქალა-
მანს ჩავიცვამ, რკინისავე ჯოხს დავი-
ქერ ხელში და გუბერნატორამდე თუ
არ მივიღე, აგერ, ჩემი წვერი და ჩემი-
ვე ულვაში... თქვენ ვინ გგონივართ მე!
ვის გაუაბითურებიებ თავს! იწყებთ
თუ არა წარმოდგენას, კუტუბიძე ხარ
თუ ვილადა ხარ შენ!

— ვიწყებთ, აბა არ ვიწყებთ? — ჩა-
იხრიალა შაშიამ, — დაიწყეთ ახლავე!
ამ წუთში!

— კმარა, ეს უკვე სახიფათო საქმეა,
— თქვა ეფრემა ღლონტმა, — ჩემ ქალს
ბატონთან ურთიერთობა სახელს გაუ-
ფუჭებს. ოჯახი შემირცხვება.

— ე მასე! — შეუძახა მალხაზმა.

— პრეზიდენტი შეიტყობს, — განა-
გრძო დაღვრემილმა ეფრემა ღლონტმა,
— ერთი სიტყვით, მე იმ ვაჟბატონს აქ
ფეხს აღარ დავადგმევინებ.

— შენ რომ ის სახლში არ შემოგი-
ტყუებია, შენი ქალი მისთვის თავზე არ
მოგიხვევია? — უგულოდ იკითხა ვერი-
კო თიროშვილმა.

— უნდა მეტი თვალყური გედევნე-
ბინა, — აღნიშნა ეფრემა ღლონტმა, —
მაიორი კარგად შემეხურებინა, ან მაში-

ნეე მისი აღმატებული მამისათვის მეც-
ნობებინა.

— წავედი აბა მე და, — თქვა შაშიამ,
— მე აღარ გვირდებით ახლა. მერე წა-
მოღით ერთდ და რა გიჭირთ, პატარას
თუ დაავიანებთ, გათენებამდეა ქო-
რწილი.

— ნუ გვიშლი თუ შეიძლებოდეს
ვილადა ხარ შენ!

— მივდივარ, ბატონო, მივდივარ...

— შორს ბატონ ბარონებისაგან... —
ჩაილაპარაკა ეფრემა ღლონტმა, — ვინ
იცის, იმ ვაჟბატონს რა გადახდენია
თავს — ეშმაკმა იცის, რასაკვირველია,
მაგისთანა მსუქანს გემრიელი ლუქმის
დანახვაზე პირში წყალი მოადგება...

— ყვითელი დედლები იქნება, ნიორ-
წყალში ჩადებულო! — ასძახა უცებ მა-
ლხაზს ჰოფმარშალმა ფონ კალბმა.

— თუთ! ეგ წერია ტექსტში?

— არა, მაგრამ... საცივია ინდაურის
თურმე, თითებს მიატან ზედ! — შეჰ-
ყვირა ფერდინანდმა.

— გოჭია შემწვარი, აჯიკაწასმული!
— დაიქუხა პრეზიდენტმა ფონ ვალტე-
რმა.

— რა გინდა შენ სცენაზე, სულ არ
ხარ ამ მოქმედებაში!!! — არანაკლებ
იქუხა მალხაზმა, — დატოვეთ ახლავე
ზედმეტებმა სცენა და განაგრძეთ სპე-
ქტაკლი, ყველანი გამოხვალთ თქვენ-
თქვენს დროზე...

— მაშ რა განზრახვა უნდა ჰქონდეს
იმ თავქარიანს? — განაგრძო დანად-
ლიანებულმა ეფრემა ღლონტმა. — გო-
გო ლამაზია, მოხდენილი... ზედა სარ-
თულში რა უყრია, ამას ყურადღებას
ვინ აქცევს, თქვენ, ქალებს, ამისთვის
არაყინ დაგიწუნებთ, თუკი მიმიხიდელო
ქვედა სართული გექნებათ. მე ბარონს
არ ვამტყუნებ. ადამიანი ხომ მუდამ
ადამიანია, ეს ნუ დაგავიწყდება.

— ნეტავ გარჩენა, რა მშვენიერ წე-
რილებს! სწერს ბარონი ლუიზას, —
თქვა ვერიკო თიროშვილმა.

— ეს ხომ ყოველთვის ასეა, — მიუ-
გო მილერმა. — მულო შენ გეუბნები-
ან, რძალო შენ გაიგონეო. ვინც სხე-

ულს შესტრფის, ის ჯერ... კალმახია შე-
მწერი, თხილის ტოტზე აგებული!!

— სად იშოვნეს კალმახი... — დაინ-
ტერესდა მალხაზი ქანდარიდან.

— ურიადნიკ კაველაძეს დააჭერინეს
წყალში.. რაა კიდევ, თუ იცი!

— არა?

— ღორის ხორცია, ცივად მოხარშუ-
ლი!

— კუჭმაქია, გენაცვალე, წითელ
ხახვში მოხარაყული!

— ფარიებია, მალხაზ, კოხტა-კოხტად
ღაბრაწული!

— ცხერის მწვადია, ტყბილო, ჩუმად
აშუშინებული!

— არაფერი არ ვიცი მე!! გააგრძე-
ლეთ წარმოდგენა, თუ არა...

ურიადნიკი კაველაძე კარზეშივე შე-
ჩერდა და დაბნეული მიაჩერდა სცენას
— რაღაცა სხვა ხდებოდა.

— ცეცხლში ეგ საზოგადოებრივ ნაჯდაბ-
ნი... — თქვა ნირწამხდარმა ეფრემა
დლონტმა, — ღმერთმა უწყის რა ჰე-
როვან ფანტაზიებს გაუღვიძებს გოგოს.
ისინი სისხლში ესპანელი ბუზებისავით
არევიან და მაშინ მშვიდობით... ცეცხ-
ლში, გელაპარაკებ!

— კუპატია ჰარალეთური, პილბილით
შეკმაჭული!

— ა ბიჭო, მალხაზა, ცივდება ხაჭა-
პური!

— ტოლმა, მალხაზი ჩემო, ვაზის
ფოთოლში გახვეული!

— მკავე კომბოსტოა, ცხარე, ცხარე
ისეთი, სულ ცეცხლმოდებული!

— შუშა კიტრებია, გაუთლელად იჭ-
მევა სულ!

— გაგთლით მე თქვენ!! კიდევ შემო-
ხვედი სცენაზე, ხომ? ველარ ითმენ,
ტიტიკო, ხომ? დატოვე ახლავე სცე-
ნა!

— კი მაგრამ, ჩემს მეტი ვერავინ ნა-
ხე ზედმეტი? — იკითხა ჰოფმარშალმა
ფონ კალბმა — აგერ, ეგრე თუა, ლე-
დი მილფორდს რა უნდა შუაგულ სცე-
ნაზე...

— გაბრძანდით თქვენც, გაბრძანდით,
ქალბატონო... ესაა თქვენი სცენური

კულტურა? მიბრძანდით კულისებში...
ა ბიჭო, ეფრემა!

— ეპ... სწორედ მანდ არის გოჭი...
თავი... ეე, ძაღლის თავი დამარხული, —
განაგრძო მილერმა, — პრეზიდენტმა
მადლობა უნდა მითხრას. გამიწმინდე
ჩემი ზვევრდის ჯუბა, წავალ და მის აღ-
მატებულებას ვინახულებ. თავი დაანე-
ბე წყეული ყავის სმას და ბურნუთის
ყნოსვას, მაშინ აღარ დაგჭირდება შენი
შვილის სილამაზე ბაზარზე გამოაფინო.
მე კი მაძლარი ვიყავ და...

— ხაშლამაა, მალხაზ, აორთქლებუ-
ლი ისეთი, არ დაიჭერებ!

— ლორია შებოლილი. ექვს თვეს
ეკიდა ბუხარში!

— ლაპარაკი!

— დილა მშვიდობისა, მამილო.

— ყოჩად, ლუიზა.

— ოჰ, მამაჩემო, ცოდვილი ვარ, —
თქვა ლუიზა თუშაბრამიშვილმა.

— რაღაცა აკლებთ სიტყვებს თქვენ!

— როგორ გეკადრებათ, მალხაზ-ბა-
ტონო... თევზია ცოცხალი, მარილ-წყა-
ლში მოხარშული!

— კი მაგრამ, სად იშოვნეს თევზი...

— კაველაძეს დააჭერინეს წყალში!

— კარგი იქნება მაგისი დაჭერილი.

— თევზი თევზია, მალხაზ! რაა კიდევ,
თუ იცი!

— არა?

— კაი ბაჟა-წვენი თავისი ღრმით და
ღომია ცხელ-ცხელი თავისი ჩამდნარი
სულგუნით, აბა!

— ეგება არ მიყვარს ეს ღომი...

— შოთი პურებიცაა მალხაზა, თო-
ნიდან ცხლად ამოყრილი!

— პამიდორია წითელ-წითელი, ქვა-
სავითაა მაგარი!

— ცუდი ღვინო ექნება მაგათ.

— რაიო? — შეიცხადა ჰოფმარშალ-
მა ფონ კალბმა, — ზუთი წლის ღვინოა.
მალხაზა, ჭურდიდან ამორიკრიკებული!

— მწვანელივლს აღარ იკითხავთ, მა-
ლხაზ-ბატონო?

გურამ ფოჩანაშვილი

ჩემი გუშუბა, ჩემი ბიძაშა

— ეგრე სახსენებელია, ბიჭო...
— შემწვარ გოკებზეა მიმოყრილი!
— ტყეპალი თუა...
— როგორ არაა, მალხაზა, აბა ვარდი
— უეკლოდ?

— ეკალაც იქნება აბა... — ფიქრებში წავიდა ქაბუჯა.

— ეკალა, სულო, ძმარ-ნიგვზით გაუღენთილი, თითებს მიატან ზედ!

— ჩანგალი არა აქვთ მაგ უპატრონოებს? განაგრძეთ ახლაც სექტაკლი!

— ჩანგლის მეტი რა აქვთ, მალხაზ, ვერცხლის ჩანგლით მიირთვი, თუ მოგეხსიათოს!

— რომ არ დავუპატიეებივართ? — მორცხვად მოისმა ქანდარიდან.

— აუჰ! — თავში ხელი შემოირტყა პრეზიდენტმა ფონ ვალტერმა, — აგერ არ დამაბარეს მე?

— როდის, კაცო...

— გუშინ, კაცო...

— ვერ თქვი მერე? ვინ დაგაბარა...

— თვითონ სოფრომამ დამაბარა გუშინ...

— რომელმა, ჯაშმა?

— აბა!

— მე რომ არ ვიცნობ...

— ის გიცნობთ სამაგიეროდ, ბატონო.

— არა, მაინც უხერხული რომაა სექტაკლის ჩაშლა... — შეფიქრიანდა მალხაზი — პურ-მარილი როგორ ვანაცვალთ ხელოვნებას...

— ნაღულია, მალხაზ, ჯერ რომ არ მიგირთმევიან, ისეთი...

— პიტნითა?

— უჰ! სულ პიტნა-პიტნითაა აზელილი.

— აბა, რას მომჩერებიხართ მე, თუ ეგრე გინდათ წასვლა, ერთი ყველასთვისო, ჯანდაბას — წავიდეთ მაშინ ქორწილზე.

— სად მიდიხართ ა, თქვენ, ა? — იკითხა განცვიფრებულმა ჟრიანდნიკმა კაველაძემ.

— თუთ! — შეუტია ეფრემა ლლონტმა და ზავერდის ჯუბა სკივრში ისროლა, — რაში გეკითხება შენ!

— ა?

— ყველა ყრუ და ბრუტინი რაღონუნდა გამოეროოს ჩვენში — გულისწავდა ტიტკოს და პარიკი ჩაშლილ ქვედა რაში ისროლა, — ისე, თუ გინდა, წამოდი შენც...

ამ დღეს იმიტომ აღწერა ასე დაწერილებით, რომ კაცი პარალელში სწორედ იმ ღამით მოვიდა.

4.

— ოჰ, გაუმარჯოს არტისტებს! — დასტეჭა თამადამ, პარმენა დვალმა, — სად ხართ, ბიჭო, თქვენ? აბა, აგრაფინა ბიცოლა, გენაცვალე შენ, მომაწოდე ერთი ჩვენ რომ ვიცით ის ყანწი და შესვით აბა ბიჭებო ამ კაი ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო, რომ იმრავლონ სულ და კურკურობა-კურკურობაში დაასიონ სოფრომ ბატონს ტკბილი შვილშვილები!

— ცალ-ცალკე შეიძლება კი მენახოს ასეთი კარგი ქალი ან კარგი კაცი, — წამოიწყა სადღეგრძელო ტიტკომ, — მაგრამ ორთავე ნეფე-დედოფალი ასეთი კარგი? — აჰ, არა, არა...

— კაი ხარ, ტიტკო, კარგი! — შეუძახა პარმენამ, — მაგრამ „არა-არა“-თი სადღეგრძელოს დამთავრება არ გამოიგია მე. ათქმევინე სხვასაც.

— გაუმარჯოს ეს...

ქალაქის თავის მოადგილე კაკოია გაგნიძე და იმისი თანამემწე ბუხუტი ქვაპარავა ფარნებით განათებულ, გამოსაჩენ ადგილას ისხდნენ და, ჩემის აზრით, ვერაფერი პატივისცემა იყო ეს — მთელი სუფრა იმათ მიჩერებოდა და სანამ შეთვრებოდნენ, ძალიან ნაზად იციცქნებოდნენ — ესამუშეობდათ ასე სახალწოდ, განათებულ ადგილას მაღიანად ქამა. მერე კი, რომ შეთვრნენ, იცოცხლეს, ისინი მიეძალნენ კუპატს და კალმას, მაგრამ სწრაფად ძველებურად ურტყამდათ თვალებში, იჭმუნებოდნენ და სოფრომა ჯაში შეეძვდა, რომ არ ვაწყენინეთ უნებურად რამეო, მაგრამ მერე სოფრომაც რომ შეთვრა, სულ გადავიწყდა პატივსაცემი სტუმრები და

აგრეთა ბიკოლასთან ლეკური იცეკ-
ვა მკლავებგაშლილმა. სწორედ ამ ქო-
რწილზე, მსოფლიოში პირველად, შემ-
წერა გოჭს დრუნწში გაუჩარეს ბოლო-
კი და ასე მიართევს თამბასს, და აღტა-
ცებულმა პარმენა დვალმა ადამიანის
მოხერხებულობის სარღვეგრძელო რომ
შესვა, პარალელიც აქო, ამ გონებამაზ-
ვით, მართათიან ადამიანთა ბუდე და
გრძთმა ჩვენებურმა, ვინც წერა-კითხ-
ვაც კი არ იცოდა, უცებ, სუფრაზე, სა-
ხელდახელოდ, ასეთი ლექსი დასტეპა:

ვარი და ვარალე,
მარი და მარალე!
მარალეთი დაილოცოს!!
მარალეთელების მხარე!!!

და ატყდა ტაში, მაგრამ რა ატყდა.
ჩვენ, პარალეთელები, ყველანი პოეტე-
ბი ვართ ბუნებით და გვესიამოვნა ეს
გამოთქმა — „პარალეთელების მხარე“.
აგერ, შორს რომ არ წავიდეთ, მეც პო-
ეტი ვარ ბუნებით და ზოგი რომ მალავს
და ისე წერს ლექსებს, ჩუმ-ჩუმად, მე
ბოროტად სულაც არ მრცხვენია განვატ-
ხადო, რომ ერთი სული მაქვს, მთელი
სიამბავი ლექსად გამოთქვა, მაგრამ
სადაა ამდენი რითმა, ქუჩაში კი არ
ყრია და იძულებული ვარ ასე, სიტყვა-
სიტყვით აღვწერო ყველაფერი, მაგრამ
ესეც არ ყოფილა ადვილი საქმე, დაიჯე-
რებთ? ხომ არაფერია ვითომ, ასე მო-
ყოლა, მაგრამ თავიდან რომ მცოდნო-
და, ესეც რომ ძნელი ყოფილა, ვინ ოხე-
რი... — არც მოვიკიდებდი ფანქარს
ხელს, ახლა კი რაღა — კაცის მოსე-
ლამდე მომიყვანია ამბავი და ახლა რომ
გაგწყვიტო, ასე, შუაგზაზე, არ ივარ-
გებს ნამდვილად.

— ახლა კიდევ მინდა, ამათი საღლეგ-
რძელო თავიდან რომ შესვა, — წამო-
დგა პარმენა დვალი, — მაგრამ ჯერ ერ-
თხელ ხომ არ იცეკვებდით, სამსონა, ა?
— გააჩერე ენა.
— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, სა-
მსონ, გახსენი ერთხელ სახე, რა იქნება,
— დაუყვავა პარმენა დვალმა, — აგერ,
ბატონმა სოფრომმა ხომ იცეკვა და შენ

რა დაგემატა, გოგოს მამა უფრო
უნდა იყოს მოწყენილი?
— გააჩერე ენა.
— გააჩერე ენა. მამაა ჩემი ეგ. —
თქვა ტერეზამაც.
— კი ბატონო. ახლა კიდევ მინდა,
ამათი საღლეგრძელო თავიდან რომ შე-
ვსვა, — შესძახა პარმენამ, — რომ ვუ-
ყურებ ახლა მე მაგათ, როგორ კოხტად
სხედან, სულ იმას არ ჰგვანან, რა ქვია.
კაცო... რომელია მონადირე თქვენში...
რა ქვია... არა, მწყერი არა... ჰო, გვრი-
ტებს! ჰოდა, იყავით სულ კარგად და
ბედნიერად! ტიტყო!!
— იახშიო!

— შესვი აბა შენც! ასე! — და საჩვენე-
ბელი თითი თვალებმოჭუტულმა ასწია,
— მაშ ერთი პატარა პაწაწინა პაწაწინ-
ტელა მრავალ...

მრავალ, — აუწია ყელმოღერე-
ბულმა ოსიკომ, — ჟა-ამიერ...

— უუო, — აპყვათ ეფრემა ღლონტი,
ბანი, და ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა.

— ჟამი-მალაღიაბიჭოვერ, და მრა-
ა-ვალ...

— უუოო.

ყველაზე ადრე ბოქაული ტიტვინიძე
დათვრა. დიდი უღვაში ჰქონდა, ლუ-
ლასავით სწორი და ღვინის სმისას უს-
ველდებოდა, ერთთავად ცხვირში ურ-
ტყამდა სველი უღვაშიდან ღვინის სუ-
ნი და დათვრებოდა სხვაზე ადრე, აბა
რა. მერე იყო და, ბოლოკგაჩრილ გოჭს
ტერეზა ჩააფრინდა კბილებით, ახტა და
მაგიდაზე შემწვარი გოჭით პირში სულ
ლიწინ-ლიწინით იცეკვა და საცივი ზედ
მწვანე მუნდირზე გადაასხა ტიტვინი-
ძეს, ძალიან გაცხარდა ჩვენი ბოქაული,
ხმალი იშიშვლა, ხალხს მოავლო თვალი
და რადგან პაპიკო იქ არ გახლდათ, მო-
ხარშული დედალი ამოიღო მიზანში და
გაჰკვეთა კიდევ შუაზე. მაგრამ პარმე-
ნა დვალი არ დაბნეულა, ნახევარი დე-
დალი მაკრინე ჯაშს მიართვა, მეორე კი
ოსიკოს ესროლა და, რაღაცნაირად.

გუგამ დონანაშვილი
ჩემი ძეგუგამ, ჩემი ბიძა

დედლის გაკვეთა სიმბოლური გამო-
ვიდა, ყველამ ტაში დაუკრა ისევ და
სწორედ ამ დროს, საიდანაც, პარალე-
თიდან, ნიავმა ფლოქვების თქარათქუ-
რი მოიტანა.

— ჩუ! — თქვა ნასწავლმა კაცმა, არ-
დალიონ ჭედამ, — ცხენია მგონი, ბიჭო...

— ცხენს რა უნდა პარალეთში... ამ
დროს, — შეუტია პარმენა დვალმა და
მაშინვე სმენად გადაიქცა, — დაიცა,
დაიცა...

— ამ შუა ღამით? — დაინტერესდა
ეფრემა ლლონტი, — ვინაა ნეტავ...

— ამას ვკითხობ ერთი, — თვალები
გაუბრწყინდა პარმენას — გესმის შენც
რამე, კაველაძე? კაველაძე!

— იახშიოლ, — თქვა იმან.

— სანდა საღოლ, დაგაყარე მეხი...
— ჩაიცინა პარმენა დვალმა, — ორი
შენისთანაც მოგვცა კიდეც...

— ყველა ყრუ და ბრუტიანი რატომ
უნდა გამოერიოს ჩვენში, — მჭილი და-
ირტყა ტიტვიო ლლონტმა.

— პარალეთი დაილოცოს, პარალე-
თელების მხარე! — ისე დაიყვირა ტე-
რუზამ, ტიტვინიძეს პირთან მიტანილი
ყანწი გაუვარდა.

— ღამეულ მგზავრს გაუმარჯოს
ყველას! ეთქვათ მაინც სადღეგრძელო,
არ აჯობებს? — მიმოიხედა პარმენამ
და ბოქაულმაც იმაზე იყარა ჯავრი. —
ყაჩაღი და ბანდიტია ღამეული მგზავ-
რი! — დაიქუხა ტიტვინიძემ, — ყაჩა-
ღებისკენ ხარ შენ:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო...

— ხოდა, თუ ეგრეა, სხვანაირად
თქვი...

— დღის მგზავრს გაუმარჯოს!

— ეგრე! ვის?

— დღის მგზავრს...

— ლაპარიკი! თქვენ ვინ გგონივართ
მე! ბუნტია, ხომ? ბუნტია, კაველაძე,
ხომ?

— ოცდაოთხია, ბატონო.

— რომელი ოცდაოთხია, კაველაძე!
მოგჭირ ახლავ თვეს! რა ოცდაოთხია,
ბიჭო!

— სექტემბრისაა, უფროსო!

— ჰატი! — გაცეცხლდა ტიტვინიძე,
— ვინაა შენი უფროსი! შენც უფროსი-
სის... ვინაა შენი უფროსი!

— თქვენ, პატივცემულო.

— ახლა გაეხსნა სმენა? — ჩაიხრია-
ლა შაშია კუტუბიძემ და მჟავე კიტრი
ჩაკბიჩა, — საკვირველია სწორედ...

3.

ხან ძირას, ჩრდილში, პატარა კაცი
იწვა. თავითი პაპიკო-ლოთი ეჯდა და
გვიმრის ტოტით ბუზებს უგერიებდა.
ლურჯი თვალებით დასცქეროდა,
ფრთხილად, მოწიწვებით იქნევდა ხელს.
ირგვლივ კი პარალეთის სიამაყე — პა-
რალეთელები ვიდევით, ახლადგამო-
ვიძებულნი, გაბუჟებულნი, გაბიფინე-
ბულნი და ასეთ დროს, მოგვხსენებთ,
თითქოს არაფერი გვენაღვლება ხოლმე,
არც არაფერი გვინტერესებს, ახლა კი
მაინც გაკვირვებულნი დავცქეროდით
ხელისგულზე ლოყამიდებულ კაცს, „ვი-
ნაა ეს უპატრონო...“ — იკითხა პარმე-
ნა დვალმა და ბარძაყზე დაირტყა ხელი.

— ჩუ... — თქვა პაპიკომ და თითი
მიიღო პირზე, — ჩუმად, დადლილია.

— არ გამიგია ასე სახალხოლ ძილი
მე!

— შენ ბევრი რამ არ გავიგია, —
ჩურჩულით უთხრა პაპიკომ, — მოი-
ცადე ცოტაც...

— ჩვენი შეურაცხყოფაა ეგ, — იწ-
ყინა არდალიონ ჭედამ, — ეგრე მოი-
ქცა სწორედ მიკლუხო-მაკლაი თუ გა-
გივიათ თქვენ...

— არა... არა...

— იყო ერთი ასეთი კაცი და რომ ჩა-
ვიდა პაპუასებში, წამოწვა და დაიძინა
კოხტად, მაგრამ ამას რად უნდა ასე მო-
ქცევა, პაპუასები ვართ ჩვენ, აღზრ-
დილ-განათლებული ხალხი?

— ვინაა ეს პაპუასები...

— პაპუასებია ბევრი პაპუასი ერთად.

— ვინ არიან, ამოდერღე, რას გვაყ-
ვედრი ცოდნას! — დასჭექა ტიტვინი-
ძემ.

— ველურებია, ბატონო.

— ველურებები?

— კი.
— ლაპარაკი!!
— თვითონ ეგ ყოფილა პაპუასი, ბო-
ქულ-ბატონო, — შესცინა ტიტყო
ლონტმა, — მიწაზე ძილი არ გამიგია
მე.
— პაპუასი კი არა, პაპიკოსია ეგ,
— იხუმრა პარმენა დვალმა, — როგორ
დაჩერებია, ხედავთ? არ გაგიცივდეს.
ბიჭო...
— ასეა ალბათ საჭირო, — თქვა პაპი-
კომ.
— კი მაგრამ, წვიმა რომ მოსულა-
ყო, ჩაიხრიალა შაშიამ, — მაშინაც ეგ-
რე წამოწეებოდა?
— წვიმა არ მოვიდოდა, — ჩურჩუ-
ლით უთხრა პაპიკომ, — წვიმა ხვალ
მოვა.
— აუჰ! რა იცი შენ... — ძალაუნე-
ბურად ჩურჩულით იკითხა შაშიამ —
გაღამწვარი ჰქონდა ყელი.
— ვიცი...
— ხომ ვერ გვეტყვიტ უფრო ზუს-
ტად! — აგდებულად შეუძახა პარმენა
დვალმა.
— ორს რომ დააკლდება ოცი წუთი,
ძაშინ მოვა წვიმა...
— აუჰ! დავნიძლავდეთ თუ გინდა.
— არა აქვს აზრი.
— რატომ? — დაინტერესდა კაკალა
მამიდა.
— ნამდვილად ვიცი.
— აბა, თუ მოვა, დაგალევიანებ
არაყს.
— არ მინდა... — თქვა პაპიკომ.
— რატომ, ბიჭო? — შეიცხადა პარმე-
ნამ, — შეიშალე შენ?
— ჩემი ნება არაა? — არ მინდა.
— არც ღვინო გინდა იქნებ!
— არა.
— რატომ, ბიჭო...
— კაცი მოვიდა, — თქვა პაპიკომ.
— მერე, რას გიშლის კაცი...
— ღვინოს და არაყს იმიტომ ვსვამ-
დი, — ჩუმად თქვა პაპიკომ, მწოლია-
რეს მოწიწებით დასცქეროდა, — კაცი
არ იყო...
— სად არ იყო, ბიჭო, კაცი...

— აჰ.
— სად აჰ! — ამ ხის ძირას?
— არა. ჰარალეთში...
— ვაი შენს პატრონს, უბედურს, —
თავი გაიქნია პარმენამ, — ვინაა აბა
ტერეზა!
— ჰარალეთელია.
— არაა კაცი?
— როგორ გითხრა... რა ვიცი.
— ერთი მარგალიტა თალაყვამესაც
ჰკითხე, თუ არაა კაცი...
— უხერხულია.
— რომ არ ჰკითხო, ისე არ იცი?
— მოწმედ არ დავყავართ მაგისტანა
საქმეებში მე.
— კარგი, ტიტყო ვინაა აბა?
— ჰარალეთელია.
— ეფრემა, ლლონტი?
— ჰარალეთელია ისიც.
— მე?
— შენც ჰარალეთელი.
— რას ამბობ თუ იცი შენ! ზუსტად
ერთნაირები ვყოფილვართ აბა ჩვენ
ყველა?
— დაახლოებით.
— რატომ, შე კაცო, — მოულოდნე-
ლად დაუყვავა პარმენამ, — არავითა-
რი მნიშვნელობა არა აქვს ან სიტყვა-
პასუხს, ან უფროს-უმცროსს, ან... არა-
ფერს არ აქვს მნიშვნელობა? რატომ...
პაპიკო ჩუმად იჯდა.
— რატომ!
— იმიტომ.
— რა პასუხია ეგ! უზრდელო შენ!..
ტერეზა და არდალიონ ჰედიაც ერთია
აბა?
— დაახლოებით.
— ტყვილა იკითხა აბა მაგან იმდენი
წიგნები? კოდალა რომ გინახავს ხეზე,
ისეა ეგ წიგნებზე, ტყუილ-უბრალოდ
იკითხა?
— ეგ აღარ ვიცი.
— აბა რა იცი!
— ჩუ... — ტუჩზე თითი მიიღო პაპი-
კომ, — ჩქარა წამოდგება..

გუგუშო დოჩანაშვილი
ჩემი გუგუშა, ჩემი ტიფიზა

— არც ბატონი კაკოია... ეე, არც ბატონი აკაკია... ეე, არც ბატონი აკაკი არ არის კაცი?

— რომელი, გავნიძე?

— ჰო, არაა?

— ნუ მიძღვე, პარმენ, უხერხულ კითხვებს.

— რატომღა ვითომ უხერხული!

— ამომიჩემონ, ვინდა?

— შენ ამოგიჩემა ჭირმა და... — ვე-
ლარ დამთავრა აღშფოთებისაგან პარ-
მენა დვალმა, იჯექი აბა მაგ უპატრო-
ნოსთან და წავიდეთ ყველა.

— ჯერ შეიცადეთ.

უცხო ხმა იყო.

— ჯერ შეიცადეთ. უპატრონო არა-
ვინ არაა. პატრონი ყველასა გვყავს.
ოღონდ ხანდახან გვავიწყდება. მეც არ
ვარ უპატრონო, და პატრონი თქვენც
გყავთ.

ასე თქვა პატარა კაცმა და წამოდგა.

6.

სადღაც, შორს, მარგალიტა თალავ-
კაძის ეზოსთან, ტერეზა ღრიღებდა:
„ქალო ჩამოდი კიბეზეეეე! ქიშიში
ნაქ ჯიბეზეეეე!“

— მიკლუხო-მაკლაის არ ეძინა. იგი
დანიტერესებული ადამიანი იყო. ხოლო
დანიტერესებულებს არ სძინავთ. არც
მე მეძინა. მეც დანიტერესებული ვარ.

პაპიკოც წამომდგარიყო და შორიან-
ლოს იდგა. აღტაცებული შეჰყურებდა
პატარა კაცს. იმას პრიალა პიჯაკი ეცვა
და თმა გვერდზე ჰქონდა გადავარცხნი-
ლი. თავი მალღა აეწია, შემოგვეცქერო-
და, გვათვალისწინებდა და თან ისე მკა-
ფიოდ ლაპარაკობდა, თითქოს ტყვიას
ტყვიასში აჯენდა.

— მაკლაის აინტერესებდა ველურ-
თა საქციელი მძინარე კაცის დანახვი-
სას. მე არ მეძინა. მე ვისვენებდი. და
რაც მთავარია — მე მაინტერესებდა.
თქვენი საქციელი. და მაინცდამაინც
აღფრთოვანებული არ ვარ. ეს ხერხია.
ასევე მოიქცა მიკლუხო-მაკლაი. იგი კა-
რგი ადამიანი იყო.

— ერთი საბუთი მაჩვენეთ თქვენი
მაჩვენე-მეთქი, ვილადა ხალხი-მე-
ნები მე! — დაიღრიალა გავეშებული
ბოქაულმა ტიტვინიძემ და ცეცხლ
მსოილზე წაივლო ხელი, „წაველოს“
ნაცვლად „წაივლოს“ იმიტომ ვამბობ
სხეულის ნაწილივით ჰქონდა მაღუტრ.
— რამდენი დაკვირვება გინდა კაცს წე-
რისას?! — საბუთი ახლავე!!

— შეიკარით ღილი!! — ისე მხნველ
შეუტია უცებ პატარა კაცმა, ყველანი
გაეშრიო და სროლის მოლოდინში ყუ-
რებზე ავიფარეთ ხელი, — ქუჩაში იმყო-
ფებით და არა ბოსელში! დადგენილე-
ბას პატივს არ სცემთ! ხალხს მაინც
ეცით პატივი! ერთადერთი ღილისათვის
წყალში ჩაგეყრებათ ეგ წვალეებით მო-
პოვებული ეპოლეტები! შეიკარით-მე-
თქი ღილი!!

— კი ბატონო, — თქვა უცებ ტიტ-
ვინიძემ და საყელოზე ხელისგული მი-
იფარა, — შემთხვევით გამეხსნა, თორემ
ვინ ოხერი... დადგენილებას პატივს
როგორ არა ვცემ, მაგრამ... დამკარგვია,
ბატონო და რა ვქნა...

— თანა მაქვს ნემსი და ძაფი, — თქვა
კაკალა მამიდამ და გულისპირზე მიი-
ღო ხელი, — ავერ, ამ წუთში...

— ღილი რომ არ გვაქვს აქ... — და-
ფიქრდა ტიტვინიძე, — კაველაძე, მო-
დი აქ! ხომ იცი ჩემი სახლი... რას მო-
მჩერებხიხარ!!

— ოცდახუთია მგონი...

— ახლავე წაბრძანდით შინ. ურჩი-
ნიკი თქვენი თანაშემწეა და არა შინა-
მოსამსახურე ქალი. ღილი დაიკერეთ.
მანამდე არ გაჰაქანდეთ ქუჩაში.

— კი ბატონო, — პირველად ვიხი-
ლეთ ჰარალეთელებმა ტიტვინიძის თა-
ვაზიანი ღიმილი — რაღაც საოცრება
ხდებოდა, — დაიკერებ კიდეც და ცარ-
კითაც გავიპრიალე.

პატარა კაცმა თვალი გააყოლა, მერე
ჩვენ, ხალხს მოგვავლო მზერა, დაღ-
ლილმა გაგვიღიმა, თავი დაგვიყრა და
თქვა:

— გამარჯობათ.

ასე მოვიდა კაცი ჰარალეთში. ისეთი
სიხემე იდგა, ძალაუნებურად ნიავეზე
აბურღულბულ ხეს ყურს ეუფდებდით.
პაპიო დაიხარა და მუხლისთავი სა-
გულდავლოდ გაიწმინდა — ფქვილი
თუ რალაცა ამდაგვარი ეცხო. პატარა
კაცი ჩვენს მიღმა იყურებოდა — ფე-
რღობზე შეფენილ სახლებს ათვალიე-
რებდა. სახეზე ნაცრისფერი ედო.

— კაი გამარჯობა! — უცებ ისე შეს-
ძახა პარმენა დვალმა, ზოგიერთები შე-
ფტით, — სხვა, როგორ ბრძანდებით...
— გამარჯობათ... გამარჯობათ... —
გაღმოსა აქეთ-იქიდან.

მერე ისევ მიეჩუმიდით. პატარა კაცი
დღუბანს ათვალიერებდა ჰარალეთს,
ისეთი ჩაფიქრებული იყურებოდა,
ჩვენც პირი ვიბრუნეთ და სხვამ არ ვი-
ცი, რა დანახა, პაპიომ კი თავი ცის-
კენ ასწია — ეტყობა, კვამლს გააყოლა
თვალი.

და მერე ყველამ მორცხვად შევხე-
დეთ პატარა კაცს, რადგან შორიდან
ისევ მოისმა: „ქალო, ჩამოდი კიბით!
ქიშიში მააქვს ჯიბით!“ — ისე რომ
ფოჭეთ, მაინც რაა ეს ჩვენი ჰარალეთი,
ტერეზამაც კი ააწყო ლექსი, მაგრამ
უნიჭოდ ბლაოდა, პატარა კაცს სახე მო-
კვებუნა. არავინ ვიცოდით, რა გვეთქვა,
უბრტულად ვწრილებდით ადგილზე.
უფს ხშირ-ხშირად ვინაცვლებდით და
ნაწავალ კაცს რა სჯობს? — ისევ არდა-
ლონ ჭედიამ გვიხსნა:

— პირადად იცნობდით, ბატონო?

— ვის.

— მიკლუხო-მაკლაის, ბატონო.

— ისე, შორიდან, — თქვა პატარა კა-
ცმა, — რა მნიშვნელობა აქვს... მიაღწიეთ
თქვენ, ხმლიანო, თქვენ რა გვარისა
ხართ.

— კაველაძე ვარ.

— სად მსახურობთ.

— თეატრზე ვარ მიმაგრებული, პა-
ტიცემულო.

— ის ბოჭული ხშირად გიყვირით?

— ისე, საშუალოდ...

— რაღა საშუალოდ, — გაიკვირვა
ტიტიკომ, — ყოველდღე არ გიყვირის?

— ჰა? — იკითხა კაველაძემ.

— არა უშავს, გადაეჩვევა, — თქვა
პატარა კაცმა.

ეტყობა, მარგალიტა თალაყვადე ჩა-
მოვიდა კიბეზე, რადგან ღრიალი აღარ
გაისმოდა.

— სახელად რა გქვიათ, თუ შეიძლე-
ბა ერთი... — მორიდებულად იკითხა
პარმენა დვალმა.

— ის ქალი ვინაა, სერზე რომ მიდის,
წყალი რომ მიაქვს...

— ჩვენებურია, ჰარალეთელი, მა-
როს ეძახიან... თქვენ რა გქვიათ?

— შავები რატომ აცვია.

— შვილი მოუყვდა, ტკბილო.

— იმის შვილს რა ერქვა.

— ბუჭუტა ერქვა, საწყალს.

— რა დამთხვევაა, — თქვა პატარა
კაცმა, ქალს თვალი გააყოლა და თავი
დახარა, — მეც ბუჭუტა მქვია.

ასე მოვიდა კაცი ჰარალეთში.

— მოვა-მეთქი, — მორცხვად თქვა
პაპიომ და თავი დახარა, — მოვა-მეთქი,
აკი ვამბობდი.



გიორგი ზაზუნია

გურგენიძის ბაღი

თხუთმეტ წელიწადზე მეტი იქნება, რაც გალაქტიონ გურგენიძე მესხეთში გადმოსახლდა. საკმაოდ კარგადაც მოეწყო: ახალი ოდა-სახლი დაიდგა, შვილები დაზარდა, დააქორწილა და დააბინავა. მაინც არ იქნა, ვერ დაუღო გული აქაურობას;

სხვათა მიწაში, რაღა უნდა ჩაეყარო ძელები! — წამოიძახებდა ხოლმე და აღარ იცოდა, რა ექნა. მეზობლების რჩევაზეც, რომ ასეთ ადგილს კაცი არ უნდა ემღუროდესო, ჭიუტად პასუხობდა:

— ვერა, ძამია, ვერა! არ გაგიგონიათ: სადაც ჩიტი დაიბადება, მისი ბაღდადი ის არისო... ჩემი ბაღდადი სულ მირჩენია მთელ ქვეყნიერებას!

ეს აკვიტებული აზრი, რომ თავის ბაღდადი მთელ ქვეყნიერებას ერჩია რამდენსაც არ ეცადნენ, ვერც შვილებმა გადაათქმევინეს; მათი შეგონება: მოწყობილი ოჯახი არ აეწეწ-დაეწეწა, ახლოსაც არ გაიქარა; სხვარიგად რომ თავი ვერ მოუარეს, ასეთი რამ შესთავაზეს: წაგიყვანთ შენ, იქ დაგაბინავებთ, ჩვენ აქედან დაგეზმარებითო, ამაჲ მთლად გააცეცხლა ბერიკაცი: — არც ცოცხალს გინდათ მიპატრონოთ და აღარც მეკლარს, იმიტომ დაგზარდეთ!

რალს იზამდნენ შვილებიც, შეპირდნენ: დაზამთრებამდე მოეცალა, რო-

გორც კი მოსავალს მოიწვედნენ, სახლებს გაჰყიდნენ, იქ ძველ სამოსახლოზე ბინას მოიწყობდნენ და გადავიდოდნენ. ამ დაპირებას თითქოს უნდა დაემშვიდებინა გალაქტიონი, მაგრამ უარესად აცქმუტდა, ველარ ითმენდა მოსავლის აღებადმდე მოცდას, დღეებს ითვლიდა... თან იმასაც შიშობდა: ვაითუ მოეტყუებინათ შვილებს, რაიმე მოემიზნებინათ და გაზაფხულისათვის გადავირებინათ, მერე კი ვინ იცის!... ამიტომაც გადასწყვიტა: ჭერ თვითონ წასულიყო სამშობლო სოფელში, კარ მიღამოს საქმე გაეკითხა, შემდეგ ძალით იქნებოდა, თუ ნებით, ოჯახიც გადაეყვანა.

ზაფხულის ამ დარიაშა დღემაც ვერ გაუქარვა გალაქტიონს გულის ჯავრი:

— მდიდარი მხარეაო, რა უშმაკად მინდა ამის სიმდიდრე, ვენახი აქანა არ არის და ღვინო, ყოველდღე კაცმა ღვინით თუ არ გაისველა ყელი, რაღა უნდა გასძლოს! არა, ძამია, თუ ჩემს სამკვიდრებელს დროზე არ დაუფრუნილილხან ველარ ვიცოცხლებ, ამ უცხო მხარეში რაღა უნდა მოვიკლა თავი! დღესაც ბუზღუნით იმეორებდი იმას, რაც აქამდეც არაერთგზის ჰქონდათ მოსმენილი მისიანებს.

აივანზე გამოვიდა, არავინ ჩანდა — ყველა მინდორში გასულიყო სამუ-

ზოდ; სოფელში მხოლოდ ავადმყოფები და ბავშვები თუ იყვნენ დარჩენილი. ცოტა არ იყოს, გულში იმანაც გაჰყენწლა, სხვები რომ სამუშაოდ იყვნენ წასული და ის კი...

— იქნაც ბევრი მუშაობა მომიწევს! — სცადა თავი დაემშვიდებინა. იმერული ფაფანაკის მსგავსი სამხედრო ქუდი შეისწორა, გრძელ უღვაშებზე ჯერ მარჯვენა ხელის გული გადაისვა, მერე ორივე ხელით შეგრიხა და ბოლოები ჰაღლა აუწკობა.

მეორე ხანს აივანზე იტრიალა, აღარ იყოფა, რა გაეკეთებინა, სად წასულიყო.

— ცოტას მეც რომ წავიშუშავებდე, ურგო არ იქნება! — გაიფიქრა გალაქტიონმა.

ეზოში გავიდა, ფიცრულში ცული მონახა. ტარით ჩოხის ქვეშ ქამარში გაიჭო. თვალი გადადევნა სოფლის ორღობეებს, ისევ არაფერ ჩანდა. გზა-გზა წასვლას მაინც ყორულ ღობეებზე გადაბობდება არჩია. რამდენიმე ხეხილის ბალი გაიარა და ერთ ყორეშემოვლელ ბაღში შეჩერდა. ხეები შეათვალიერა, თუთის მოზრდილ ხეს დაადგა თვალი. ჩოხის კალთები შეიხსნა, ცული ამოიძრო ქამრიდან, თავის მოწონებულ თუთის ხეზე მიაყუდა. ქუდი იქვე, ვაშლის ორკაპში ჩამოდო, ჩოხაც გაიძრო და ტოტზე ჩამოჰკიდა. შემდეგ ისევ თუთის ხესთან მიბრუნდა. ცული აიღო, თვლით მოზომა მოსაჭრელი ადგილი და მარჯვედ მოქნეული ცულით პირველი ნაფოტი აავდებინა. ჯერ ხის ერთი გვერდი სანახევროდაც არ ჰქონდა ჩაჩეხილი, რომ მინდვრიდან სოფლისაკენ მიმავალი თავის კბილა მეზობელი ივანე შენიშნა.

— ამ დროს სა ჯანდაბიდან მოყანყალებს ეს სულწაწყმენდილი! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გალაქტიონმა.

— რას შერები, გალაქტიო, შეილის ფას ხეს კაცი როგორ მოსჭირს?! — უსაყვედურა ახლოს მოსულმა მეზობელმა.

— შენ თავს მიხედ, ძამია, გალაქ-

ტიონ გურგენიმე კარგად იცის მისი საქმე, შენი ჰკუთის დარიგება არ სჭირდება! — უხეშად უბასუხა გულზე ბოლმამოწოლილმა გალაქტიონმა.

გულნაკლულად დარჩენილმა მეზობელმა თავი გადააქნია და უხმოდ გაცილდა ჯიუტ ბერიკაცს.

გალაქტიონმა კიდევ უფრო გაცხარებით დაუწყო ჯრა, ხემ გადაიწია, თანდათან დაეშვა და ყინულზე ფეხმოსხლეტილი კაცივით ზღარბანი მოადინა. წელში გასწორდა გალაქტიონი, ცული ხესთან მიაგდო, შუბლზე ოფლი შეიმშრალა, მოჭრილი ხის ჯირკზე ჩამოჯდა.

— ჩემს სოფელში რომ ყოფილიყო, არ მოგჭირდი, მარა აქანა რა ეშმაკად მინდა რომ დგას?!... ჰმ, სულელო ჩემო თაო, — კვლავ აბუზღუნდა გალაქტიონი, — ქალის სიტყვით რაფა უნდა გაბრიყვდეს! შემომიჩნდა ეშმაკივით და ქე არ შემაცდინა ამ ხნის კაცი! რა მინდოდა ამ დაღუპულ ჯავახეთში, საცა არ უხელია შენს მამა-პაპას, იქანა შენ რა გესაქმება! სამკვიდრებელი მიატოვე და აქანა, სადღაც გადმოკარგულში, ჩაყვარო ძვლები! ვერა, ძამია, ვერა! სადაც ჩემი წინაპრები დამარბულან, მეც იქ უნდა დავიმარბო! მარა სულ ჩემი ბრალია, სულელ ბაღნებსა და გამოჩერჩეტებულ ქალს რაფა უნდა აჰყვეს კაცი!

როგორც იყო, გული იჯერა საყვედურებით. წამოდგა, მოჭრილ თუთის ხეს ტოტები შეაცალა, თავი დაუშორა. „საღამოს ხარებს მოვრეკავ და გავათრევ!“ — გადასწყვიტა გუნებაში.

სახლისაკენ იმავე გზით გასწია გალაქტიონმა, როგორც მოვიდა. მიდოდა, თან თავისებურად ბუზღუნებდა:

— არა, მაგ ბაღნებმა რაფა უნდა მომატყუონ, ამ ორ-სამ დღეში მაინც წავალ რაც გინდა იყოს!

შემდეგ, რალაც ეშმაკად, ივანია გადურს ყურადღება არ მიაქცია, ფიქრი

გირგბი ზედაზინიძე

გურგენიძის ბაღდადი

ერთბაშად შესმულ სასმელივით გაუქდა და საგონებელში ჩაავლო.

— მე ქე წავალ, მარა სხვები ხომ იქნებიან, იმათ რაღათ ვუფუჟებ ზეხილს, ეს რა კაცობაა! — შეფიქრიანდა, გააწამა ამ ფიქრმა. ზეს ხომ ველარ აღადგენდა, ველარც ეს აზრი მოიცოდა თავიდან. გადასწყვიტა: ის თუთის ხე სახლში აღარ მიეტანა, მაგრამ მოსვენებაც დაჰკარგა.

მოსაღამოვებულზე გალაქტიონმა ფანჯრიდან შენიშნა, მის სახლისაკენ კოლმეურნეობის კანტორის ის მუშაკი მოდიოდა, რომელსაც კანტორის თანამშრომლები დამლაგებელს ეძახდნენ, ხალხში კი გზირის სახელი ჰქონდა დავარდნილი.

— ნამდვილად ჩემს დასაძახებლად მოდის!.. ის სულწაწყმენდილი ივანიკა ქე დამაბეზლებდა! — ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ სახლს მოახლოვებულმა დამლაგებელმა შორიდანვე მოსძახა:

— აუ, გალაქტო ბიძია!

გალაქტიონს ახლა სიკვდილი უნდოდა და ამ ხმის გაგონება არა, მაგრამ რაღას იზამდა, მაინც გავიდა სახლიდან და შეეხმანა:

— რა არის, ბიჭო, რა გინდა?

— თავმჯდომარემ გთხოვა, ცოტა ხანს კანტორაში გადმობრძანდით!

ეს სიტყვები ტყვიასავით ეცა გალაქტიონს.

— რაზე მეძახის, ბიძია, თუ იცი? — გულის კანკალით შეეკითხა კანტორის მუშაკს.

— აბა, რა ვიცი, მე ხომ არ მეტყოდა. — დაუდევრად ჩაილაპარაკა „გზირმა“ და გაბრუნდა.

— ხომ ვთქვი, ნამდვილად იმან დამაბეზლა! რომ მივიდე, რა პასუხი გეცემ.

ე, ოხ, იმ სულწაწყმენდილმა რა მიეყო ეს! — გულგასენილს მეზობლის ლანძღვით უნდოდა მოეკლა ჯავრი.

სახლში შებრუნებულმა ჩოხა გადაიცვა.

— ახლავე მოვალ! — მიამბო თავი სიანებს. გულში კი მატყუარა ეპვი — მობრუნდებოდა კი სახლში?

ფეხის ათრევით წავიდა კანტორისაკენ. ისე იყო დაჯავრიანებული, რომ გზადშეხვედრილ მეზობლებს არავის მისალმებია, არც ახალგაზრდების ხმაურისა თუ დიდების საუბრისათვის მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ კანტორის წინ შეკრებილთა სიცილს რომ მოჰკრა ყური, ამან გამოაფხიზლა და გააგულისა კიდეც, ისე მოეჩვენა, თითქოს მის გამოსაჯავრებლად ლაღობდნენ. სხვა დროს იქნებ ვინმე გაელანძღა კიდეც, მაგრამ ახლა გულში ჩაიკლა ჯავრი.

მორიდებით შეაღო თავმჯდომარის კაბინეტის კარები. ძლივს გასაგონად მიესალმა იქ მყოფებს, თავმჯდომარის მაგიდის წინ გაჩერდა, ხმობის მიზეზი არ უკითხავს, ისე შეევედრა:

— შევცდი, ბიძია, ამ ერთხელ თუ მაპატიებ, შენ იცი!

თავმჯდომარე ფეხზე წამოდგა, მაგიდასთან სკამი მიუწია დასაჯდომად.

— დაბრძანდი, ძია გალაქტიონ, დაბრძანდი! რაში შევცდი, რაშია საქმე, არ ვიცი?!

თავმჯდომარის თავაზიანობამ გაამხნევა გურგენიძე:

— რაღაც ეშმაკი შემიჭდა, დილას თუთის ხე მოვჭერი ბაღში, მერე ქე ვინანე, მარა რაღას მივეწვოდი!

— არ უნდა მოგეჭრა, რაკი მოგიჭრია, არა უშავს. მაგ ერთი თუთის ხითაც არ დაიღუპება სოფელი, — შეეცადა თავმჯდომარე ბერიკაცის დამშვიდებას.

— შევცდი, ბიძია, და რა ვქნა!

— მე სხვა რამეზე დაგიბარე, ძია გალაქტიონ: მინდვრის სამუშაოებს ვეღარ ავუღღივართ, ვისაც შეუძლია, იქ ვამუშავებთ; ბაღების თვალყურის მდევნებელი კი აღარავინ გვრჩება, შენ უნდა მოგვეხმარო ამ საქმეში...

დაბრძანდი! — კვლავ სთხოვა თავმჯდომარემ.

ასე რომ არ მომხდარიყო, თოკით

რომ დაემატა, ვერ გააჩერებდნენ და ვერც თავის გადაწყვეტილებას გადაადგომებინებდნენ, მაგრამ ახლა მოლბა; თავმჯდომარის რისხვისა და საყვედურს ელოდა, მისმა ლმობიერმა მოპყრობამ კი გული გაუთბო და, ცოტა არ იყოს, გადაწყვეტილებაც, რომ აქედან წასულიყო, როგორღაც შეეუბნოდა; რაღა გაეწყობოდა:

— ვითავებ მაგ საქმეს. — ჩაილაპარაკა გურგენიძემ. კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

რამდენიმე ახალგაზრდა ვაჟი შემოვიდა, მანქანის მზად ყოფნა მოახსენეს თავმჯდომარეს, მერე საცლავის გამოწერა სთხოვეს.

— სად მიდიან, თუ იცი? — გვერდზე მჯდომ მეზობელს შეეკითხა გალაქტიონი.

— ვარძიაში მიდიან ექსკურსიაზე. — იყო პასუხი.

— ამდენი ხანია აქ ვარ და ვარძია ვერ ვნახე, რაღაც კარგს ამბობენ! — სინანულით გადაულაპარაკა იმავე მეზობელს, თან გულში ეს გაიფიქრა: იმ სულგანათლებულ თამარ მეფეს, ამბობენ ბრძენი იყოო და ამ გადმოკარგულში სად აუშენებია იმისთანა დიდებული რამ, სხვა უკეთესი ადგილი ვერ ნახა?

თავმჯდომარემ მგზავრთა სამზადისი ვარიგა, მანქანის საგზურიც გამოაწერინა და შეამოწმა. ეტყობოდა, გალაქტიონის ხმადაბლა თქმულს ყური მოჰყრა, ამიტომაც უთხრა ალბათ:

— ძია გალაქტიონ, ამ ახალგაზრდებმა კარგად იმუშავეს თივის ადებაზე, ამიტომაც ვარძიაში მინდა ექსკურსიაზე წაყვანო. ზომ არ წამოხვალ, ამ სიბერის დროს ერთი მოგვილხინე ამ ძველ-თაძველ მიწაზე.

ვარძიაში წასვლის შეპატიჟებამ გაახარა გალაქტიონი; მერე შეიძლება წავედ და ვერ ენახო. — გაიფიქრა.

— თუ მიკადრებთ. ქე გეახლებით! — უპასუხა გაღიმებულმა.

— წამობრძანდი, ძია გალაქტიონ, წა-

მობრძანდი! — თავმჯდომარესთან ერთად შეეხმინენ ახალგაზრდები.

ახალგაზრდების გულმოდგინე ფაქაფუცმა გაახალისა ძია გალაქტიონი. ძნელი სათქმელი იყო, თუ იმ დღის ამბავთა ცვალებადობამ მოსტეხა ბერიკაცის სიჯიუტე, იგი დამყოლი გახდა; გადაწყვიტა ექსკურსიას გაჰყოლოდა ვარძიაში.

მეორე დღეს, ადრე დილით, რამდენიმე შუახნის მეზობელთან ერთად, სპატიო ადგილას მჯდომი, ახალგაზრდებით გარშემორტყმული ძია გალაქტიონი ვარძიისაკენ მიემგზავრებოდა.

მიჰქროდა მანქანა.

ზღვას თუ ტბას ქროლვა აღელვებს, ადამიანს კი ახალისებს.

გახალისდნენ მგზავრებიც. ახალგაზრდების ეს ხალისიანობა სიმღერად გადმოსკდა. ბერიკაციც კინლამ აჰყვა და თავისებური კრიმანტული შემოსძახა. თან მანქანიდან გარემოს ხარბად ავლებდა თვალს.

— მართლა ქეა კარგი მხარე, მაგრამ ჩემს ბაღდადს რაღა შეედრება! — ფიქრობდა გურგენიძე.

გაიარეს ხერთვისი, გასცდნენ ნაქალაქებს, გზადშეგვდრილ ციხე-კოშკებსა და გამოქვაბულებს თვალს ვერ აშორებდა გალაქტიონი.

— ეს ყველაფერი ქართველების ნაშენია? — იკითხა კიდევ ბერიკაციმა.

— მამ ვისი, ძია გალაქტიონ, ეს ძველი საქართველოა! — უპასუხეს აქეთ-იქიდან, სხვა დროსაც ბევრჯერ სმენია გალაქტიონის აქაურობაზე. ციხეებისათვისაც შეუვლია თვალი, ტაძრებიც უნახავს, მაგრამ საერთოდ გულაყრილს ყურშიც არ შეუშვია ეს აზრი, ახლა კი წინაპართა ნახელავმა, როგორღაც, გული გაუთბო.

თმოგვის ციხის პირდაპირ მანქანა შეაჩერეს, ფრიალო ქარაფის პირზე

ვიორკი ზაფხენიძე

ბურჰენიძის ბაღდადი

აღმართულმა ციხემ ყველა გააკვირვა, ყველაზე მეტად გალაქტიონი:

— რა ააშენეს აქნა ეს ციხე, რა ყოფილან! ესეც ქართველების ნაშენია? — ისევ იკითხა გალაქტიონმა.

— ქართველებისაა დიხა!

— აბა, პა, რა ყოფილან, აი ვაჟაკებიც იმათ ეთქმოდათ! — ბუტბუტებდა ალტაცებული ბერიაცი.

ვარძიამ ზომ... რამდენი თქმულება არ მოესმინა ამ დიდებული ძეგლის შესახებ, რა არ სმენოდა ადრე, მაგრამ მის მოლოდინს ნახულმა ბევრად გადააქარბა. აღფრთოვანებული გალაქტიონი თავისთვის ბუტბუტებდა:

— აბა, ისე რა უნდა წავსულიყავი იმერეთში, რომ ეს ადგილები არ მენახა!

რამდენი ხანია ასე გახალისებული არ ყოფილა, ახალგაზრდული სიმართით დაძვრებოდა გამოქვაბულებში, ყველა ქვაბულ-საკანი უნდოდა ენახა. ყველა ჩუქურთმა-ნახატისა თუ სვეტიცისა და გვირაბისათვის უნდოდა თვალი შეეევლო.

უკან რომ გამობრუნდა, მაინც მშობლიური იმერეთი, მისი ბალ-ზვრები გაახსენდა:

— ქე ყოფილა კი მხარე, მარა მაინც ვერ შეედრება ჩემს სოფელს, იქანე დეილია ჩემი მამა-პაპა და პაპისაპაპა, მეც და ჩემმა შვილებმაც იქანა უნდა ჩაყვართ ძვლები! — ცვლავ გაიმეორა ათასგზის ნათქვამი.

მანქანაზე დასდნენ.

ისევ დაიძრნენ.

წუნდის ტბასთან შეჩერდნენ საპურ-მარილოდ.

ტბის ახლოს, ბაღში გაიტანეს ხორაგი. ახალგაზრდების ერთი ნაწილი სუფრის გაწყობას შეუდგა, სხვებმა კი ხეების ჩრდილს შეაფარეს თავი.

ახალ-ახალ ძეგლთა ნახვით მაღალჩრული ძია გალაქტიონი ვერ ისვენებდა, რამდენიმე აიყოლია და იქვე, ახლოს, კლდეზე წამომართულ ეკლესიის ეზოში გადავიდა.

ეკლესიის გადამა მსუბუქი მანქანა იყო გაჩერებული, ეზოშია მხოლოდ მტელიგენტურად ჩაცმული კაცი დახვდათ. ერთი მათგანი კარების ბალავარზე ამოკვეთილ წარწერას მისჩერებოდა და რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში, მეორეს კი ფოტოაპარატი მოემარჯვებინა და სხვადასხვა მხრიდან ეკლესიის სურათებს იღებდა.

ძია გალაქტიონმა და მასთან მყოფებმა ფრთხილად შემოუარეს ეკლესიას, რომ ხელი არ შეეშალათ უცნობებისათვის. შიგნითაც შევიდნენ. დათვალა იერს, დიდხანს ნაწერსაც მისჩერებოდნენ, მაგრამ ვერაფერი გაიგეს მისი.

სურათებს რომ იღებდა, იმ კაცს მოეთავებინა თავისი საქმე და ახლა წარწერის გადამღებს დასდგომოდა თავზე. ძია გალაქტიონი მივიდა და შორი-ახლოს გაჩერდა მოკრძალებით:

— ნასწავლი ხალხია, ეცოდინებათ, რამეს იტყვიან! — იფიქრა. საიდანაც სხვებიც შემოემატნენ, იმ ორი უცნობის გარშემო მთელი ჯგუფი შეიქმნა.

უცნობმა კარების ზემოთ გაკეთებული წარწერის გადაღება მოათავა, ფეხზე წამოდგა.

— რა ენახება ბიძია ეგ ნაწერი? — შეეკითხა მას გალაქტიონი.

— ძველი ქართულია, ძია კაცო! — მის ნაცვლად, სურათს რომ იღებდა, იმან უპასუხა.

წარწერის გადამღებმა ერთხელ კიდევ შეათვალა იერა, — შეამოწმა თავისი გადანახატი ქვაზე ამოკვეთილთა.

— ახლავე მოგახსენებთ შინაარსს, — სთქვა მან და მცირე ხანს შემდეგ დაუმატა, — ასე იკითხება: „სახელითა ღვთისათა მე იჩქითმან გურგენისძემან აღვაშენე ესე ეკლესია... სალოცველად ჩემთას და მშობელთა ჩემთათა“. როგორც ჩანს ამ ადგილის პატრონი ყოფილა იჩქითი გურგენიძე და ეს ეკლესია მას აუგია თავის მამულში, — განმარტა მან.

— ესე იგი გურგენიძის აშენებული

ყოფილა ეს ეკლესია, არა! — იკითხა
ვილაცამ.

— დიახ, იჩქითი გურგენიძის! —
უპასუხა უცნობმა.

— იჩქითი გურგენიძის მიერ ყოფი-
ლა აშენებული?! ჰმ, მაშ აქაც ყოფი-
ლან გურგენიძეები, ალბად პაპაჩემსაც
იმიტომ ერქვა იჩქითი! — უცბად მოე-
ძალა ეს ფიქრები ვალაქტიონს.

— როდის არის, ბიძია, ეგ საყდარი
აშენებული? — პირველადვე ეს კი-
თხვა დაებადა თავში და უმაღლვე ზმა-
მალა გახშიანდა. მის ზმაში ისეთი
არაჩვეულებრივი დაძაბულობა იგრძ-
ნობოდა, რომ ყველას ყურადღება მი-
იპყრო.

მეზობლის ვაჟმა მოირბინა, ვალაქ-
ტიონსა და სხვა მისიანებს შორიდანვე
დაუძახა, — წამოდი, გეძახიანო, მაგ-
რამ აბა სად ეცალა ბერიკაცს მათთვის.

უცნობი მისკენ შემოებრუნდა და უპა-
სუხა:

— ეს ეკლესია ცხრაასი წლის წინ

არის აგებული და წარწერაც იმავე
დროისაა.

— ცხრაასი წლის წინ! — გაიკვირ-
ვა ვალაქტიონმა, — ჩემს პაპასაც იჩქი-
თი ერქვა! — თითქმის წამოიძახა მან.

მსმენელნი ვერ მიხვდნენ, რა კავში-
რი ჰქონდა მის პაპას ცხრაასი წლის
წინანდელ იჩქითი გურგენიძესთან, მაგ-
რამ თავი შეიკავეს. ბერიკაცის გონება-
რეულობას თუ მიაწერეს ეს და ამიტო-
მაც აღარ გამოედავნენ.

საგონებელში ჩავარდნილი გურგენი-
ძე კი სხვა თანამეინახეებთან ერთად
გაბრუნდა. მას გაახსენდა ძველებსაგან
თქმულიც, რომ მისი წინაპარნი ამ
მხრიდან იყვნენ იმერეთში თურქობის
ქამს გადახვეწილნი:

— ჰმ, უყურე ერთი, რა ვიცოდი მე
სულელმა... ერთხელაც არ გამახსენდა.

... თურმე აქანა არ ყოფილა ჩემი მა-
მა-პაპათა ნამდვილი სამკვიდრებელი! —
მიდიოდა ბერიკაცი და თან გზადაგზო
ბუტბუტებდა.



ქონსგანჯონა გამსახურდია

ჩ რ დ ი ლ ი

ჩრდილი იზრდება, როგორც სიზმარი ქაშიშით მთვრალის
ამ დამუნჯებულ ძველს მონასტერში.

ირმის ნახტომზე წამოიწევს ნაცები მზე
და მერმე სხივი მოცახცახე, დაშინებული
დაღამავს ღრუბლებს ქვიშარდულას ცაზე მოჯარულს.
დაიკარგება მზე ღრუბლებში ვითარცა ბურთი
ჰელოს გადაღმა გადავარდნილი,
ორიოდ საათს ირმის სისხლივით დაჟღაჟებს ცაზე...
მოკვდება დღეცა.

და ჩემ სარკმლიდან კიდევ ვხედავ მიმავალ გემებს.
ეჰ, ფარვატერზე ტყის ბატებმა გადაიქროლეს.
ცა მოიღუშა. ციხის ეზოდან შემომესმა საყვირის ხმები.
სწრაფი ფეხის ხმა — ვაჟნის ჩაწყობა
და წელი სტვენა.

ხანაც გუშაგი დაიძახებს ციხის ეზოში:

„ჰე, ვინა ხარ, შესდექ, გამგლელო!“

მოკვდება მერმე მონასტერი გამოკეტილი.

არც თქარათქური არც ძაბილი და
აღარც სიტყვა ბნელ ღამეში გადასროლილი.

ღამემ არ იცის თურმე განკითხვა —

ჩრდილს ვერ ერევა სინათლე ჩვილი

და არეებში, დერეფნებში, ფანჯრის მინებზე

ჩემს წამწამებთან ატუზული ცახცახებს ჩრდილი.

ხომ დაწერილა ჟამთსაკითხავში,

ოდესმე ჩრდილი რომ დაფუშავს სინათლის კარავს?

ერთხელაც ყველა შავეთისკენ გაყვებით არავს.

მე მომიდუნდა მგლური მუხლები,

მე მომიდუნდა მაჯა მაგარი

და დამიწლუნგდა ბასრი კალამი.

გაღამავიწყდა, როგორ მეძახდენ

ერთხელ ტოლები ბავშვობის სახელს

საალერსოს ოდიშის მხარეს,

როცა სუყველა მზეს შევჰხაროდით

ან რიკტაფელას ვთამაშობდით

ჩვენ ჰადრის ჩრდილში.

გაღამავიწყდა, როდის იყო

„ბუტია უტას“ რომ მეძახდენ
დედა და ძმები...
ალარც კი ვიცი, სუნთქვა თუ შემრჩა
ან სისხლი თუ მაქვს კიდევ მაჯებში,
მზე თუ ამოდის სადმე ზეცაზე
ან მიწაზე თუ იზრდება ბალახი მწვანე,
ან ნარინჯები თუ ჰყვავიან შავი ზღვის პირად?

საკანში ბნელა, ჩამოსთოვა ჩემს სულში დარდმა,
გათოშილ ზღვაზე გაუმართავს გრიგალს მარულა;
შევრთდა ღამე, დედამიწა და უკუნეთი.

მოკვდა ქვეყანა.

ციხის ეზოში არ ისმის ჩქამი.

მოვიდეს ვინმე და შეახოს ხელები რაზას,

მოვიდეს ვინმე და გაალოს დახშული კარი.

მახსენოს ვინმემ და მომითხროს ნარზე მწოლარეს

ჩემს ბავშვობაში განაგონი ტკბილი ზღაპარი.

ამას არ უნდა არც ქარაგმა და აღარც გეგმა.

...ის როგორ იყო, იმ რაინდმა, ჩემსავით შლეგმა

შავს ზღვაში შავი ბედაური რომ შეახტუნა?

ან ის ვინ იყო, თავის ბედი რომ დაიწუნა

და ბერად შესდგა ბნელს მონასტერში?

მაგრამ მოსწყინდა მონასტერშიც, როგორც ყოველგან

და მერმე თურმე: უკუნი ღამით

ეშმაკეულს მიჰყიდა სული.

ჩოხის კალთები გადაიკეცა

და თან გადაჰყვა ღამეულ არავს.

მერმე?

ის კაცი არვის უნახავს აღარც ცოცხალი

და აღარც მკვდარი.

არ ისმის ჩქამი, არც ფეხის ხმა და არც სტვენა

და აღარც სიტყვა ბნელ ღამეში გადასროლილი:

„ჰე, ვინა ხარ? შესდგე, გამვლელო“!

დაიძახებდეს გუშაგი მაინც.

ვწრიალებ მარტო ჩემს ბნელ საკანში,

ვბორგავ ნარებზე ჩრდილდალეული.

ამ ჩემს ბობოქარ სულს ვეღარ იტყვს

ჩემი რხეული ძველი სხეული.

მოვედ, სატანავ, კიდევ შემრჩა მე სითამამე,

მოვედ, სატანავ და, გაესწორდეთ თუ გინდა ხმაღში.

გული არ გერჩის? მომიტანე უკუნი ღამე

და გამომავლე ჯოჯოხეთურ ცეცხლის გრიგალში.

ვწრიალებ მარტო ჩემს საკანში, ჩამიქრა ღამპა.

მოვიდეს ვინმე და შეახოს ხელები რაზას.

მოვიდეს ვინმე და გაალოს დახშული კარი.

ამ კრულ ღამეში დამიძახოს თუნდაც სატანამ,

თუნდაც სატანამ დამინახოს ლოცვადდამდგარი.

საზოგადოებრივი მეცნიერებანი

ივანე ჯავახიშვილი

განვითარებული სოციალიზმი და მისი კიბრითადი ნიშნები

პარტიის XXIV ყრილობამ დასაბამი ჩვენი ქვეყნის განვითარების ნათელი პერსპექტივები. იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ კომუნისტური წინსვლის ამოცანები, აუცილებელია მეცნიერულად განვსაზღვროთ განვითარების შედეგები. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXIV ყრილობის დასკვნას სსრ კავშირში განვითარებული ანუ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ. „საბჭოთა აღმავლობის თვალდადებული შრომით, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — აიგო განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელმაც 1918 წელს ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა როგორც ჩვენი ქვეყნის მომავალზე“¹.

ბერეკუნადი იდეოლოგიის წარმომადგენლებმა ყველა ჯერის ოპორტუნიტეები ცდილობდნენ დაემახინჯონ საბჭოთა სინამდვილე. ისინი უარყოფენ სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საერთაშორისო მნიშვნელობას და უპირისპირებენ მას „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორიას. კამბოჯის თანამედროვე აპოლოგეტები საბჭოთა წყობილებას სახევენ „ბოლშევიკურ“ ზღლისუფლებად და აყენებენ „პლანური სოციალიზმის“ ლოზუნგს, რომელიც ფაქტურად იცავს ბერეკუნადი დემოკრატიის, ბერეკუნადი პარლამენტარიზმის ზღლისუფლებას. ამ ცრუმეცნიერულეზვითა საზღლისუფლებად აუცილებელია სოციალისტური სინამდვილის მეცნიერული ანალიზი. საჭიროა გავაღწიოთ სოციალიზმის დახასიათება.

¹ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 49.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა განსაზღვრეს კომუნისტური საზოგადოების ფაზები და ეტაპები. ამ მხრივ სპეციალურად შეიძლება მივუთითოთ კ. მარქსის ნაშრომზე „გოთას პროგრამის კრიტიკა“ და ვ. ი. ლენინის წიგნზე „სახელმწიფო და რევოლუცია“.

კომუნისტური საზოგადოება მოიცავს ორ ფაზას (სოციალიზმი, კომუნიზმი) და სამ, ობიექტურად განპირობებულ, ისტორიულად კანონზომიერ, ეტაპს. ეს ეტაპებია: 1. შრომათა-ბუნების ხანგრძლივი ტყვეობები (კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი); 2. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა; 3. კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა.

კომუნიზმის მშენებლობა რთული სოციალური პროცესია საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაბალი ფორმებიდან გადასვლის უფრო მაღალ ფორმებზე იმის მიხედვით თუ „რას შეიძლება ეწოდოს კომუნიზმის ეკონომიურად მომწიფების საფეხურები“². (როცა ელაპარაკებით ორ ფაზაზე, მხედველობაში გვაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ფართო გაგებით (სოციალიზმის მშენებლობა პლუს საკუთრივ კომუნიზმის მშენებლობა). ამ ასრით პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ზღლისუფლების აღებიდან იწყება სოციალისტური საზოგადოების, და კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა. მაგრამ საკუთრივ სოციალიზმის ფაზა (ეიწრო გაგებით) იწყება მას შემ-

1. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., სრ. კრებ., ტ. 33, გვ. 185.

2. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 587.



დგება რაც გადამწყვეტია ლენინური კითხვა „ვინ ვისა?“. აშენდება სოციალიზმის ეკონომიური ბაზა და დამკვიდრდება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. პერიოდი მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობიდან ამ დრომდე გარდამავალი პერიოდია.

ბ. ი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდი.

განვითარების ეს გრძელი და რთული გზა, გარდა უკანასკნელი ეტაპისა, სოციალისტური სისტემის ქვეყნებიდან განვლო ჩერ-ჩერობით მხოლოდ სსრ კავშირში. როგორია საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი გზის ძირითადი ფაქტორები?

მარქსისტული დიალექტიკა გვასწავლის, რომ არ არსებობს განსაზღვრებული საერთო, ზოგადი გარეშე, ეს უკანასკნელი კი კერძოში ეფუძნება. ერთი და იგივე ისტორიული კანონზომიერება არასოდეს არ ხორციელდება „წმინდა“ სახით, ცხადია, განვითარების ეტაპები, საფეხურები, რომელიც სსრ კავშირში გაიარა, იგივე ვადებში ადექვატურად არ შეიძლება განვიხილოდნენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. მაგრამ ძირითადად და მთავარში საბჭოთა განვითარების დაცვა სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის.

ვინც ახლა მხარს უჭერს ლოზუნგს „ცალკადაა“, ესე იგი მოითხოვს იზოლირებულ სოციალისტურ მშენებლობას, ნაციონალისტია. იგი საჭირო ზღვას უშლის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელებას. ამგვარად სოციალიზმი ვითარდება როგორც სახელმწიფოთა სისტემა. ზოგად კანონზომიერებათა დაცვის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. არსებობს სოციალიზმის, კომუნისმის აშენების ერთადერთი გენერალური გზა, რომელსაც განსაზღვრავს სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებანი. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითადი ეტაპების, მათ შორის, განვითარებული სოციალიზმის საფეხურებისა და მთავარი ნიშნების დახასიათებით, ნაჩვენებია წინსვლის ეტაპები და საფეხურები ყველა ქვეყნისათვის. ბოლშევიზმი ტაქტის ნიმუშია ყველასათვის.

საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმიდან კომუნისმისკენ განვითარების პირველ ეტაპზე გადაწყვეტილი იქნა გარდამავალი პერიოდის ამოცანები. სოციალიზმის ეკონომიური ბაზის აშენებით არ სე ბ ი თ ა დ მთავრდება გარდამავალი პერიოდი, ზოლო გარდამავალი პერიოდის სრული დამთავრება მოასწავებს სოციალიზმის არსებითად, ძირითადად აშენებას ანუ სოციალიზმის სრულ გამარჯვებას.

მაგრამ გარდამავალ პერიოდსაც აქვს თავისი საფეხურები. თავდაპირველად სახალხო მეურნეობის განვითარება ეტყინებოდა სოფლის მე-

ურნეობას, შემდეგ ცენტრში ინდუსტრიისკენ გადაინაცვლა. კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეტევა გაიშალა ჩერ ქალაქის, სოფლის ხაზით, 1930 წლიდან კი მთელი ფრონტით. - დაიწყო სოციალიზმის გაშლადი მშენებლობის პერიოდი. ქვეყანა შევიდა სოციალიზმის პერიოდში. სოციალისტურმა სექტორმა დაიჭირა აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა. 1932 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის შეადგენდა 70 პროცენტს (1928 წელს 48 პროცენტს). 1913 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 334 პროცენტით. ამავე დროისათვის კოლმეურნეობებში მოიცვეს გლეხური მეურნეობის 61,5 პროცენტი და ნათესი ფართობის 77,7 პროცენტი.

მეორე ხელშეწყობილი მოპოვებული იქნა უფრო დიდი წარმატებები. შეიქმნა მეურნეობის ერთიანი სოციალისტური სისტემა. სახალხო დიდი დამღეული მრავალეფობიანობა. სოციალისტური სექტორის საერთო პროდუქცია მრეწველობაში შეადგენდა 99,8 პროცენტს, სოფლის მეურნეობაში კი (პარალელ დამზადებ მეურნეობების ჩათვლით) — 98,5 პროცენტს, საეკონომიკო საქონელბრუნვა 100 პროცენტს. სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური წყობა განუყოფლად გაბატონებულიდან მეურნეობის ერთადერთი ფორმად იქცა. დამკვიდრდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ქალაქად და სოფელად.

ძირეული ცვლილებანი მოხდა საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაში. ლიკვიდირებული იქნა ექსპლოატატორული კლასების უკანასკნელი ნაშთები. განხორციელდა აშუღტრული რევილუცია. შეიქმნა ახალი სოციალისტური ინტელიგენცია. თუ 1913 წელს მუშა-მოსამსახურეები შეადგენდნენ რუსეთის მოსახლეობის 17 პროცენტს, ინდმეურნე გლეხები (კულაკებს გარეშე), შინამრეწველები და ხელოსნები — 66,7 პროცენტს, შემამულეები, ქალაქის მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია, ვაჭრები და კულაკები — 16,3 პროცენტს, 1937 წლისათვის, შესაბამისად — მუშა-მოსამსახურეები შეადგენდნენ 36,2 პროცენტს, კოლმეურნე გლეხები და კომპერირებული შინამრეწველები — 57,9 პროცენტს, ინდმეურნე გლეხები, არაკომპერირებული შინამრეწველები, ხელოსნები — 5,9 პროცენტს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევილუციის გამარჯვებით დამყარდა ერებსა და ერენებათა შორის ფორმალური, პოლიტიკური თანასწორობა, გარდამავალ პერიოდში განხორ-

ივანე კოვალნი

განვითარებული სოციალიზმი და მისი ძირითადი ნიშნები

ციულებული ბირჟული გარდაქმნების შედეგად კი — ეკონომიური, ფაქტორი თანასწორობა. მუშათა და გლეხთა კავშირი მათ მეგობრობად იქცა. შეიქმნა ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. განუყოფლად გაბატონდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. 1936 წლის დეკემბერში ახალი კონსტიტუციის მიღებით საკანონმდებლო წესით განმტკიცდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველ სფეროში მოპოვებული ეს წარმატებები. ვარდამი-ვალი პერიოდი დამთავრდა სოციალიზმის სრული გამარჯვებით, საკუთრივ სოციალიზმის ფაზა, ემიგრებო, აქედან იწყება.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული ჩარჩოები გარდამავალ პერიოდზე გაცილებით ფართოა. სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ იწყება სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისში თანდათანობით გადასვლის პერიოდი. ჩვენი ქვეყნისათვის ეს იყო სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პერიოდი, რომელიც სოციალიზმის მშენებელი პირველი ქვეყნისათვის თვისებურებაა. ამ უკანასკნელ პერიოდში აშენდა განვითარებული ანუ მომწოდებელი სოციალისტური საზოგადოება. იწყება კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი. ქვეყნის განვითარებაში ამ ახალი ეტაპის ფორმული პირველი მოგვცა სსკპ პარტიის XXI ყრილობამ. ეს იმას ნიშნავს, რომ 50-იანი წლების ბოლოდან და 60-იანი წლების დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონერობს განვითარებული ანუ მომწოდებელი სოციალისტური საზოგადოება.

ვიდრე განვითარებულ სოციალიზმს დავახასიათებდეთ, შევხვთ სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვების საკითხს, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს თემასთან.

სოციალიზმის სრული გამარჯვება მოასწავებს ლენინური კითხვის „ვინაა ის?“ საბოლოო გადაწყვეტას ქვეყნის შიგნით, ესე იგი, მოცემულ ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობის ლოკიდაციას.

მაგრამ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ერთ ქვეყანაში შეუძლებელია. აისათვის საჭიროა სოციალისტური რევოლუციების გამარჯვება რამოდენიმე ქვეყანაში, რათა სოციალიზმის მშენებელი პირველი ქვეყნისათვის კაპიტალისტური გარემოცვა შეიცვალოს სოციალისტურით. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება მოასწავებს მის გამარჯვებას საერთაშორისო მასშტაბით, როდესაც მსოფლიოში რევოლუციური პოტენციალურ ძალთა თანაფარდობა ქმნის სოციალიზმის ქვეყანას (სსრ კავშირი) და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის საგარეო წინააღმდეგობათა სოციალიზმის სასარგებლოდ გადაჭრის შესაძლებლობას, მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის შემთხვევაში

აუცილებელი გამარჯვების შესაძლებლობას სოციალისტური ვადარება დასაყრდენში, მიუთითებდა ე. ი. ლენინი, რუსეთში რევოლუციის თავიდან აცილების აბსოლუტურად უკანასკნელი

ამჟამად სხვა ასპექტში დგას სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების საკითხი. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პერიოდში ქრონოლოგიურად დაემთხვა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნის პერიოდს. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სრული სოციალიზმისათვის ბრძოლა დაიწყო უკვე საბოლოო გამარჯვების მნიშვნელობით, ესე იგი, საბოლოო გამარჯვებამ დასწრო სრულ გამარჯვებას. ისტორიამ დადებითად გადაწყვიტა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების პრობლემა. ამიერიდან სოციალიზმის მშენებელი არც ერთი ქვეყანა არ განვითარდება ეკონომიური თავისთავადობის პრინციპით. სოციალიზმის სიმწიფის აღსანიშნავად არაა დღეს საჭირო ვიხმაროთ ტერმინები „სრული“ და „საბოლოო“ გამარჯვება. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის აღსანიშნავად უნდა ვიხმაროთ ფორმულირებები: სოციალიზმის ფუნდამენტის შექმნა, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრება ან სოციალიზმის ძირითადად, არსებითად გამარჯვება, განვითარებული ანუ მომწოდებელი სოციალიზმის საფუძვრის აღსანიშნავად კი — სრული სოციალიზმი.

ახლა დაუბრუნდეთ განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების დახასიათების საკითხს.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმის ძირითადად გამარჯვების შემდეგ იწყება მეორე ხანა მისი როგორც მთლიანი სისტემის მომწოდებლისა. საჭიროა საჭიროა ძალთა შემდგომი განვითარება, წარმოებითი ურთიერთობების შემდგომი სრულყოფა, საზოგადოების ხელახლა აღზრდა: ეს იმანენტური გარდაქმნები იმდენად საგრძნობი და მნიშვნელოვანია, რომ სოციალიზმის, როგორც კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის, განვითარებაში იქმნება ახალი, განვითარებული სოციალიზმის საფუძვრი, რომელიც ვითარდება საკუთარ სოციალისტურ საფუძველზე.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გარდამავალ პერიოდში ახალი საზოგადოების მშენებლობის დაწყება ბორცვიდგება იმ მატერიალურ და სულიერ წინამძღვრებზე დაყრდნობით, რომელსაც იძლევა კაპიტალიზმი. მაგრამ განვითარებული სოციალიზმი უკვე ფუნქციონერობს ახალ, საკუთარ სოციალისტურ საფუძველზე, როდესაც უშუალოდ მწიფდება სოციალიზმიდან კომუნისში გადასვლის მატერიალური,



სოციალ-პოლიტიკური და სულიერი წანამძღვრები.

როგორია განვითარებული სოციალიზმის ძირითადი ნიშნები?

განვითარებული სოციალიზმი ემყარება ზღვიან სოციალისტურ ეკონომიურ სისტემას, რომელიც ფლობს მძლავრ სამრეწველო კომპლექსს, აღჭურვილ მეცნიერებასა და ტექნიკას, უზენაესეული მიღწევებით. მომწოდებელი სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აღემატება მის წარმოებით ურთიერთობებს.

სოციალიზმის ძირითადად გამარჯვების შემდეგ უაღრესად განვითარდა ჩვენი ქვეყნის სწრაფი ძალები, უფრო სრულყოფილი გახდა წარმოებითი ურთიერთობანი.

ახლა სსრ კავშირში ყოველწლიურად იწარმოება ათჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე წლების დასასრულთან შედარებით. 1971 წელს ჩვენმა ქვეყანამ გამოუშვა ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე მთელი ომბდეული ხუთწლეულების განმავლობაში. პირველ ხუთწლეულში კაპიტალდამანდებმა შეადგენა 7,3 მილიარდ მანეთს, მეორე ხუთწლეულში კი — 352 მილიარდს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების შესაძლებლობაც პირველად განვითარებული სოციალიზმის პერიოდში შეიქმნა. 1970 წლისათვის სოფლად ძირითადად საწარმოო ფორმა შეადგინა 90,3 მილიარდი მანეთი.

1971 წელს ჩვენმა ქვეყანამ გამოაღწია 121 მილიონ ტონა ფოლადი, მოიპოვა 372 მილიონ ტონა ნავთობი და გამოიმუშავა 800 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. რაგორც ჩანს, სოციალიზმის მშენებლობის დამატების პერიოდში მოხდა უდიდესი ნახტომი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კომპლექსური, პარმონიული, პროპორციული განვითარება, ეკონომიური ინტეგრაცია ქვეყნის შიგნით, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური გარემოებაა. თუ გარდამავალ პერიოდში ეკონომიის ზრდა ხორციელდებოდა უპირატესად ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე, ამჟამად გააქმნა მნიშვნელობა ინტენსიური ფაქტორებს ეძლევა. პირველად შეიქმნა შესაძლებლობა უზრუნველყოთ წარმოების ეფექტრობაზე დაყრდნობით საზოგადოების საწარმოო და პირად მოთხოვნილებათა ორგანიზებული შეხამება. ამის ნათელი დადასტურებაა მეცხრე ხუთწლეული.

სოციალიზმი მოითხოვს „უახლოესი ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვრის გამოყენებას“ (ლენინი). სკკპ პარტიამ ვ. ი. ლენინის ეს მოთხოვნა დააკონკრეტა და შეუფარდა თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს. ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა სამეცნიერო-ტექნი-

კური რევოლუციის შედეგებთან მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან შეერთების შესაძლებლობა. ცხადია, არაა ვალდებულო ყოველმა სოციალისტურმა ქვეყანამ ამოცანის გადაწყვეტა და იწყოს უფრო განვითარებული სოციალიზმის პირობებში. სოციალისტური თანამშრომლობის ჩვენს დროში ამ ამოცანის გადაჭრას ქვეყნები იწყებენ მომწოდებელი სოციალისტური საზოგადოების შექმნამდეც, მაგრამ მისი დამატება უფროდ დაკავშირებულია კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებასთან.

ძირეული ცვლილებანი მოხდა სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. ახლა არაა საქმარის ვილაპარაკათ სოციალურ ერთობაზე, რომელიც შეიქმნა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრების შედეგად. განვითარებული სოციალიზმი მოასწავებს ახალი ეტაპის დასაწყისს, როდესაც უპირატესი მნიშვნელობა აქვს კლასებსა და სხვა საზოგადოებრივ ფენებს შორის, საერთოდ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის და ახლოვებს ის ტენდენციას. ამ მხარედი ტენდენციის განვითარების ნივთიერი გამოხატულებაა ქალაქისა და სოფლის დაახლოების ინტენსიფიკაცია და, შესაბამისად, საკუთრების წამყვანი როლის გაძლიერების ბაზაზე.

მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრობრივი მაჩვენებლები. 1937 წელს მუშა-მოსამსახურე შეადგენდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 34,7 პროცენტს, კოლმეურნეები და კოოპერირებული შინამრეწველები — 55,5 პროცენტს. 1971 წელს მუშათა კლასს ეკირა მოსახლეობის 58 პროცენტი, კოლმეურნე გლეხებს — 20 პროცენტი. ახლა ჩვენს ქვეყანაში მოსამსახურეთა რიცხვი 30 მილიონს აღემატება. ამათგან 17 მილიონი სპეციალისტია.

ძირეულად შეიცვალა გლეხობის სოციალური ბუნება, 1940 წელს კოლმეურნე გლეხობის რაოდენობა უდრიდა 29 მილიონს, 1969 წელს კი — 17,5 მილიონს. სოფლად შეიქმნა მექანიზატორთა მთელი ფენა, შრომის ინტელექტუალური სახეობი. მტკიცედ ინერგება სპეციალიზირებისა და კოოპერირების მეთოდები. 1969 წლისათვის სოფლად შექმნილი იყო 4,3 ათასი საკოლმეურნეობათაშორისო ნაგებობა და საწარმოო, 115 ათასი საკლმეურნეო დაწესებულება, 90 ათასი მიმღიოთიეცა, 3 ათასი სახალხო უნივერსიტეტი, 550 სახალხო თეატრი, 300 ათასზე მეტი მხატვრული თეიმომქმედი კომლექტი. ამ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა ახალგაზრდობა, ლენინური

ივანე კოვალკი
განვითარებული სოციალიზმი და მისი ძირითადი ნიშნები

კლასობრივი ურთიერთობის და გლეხების შრომის ინტელექტუალური ტენდენციის გაძლიერება განვითარებული სოციალიზმის სპეციფიკური ნიშანია.

კლასობრივი ურთიერთობის დარღვევა მომწიფებული სოციალიზმის თავისებურებაა მუშათა კლასის ზღვამდენი როლის ზრდა. იგი ხორციელდება ორი მიმართულებით: მუშათა კლასის რაოდენობის ზრდისა და მისი მორალურ-პოლიტიკურ გავლენის გაძლიერების მიმართულებით. 1940 წელს მუშების რაოდენობა უდრიდა 22,8 მილიონს, ახლა უდრის 62 მილიონს. მშრომელთა 55 პროცენტი მუშაა.

ეროვნული ურთიერთობის დარღვევა განვითარებული სოციალიზმის ძირითადი ნიშანია ერთა და ახალციხის ტენდენციის გამოვლენა. ცხადია, განვითარებული სოციალიზმის პერიოდში მთელი სისრულით გლინდება მეორე პროგრესული ტენდენციაც სოციალისტური ერების განვითარებაში — თვითველ ერთა ყვევების, გაფორმების ტენდენცია. მაგრამ მომავლის, პერსპექტივის თვალსაზრისით უპირატესობა ეძლევა დაახლოების ტენდენციას. მომწიფებულმა სოციალიზმმა აჩვენა კიდევ ერთი დაახლოების პირველი შედეგები. ამ ბაზაზე შეიქმნა აღმართა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

განვითარებული სოციალიზმის შესატყვისა პოლიტიკური ზედნაშენია საერთო-სახალხო სახელმწიფო. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიქცა მთელი ხალხის პოლიტიკურ ორგანიზაციად, მშრომელთა უმრავლესობის დემოკრატია საერთო-სახალხო დემოკრატიადა.

განვითარებული სოციალიზმი ახალ ეტაპს ქმნის იდეოლოგიასა და კულტურის სფეროში. მარქსიზმ-ლენინიზმი გახდა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა, საზოგადოების სულიერი ცხოვრების საფუძველი. იგი იქცა ყველა კლასისა და სოციალური ფენის აზროვნების ეტალონად. ჩამოყალიბდა თვისობრივად ახალი სოციალისტური მორალი და კულტურა. მოხდა საზოგადოების სულიერი აყვავება. მუშათა კლასის კომუნისტური იდეალი გახდა მოქმედების პროგრამა ყველასათვის.

სოციალისტური საზოგადოების ძალა აღამართა შეგნებულბაშია... ახლა ყველაზე დიდი სიმდიდრე, ე. პარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით აღმართა. საზოგადოების ზღა-ახლა კულტურული აღზრდა სოციალიზმის, კომუნისმის აწენების აუცილებელი პირობაა.

გარდამავალ პერიოდში განხორციელდა კულტურული რევოლუცია. ეს იყო სოციალიზმის ძირითადი გამარჯვების ეპოქის შესატყვისი ღონისძიება. სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების საფუძვლზე მან ახალი ეტაპი გაიარა. 1939 წელს 1000 მუშიდან უმაღლესი და

საშუალო განათლება ჰქონდა მან, კომუნისტური გლეხობიდან — 18-ს, ახლა კომუნისტური ხეივარზე მერს და კომუნისტური მუშის მერს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. 1939 წლის აღწერით ქალაქის მოსახლეობის 24,2 პროცენტს და სოფლის მოსახლეობის 6,3 პროცენტს ჰქონდა საშუალო (სრული და არასრული) და უმაღლესი განათლება. 1970 წლისთვის შესაბამისად გვაქვს — 75 და 50 პროცენტი. ამჟამად ჩვენი მოსახლეობის 70 პროცენტს აქვს უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება. მომწიფებულ სოციალიზმის პერიოდს შეესაბამება კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი.

განვითარებული სოციალიზმის ნიშანია სუბიექტური ფაქტორის როლის ზრდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ კომუნისტური პარტიის როლის ზრდაზე კომუნისმის მშენებლობის პროცესში ცხოვრება მოითხოვს ხალხი თვითველური პრობლემების დამუშავებას (მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური პირობების, სოციალიზმის კომუნისმში გადარღვის კანონზომიერებანი, დაგეგმვისა და მართვის, ახალი აღმართის ფორმირების პრობლემები და სხვა). კომუნისტური და მუშათა პარტიები უზრუნველყოფენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით განვითარებას.

განვითარებული სოციალიზმი კომუნისტური საზოგადოების საკუთარი საფუძველია. ცხადია, კომუნისტური ფორმაციის საფუძველია, ფართო გაგებით, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელი იქმნება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში. მაგრამ განვითარებული სოციალიზმი კომუნისტური საზოგადოების ადექვატური საფუძველია.

მომწიფებულ სოციალიზმის პირობებში წყდება წინსვლის პოზიტიური ამოცანები გარდამავალი პერიოდისაგან განსხვავებით, როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმი და, საერთოდ, კლასობრივი ბრძოლა მთელი რიგი ნეგატიური ამოცანების გადაწყვეტასაც მოითხოვს. ცხადია, ახლაცაა წარსულის მევენ გადმონათობი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა საერთო სახალხო ამოცანაა. მაგრამ მათი დამლევა მინც არის წარმოებული ამოცანა. ძირითადი ამოცანაა დამკვიდრებული და განმტკიცებული სოციალიზმის პრინციპების შემდგომი სრულყოფა. ამდენად, განვითარებული სოციალიზმის კანონზომიერებაა და დებითი მუშაობა კომუნისმის განსახორციელებლად.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სუფთა საბით გლინდება სოციალიზმის არსი. ამ საფუძველზე იქმნება შესაძლებლობა სოციალიზმის კანონზომიერებათა შეუფერხებელი განვითარებისა და სრულყოფის, საზოგადოებრივი



წინაგის მთელი პოტენციის გამოვლინებათ-
ვის, ამიტომ, თუ ადრე გვემართებადით
ზოგადი დებულებით — სოციალიზმი კომუ-
ნიზმის საკუთარი საფუძველია, რომ შექმლე-
ბელი მისი გვერდის ავლით პირდაპირ კომუ-
ნისტური საზოგადოების მშენებლობის დაწყე-
ბა, ახლა ცხოვრებამ დააკრერეტა ეს, საერ-
ოთღ სწორი, მაგრამ მეტისმეტად ზოგადი დე-
ბულება. უნდა დაესაინათ: განვითარებული
სოციალიზმი კომუნისტური საზოგადოების
აშენების აუცილებელი საფეხურია ყველა ქვე-
ყნისათვის. იგი კომუნიზმის კარიბჭეა, როდესაც
საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის
მშდგომი სრულყოფის საფუძველზე ხორციე-
ლდება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა
და იქმნება კომუნიზმის უკვე „საკუთარი სა-
ფუძველი“, რაც ნიშნავს საკუთრივ კომუნის-
ტური საზოგადოების მეორე ფაზის, საკუთ-
რ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბა-
ზის აშენებას.

სოციალიზმს აქვს ობიექტური კანონებისა და
პრაქტიკის საკუთარი სისტემა. იგი მოიცავს
ზოგად სოციოლოგიურ და სპეციფიკურ კანო-
ნებს კანონების ერთი ნაწილი მთელი სისტე-
მა მოქმედებს პირველ ფაზაში, ნაწილი კი
სრული კომუნიზმის დროსაც. შეცდომაა სოცია-
ლისტური საზოგადოების სპეციფიკის იგნო-
რირება. ეს მოგვიყვანს კომუნისტური საზოგა-
დოების ორ ფაზას შორის განსხვავების უგუ-
ლებელყოფამდე. არა ნაკლებ საშიშია მათ
შორის განსხვავების აბსოლუტიზირებაც. ეს
გამარცხენე“ ოპორტუნიზმის თვალსაზრისითა—
ველაფერი, რაც სოციალიზმს სრული კომუ-
ნიზმისაგან განსხვავებს (სასაქონლო წარმოე-
ბა ღირებულება, ფასი, მოგება და სხვ.) „ბო-
როტებად“ ცხადდება. კომუნისტური საზოგა-
დოების ორ ფაზას შორის დიალექტიკური ურ-
თიერთკავშირი, ორგანული ერთიანობა.

კომუნიზმი განვითარებული სახის სოციალის-
ტური საზოგადოებაა. სოციალიზმი არა სრული,
დუმიტარებელი კომუნიზმი. კომუნიზმში გა-
დავლა განხორციელდება სოციალიზმის შემ-
დგომი სრულყოფის გზით. სოციალიზმის ეკო-
ნომიური ბაზის განვითარება კომუნიზმის მატე-
რიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების პირო-
ბაა კლასების დაახლოება — სოციალური
ერთგვაროვნობის შექმნის პირობა, პიროვნე-
ბის ყოველმხრივი განვითარება — ახალი ადამ-
იანის ფორმირების საშუალება და ა. შ.

სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ბო-
რძივლად თანდათანობით. ამ კანონზომიე-
რების არსის ასახსნელად გავარკვეოთ რას
ნიშნავს „სოციალიზმის მშენებლობის დამთავ-
რება“.

სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება, ფა-
რთო გაგებით, გულისხმობს სოციალიზმის თან-
დათანობით გადაზრდას კომუნიზმში. ესაა ერ-
თიანი რევოლუციური განუწყვეტელი პროცესი,

როდესაც ყოველგვარი სოციალისტურის შემ-
დგომი სრულყოფის ბაზაზე კომუნიზმის ხილუ-
ნიშნები სულ უფრო იზრდება. ამ გაგებით
კომუნიზმი ბოლომდე მიყვანილი სოციალიზმია.

სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება,
ვიწრო გაგებით, გულისხმობს განვითარებული
ანუ მომწიფებული სოციალისტური საზოგადო-
ების აშენებას. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე
გარდამავალ პერიოდში იქმნება სოციალიზმის
ეკონომიური ფუნდამენტი, სოციალიზმი იმარ-
ჯვებს ძირითადად, არსებითად, ხოლო შემდეგ
საფეხურზე—სოციალიზმის მშენებლობის დამ-
თავრების შედეგად — აიგება განვითარებული
სოციალისტური საზოგადოება.

კომუნისტური საზოგადოების მეორე ფაზა
იწყება სოციალიზმის ფარგლებში ეკონომი-
ური, სოციალური და სულიერი წინამძღვრე-
ბის მომწიფების ხანგრძლივი პერიოდის შემ-
დეგ. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პე-
რიოდი განვითარებული სოციალიზმის პერიო-
დია. ამ დროს ხდება კომუნიზმის წინამძღვ-
რების მომწიფება. ამის შემდეგ დაიწყება სა-
კუთრივ კომუნისტური საზოგადოების მეორე,
უმაღლესი ფაზა.

უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშ-
ვნელობა აქვს პარტიის XXIV ყრილობის მითი-
თებას სსრ კავშირში განვითარებული სოცია-
ლისტური საზოგადოების აშენებისა და ფუნ-
ქციონერობის შესახებ. სოციალიზმის მეცნიე-
რული ანალიზი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის
აშენების პერსპექტივების სწორი განსაზღვრის
ერთ-ერთი პირობაა. მითითება სოციალისტუ-
რი საზოგადოების სიმწიფის საფეხურების შე-
სახებ ხელს შეუწყობს აგრეთვე სახალხო დე-
მოკრატიული ქვეყნების კომუნისტურ და მუშა-
თა პარტიებს წინსვლის სწორი პროგრამის და-
მუშავებაში. დიდი ამ დებულების საერთაშო-
რისო მნიშვნელობაც.

განვითარებული სოციალიზმის ფუნქციონე-
რობის პერიოდში ხორციელდება ერთიანი
მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის ქმნა-
ლობის პროცესი. ინტერნაციონალიზაციის ეს
ტენდენცია ხორციელდება ორი მიმართულე-
ბით — ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული
და პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებისა
და ეკონომიური ინტეგრაციის მიმართულე-
ბით. როგორც ჩანს, დებულება განვითარე-
ბული სოციალისტური საზოგადოების შესახებ
ასახავს კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის
მსოფლიო რევოლუციურ პროცესს.

თანამედროვე იმპერიალიზმი ღრმა კრიზისს
განიცდის. მას უტიფენ ცენტრიდან და ზურ-
გიდან. კაპიტალიზმი ისტორიის ალაღმია. ის-
ტორიულ ინიციატივას ფლობს სოციალიზმი.
სოციალიზმის გადაქცევა ერთიან ყოვლისშომ-
ცველ მსოფლიო სისტემად ობიექტური კა-
ნონზომიერებაა.

მოთა ბაღრიძე

კეთილად შესახვედრი წიგნი*

ჩვენი ისტორიოგრაფიის ზრდის უდავო და თავისებური მაჩვენებელია ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა ახალი თაობა, რომელმაც უკვე თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის მრავალფეროვანი წარსულის შესწავლაში, წინ წასწია მისი დამუშავების საქმე.

სწორედ ამ თაობას ეკუთვნის როინ მეტრეველიც, ბოლო ათიოდე წლის მანძილზე წარმატებით რომ იკვლევს საქართველოს ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს ეპოქას, როგორიცაა მე-12 საუკუნე — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანა.

ამჟამად ეს გამოკვლევები ჩვენს წინაშე ქვეყნის ცალკე კრებულის სახით — „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან“.

„ნარკვევებში“ მოთავსებული გამოკვლევები ეხება მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს, მაგრამ საერთო ჩაშში მაინც ერთ მთლიან ეპოქას ასახავს და, ამდენად, შემფასებლური მსჯელობის საშუალებასაც იძლევა.

პირველ წერილში — „საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დათარიღებისათვის“ — (გვ. 5-28) შესწავლილია მე-11-12 სს ისტორიის პოლიტიკური ქრონოლოგიის უმთავრესი მომენტები, დაზუსტებულია თარიღები ამ ეპოქის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენებისა, როგორიცაა სათურქო გადასახადის უარყოფა, ბაღვაშთა სახლის გამოსვლები დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ და კლდე-კარის საერისთავოს გაუქმება, პერეთ-კახეთის შემოერთება და სხვა. ავტორმა აქ ერთგვარად შეაჯამა ამ ეპოქის პო-

ლიტიკურ ქრონოლოგიაზე არსებული შეხედულებები და ბევრი დეტალი ამ საკითხში წარმატებითად გადასინჯა.

სიახლით გამოირჩევა მეორე წერილიც — „გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი“. მასში ავტორი გვაძლევს გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი მეფის გიორგი მეორის (1072-1089) მოღვაწეობისა და პოლიტიკური კურსის თავისებურ შეფასებას. ამასთან დაკავშირებით, განსხვავებით ტრადიციული შეხედულებისაგან, რომელიც გიორგი მეორეს მიაწერს უნიათობასა, ქარაფუშტობასა და მეტისმეტ სწორხაზოვან „სირბილს“ (როგორც შენაურ, ისე საგარეო მტერთან ურთიერთობაში), ავტორი გიორგი მეორის მეფობის შეფასებისას ითვისებს წინებს არა მარტო იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფაქტებს, რომლებიც დღემდე ტენდენციურადაა მოღწეული, არამედ მთლიანად ეპოქის ხასიათს.

ასეთ შემთხვევაში, ფიქრობს ავტორი, თუ მთლიანობაში ჩაუქვირდებით ამ ეპოქას, ნათელი გახდება, რომ მე-11 საუკუნის 70-80-იან წლების საქართველოში შეიქმნა აბსოლუტურად ობიექტური პირობები ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული დაქვეითებისათვის, რაც, ერთი მხრივ, გაპირობებული იყო მძიმე და დამანგრეველი შემოსევებით, ხოლო მეორე მხრივ, — გამწვავებული შიდაკლასობრივი ბრძოლით; ამიტომ, ბუნებრივია, გიორგი მეორის არ შეეძლო ერთი ხელის დაცვით გადაეღობა ის ობიექტური სიძნელეები, რომლის წინაშეც მაშინ ქვეყანა იდგა (გვ. 59).

თვალყურის ადევნებს რა გიორგი მეორის მეფობის ცალკეულ დეტალებს, მკვლევარი არ ეთანხმება იმათ მტკიცებას, ვინც საქართველოს ამ მეფეს ქარაფუშტა და სუსტი ნებისყოფის

* როინ მეტრეველი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972 წ.



აღმინადად გერხასათებს. ამ აზრს „ნარკვევების“ ავტორი სხვაგანაც იმეორებს (გვ. 71).

ჩვენი შეხედულებით ავტორის კონცეფცია გიორგი მეორის შეფასების თაობაზე სასცებით მისაღები და ლოგიკურია. მართლაც, შეუძლებელია ვერ შევამჩნიოთ, რომ მე-11 საუკუნის 70-80-იან წლების ამსახავი მასალებიდან ერთ-ერთი უმთავრესი — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება — გიორგი მეორის მიმართ აშკარად ტენდენციურადაა გაწყობილი. ამას რ. მეტრეველიც კარგად ამჩნევს. (გვ. 36), მაგრამ არ ვიქნებით ბოლომდე მართალი, თუ მ. ისტორიკოსის ტენდენციურობის მიზეზად წარმოვიდგენთ მარტოოდენ მის სურვილს დამციროს გიორგი მეორე, რათა ამით უფრო აღზევებულად წარმოაჩინოს დავით აღმაშენებელი (გვ. 36).

ყოველ შემთხვევაში, მაინც საჭიროა დავსვათ კითხვა: განა დავითის ისტორიკოსს მისი სათავეზედებული მეფის განდიდება გიორგი მეორისადმი კეთილდამოკიდებული პოზიციით კი არ შეუძლო?

აქ მივადგებით იმ საკითხს, რომელსაც „ნარკვევების“ ავტორიც ეხება, როცა ამბობს: „მატიანე ჭათლისას“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განსხვავებული პოზიციები გიორგი მეორის მეფობის ფაქტების შეფასებაში ასახულია ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული საკარისკაცი იდეოლოგიით (გვ. 38). მაგრამ ავტორი მეტს არაფერს ამბობს ამის შესახებ და სპეციალისტ მკითხველს საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულება გადმოსცეს მასზე.

ფიქტობთ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის პოზიციების გასარკვევად გიორგი მეორეზე ამ განსხვავებული საკარისკაცი იდეოლოგიის კონკრეტული წარმოდგენა აუცილებლადია საჭირო.

როგორც ცნობილია, დავითის ისტორიკოსი აქის მისი სახელოვანი მეფის პოლიტიკური ჯიშის მომხრე და აპოლოგეტი, წარმომადგენელი იმ დასისა, რომელსაც დავითის მეთაურობით, ჩანს, დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა, ვიდრე ის პოლიტიკურ ხელისუფლებას დაეპატრონებოდა. ეს ის დასი იყო, რომელმაც აღზევების დღიდანვე რადიკალურად უარყო გიორგი მეორის პოლიტიკური მეთოდები და დიწყო პროგრესული სოციალ-ეკონომიკური რეფორმების გატარება ქვეყნის შიგნით.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დავითის ისტორიკოსიც თავისი დასის თვლით უყურებდა მოვლენებს და ამავე დასის ენით ცდილობდა შთამომავლობისათვის ემცნო ახლო წარსულისა თუ თანამედროვეობის ამბები, კერძოდ, ამ დასის პოლიტიკური კონცეფციის შესაბამისად შეეფასებინა გიორგი მეორის პოზიციები.

სწორედ ამ შეხედულებებში უნდა ვეძებოთ იმის ასსნა, რომ დავითის ისტორიკოსის მეტად სმეტად ყავს შექმნილი სულთანის მალიქ-შაჰი.

ამასთან დაკავშირებით, რ. მეტრეველი ფიქრობს: მალიქ-შაჰმა კახეთ-ჰერეთი გიორგი მეორეს უბოძა და მის შემოსაერთებლად ამ უკანასკნელს ლაშქარიც კი გამოაყოლა. ქართველებზე ამან მეტად დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოძახილიცაა ის ფაქტი, რომ დავითის ისტორიკოსი მალიქ-შაჰს მწყალობელ და სიკეთით საცეს აღამინადად წარმოიდგენს („ნარკვევები“ გვ. 54).

მიუხედავად ამისა, ფიქტობთ, ამ საკითხს უფროდ სხვაგვარი ასსნა შეეფერება; საქმე ისაა, რომ მეთერთმეტე საუკუნის ბოლოსათვის მალიქ-შაჰისა და ნიზამ აღ-მულქს ინიციატივით თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში ჩატარდა მთელი რიგი პროგრესული ხასიათის სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნები. დავითის ისტორიკოსიც, რომლის ირგვლივ მყოფნიც ანალოგიური გარდაქმნებით იყვნენ გატაცებულნი საქართველოში, პოლიტიკური მოღვაწის ერთგვარ ეტალონად სახავდა სელჩუკთა სახელმწიფოს მეთაურებს მალიქ-შაჰსა და ნიზამ აღ-მულქს, კერძოდ, გადამეტებულად აქებდა მალიქ-შაჰს. ამ საკითხზე თავისი თვალსაზრისი სასცებით დამაყრებლად აქვს გამოთქმული პროფესორ ვ. გაბაშვილს, რომლის შეხედულებითაც დავითის ისტორიკოსის დამოკიდებულება მალიქ-შაჰისადმი გარკვეული ზოგადი პოლიტიკური სიმართლითაა გამოწვეული. ვ. გაბაშვილის თანახმად, „დავითის ისტორიკოსი, ჩანს, კარგად იცნობს მალიქ-შაჰის მოღვაწეობის ყველა მხარეს (მრავალ არიან და სხუნიცა ურიცხვნი საცნაურობანი“), მაგრამ თავის თხრობას შეგნებულად ამოკლებს („დაამჩივე რათა არა განვადგოთ სიტყუა“). როგორც ცნობილია, მალიქ-შაჰის დროს გატარდა სამხედრო, სასამართლო და საკანონმდებლო „რეფორმები“, აილაგა ცენტრ-მსრბოლი ძალები, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობას, ქალაქებს, ვაჭრობას, ხელოსნობას. ამიტომ სულთან მალიქ-შაჰის მოღვაწეობის დადებითად შეფასება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ არც უსაფუძვლოა, არც გასაოცარი“. იქვე ვ. გაბაშვილი კიდევ ერთხელ აკონკრეტებს თავის აზრს და დასძენს, რომ „ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ მხრივ უტოლ-ერთი გამოწველის არ წარმოადგენს. უფრო გვიან ასევე დადებითად აფასებდა ყაზან-ყაენის პიროვნებას გამთააღმწერელი, ჩანს, ქართ-

შოთა ზაღრიძე

კათილად შმახამდარი წიგნი



ველი ისტორიკოსები ყურადღებას აქცევენ მუსლიმან მბრძანებელთა მოღვაწეობის იმ მხარეს, რომელიც მომთაბარეთა გავლენის შესრულებად აღგზავს და ინტესიური მეურნეობის ტრადიციების აღდგენა-განმტკიცებას გულისხმობდა.

ყველაფერა ამის თქმა იმიტომ გვპირდება, რათა კიდევ ერთხელ გავისწნოთ დავითის ისტორიკოსის პოლიტიკური პოზიციები იმის შესაძინებლად, რომ გიორგი მეორის შეფასების საკითხს ამ ისტორიკოსის პოლიტიკური თვალთახედვა უფრო მეტად განაპირობებს, ვიდრე ინტერაქტუალური მეთოდოლოგია ამჟამად ისტორიკოსსა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეს ისტორიკოსი ვერ შეფასებდა გიორგი მეორეს ყოველმხრივ დადებითად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ვერ ახერხებდა დავით აღმაშენებლისა თუ მისთანათა პოლიტიკური კურსის გატარებას.

დამატებით განხილავს მოთხოვნს, აგრეთვე, ჩვენის აზრით, გიორგი მეორის საქციელის ინტერპრეტაციაც ვეფხისტყაოსნის ალყის დროს („ნარკვევები“, გვ. 55-56).

„ნარკვევების“ ავტორის თქმით, გიორგი მეორემ ვეფხისტყაოსნის ალყა უკერძოდ იმიტომ მოხსნა, რომ ფეხაზეთში ანუ დასავლეთ საქართველოში არეულობა მოხდა (გვ. 56). მიუხედავად ამისა, ამგვარი დამოკიდებულება, ფარაულის ფარგლებშიც კი არ გვაძლევს საშუალებას, ასეთი აზრის ვირწმუნოთ. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია, ვთქვათ, იმისი გამოკრძახვა, რომ ვეფხისტყაოსნის ალყის მოხსნით გიორგი მეორემ ერთგვარი საბოლოო კი გაუქმდა მასთან წამოყოფილ თურქებს. გიორგიმ კარგად იცოდა: კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად მალე-შაშმა ჯარები საქართველოს ან, კერძოდ, მისი ინტერესებისათვის კი არ გამოატანა, არამედ იმიტომ, რომ გიორგის ეს მხარეები „დაეპყრო“ როგორც სულთანის ყმა. ამას კი კახეთის მიწაზე მოსულმა გიორგიმ თურქებისაგან გაცლა ამჯობინა. მართალია, ეს ამბავი კახეთს მთლიანობაში ძვირად დუქდა: აიხრდა და გატიალდა, მაგრამ განა ვეფხისტყაოსნის დარჩენილიყო, გიორგის ღონე ეყოფოდა თურქების შესაჩერებლად, ან არადა, გაიცლებით უარესი არ იქნებოდა, კახეთი აიხრებულყო თურქების მიერ და გიორგი მეფე ამ უკანასკნელებთან ერთად ყოფილიყო?

როგორც ვხედავთ, რ. მეტრეველის ნარკვევი გიორგი მეორის შეფასების თაობაზე საინტერესო საკითხებზე ჩაგვაფიქრებს და ბევრ მომენტს ამ თემასთან დაკავშირებით ახლებურად გვიჩვენს. დაფარეხნია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ გიორგი მეორის რეაბილიტაციის პირველი სერიოზული ცდა ჩვენს ისტორიკოგრაფიაში მოცემული იყო ნ. შენგელიას მიერ მონოგრაფიაში: „სელჩუკები და საქართველო

მე-11 საუკუნეში“, რასაც „ნარკვევების“ ტიპის ნაშრომში სათანადო აღნიშვნა უნდა მოჰყვებოდეს.

საინტერესო კონკრეტულ-ისტორიულ გამოკვლევას წარმოადგენს „ნარკვევებში“ შესული წერილი სათაურით — „ძაგანისა და მოდისტოსის გამოსვლის შესახებ“, (გვ. 61-87). სადაც ავტორი ცდილობს გაარკვეოს დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებული ცნობილ ანდერძში მოთხოვნილი ამბის (თუ როგორც განდგენ ერთხანობას ძაგანის საზღვის წიგნები სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ) ქრონოლოგია, ხასიათი და ადგილი-მეცნიერის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნულ ფაქტს, ისე როგორც მასთან დაკავშირებული სხვა დეტალები, თავის დროზე შეისწავლა ისტორიკოსმა თ. ქორდანიამ. იგი ფიქრობდა, რომ ძაგანი და მისიანები გადგნენ 1101-1103 წლებში, მაგრამ რ. მეტრეველი საფუძვლიანად უარყოფს ამ შეხედულებას და სავსებით ლოგიკური მსჯელობით დასკვნის, რომ ეს გამოსვლა უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის თანამოსაყდრეობის პერიოდში, 1083-1084 წლებში. ეს იყო დიდგვარაზნა მოძრაობის ერთ-ერთი სერიოზული ეპიზოდი, მაგრამ როგორც ანდერძში დაცული ცნობებიდანვე ირკვევა, იმ ხანებში, დავითმა სათანადოდ ვერ შეძლო გამეფავებლად ტახტის მტრებს.

რ. მეტრეველის მოსაზრებები ძაგანისა და მოდისტოსის გამოსვლის დეტალებზე ჩვენს ისტორიოგრაფიის სერიოზული შენაძენია და მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენ ცოდნას გიორგი მეორისა და დავით აღმაშენებლის ურთიერთობებსა, თუ მის ფორმებზე დიდგვარაზნა ფეოდალებთან.

განსაკუთრებული პროფესიულობითაა შესრულებული ავტორის გამოკვლევა ღმნა უფლისწულ — ივანე ჭარბელის აჯანყების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს სერიოზულ ცდას ჩვენ ხელთ არსებულ ყველა წყაროსათუ კონცეფციის გათვალისწინებით გადმოცემულ იქნას 1177 წლის ცნობილი ფეოდალური ამბოხების ისტორია. ნაშრომში — „ფეოდალური საქართველოს შინაჯანსაღობის ბრძოლის ისტორიიდან“ (გვ. 114-168) — ყოველმხრივად შესწავლილი ეს მოძრაობა, ნაჩვენებია მისი გამომწვევი სოციალ-ეკონომიური გარემო, მიზეზები და საბაზი, თანამედროვე მიღწევითაა დონეზეა შეფასებული მისი როლი და ადგილი მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიაში.

ავტორი ამომწურავად განიხილავს ამ მოძრაობასთან დაკავშირებულ ყოველ დეტალს. ითვალისწინებს მათ დირსება-სანდოობას.

გვაქვს ორიოდ განსხვავებული პოზიციაც ამ ნაშრომის ზოგიერთ დეტალზე. კერძოდ, გესტურს შეეხებოთ სტეფანოზ ორბელიანის



ცნობილი საიტორიო თხზულების გამოყენებას მეთოდს ზემოთ მითითებულ ნარკვევში.

როგორც ცნობილია, სტეფანოზ ორბელიანის განთქმული თხზულება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს დემნა-ორბელიან აწანყების ისტორიის შესასწავლად, რის გამოც მისი მონაცემები კარგა ხანია გამოყენებულია საკითხის მკვლევართა მიერ. სტეფანოზის თხზულების ის ფრაგმენტები, რომელშიც უშუალოდ მოთხრობილია ამ აწანყებაზე, გვიანფორმალურ ხანაში ითარგმნა ქართულ ენაზე, 1952 წელს კი გამოქვეყნდა პროფ. ა. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ. „ნარკვევების“ ავტორი კარგად იცნობს სტეფანოზ ორბელიანის ორიგინალს და მისი ერთი ნაწილის გვიანდელ ქართულ თარგმანსაც, მაგრამ ჩვენ მაინც მოუხერხებლად მიგვაჩნია ერთი და იგივე ნარკვევის მთელ სიგრძეზე სტეფანოზის ციტატების გადმოღება ხან ორიგინალის, ხან კი ქართული თარგმანის მიხედვით. ვფიქრობთ უფრო მოხერხებული იქნებოდა ამ ძეგლის მთლიანად გამოყენება მარტოოდენ ორიგინალის მიხედვით.

ამვე ნარკვევში ავტორი ვრცლად ჩერდება რა მე-12 საუკუნის სახელმწიფო სამართლის მნიშვნელოვან დეტალებზე, საგანგებოდ მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელმა სიცოცხლის ბოლო წლებში სპეციალური ანდერძით შეცვალა სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის მანამდე არსებული წესი და ამიერიდან დასაშვებად მიიჩნია ხელმწიფის ტახტის გადასემა გარდაცვლილი ძმის ხელში. ეს შეხედულება ავტორის დაფუძნებული აქვს შიო მღვიმისადმი დავით აღმაშენებლის მიერ ბოძებული ანდერძის მონაცემებზე, საიდანაც ჩანს, რომ დავითი დემეტრე უფლისწულის შესაძლებელ მემკვიდრედ მიიჩნევდა თავის უმცროს ვაჟს ცვატას.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესოა და აუცილებელიც იქნებოდა ავტორს რაიმე ეთქვა ნ. ბერძენიშვილის შეხედულებაზე. ცნობილია, რომ ნ. ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ მისი ანდერძის ცნობას, რომელიც ამტკიცებს ცვატას მომავალ უფლებებს, თუ მას სათანადო ნიჭი აღმოაჩნდებოდა — ნაყალბებად თვლიდა (ნ. ბერძენიშვილი, ფოთალური ურთიერთობიდან მე-15 საუკუნეში. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II თბ., 1965, გვ. 133). ასეთი აზრი კი, თუ იგი ვრცლად დასაბუთდა, ნამდვილად ვერ შეეგუება იმ ალბულებს, რომელსაც რ. მეტრეველი თავის ნარკვევში მისდევს.

სარეცენზო წიგნში მოთავსებულია ორი სხვა შტუდიაც, ერთი დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთ საკითხზე (გვ. 88-113), რომელიც თავის დროს შეეცადა როგორც დამოუკიდებელი თავი ავტორის ადრინდელ მონოგრაფიაში „დავით აღმაშენებელი“, მეორე კი „ქვეყნის თვალი, გზისა და რი“, ფოლკლორისტიკის სფეროს განეკუთვნება და გვიხასიათებს თამარ მეფის სახეს ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში (გვ. 169-184).

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ „ნარკვევების“ ავტორი ძალიან კარგი მოქართულეა, წერს სადად და მარტივად, ტერმინები, საკუთარი სახელები თუ მითითება-აღნიშვნები თითქმის ყველგან უზადოდაა მოყვანილი. „ნარკვევები“ დიდი ინტერესით იკითხება მით უმეტეს, რომ იგი ეტება ჩვენი ისტორიის მეტად რთულ და ძნელად გასაზრებელ მომენტებს. ავტორის დამსახურებაც სწორედ ისაა, რომ იგი არა ერთი ახალი მონაცემითა და დეტალით ცდილობს ჩვენი ცოდნის შევსებას ამ საკითხებზე.

რიონ მეტრეველის წიგნი „ნარკვევები“ ფოთალური საქართველოს ისტორიიდან ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაჩინო შენაძენია.





რიზიგაი იოვანავილი

«ოდიშური მოთხრობები»

გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“ უმალვე იპყრობს ყურადღებას ტრადიციულ დაძაბულობაზე განვითარებული ენებების გამოხატვით.

თავისებური და განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელი ისიცაა, რომ ეს დიდი ენებები ყველა შემთხვევაში კლინდება უბრალო და ჩვეულებრივ აღაშინებთან დაკავშირებით, როგორც ამ უკანასკნელთა ცხოვრების დამახასიათებელი და სულისკმერის მანიშნებელი.

პირველივე გმირი, რომელსაც მკითხველს ხედება მოთხრობაში — „დუტუ“, ასეთი ჩვეულებრივი და უბრალო ოდიშელი გლეხია. დუტუ (ისევე როგორც კოლინდელმა მედემ ევროპიდეს განთქმულ ტრადიციებში) თავისი ხელით დააბრნო ერთადერთი ვაჭარშვილი, რათა მრისხანე ბატონის გმირებს არ შეეცყოთ და მონად არ გაეყიდათ უცხოელებზე.

„ოდიშური მოთხრობების“ ავტორი არ ეტანება სიმბოლიკას, მაგრამ „დუტუში“ სიუჟეტური მოქმედების კომპოზიციური განვითარება, ჩვენი შეხედულებით, ძირითადად მხატვრული წარმოსახვის აღნიშნულ საშუალებაზე დამყარებით ხორციელდება: აქ ჩანს, როგორ აღიერებს და აღაშინებს ჯაჭრი აღაშინას, როგორ იქცევა დიდი მწუხარება მოქმედების დიდ ენერგიად, და ეს მეტად მნიშვნელოვანია... დუტუ, რომელიც ადრე პეხუს ყურმოჭრილი ყმა იყო, ბატონისა და მისი კაცების რისხვად იქცა მას შემდეგ, რაც საკუთარი შვილის თეთრად გაღმორჩილებული თვალზე იხილა. სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ უტას გამოსატყვევად წარგზავნილი კაცები ფარნა, კეხმა და ეხმა კბილებიალწილი და სახედათთქვილი დაბრუნდნენ. თვითონ ბატონი პეხუ კი ამ დროს უკვე გულაღმა იყო უძრავად გამზლართული და თვალზე თეთრად ჰქონდა გაღმორჩილი.

კლული, როგორც უბედური მამის მიერ გაგულულ უტას.

ჩვენ აღნიშნეთ დუტუს მწუხარების გარდაქმნა მისივე შურისძიების ენერგიად. ამას შეიძლება დაეუმატოთ, რომ დუტუს ენერგია და მრისხანება, რაც დიდმა მწუხარებამ გამოიწვია, ხალხსაც გადაეცემა. პეხუს დიდ ეზომში შეკრებილი გარს ერტყმოდნენ კეხმასა და ეხმას, მხარს უჭერენ დუტუს, რომელსაც ახალგაზრდა ბატონი ჩამოხრჩობას უქადის. ამით იწყება ჯანყი, რომელიც შეუთავსებელი სტიქიის სახეს იღებს; სწორედ ისე, როგორც დიწყა და განვითარდა თავის დროზე ლეგენდარული უტუ მიქავას სახალხო მოძრაობა.

„დუტუსათვის“ დამახასიათებელი სიტუაცია ძირითადი და წამყვანია ისეთი მოთხრობების სიუჟეტშიც, როგორიცაა „სიკედილის გზა“ და „ქაობი“. ეს ნაწარმოებები, „დუტუს“ შემდეგ 1966 წელსა დაწერილი და ის იდეური აზრი, რომლითაც გამსჭვალულა „დუტუ“, თითქმის ინერციით არის გადმოსული მათში, თუმცა აღძრული საკითხის გადაწყვეტას აქ განსხვავებული შინაარსი აქვს. მშობელი მამის მიერ ერთადერთი შვილის გამეტება „სიკედილის გზაშიც“ ისევე გეზარავს, როგორც „დუტუში“. განთქმული მთელი ქაშლით, რომელსაც ყველაფერი წარსტაცეს ყაჩაღურად მოთარეშეთრქებმა, იმდენად გატაცებულია თავისი სასიცოცხლო ღანჯარგისათვის აუცილებელი შურისძიებით, რომ ვეღარ იცის ყურადღება მიუქციოს ერთადერთ პირშმოს თაიას, თავისი დაუმცხრალი სიმძლავრით ქაშლით სიკედილს უქაფავს გზას მოძალადე უცხოელების შესაშუსრად. ტრადიციული ის არის, რომ შემთხვევით თუ წინასწარ გაუზარებული და შეუცნობელი აუცილებლობის გამო თაიაც თითქმის ამავე გზაზე აღმოჩნდა მსხვერპლად დაკეცილი: მამის



თავისა და ყურადღებას მოკლებული, მაძის სიყვარულს დაღირსებული გოგონა გულ-ნაღველით მიენდობა სავაჟრო ხომალდის მკაბრთან თურქს და ეს ნაბიჯი გახდება კიდეც მისი დაღუპვის საბაბი.

წვეს ვნახეთ როგორ რეაგირდება ერთადერთი შვილის დაღუპვა ღუბუბთან, რომელმაც თავის დიდ მწუხარებას გამოსავალი შერისიებში უპოვნა. თაიას დაქარგვა სულ სხვა გზით წარმართავს ქაშლეთის აწინდელ ცხოვრებას და ამაშია კიდეც განსხვავება, ერთი მხრივ, ღუბუბს და, მეორე მხრივ, ქაშლეთის ხასიათებს შორის.

ხასიათებს — ეამბობთ, მაგრამ, თუ ღრმად დავევირდებით, არც სულ მთლიანად, ხასიათთა სხვადასხვაობით გაპირობებულ გარემოებასთან გვექნა საქმე აღნიშნულ შემთხვევებში. ღუბუბს იმ გააქვია, რაც აუცილებლად უნდა გვექვეყნა. მას სხვა გზა და გამოსავალი არ ჰქონდა; თუ მაძის ხელით სიკვდილი არა, უტას უარესი მოელოდა. აქ სიკვდილი ხსნა არის, გამოსავალი უარესი მდგომარეობიდან. თაიას განწირვა კი ეგზომ აუცილებელი არ არის. პირიქით, შეიძლება, რომ ის ცოცხალი და ბედნიერი აღმოაჩნდეს, თუ ყოვლისშემძლე და ყოვლის გამკეთებელი მამამისი ყულუკელი მედუნის ანაბარდ მარტო არ დააგდება მას. ქაშლეთი დამნაშავეს მდგომარეობაშია დაღუპული ქალიშვილის წინაშე და ამით არის გამოწვეული ზოგადი სინანული, რაც ოდიშელი ეპეიკოს ფიზიკური და სულიერი ენერგიის საბედისწერო მოღუფებას იწვევს.

„სიკვდილის გზა“ — ეს მეტად დამახასიათებელი სათაურია ოდიშურ ციკლში. ასეთი გზა არა მარტო თაიას, ან მისი დაქარგვით გულ-გათანგულ მამამის არგუნა ბედმა! სიკვდილისაა ის გზა, რომელზეც ყველა მობიჯება მის მიერ ხელში არატყველ ეკასთან ერთად და სულ უფრო ღრმად ეფლობა ქაოზში („ქაოზი“). რა ამაყად ხეთაებრივი სიღარბისლით მიემართება, დღოფლი კესარია თურქების მიერ სახელდახლოდ მოწყობილ სამსხვერპლოსაკენ. ესეც სიკვდილის გზაა: კესარიას იქ სარდალ ისკანდერ ალის ქალათი ელოდება ვალესილი ცუ-ლით. მაგრამ ეს გზა არა მარტო დღიბისის ქერიისათვისაა საბედისწერო, არამედ — თვით თურქი მოძალადეებისთვისაც. დღოფლის თა-ვის წარკვეთა ნიშანი უნდა იყოს, რასაც მთელი ოდიშის ფეხზე დადგომა მოჰყვება დამპყრობ-თა შესამუსრად („შურისგება“). სიკვდილის გზის მოტევი თავისებური ვარიანტით გვესახება მოთხრობაში „ტაგუ“. სიკვდილის გზით მიპ-აქვს ტაგუს მისთვის საძულველი უცხოელე-ბი; უნდა, რამდენადაც შესაძლებელია, მეტად გაწვალოს, დატანჯოს ისინი, თუმცა ქაოზს, სადაც მან თურქები შეიყვანა, პირველად თვითონ ტაგუს ეპიშვილი ეალარია ემსხვერპლა

და ტაგუც მაშინვე გადაჰყავს ამ უბედურებზე გამოწვეულ ელდს.

ოდიშურ მოთხრობებს იმიტომაც აქვს ასეთი დასათაურება, რომ ისინი ოდიშს განასახიერებენ, გვაშინებენ კოლხეთის ამ უკეთესი ნაწილის ბუნებას, კლიმატს, ცხოვრების პირობებსა და წესს; იმას, თუ როგორ არის შეგებული ხალხი თავის კუთხე-ქვეყანას, ტყე-ებსა და ქალებს; ტბებსა და ქაოზებს; წვიმებს, უგზოობას, საარსებო საშუალებათა უკა-რებას და, რაც მთავარია, როგორ იბრძვიან აღაშინებები იმის მოსაღებად, რასაც ოდიშის მიწა მათ არც თუ ადვილად სთავაზობს.

ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ჩვენი ქვეყნის აე-კარგში, დაბეჭდვითი შეუძლია თქვას, რომ ძველი ოდიშელი — ეს იგივეა, რაც ძნელი აღ-გილის მკვიდრი. ყველაფერი აქ მკაცრია, ყვე-ლაფერი — პირქუში და, რამდენადაც ასეა, იმდენად ძლიერები, გამძლერი არიან აღაშინ-ებები. თავიანთი კუთხის ბუნებრივ სიკეთეს ისე-ვე გაუჭირვებლად იტანენ, როგორც სიკეთეს განიკლიან გადაჭარბებული სიხარულის გარე-შე. „შემოდგომისა და გაზაფხულზე ცა პირს რომ მოხსნიდა და გადაუდებელი კოკისპირელი წვიმა ფარავდა ქაოზსა და მიწას, კალაოტი-დან გაღმოდირდა ხომის წყალი, რომინ და ყულევი. წყალს რომ არ წადო, თაია კარავის სახურავზე შედგებოდა, თვალს მოაქვებდა გა-რემოს, წყლით დაშინებულ ნაღირს ამხნევებდა, ხმამალა ძახილით უხმობდა, მიწას უჩვენებ-და...“ (გვ. 277)*.

კავშირი აღამიანსა და იმ გარემოს შორის, რომელიც ჩვენ უჩვეულოდ მკაცრი გვეგონია, „ოდიშურ მოთხრობებში“ საოცრად ჰარმო-ნილია.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობათა თითქმის ყოველ ეპიზოდში გამოსჭევს დიდი „ბუნების შეი-ლობა“ აღამიანისა, უშუალოდ ოდიშელებსა და ოდიშურ გარემოს შორის. ის, რაც ტყიუ-რებისათვისაც ერთგვარი შიშის აღმძვრელია, ქაშლეთის პატარა თაიამი უსიამო შეკრთმა-საც კი არ იწვევს. ისე შეჩვეულია იგი ყველა-ფერ ოდიშურს, თითქმის არც არსად არსებობს ისეთი მხარე, სადაც ეს გადაუარებელი კოკის-პირული არ აღპობდეს მიწას, სადაც შშორის სუნათ აქოთებელი ქაოზები არ იყოს ირგვლივ; სადაც ასე ძძიმე და ძნელი არ იყოს აღამიანუ-რი არსებობა. თითქმის ყველაფერი ეს აუცი-ლებელია, თითქმის უამისოდ არც შეიძლება... შეყვარებული გოგო მომეტებული სიამოვნებით

* ფრჩხილებში მოთავსებული ციფრით მი-თითებულია გვერდი გრ. ჩიქოვანის წიგნში — „რჩეული“ (საბჭოთა საქართველო, 1967).

დომიტრი იოვანავილი
„ოდიშური მოთხრობები“

მოათქაფუნებს ფეხებს მღვრიე წყალში და თან უკან იხედება — მომდევნო თუ არა ბიჭი („დუტუ“). ეკვრიან ერთმანეთს ქალ-ვაფი და სასიყვარულო სიტყვებით აღერსობენ: ერთი რომ კარგს იტყვის, მეორე უკეთეს მიუგვებს. ის კი თითქმის არას ნიშნავს, რომ ზემოდან წვიმა ასხავს, ცა მიწად ჩამოდის; რომ ამას გარდა, ვილაკებთ საეჭვოდ დიარებიან ეზო-ში... ეს არაფერს ნიშნავს („ერთი ღამის სიზარულ“). წყალ-ღერა, უამინდობა, ჰაობი, ხიფათი, ოდიშელთა ცხოვრების ჩვეულებრივი ნიშანია, რომელიც გუნებას ვერ უფუძეებს აღაშიახებს.

ყველივე ამის გამოა ნათქვამი რუსი მწერლის ვლ. სოლოუხინის სიტყვები — გრიგოლ ჩიქოვანის შემოქმედებაში მშობლიური ოდიშის მიწის მოტივი ყველაზე მთავარი მოტივიაო.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობები — ეს არის სურათები მტრობისა და სიყვარულისა, რაც ოდიშელებს ახასიათებდათ.

ჩვენ თითქმის უკვე ვნახეთ — რა სახითაა წარმოდგენილი ოდიშურ ციკლში მტრობის ატმოსფერო და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ძლიერი აღმინათი ენებები. რაც შეეხება სიყვარულს, იგი აქ გაცილებით მეტი ფუნქციით გვესახება. მწერლის მიერ ასახულ შემთხვევებში ზოგჯერ სიყვარული თავს იჩენს არა მარტო სიკეთისა და სათნოების დამამკვიდრებელ სტიმულებით, არამედ თავისებური სიავითაც კი, ე. ი. სიყვარული არაიშვიათად სიავშია გამოხატული. ამას როცა აღენიშნავთ, მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, დუტუს მიერ საყვარელი ბავშვის გაგუდვა და ისიც, რაც მან პეხუს დაუწია („დუტუ“). ესაა მოყვასთა სიყვარულისათვის და სიყვარულის სახელით ჩადენილი სიაცე და მტრობა. ჯამლითიც თურქეთში მონებად გაყიდული ცოლ-შვილისა და მარტოხელად დარჩენილი პატარა თიას სიყვარულის ზემოქმედებით მტრობის უცხოელ ყაჩაღებს. აქ მტრობა სიყვარულისმიერია („სიკვდილის ზგა“).

სიყვარული, როგორც აღამიანთა კეთილგანწყობილების სტიქიის, როგორც სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელი ძალის, გამოვლინება „ოდიშურ მოთხრობებში“ კეშმარიტად წარმატადი და ემოციურია.

ყველაზე უფრო მიმზიდველად, მათი მშობლიური კუთხე-ქვეყნის დამახასიათებელი კოლორიტით „ოდიშურ მოთხრობათა“ გმირები ასეთ სიყვარულში ჩნდებიან. აქ ისინი თავშეუკავებლად ტემპერამენტიალები არიან. გავიხსენოთ, რა სიხარულის თვდავიწყებას ეძლევა ბატონის მიერ გასასყიდად გამეტებელი ეკა, როდესაც ყვებებს ხედება ტყეში. ქალიშვილი ერთი კი დაელანდა ეყეკას, მერე გაეჭკა და ყვებდეს, თითქმის ჯიბრში ჩაიყენა, ისე გაიყო-

ლია თან. ასე ერთად გარბოდნენ „სწრაფად“ ხეების ქვეშ. გაეჭკა და დაღვწილად ედგა სიყვარულის, ტრფობის ერთობ თვამცირებელ ხატვად, რაც ემოციურად არის დადასტურებული მოთხრობაშიც — „სინთ“.

— „გაშალე შუბლი, თორემ გაგეკაცი“, — ეუბნება შეყვარებული სინთ ომში მიმავალ ჩონთის, რომელმაც ქალიშვილი თავის ცხენზე აიტაცა... გაეჭკა კიდევ: „ცხენებს გადახდეს ერთ-ერთ შავ ფაშატს, რომელიც ის იყო უსრება ჩონთის ცხენს, ფაფარში სტაცა ხელ და ზურგზე მოაფრინდა — გაგეკაცი“ (გვ. 134).

ზოგ მოთხრობაში სიყვარულს ნამდვილად დაეწყო მადე წარუტაცებია ქალ-ვაფი. დაფერიდით „დუტუს“! მეზატონე პეხუს სახლკარში ღრამატული ამბავი ხდება: დუტუმ საკუთარი ბავშვი თავისივე ხელით მოგუტდა პეხუს მიერ მიგზავნილ მოძალადეებს თავ-პირ შემოალახა, თვითონ პეხუს, ლოგინში მწოლარეს, დაადგა თავზე და ყველაზე ავს უპირებს სწორედ ამ დროს პეხუს საძინებელი ოთახს „სარკმლის წინ გოგო და ბიჭი ანურჩულდნენ მერე ბიჭმა გოგოს უჩქმიატა. „შენ კი შემოგველე“, უთხრა გოგომ ბიჭს. მერე ჩქარი სუნთქვა გაისმა: „რამ გადაგრია უთენია, წიე“, — ეთომ გაუწყრა გოგო ბიჭს“. (გვ. 23).

შემდეგ ის მოხდა, რომ დუტუმ მთელი „ცოდვის კითხვა დაატრიალა“, სული გააფრთხილანა პეხუს, ქალები აკივლდნენ, ეზო ხალხი აივსო, გაჩაღდა მითქმა-მოთქმა, ხმაშალალი ღაპარაკი. შეყვარებულებისათვის კი, თითქმის არაა მომხდარა, ბიჭმა უფრო ქვემოთ უჩქმიატა გოგოს.

— მოდი ეხლა წავიდეთ აგვარაში, წიე. — სული მისდიოდა გოგოს.

— დავეინახებენ, გოგო.

— ახლა კაციშვილი არ მოვა აგვარაში წიე! — გოგომ პასუხს არ დაუცადა, შეტრიალდა, მხრით გაარღვია ხალხი...

ბიჭიც შეტრიალდა და გააყვა გოგოს (გვ. 29-30).

გაგონდებთ თუ არა წინარე სტრიქონებს წაითხვისას მაქსიმ გოგის პოემა „ქალიშვილი და სიკვდილი“: ვისაც ბედმა სიყვარული აღიარა, უფლებდა აქვს არ იფიქროს იმაზე, თუ რა უჭირს მეფეს, რომელმაც ომი წაგო... ასე „დუტუშიც“: ირგვლივ ენითუთქმელი საშინელება ხდება, გოგო-ბიჭი კი, რომელთაც ერთმანეთის სიყვარული ცეცხლივით მოსდებია, სააღერსოდ მიისწრაფვიან, პეხუს თავსდატეხილი უხედურება არ ენაღვლებათ, მათ სიყვარული უბედობს.

„ქალი დასრულებული არსებაა. მასში არის რაღაცანიერი მთლიანობა და შინაგანი შეთანხმებულობა მანერებში, ჩვევაში, ლაპარაკსა და



მოთულობაში* — აღნიშნავს რანათ თავი და გინდათ ეს სიტყვები გაიმეორაო, რაც „ოდიშური მოთხრობათა“ გმირი ქალების დახასიათებას ედილობს.

„სიამოვნება, მხიარულება, ბედნიერება სიმშვიდე“ (ვლ. ნორაკიძე) მათი პიროვნების მხარე თანამშობი თვისებებია. ძნელია მათ შორის გაჭირვებით შემინებული, სასოწარკვეთილი, ისტერიკით შეპყრობილი ვინმე იპოვნოთ. კი ჩიჭოვანი თითქმის საგანგებოდ ყრიდება ასეთებს, ან საერთოდ არ გულისხმობს მწერალი ასეთეთა ოდიშის მოსახლეობაში. დაბრკოლებათა წინაშე შეპყრობილ, შინით დაფეთებულ ქალებს იგი არ ეხება. მაგრამ რაღა ითქმის მათა სქესის წარმომადგენლებზე, რომლებიც გამოხატულია „ოდიშური მოთხრობებში“? — არა ის სიტყვები არასაქრ. თავგარი საერთოდ მამაკაცებზე წერს; არა ის, თითქმის ისინი „შეჯდ გამოჭირვებულებსა“ ჰგვანან, არა...

„ოდიშური მოთხრობათა“ მამაკაც პერსონაჟთა ნიშნული მხარეა ფიზიკური ძლიერება და გულმტკიცება, რაც საერთოდ კაცს ისევე აშუშებებს როგორც ქალს ამცობს სინაზე და სიყვარული.

რამდენი სილამაზეა, მაგალითად, კალმის იროდიე მოსმით დახატულ სურათში, რომელიც ოდიშელ ვაჟაკთა მონუმენტური სახეებით არის აღბეჭდილი: „ეღლით განათებულ სიბნელეში ტანმოირილ კოლხურ ცხენებზე გოლიათეივით მოჩანდნენ თუბაიები. წვიმის ტალღა სახეში სცემდათ. მათთვის სულერთი ყოფიდა თუ ავღარი. თანაბრად იტახდნენ ქარსა და ლხინს. არაფრის წინაშე უკან არ დახევდნენ. მათთვის ერთი იყო ჩვენი და თურქის ზღვა, მიწა, კარი. ისე შევიდოდნენ სათურქოში და გამოვიდოდნენ, ისე მოიბარავდნენ სულთანის ყველაზე სანდო მრჩეველსა და მესაიდუმლოს, მოჰგერიდნენ დადიანს, — კაი-ოღლენ ვერ გაიგებდა ვერც სულთანის და ვერც ოდიშის მთავრის კარზე“ („სინთუ“, გვ. 142).

ძლიერება, რაც ოდიშელ ვაჟაკთა მთავარ თვისებად აღინიშნება გვ. ჩიჭოვანის მოთხრობებში, მუდამ ელინდება ორი მხრით, კერძოდ იმისთვის მზადყოფნით, რომ ჭერ ერთი, ბოროტება შემუსრონ, და მერე, სუსტი და კეთილი დაიკვან.

ხოშ ასეთი თვისების გამო აღმერთებს თაია თავის მამას.

— „ბაბა არ დაჭრის სკვერს (შველს)... — ამბობს იგი, — ცოცხლად იჭერს ბაბა სკვერს“ (გვ. 42).

ეს ქაღელთება ნათქვამი. ტყუილებს დასაჭრელად კი არ იმეტებს, თურქეთიდან გაღ-

მოხვეწილ ყაჩაღებს, აღამიანთა ყიდე-გაყიდე-ვით გამიდრებულ ვაჭრებს კი მესრს აუღებდა. ასეთი ერთი თვით თურქებმა ჩათესეს ქაძრეს მონიქის თის გულში; ცოლი მოუკლეს, ვაჟიშვილები წარსტაცეს და მხოლოდ გაუნელებელი ჭაკი და ერთადერთი თაია შეარჩინეს. მას შემდეგ ღრღინს და ჰამს ეს ჭაკრი ჯამლეთს, როგორც ჟანგი რკინას, და თაიას ბაბასაც მეტი არა უნდა-რა — ყულევეში ჩასვლისას თითო თურქი მაინც გამოაკლეს ამ წუთისოფელს.

როგორც ხასიათის ტიპები „ოდიშური მოთხრობებში“ მამაკაცი პერსონაჟები მთლიანად, მტკიცე ხასიათები, რომლებიც, როგორც იტყვიან, ტლანქი დინამიკური განწყობით გამოირჩევიან. პრაფ. ვლ. ნორაკიძის სიტყვებით რომ განვმარტოთ, სიტლანქე აქ განწყობის უძრავაზე მიუთითებს. ასეთი განწყობა საკმაოდ დიდხანს იპყრობს პიროვნებას (ვლ. ნორაკიძე, „ხასიათის ფსიქოლოგია და ზეგონება“, თბილისი, 1962, გვ. 195). ეს თვისება ერთბაშად სინტერესოდ და დადებითად ელინდება „ოდიშური მოთხრობებში“ ზოგ გმირთან დაკავშირებით. მაგალითად, „სიკვდილის გზაში“ ჯამლეთი მთელი არსებით მისცემია თურქ მტაცებლებისადმი სიძულვილს. ეს გრძნობა მასში არა მარტო ყველაფერს მოიცავს, არამედ მყიდრად არის დასადგურებული, იგი ძნელად ცვალებადი ვაწყობაა, რომელიც პიროვნების საარსებო მოქმედების ძირითად და უშუალო სტიმულს წარმოადგენს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ბოლოს და ბოლოს აღნიშნული განწყობა ჯამლეთში თითქმის იშლება, მაგრამ ეს ხდება უღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორის ზემოქმედებით: დაეარება თაია და ეს სულით-ბოროცამდე შეარყევს ოდიშელ ვაჟაკს. აღნიშნულ ნიადაგზე მას იპყრობს ახალი განწყობა სინანულისა, რაც უკვე ყოფნა-არსებობის ხალისსა და ინტერესს უქარგავს ჯამლეთს.

ტლანქი განწყობის აღამიანი იმით ხასიათდება, რომ იგი ზოგჯერ ვერ ერევა საკუთარ თავს, ვერ ახერხებს ერთხელევი მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას და ამიტომ იძულებულია აღასრულოს ის ნება, რომლის მიზანშეწონილობას თითქმის აღარ განიცდის. მსგავსი განწყობილების გამოხატვა შეადგენს „ტაგუს“ სიუჟეტურ საფრედნს. ტაგუმ, რომელიც მეგზურობას უწევს მთავართან მიმავალ თურქეთის ოფიციალურ პირებს, ვერ შეძლო შეეცალა მითითება, რომელიც საკუთარ ვაჟიშვილს მისცა. აქ პიროვნების თავმოყვარეობამ და საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნების ინსტინქტმა იმძლავრა კეთილგონიერების წინაშე. ასე დაიხსნა შესაბამისობა გმირის უსარგებლო განწყობასა და

* რაბინდრანათ თაგორი, ბენგალია (თარგ. თ. ჩხენკელის), თბილისი, 1970, გვ. 143.

დამიბარი ირვანშილი
„ოდიშური მოთხრობები“

მე პარტიებს შორის, რასაც გმირს მის მიერვე გაუთვალისწინებელი გარემოება ეარნაბოვს.

ხასიათის თვისებით განსხვავდებიან ქმეები მუშნი და უჩა („მხედრები“). აღნიშნული მომენტის მხატვრულ აქცენტირებას თვითონ ავტორი მიმართავს, როდესაც წერს: „ძმები ისე ჰგავნდნენ ერთმანეთს, ტყულები გეგონებოდათ, ორივე ერთნაირად ბეჭითი, გულადი, გულგრილი და ზრდილი იყო, მაგრამ ხასიათით ძალიან შორს იდგნენ ერთმანეთისაგან...“

„ღიწი და შეუპოვარი იყო მუშნი, ფიცები და გულწილი იყო უჩა. მუშნი ასევე გაოჰავდა, უჩა ზნორად არც დაფიქრდებოდა. მუშნი მომთმენი და უთქმელი იყო, უჩა სულსწრაფი და გულდა“ (გვ. 237-238).

ტლანქი ღინაშვიტი განწყობის კვალობაზე გადმოვლენა ჩონთის თავგადასავალი მოთხრობაში „სინთუ“. სწორედ აღნიშნული თვისებით ახერხებს იგი — ხანგრძლივად და შეურყვებლად შეინარჩუნოს სამშობლო ქვეყნის სიყვარული და ერთგულება.

ჩვენ შევხებით „ოდიშური მოთხრობებით“ გამოხატულ ხასიათთა ზოგიერთ ტიპებს. ზურაფის გვონება, თითქმის გრ. ჩიჭოვანის ბელეტრისტული ციკლი, რომლის განხილვასაც აქ ვეძლეობთ, მხოლოდ დასაბუთებელი ტიპებით შემოიფარგლება. „ოდიშური მოთხრობების“ როგორც იტყვიან, მოსახლეობა დიდია და განწყობის სპაილით გვირგები თუ პერსონაჟები აქ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გვანან ერთმანეთს. ხასიათების მიხედვით აღმინათა მეტად თავისებურ დაჯგუფებას შეადგენენ, მაგალითად, ამ ნაწარმოებებში ისეთი მებატონეები როგორცაა პეხუ („დუტუ“), უფრო მეტად კი მერხაყანი („შაობი“), რომელთაც გარკვევით ემჩნევა გარემო სიტუაციასთან კონფლიქტურად დაკავშირებული განცდები.

„ოდიშური მოთხრობების“ ციკლში „ტყაში მათა“, მართლაც გამოირჩევა იმ მხრივ, რომ მხოლოდ ერთადერთი ეს ნაწარმოები ასახავს ეპიკოს, ვისაც თავისი ძალა და ნებისყოფა სიკის, დანაშაულის გზა-კვალზე დაუყენებია. ჭონდო ხურცია ორბიჩი აღმინათა, რომელიც ჰატოლანი კაცის სახელსაც იჩემებს (გასასყიდად დატარებული ტყვეები „იხსნა“) და ამავე დროს თავის ანგარებით გრძნობებსაც ხარბს უზღის (ქვეწარმევალეით ვერავის) აღნიშნულთან დაკავშირებით და მას შესაბამისად ხურცია (დაბეჭდებით შეიძლება ითქვას) ერთ-ერთი ყველაზე სინტერესო და კოლორითული ფიგურაა „ოდიშურ მოთხრობებში“, და რამდენადაც ასეა, შეიძლება უმჯობესი იყო მწერალს უფრო გაშლილად და მეტი სიღრმით, მისი ვერაგო ბუნების სიკიკლური თუ სხვა ხასიათის საწყისების დეტალური გათვალისწინებით ეჩვენებინა ის.

კიდევ ერთი რამ, რის შესახებ საუბარიც

უფრო მიზანშეწონილი გვევლინა ამ შემთხვევაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მხედრები“ განვითარების თვისებით „ოდიშურ მოთხრობებს“ უმეტესობა დრამატულ-ტრაგიკულია. აქ არის მძიმე მდგომარეობაში ჩაყარნილი გმირების დაუცხრომელი კონფლიქტი მათ საწინააღმდეგოდ აღმართულ დაბრკოლებებთან, გარემოებასთან. ამ კონფლიქტს თუ ბრძოლას მოსდევს სიკვდილი ან ისეთი დაზიანება პირიქებისა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია.

თვით უაღრესად ლირიკული „ერთი ღამის სიზარული“ მოულოდნელი და თავზარდამცემ უბედურებით თავდება: სიყვარულით მოზაყწყვილს თავს დაესხმან ბოროტმოქმედები — ვაჟს თავს გაუშვანქავენ, ჭალს კი უზნაუროდ გაიტაცებენ...

სრულად განსხვავებული ხასიათი აქვს ოდიშური ციკლის ერთ ნაწარმოებს, რომლისთვისაც ავტორს „ვადილად ვაღილა“ უწოდებია. ეს უკვე იუმორისტული ელფერის თხზულებას რომელშიც, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მოაშუ პერსონაჟები ოდიშური ცხოვრების კომედიურ სიტუაციებს გადმოგვცემენ.

„ვადილად, ვადილადი“ გრ. ჩიჭოვანი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების იმ მოტივებს ეხმაურება უმეტესად, რომლებიც რელიგიის მოციქულებზე დასაყინად არის მომარჯვებული. მოთხრობაში დაურიდებლად არის გამოწვეული ეკლესიის კულტურებისათვის დამახასიათებელი საიდუმლოებათა რელიგიის მსახურთა სექსუალური აღვირახსნილობა, უხამსობა, ძალადობა, ჭიბრი, რასაც ფრიად კომიკური ხასიათი აქვს.

ა. მ. გორკი, როდესაც თხრობის პროზაულ ხერხს ჩვეულების დრამატურგიული ფორმებისაგან განსხვავებით ახასიათებდა, წერდა: „რომანში, მოთხრობაში ავტორის მიერ გამოხატული აღმინათები მოქმედებენ მისივე შემწეობით. იგი მუდამ მათთანაა, კარნახობს მკითხველს, როგორ უნდა ვაიკოს ისინი, უმჯობეს მას ასახული ფიგურების იდუმალ აზრებს, მოქმედების უჩინარ მოტივებს; წარმოაჩენს მათს განწყობილებებს ბუნების, გარემოების აღწერით და, საერთოდ, ყოველთვის უჭირავს ისინი თავისი მოზნების ძაღვზე, თავისუფლად და — ზნორად მკითხველისათვის შეუმჩნევლად — ძალზე მოზიკურად, მაგრამ თვითნებურად წარმართავს მათ მოქმედებას, ბაასს, საქმეებს, ურთიერთობას, ყოველმხრივ ცდილობს რა, რომ მიანიჭოს რომანის ფიგურებს, რამდენადაც შესაძლებელია, მეტი მხატვრული სიქადე და დამაჯერებლობა“.

საქმე ის არის, რომ „ოდიშური მოთხრობები“

* М. Горький о литературе, М., 1953, стр. 595.

ის" ავტორი, როგორც პროზაიკოსი, ყოველ-
თვის არ ჩნება შემოთხზილებული სიტყვე-
ბით შემოფარგლულ წრეში. იგი ხშირად აფარ-
თავს პროზაული გამოსახვის საშუალებებს
სხვა ენობრივი სახეებისათვის ნიშანდობლივი
ფორმების მოშველიებითა და გამოყენებით,
რითაც „ოდიშური მოთხრობები" და აგრეთვე
მთელი ზოგი სხვა ციკლი, რომელიც გრ. ჩიქო-
ვანის სახელთანაა დაკავშირებული, განსაკუთ-
რებით საინტერესო, განსაკუთრებით ორიგინალურ
ელფერს იძენს.

სხვა ენობრივი სახეებისათვის ნიშანდობ-
ლივი ფორმების მოშველიება, რაც ჩვენ შემოთ-
ხზილ წიგნში, უარესად შესაძინებელი იმით, რომ
ჩვერალი არაიშვითად ვადადის დრამატურგიი-
სათვის მიჩენილ საზღვრებში, იყენებს დრამა-
ტულ ჩვენებას, დიალოგს, როგორც მოთხრო-
ბის კომპოზიციური გამართვის წაყვან (არა
უბრალოდ რიგითს) საშუალებას, აღნიშნულის
შესაბამისად გრ. ჩიქოვანის ოდიშური ციკლის
ცალკეულ ნიმუშში დიალოგი მაღალი გამო-
სახელობითი ფუნქციით აღმუშავილი სიუჟე-
ტური კომპონენტია.

როდესაც ამის ეამბობთ, ჩვენ მხედველობა-
ში გვაქვს არა მარტო ის, რომ რეპლიკები მიგ-
ვინიშნებენ ან მთელი სისრულით გვიმხევენ
დიალოგის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მონა-
წილე მხარეების ხასიათსა და სტისკეულებას...
„ოდიშური მოთხრობებისათვის" დამახასიათე-
ბელ დიალოგში მკითხველი შეიგრძნობს აგ-
თხვე იმ მოძრაობას, რასაც ადგილი აქვს მო-
ხასიათე შორის და რაც სხვა შემთხვევაში
მსახვარს ე. წ. „თავისი სიტყვებით", რემარ-
კებით უნდა ვადამოცვა; შეიგრძნობს პლასტი-
კურად გამოხატულ განწყობილებათა შეცვლას,
სიმშვიდეს ან აღელვებას და ა. შ.

დაკავშირდით განსაზღვრული ციკლის ზოგი-
ერთი ნიმუში, მაგალითად, „დუტუქსა! როგორია
ეგი, კერძოდ, როგორია მისი სიუჟეტური აღნა-
გება? ზომი ძალიან ჰგავს ეს მცირე თხზულება
დრამას, რომელშიც ყველაფერი ვადამოიცემა
სოციალური კონფლიქტის ნიადაგზე სამეკლრო-
სისციკლოდ დამხრისპირებული ორი პერსო-
ნაჲს — ყმისა და ბატონის დიალოგით.

მოქმედებაში, რომელსაც „დუტუ" ასახავს,
ავტორი მხოლოდ იმდენად ერევა და მონაწი-
ლეობს, რამდენადაც ეს გვირის ვარკვეული
მოქმედების ან მის ისტორიასთან დაკავშირე-
ბული მოძრაობის (ხალხის თავმოყრა პეტუს
ზოში, ახალგაზრდა ბატონის მღელვარება)
ვადამოცემადაა აუცილებელი. პერსონაჲთა ში-
ნაგანი განწყობილებების, საერთოდ მათი სუ-
ლისძვრის გასამგლავნებლად მწერალს უმთავ-
რესად მათივე რეპლიკებისაგან შემდგარი ბა-
სი, დიალოგი აქვს მომარჯვებული.

რაილა აღენიშნეთ, რომ „დუტუში" სიუჟე-
ტის აგების ძირითად ზერს წარმოადგენს დია-
ლოგი და მისი მეშვეობით მთლიანად გვესახე-

ბა პერსონაჲთა შინაგანი მოძრაობა, ფსიქოლო-
გიური მხარე, — ამით ისიც გვინდა ვთქვათ,
რომ დასახელებულ მოთხრობაში სწორედ ეს
ფსიქოლოგიური ასპექტია წაყვანი და გან-
საზღვრული.

თითოეული რეპლიკა აქ მოლაპარაკის დიდი
და სულ უფრო მზარდი მღელვარების გამომ-
ხატელობა...

„დუტუში" ნაწილობრივ მაინც არის ოსტო-
ბის ელემენტი იმ საზით, რა საზითაც, მაგალი-
თად, დრამაში გვხვდება ე. წ. რემარკების...
„ერთი ღამის სიხარულში" ასეთი რემარკების
შემცველი თუ მაგიერი აღწერილობა სრულიად
გამორიცხულია. ისე რომ აქ ჩვენთვის საინტე-
რესო განწყობილებების მხატვრული დგმოს-
ტირება თავიდან ბოლომდე ზოტივდებდა
წყვილ-წყვილად წარმოდგენილი პერსონაჲების
უარესად ლაკონური, ხალისიანი ლირაზ-
მით გამსჭვალული რეპლიკებით, რომლებიც
ტრფილს, ურთიერთ მისწრაფებას, სიზალო-
ვის სურვილსა და ნეტარებას ვეამცნობენ.

შეიძლებადა გვეთქვას, რომ ეს ნაწარმოები
უფრო დრამატულ გეარს განეკუთვნება, ვინეშ
ეპიკურ-თხრობითს, მაგრამ ეს მთლიანად ზუსტი
ფერ იქნება. „ერთი ღამის სიხარულს" ჩვენ
ასევე მივაკუთვნებთ ისეთ ლირიკულ ეან-
რებს, რომლის მსგავსი აღორძინება პერიო-
დის ქართულ მწერლობაში იყო ვაბასება.
თუმცა ვაბასებაში აღმართულ მოტივთა ვადა-
განვითარება მაინც დრამატურგიულია იმ
მხრივ, რომ მათში ბასის მონაწილე ერთეულ-
თა კონფლიქტური ჯიბი და ცილობა, ისევე
როგორც ეს პიესაშია მიღებული. გ. ნატრო-
შვილმა „ერთი ღამის სიხარული", ქართულ
ფოლკლორში დაცულ სატრფილო ვაბასებას
„გოგოვ, შეჩერდით ერთ წამს!" დაუკავშირა და
ჩვენ გვგონია, ასეთი განსაზღვრა უფრო მიზან-
შეწონილია. მით უმეტეს, რომ ხალხური ვაბა-
სების ზოგიერთი სიტყვა-პასუხი პირდაპირ
არის „განმეორებული" „ერთი ღამის სიხა-
რულში" (— „იქნებ ივას ბოშს უყვარხარ, ტა-
სი? — ეიშო, არა, ბოში... — იქნებ, ქაქუჩიას
ბოში ვიყვარს, ტასი? — ეიშო, არ თქვა, ბოში
და ა. შ.).

დიალოგია ძირითადი მხატვრულ-გამომსახვე-
ლობითი კომპონენტი „ვადილაჲ, ვადილაჲში",
ის კია, რომ დასახელებულ თხზულებაში დია-
ლოგი ბევრად განსხვავებული თვისებასაა, ვიდ-
რე იმ ნაწარმოებში, რომელსაც ზემოთ შევე-
ხეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, „ვადილაჲ, ვადი-
ლაში" მთხრობელ-მომამეტა დიალოგია, რომე-
ლიც იმდენად ლირიკული ე. ი. მობასეთა ში-
ნაგანი განწყობილების ვადამოცემა აღარ არის.

დომინიკი იოვანოვი
„ოდიშური მოთხრობები"

ამ მწერლის თბრობა შეცვლილია პერსონაჟთა თბრობით, რაც შედარებით ჩვეულებრივია.

ყველაფერი, რაც უკვე აღნიშნეთ და რისი თქმაც ჩვენ საერთოდ გვიწოდდა „ოდიშური მოთხრობების“ გარშემო, შეიძლება დავასრულოთ ორიოდ შენიშვნით:

გრ. ჩიქოვანის ოდიშური ციკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხასიათის მოთხრობებია, ე. ი. ისინი აღაშინათა ხასიათებს მოგვიხაზავენ, ხასიათთან დაკავშირებულ ემოციებს იწვევენ. დღუტუს, ტავუს ხასიათებია მთავარი, მაგალითად, იმ ნაწარმოებებში, რომლებიც აღნიშნულ გმირთა სახელებს ატარებენ. ჯეგებს და ეკას ხასიათით არის აღბეჭდილი „ჭაობი“. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენთვის საინტერესო ციკლის ზოგ სხვა თხზულებაზეც, თუ ყველაზე ახლა...

ხოლო როდესაც ასეა, ე. ი. როდესაც ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების შინაარსს ხასიათის ჩვენება შეადგენს, მაშინ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმასაც, თუ როგორ უნდა წარმართოს მწერალმა თბრობა, რანაირი დეტალების გამაზივლებას უნდა მიაქციოს ყურადღება და, ბოლოს, სად უნდა დასვას წერტილი. ხასიათის მოთხრობაში, როგორც ზემოთ ვეწოდეთ, სიუჟეტის გაშლა ხასიათის წარმოჩენის კვალობაზე, ხასიათის მხატვრული ანალიზის მიზანდასახულებათა შესაბამისად უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სიუჟეტში ან ხარვეზები იჩენს თავს და მაშინ ხასიათის გამოხატვის მიზანი მიუღწეველი იქნება, ან კიდევ — კომპოზიციური ზედმეტობანი, რის გამოც მკითხველს გაუძნელდება მართებულად გაიგოს ავტორის მიზანდასახულება.

მთელი ეს საუბარი იმიტომ წამოვიწყეთ, რომ „ოდიშური მოთხრობები“ აღნიშნული მხრით ყოველთვის არ არის დატული აუცილებელი ზომიერება. დავიწყეთ ნაწარმოებით, რომელიც ყველაზე ხნიერია ამ ციკლში. მხედველობაში გვაქვს 1958 წელს დაწერილი „ბერძენი“. რა არის მთავარი ამ მოთხრობაში? — კიბრიდან ემიგრირებული და კოლხეთში დასახლებული ზერძენი რევოლუციონერი გიორგიოსი, ტანჯვის ქარცეცხლში გამოვლილი და გამოწრთობილი ხასიათით. რა აჩენს ამ ხასიათს, რა უწყობს სელს მის აღქმას? ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები, რომელთაც ხაზი უნდა გაესვას დასმული კითხვის მისაგებად, არის

შემდეგი: ბერძენი გიორგიოსი თავის მწერსაშობლოს პოეზებს კოლხიდაშეჟამ ცხელირბიგი თავის დიდზე დიდი დატყმით: „სტყმისტყმით. უგზოუკვლოდ დაკარგული ქალიშვილსადმი პატივისცემით გიორგიოსი შეივრდომებს უდემამოდ დარჩენილ მეგრელ გოგონას ცირუს, ზრდის და ზრუნავს მასზე, როგორც ნამდვილი მშობელი შეილზე. ამადროს გიორგიოსი დაკავშირებულია ქართველ რევოლუციონერებთან და იმდენად თავგადასმულია მათი საქმისათვის, რომ ქართველ რევოლუციონერზე დამიზნებულ ტყვიას თვითონ შეუშვებს მკერდს. ყველაფერი ეს აჩენს გიორგიოსს დიდი აღაშინებული გულით, ინტერნაციონალური გრძნობით, ჰუმანიზმით, როგორც უნდა იყოს ნამდვილი მეგრძოლი კომუნისტი — სულდრთია რომელი ერის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი. მაგრამ მწერალს, ეტყობა, არ ავბაყოფილებს გიორგიოსის სახე — ხასიათის მოხაზვა იმ დეტალებით, რომლებიც მოთხრობის ძირითად შინაარს შეადგენს და რომელთა ნაწილიც ჩვენ ჩამოვთვალეთ. მართალია, რომ ვთქვათ, ავტორი გამოედევნა თავგადასავალს, რასაც მოთხრობაში მკრთალი საწყისები აქვს და იგი სრულებითაც არ არის მთავარი. თავგადასავლის ინტერესით აიხსნება, რომ ბაზრობა-დღეობაზე, სადაც გიორგიოსი მოკლავენ, სრულიად მოულოდნელად, ციდას ჩამოვარდნილივით გამოჩნდება ქალიშვილს რომელიც გიორგიოსმა დიდი ხნის წინათ დაკარგა და რომლის პოვნის რეალური იმედს უკვე აღარ ჰქონდა. იგი წარსდება მომკვდავი მამის წინაშე და ამოდ ცდილობს გაგონოს მას თავისი ხმა. თავისთავად ეს აშბავს უინტერესო არ არის. ბერძენი ქალიშვილი მამის საფლავზე დატოვებს მარმარილოს წარწერით: „კიბრი განთავისუფლებული იქნება“. ეს ნიშნავს, რომ საქმე, რომელსაც გიორგიოსი ეტსახურა, არც მის სამშობლოში ცხრება, წონილის და სხვა. მაგრამ მოთხრობაში ეს ყველაფერი ზედმეტად გვესახება, გიორგიოსის საინტერესო სახე-ხასიათში მას აღარაფერი შეაქვს.

ზედმიწენით ანალოგიური მსჯელობისა და დასკვნის საფუძველს იძლევა მოთხრობა „სინთუ“. ამ ნაწარმოების შინაარსი შესანიშნავი ოდიშელი ქალიშვილის სინთუს ბუნების, მისი უღალატო სიყვარულის ჩვენებით განისაზღვრება. სინთუს ხასიათის ძირითადი მაჩვენებლები გამომზეტურებას ემსახურება მოთხრობაში

ამბეი მახმუდ ჰასანთან გამართული ომისა, სისირყვა ლიპარტელიანისა და მისი ძიძიშვილი ჩონთის თავგანწირვისა, რასაც პირველის და-ნახიზება და მეორეს უგზო-უყვლოდ დაკარგვა მოჰყვა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით იჩენს თავს სინთუს ღრამა — სევდა, გულისრეული ვეცხის შინმოუხსელოობის გამო. ვერაფერითა-მე ალამ ვერ გაუქარვა ეს სევდა სინთუს. ხალხსაგან განაპირებულმა მან თავის მუდმივ სამყოფად ის ადგილი აირჩია, სადაც უკანასკ-ნელად დასცილდა ჩონთის და მისი დამბრუნე-ბის მოლოდინით გულგადაღონებული აღაშებს და ათენებს. ასე შეადნა და შეეწირა თავის საყვარულს სინთუს... აქ ხასიათის გამოხატვის მიზანს ექვემდებარება ამბავი და კარგიც სწო-რედ ის არის, რომ ასეა. მაგრამ მწერალი ამით როლი ამთავრებს თხორობას, სინთუს სიკვდილის შემდეგ (მე-9 თავი) იგი მკითხველის ყურად-ღებას მიაპყრობს სესირყვა ლიპარტელიანის ოჯახურ გარემოებაზე; იაზე, თუ როგორ ამზა-დებს იგი თავის ვაჟს ალექსანდრეს მომავალი პატრიოტული ომებისათვის, სწორედ ამ მო-მენტში ეზოში უცხო კაცი გამოჩნდება, ეს ჩონ-

თია. იგი მრავალპირნახელი დაუბრუნდა თა-ვის კუთხე-ქვეყანას. ეს ეპიზოდი მიყვარებულ ვით, თავისთვის არის მოთხრობაში და არას-გზით არ მონაწილეობს იმ იდეური ჩანაფიქრის გახსნაში, რომელსაც ავტორი სათაურშივე გვა-ნიშნებს და რადაც ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, სინთუს დახასიათება, მისი სახის მხატვრული ანალიზი მიგვაჩნია.

გრიგოლ ჩიჭოვანს მკითხველი მოთხრობათა რამდენიმე ციკლით იცნობს. თანამედროვე ქართული პროზის ოსტატის რეპუტაციას უქმნის მას ბელეტრისტული თხზულებები, რომლებიც დაყოფილი და დაჯგუფებულია სა-ერთო სათაურებით — „პირველი წლები“ „მძი-მე წლები“, „სიყვარული“, „შუქი და ჩრდი-ლი“.

„ოდიშურ მოთხრობებს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ციკლებს შორის. ისინი დამსახურებულად იქცევენ ყურადღებას, რო-გორც მძაფრი სოციალური მოვლენების ამსახ-ველი სურათები, რომლებიც მხატვრული ფორ-მის სიმდიდრითა და მიმზიდველობით ხა-სიათდება.



ნაკსულის ესთეტიკური ნაუკავის მართებული გაგებისათვის

შუა საუკუნეებში არ არსებობდა წმინდა სახით წარმოდგენილი ლიტერატურის თეორია ან ესთეტიკა. ე. ი. ლიტერატურის თეორია და ესთეტიკა (ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგები) არ ვითარდება იმ წინაარსით, როგორც დღეს გვეხმის. საკითხები მუშავდება არა საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობით ან ესთეტიკური ინტერესებიდან და მეცნიერული მიზანდასახულებიდან გამომდინარე, არამედ უმეტესად თეოლოგიაზე დამყარებით, შესაბამისად არ გვაქვს წმინდა ლიტერატურათმცოდნეობით ან ესთეტიკური ტერმინოლოგია და მის შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ პირობითად.

ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია: ესთეტიკური გეგმონება ვითარდება, თუ ღრთა შემსგავსებულად იცვლება; ე. ი. ახალ, ადრე არარსებულ იერსახეებს იძენს. რომ ვამბობთ — ისტორია თანამედროვეობისათვის იწერება, — ამის ერთი, ყველაზე უფრო რეალური ცხადყოფა ესთეტიკური აზროვნების ისტორიაა. იგი წარსულის ნაზრების ისტორიაა კი არ გვიმართავს მხოლოდ, არამედ წარსულის მხატვრულ მემკვიდრეობას აცოცხლებს და ავსოვებს ახალი აწმყოსათვის. მისი წყალობითაა, რომ რაც ღრთ ვადის, წარსულის ხელოვნებას კი არ დავშორდებით, — ზოგჯერ უფრო ვუახლოვდებით კიდევ. აი, ეს არის ესთეტიკური აზროვნების ისტორიის, როგორც ისტორიის, განსაკუთრებული თვისება ყველა სხვა მოვლენის ისტორიათა შორის.

საზოგადოდ, ესთეტიკური ნაზრების ისტორიის კვლევა ჩამორჩება, მაგრამ დღეს შედარებით უკეთესი ვითარებაა. ვიდრე თუნდაც სულ რამდენიმე წლის წინათ. საქმარისა იქნება, რომ წარსულის ესთეტიკურ ნაზრებას იმეტი სრული კრებული როგორცაა *История эстетики. (Из истории мировой эстетической мысли)*, მანამდე არ არსებობდა არც ერთ ენაზე. გამოვიდა სხვა მრავალი სპეციალური თუ დამხმარე გამოკვლევა. მეთო-

დები ასეთი კვლევისა დღეს უფრო სრულყოფილია და შესაბამისად შეიქმნა საშუალება განზოგადებული თეორიული საფუძვლების სრულყოფისა. ყოველივე ეს კი მკვლევარს ახალ მოთხოვნებს უყენებს, თუმცა საქმესაც ერთთავად უადვილებს.

ამავე ღრთს დარჩენილი მრავალი სფერო, სადაც ჯერ კიდევ ნაადრევია განზოგადებანი სპეციალურ გამოკვლევათა უქონლობის გამო. მეტადრე რაღა გვეტყვის იმაზე, როცა შეცდომების მიზეზი, როგორც იტყვიან, საკითხშია უხედაობაა.

Эстетическая мысль народов Закавказья (Домарксистский период). М. «Искусство», 1968 — ასეთი სახელწოდება აქვს გრანტ აბრესიანის წიგნს, რომელიც სარგადაქციო მინაწერით, მონოგრაფიაა.

როგორც ვხედავთ, მიზანდასახულობა წიგნისა ფრიად სერიოზულია და შესაბამისად საბასტისმკვლევარს.

კვლევის საგანი და ნაშრომის საერთო ხასიათი თვით ავტორს აქვს განმარტებული. ესაა: 1) как толковался коренный предмет эстетики — прекрасное (красота в природе и общественной жизни) и почему оно неизменно связывалось с категориями добра и зла? 2) «Взаимодействие эстетического и этического начал в духовной культуре общества»; 3) «В центре художественных воззрений лежали идеи жизненной правдивости, гуманизма и прогрессивности искусства, а позднее — идеи реализма и народности художественной культуры (стр. 5); 4) «Какие эстетические и художественные идеи и принципы возникали и разрабатывались на разных этапах истории Закавказья и чьи интересы они выражали (стр. 5). აი, ძირითადი მიზანი შრომისა.

ამ წიგნში უპირველესად უნდა განიხილოდღეს არა მხატვრულ ნაწარმოებთა ესთეტიკური თავისებურებანი, «მხატვრული ნიშნები», არამედ აზრი მის შესახებ, ე. ი. თეორი-



ში და პრინციპები, ან კატეგორიები, ასეთია წინის სათაურები — ესთეტიკური ნაზრები, იგივე აზრია სარქადაქციო შენიშვნაშიც. თუ რამდენად და როგორაა განხორციელებული ეს მიზანდასახულობა — ქვემოთ ვაჩვენებთ. ჩვენი მსჯელობა რომ უფრო კომპეტენტური იქნას, უპირატესად ყურადღებას მივაქცევთ ფეოდალური ხანის ესთეტიკური ნაზრების ისტორიის საკითხების ჩვენებას ამ წიგნში და, ზენებრივია, განმარტავდებულ დასკვნებსაც მასზე დაემაყარებთ.

* * *

მოსაწონია ავტორის განცხადება, რომ მას ზუსტ გაუმჩნევს კულტურის ნაციონალისტური თეორიების პრინციპებს, ასევე ევროპოცენტრისა და აზიატურიზმის კონცეპციებს.

მთელი წიგნის, როგორც ამბობენ, შინაგანი პათოსი მიმართულია უპირატესად ევროპოცენტრისმის წინააღმდეგ. კერძოდ, მას მხედველობა აქვს დასავლეთში დღემდე მოქმედი აზრი, რომელიც გამოიხატა პრინციპული თვალსაზრისის სახით ჰეგელის სიტყვებში: „აღმოსავლური აზროვნება უნდა გამოირიცხოს ფილოსოფიის ისტორიიდან“ (ჰეგელი, თხზ., ტ. IX, რუსულ ენაზე, გვ. 115). ავტორის კრიტიკის საყრდენს აღძვებს ჰეგელის მიერ აღმოსავლური ხელოვნების არასრულყოფილი შეფასება, მისი მიჩნევა ცივილიზაციის ბავშვობის ხანად და მასში ოდენისმხოლოდ შინაარსის დახვება. მაშასადამე, ავტორის პოზიციით, აღმოსავლეთი მხოლოდ რელიგიითა სიმშობლო არაა, მისი ფილოსოფიური ნაზრებიც ანგარიშს ესაყვება. ჰეგელისავე თვალსაზრისის გამოყენებას ხელაძე იგი ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა ქ. ჰილბერტის და პ. კუნის „ესთეტიკის ისტორია“, ი. ვილკელმანის „ქველი ხელოვნების ისტორია“, რ. ბაიეს „ესთეტიკის ისტორია“ და ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები ე. კერცელის, მ. ვერლის, მ. ბათიასა და ე. სტიუარდ-კირბისა.

ამრიგად, აღნიშნული თვალსაზრისისადმი დაბრკალებასაც ითვალისწინებდა ავტორის მიზანი — ეჩვენებინა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა მწერლობაში შემუშავებულია ანგარიშსაყვით თეორიული მოსაზრებანი ესთეტიკის სფეროში.

მაგრამ ერთია მიზანი და მეორეა — მისი განხორციელება. ამათვისვე უნდა ითქვას, რომ: 1. ავტორს გაუწყვია დიდი შრომა; ათობით ათეული ავტორის მოსაზრებას ეხება, ოასზე მეტი, საკითხთან ასე თუ ისე დაკავშირებული, შრომა აქვს მოშველიებული;

2. ამ წიგნმა ფართო მკითხველისათვის ესთეტიკური აზროვნების ისტორიის დაუკავშირა მრავალი ავტორი, რომელიც ამ თვალსაზრისით შეიძლება მანამდე უცნობი იყო რუსული წიგნის მკითხველისათვის. სხვა რომ არა იყოს რა,

მათთვის გასაგები გახდა, რომ შეიძლება ამ ავტორებზე საუბარი ესთეტიკური აზრის ფორმირების თვალსაზრისით.

3. ჩვენი აზრით, შედარებით რიგვანადაა წიგნში განხილული XIX საუკუნის მოაზროვნეთა ესთეტიკური შეხედულებანი.

4. ესთეტიკური აზროვნების თვალსაზრისით ამიერკავკასიის რეგიონული ერთეულის გამოყოფის შესაძლებლობას შ. ნუტუბიძის შრომები ამტკიცებდა. მაგრამ დასახელებული წიგნი არის ასეთი კონცეფციის კიდევ ერთი, როგორც იტყვიან, „ექსპერიმენტული მოსიწვევა“, და როგორც არა უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ასეთი ცდა ჩასატარებელი იყო.

მაგრამ ამ წიგნში არის მრავალი შეცდომა, როგორც კერძოობითი, ისე პრინციპული ხალხთა. ჩვენ არაფერს ვიტყვით ისეთ შეცდომებზე, რომლებსაც აღვიღალ გაამართლებდა აზრი — უშეცდომო წიგნი არ შეიძლება. გამოვეყობთ შეცდომებს, რომელთა შეწყნარება მართლაცაა შეუძლებელია.

* * *

პირველი და არსებითი ნაკლი ნაშრომისა ისაა, რომ ხშირად ესთეტიკურ ნაზრებად მიჩნეულია ის, რაც არაა ესთეტიკური ნაზრები, ე. ი. ფაქტურად არაა გათვალისწინებული, რომ შესაძლებელია რომელიმე მწერალი და ისტორიკოსი აღნიშნავდეს საგნის სილამაზეს, აღწერდეს აღამაინის მშვენიერებას, მაგრამ ეს კერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ესთეტიკურ ნაზრებთან, ესთეტიკურ განსახილველად აღნიშნა და მეორეა მისი გაგება. სილამაზეზე საუბარი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ საუბარია სილამაზის კანონზომიერებაზე. ესთეტიკური ნაზრები კი ამით იწყება. ამიტომ ნაშრომს, რომელსაც პქვია „ესთეტიკური ნაზრები“... მართლად გამოეცალკეებინა თავისი საგანი, მართო თეორიულ-დეკლარაციულად კი არა, — განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტულ კვლევას ახდენდა.

უპირველესად მას ესთეტიკის თეორიული მოსაზრებანი უნდა გამოეყო. ამის მაგივრობას ვერ გასწვდეს „ესთეტიკის კულტურაზე“ ზოგადი მსჯელება და თუნდაც მის მიხედვით თეორიულ პრინციპების შესახებ გამოძიწარე დასკვნების გაკეთება. რასაკვირველია, მათ შორის კავშირია, მაგრამ ამ კავშირის მიჩნევა უნდა ითვალისწინებდეს მათ შორის განსხვავების არსებობას. აქ შევეცდითა გამოვიყენოთ ენგელსის ნათქვამი, რომ თეორიულ აზროვნების ისტორიაში (ენგელსის მაგალითები ფილოსოფიიდან მოჰყავდა) ლოგიკურად სისტემატიზებულია

რამაზ სირაძე

წარსულის მსოფიოკური ნააზრების გარემო-
ბული ბაზმისათვის

ლი ნაზარევი უნდა განიხილებოდესო და არა გამომდინარე პრინციპი ე. ი. ჩვენს მიერ დაღ-გენილი თეორია.

რა დონეზე და რა ფორმითაა უშუალოდ გამოვლენილი თეორიული განსჯის უნარი — აი, ე! იყო საყვლედი. ამისი შეცვლა დასაბუთებას მოითხოვდა (თუკი ეს საერთოდ დასაშვები იქნება).

არადა, ვფიქრობთ, თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ არ შეიძლება თეორეტიკოსებად ჩაითვალოს იოანე მინჩი ან იოანე მტევეარი (გვ. 83). მათ ზომ ერთი სტრუქტურა არ დაუწერიათ თეორიული შინაარსისა? განა ვინც კარგ ლექსს წერს, ამავე დროს ლიტერატურის ან მუსიკის თეორიის შემქმნელიც უნდა იყოს? (მეტადრე უადგილოა ამ შემთხვევაში მუსიკალური კულტურის პროპაგანდისტებზე ლაპარაკი).

გ. ზ. აბრესიანი კი ფიქრობს, რომ ვისაც უნახავს «Прекрасная дева» ან «красивая царевна», ანდა «прекрасные ланиты» და ამას აღნიშნავს, ესთეტიკური აზროვნების განვითარებას ემსახურება. განა ვისაც უნახავს და განუცდია რაიმე «великолепный», «чудесный» ან «царское» — ამ სიტყვებით «მოვლენის ესთეტიკურ არსს გამოხატავდა» (55). თუ არადა, მაშასადამე, არც მოსე ხორენაის, ცნობილი სომეხი მემკთბიანის შესახებ უნდა ვამბობდეთ, რომ «ამ ცნებებით მოაზროვნე უმკველად ამდიდრებდა თავისი დროის ესთეტიკურ ტერმინოლოგიას და ამასთანავე განავითარა კლასიფიკაცია როგორც ესთეტიკურ, ისე მხატვრულობის სფეროში». (გვ. 55. მსგავსი აზრი იხ. გვ. 188).

ესე იგი, ვინც სილამაზის აღნიშვნელ სიტყვას იხმარს — ყველა ესთეტიკური ტერმინოლოგიის განმავითარებელი ყოფილა. ავტორს რომ მიეყვინა, ხალხური მელექსებებიც ესთეტიკურ ტერმინოლოგიის შემქმნელად უნდა წარმოვიდგინოთ. მაშინ ჩვენ ავტორს წაუყუენბდით მოთხოვნას, რომ აქ განხილული უნდა ყოფილიყო ყველა ქართველი მწერალი თუ პოეტი უძველეს პერიოდთან, რადგანაც ასეთი «კატეგორიები» ყველას მოგვოვება (ასეთი ეცთარება იქნება, რასაკვირველია, სომეხ და აზერბაიჯანელ ავტორებთანაც).

გაქმნობად-კონკრეტული ფაქტის აღნიშვნა ერთი და სიტყვის კატეგორიად გადაქცევა კიდევ სხვა.

მცდარმა პოზიციამ ავტორი ასეთ არაფრის მომცემ კაზუსტიკამდე მიიყვანა: Автор «Истории Армении» различал такие понятия как красота (прекрасное, прекраснейшее) и красивое. Характеризуя отдельный предмет, объект или человека. Хореяци говорил об их красоте, под-разумевая однако «Красивое». Напри-мер, «прекрасная царевна» и «прекрас-

ная дева» в его трактовке означали «красивая царевна» и «красивая дева», а слова «прекрасные ланиты» и «прекрасные ресницы» надо было понимать, как опять-таки «красивые ланиты» и «ресницы» (стр. 54).

კეთილშობილურად შემიძღარი მკითხველი არ დაერიდება ჯათსა, რომელსაც აქედან აზრის გამოტანა მოითხოვს. სამწუხაროდ, ამოდ დამკრება.—ბოლოს მაინც გაწბილებული რჩება, როცა ამდენი ჯახბრის შემდეგ უმართებულო აზრი შერჩება ხელში: «красивое» ყოფილა «совокупность внешних черт» ბოლო «красота» შინაგანი არსის გამოხატველია (იქვე, 54); «прекрасное» «красота-ს» — შეესაბამება, ბოლო «красота» ზნორად «красивое»-ს აღნიშნავსო. რაღა ტერმინოლოგიური სიზუსტეა ეს და საერთოდ რა ტერმინოლოგიაზე შეიძლება ასეთ დროს ლაპარაკი? ყოველ შემთხვევაში, მსჯელობა აქ გაუგებარია და ხელოვნური.

ასეთივე უზუსტობებს შეიცავს ესთეტიკური ტერმინთა და ცნებათა ძებნა ამირანის მითში (40) ნათქვამია რომ «ამირანში» თურმე მოგვეტოვება «საყუთივ მხატვრული ტერმინები». ქრესტომათიული განმარტებით — «Термин является элементом языка науки» (Философский словарь, под ред. М. М. Юдина и П. Ф. Розенталя). — ტერმინი მეცნიერებას სჭირდება, ამიტომ რაღაა «მხატვრული ტერმინი»? ეს ერთი. მეორეც, განა მითოლოგიურ ეპოსში მოსალოდნელია ტერმინები? ცნების მეცნიერული აღნიშვნაში?

ასევე ვერ გვიმტკიცებს, მაგრამ აცხადებს კი, რომ ეთიშეს «ვართანისა და სომეხთა ომის ისტორიაში გვხვდება ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ საყუთრივ ესთეტიკურ მოვლენებს (41). ეს ყოფილა თურმე «წარმატადი ხილვა» ან «განმაცვიფრებელი» ან «მდიდრული» და ა. შ.

სპეციალურ განმარტებას მოითხოვდა იოანე მანდაყუნის (V ს.) სიტყვა თეატრის წინააღმდეგ (60). საქმე ისაა, რომ თვით ესთეტიკის სფეროზედაც შეიძლება ლაპარაკი ესთეტიკიდან სრულიად დამოუკიდებელი თვალსაზრისით. მანდაყუნის ნორმატულ-აღმსარებლობითი მსჯელობა კი თეოლოგიას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ესთეტიკას.

ასევე მნიშვნელოვან კორექტივს მოითხოვს ავტორის სიტყვები: «ადრექრისტიანული ესთეტიკის საყურადღებო დოკუმენტად, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა ჩაითვალოს ძველქართული კრებულის «მამათა სწავლანი», შემონახული თუმცა X-XI საუკუნეების ხელნაწერებით (69). რას ეუბნება აქ ფრაზა «გარკვეული თვალსაზრისით» მკითხველს, რომელმაც კარგად იცის, რომ ეს კრებული არაორიგინალურია? თანაც ამ კრებულს ესთეტიკასთან იმ-

ღნი კავშირი აქვს, რამდენადაც ყველაფერს
ველაფერთან აქვს კავშირი. ნათარგმნ თხუ-
ლენთა მოხმობა აზროვნების ისტორიის და-
საბუთებლად, რასაკვირველია, საჭიროა ხოლ-
მე, მაგრამ როგორც დამხმარე სამუღლები-
სა არ უნდა ხდებოდეს ორიგინალური ნაწარ-
მოების უგულვებელყოფის ხარჯზე. ნუთუ ავ-
ტორმა X-XI საუკუნეების ქართული მწერლო-
ბიდან ეს თარგმანი უფრო მნიშვნელოვან
მოკლედ ჩათვალა, ვიდრე ფრიად საყურად-
ღებო მოსაზრებანი, ქართველ ავტორთა ორი-
გინალური ნააზრევების ნიშნით აღბეჭდილი, რო-
მელიც მოგვეპოვება „სერაპიონ ზარზმელის
ცხოვრებაში“. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრე-
ბაში“ ან ფერეხ მცირის მეტაფრასტიკის შესა-
ხებ დაწერილ თხზულებში? (ანთ შესახებ
ი. ქვემოთ თავები). არც ერთი ამ თხზულე-
ბაიდან დასახელებულიც კი არაა გ. აბრესი-
ანის წიგნში. თანაც სამთავე რუსულადაა ნა-
თარგმნი (თუმცა ავტორი ქართულ ენაზე არ-
სულ გამოკვლევებითაც სარგებლობს). ამ
თხზულებებში კი ფრიად მნიშვნელოვანი თე-
ორიული მოსაზრებანია (იხ. K. Кекელიძე. Си-
меон Метафраст по груз. источникам,
ეტ. V. 212—226; მისივე, Иоани Ксиф-
илин продолжатель Симеона Метафра-
ста, იქვე გვ. 227-46; რ. სირაძე, მხატვრული აზ-
როვნების საკითხები უძველეს ქართულ მწერ-
ლობაში (V-XI სს), მაგნი, 1965, № 4; მი-
ხელ, გიორგი მერჩულის ერთი თეორიული
მოსაზრების შესახებ, მოამბე, 1965, XI, 3, გვ.
764-68).

ავტორი იძლევა X საუკუნის სომეხი პოეტის
გრიგოლ ნარეკაციის „სინანულის საგალობელ-
სა წიგნის“ ზოგად ანალიზს. მთელი ეს გან-
ხილვა უდავლოდია და მკითხველს წინაუ-
მოხას აგრობონინებს — ნუთუ ესაა „ესთეტი-
კური აზრი?“ ასე, საერთოდ, ძნელია ვილაპა-
რაოთ „ნარეკაციის ესთეტიკაზედაც“ კი და,
მოთმეტეს — ესთეტიკურ ნააზრევზე. ამას
თანავე, რაც ნათქვამია, თავისთავად არც ისაა
სწორი. ნარეკაცი არის მისტიკოსი პოეტი. თვით
ხსენებული კრებული „კანონიკურ“ რელიგიურ
განცდათა საგალობელია. გ. აბრესიანის სიტ-
ყვით კი: „პოემა აღსანიშნავი ცხოვრების სიყ-
ვარულით“, „პოემა არის ანტიფეოდალური
თავისი არსით...“ იმავე გვერდზე, მოყვანილ
სტრიქონებს შორის ვკითხულობთ: „სინანულის
საგალობელია წიგნის ლეიტმოტივია ოცნება
და შერწყმა ტანსული კაცისა, მთელი ხალხისა
ლუთაბრთვე ბუნებასთან, ყოვლადმოწყალებ,
ღმერთთან (98). რომელს დაუფეროთ? ქრის-
ტიანული მისტიკის ლეიტმოტივზე აგებული
პოემა ანტიფეოდალურად ვერ ჩაითვლება, თუ-
კი საზოგადოდ ქრისტიანობას სწორედ ფეო-
დალიზმის იდეოლოგიის შესატყვის რელიგიურ
ფორმად ვთვლით. ასევე ისტორიული პერს-

პექტივის უგულვებელყოფა საყვედური გ. ნა-
რეკაციასდამ: ხალხს აქტიურობისაკენ არ მო-
უწოდებდა. რომელ აქტიურობაზეა ლაპარა-
კი? ნარეკაცი სულიერი აქტიურობის ღრმებით-
საკენ წარმოადგის მჭადაგებელია, ხოლო აქტი-
ურობის სხვა ფორმები მისთვის უცნობია, ანდა
ზემოაღნიშნულთან შედარებით დაბალირე-
ბულია. ლიტონი განცხადება ავტორისა, რომ
„ნარეკაცი თეორიულად ასაბუთებდა პოეტუ-
რი შემოქმედების ორგანულ კავშირს ბუნე-
ბასთან“. ეს აზრი არც ილუსტრირებულია სა-
თანადოდ და არც დასაბუთებული, რადგანაც
ასეთი რამ ვერ დასაბუთებოდა X საუკუნი-
სათვის.

ამგვარი მიდგომა საკითხისადმი ამიერკავკა-
სიის ხალხთა ისტორიულ წარსულში ესთეტი-
კური ნააზრევების არსებობას კი არ დაამტკი-
ცებს, არამედ საქმეში ჩაუხედავი მკითხველი-
სათვის წარმოქმნის ეჭვს, რომ ასეთი ნააზრევი
საერთოდ არ არსებობდა, ან მეტად ღირბი
იყო შინაარსით. შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ
აქ საერთოდ არა გვაქვს ესთეტიკური ნააზრევი
და ამიტომ გვიხდება ისეთი რამ მივიჩნიოთ
ესთეტიკურ ნააზრევად, რასაც მასთან მხო-
ლოდ შორეული კავშირი აქვს. იქმნება არასწო-
რი შთაბეჭდილება, თითქმის მხოლოდ ამგვა-
რი „ხელშეწყობით“ შეიძლება დამტკიცდეს მი-
სი მნიშვნელობა. ჩვენი აზრით კი, საამისო
ჩვენ ხალხთა წარსულის ნააზრევს არაფერი
სჭირს. თავისი განვითარების საკანძო ეტაპზე
იგი ჭეშმარიტად შემსავსებელი ხდება მსოფ-
ლიო ესთეტიკური აზრის განვითარებისა. ად-
რეულ შუა საუკუნეებში არსად არც ერთ ქვე-
ყანაში, არ არსებობდა თვითმყოფადი ესთე-
ტიკა. არ არსებობდა წმინდა ესთეტიკური ში-
ნაარსის მქონე კატეგორიები. ეს ნაჩვენებია
მრავალ სტეკიულურ და ისტორიულ-თეორი-
ულ გამოკვლევებში, რომელთა მითითებას არც
კი ვაქადრებთ ესთეტიკის ისტორიის სპეცია-
ლისტ-მკვლევარს. მაგრამ ერთს კი შევასე-
ვებთ: რაც არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ყო-
ფიდა, არც ჩვენთანაა მოსალოდნელი. ამიტომ
ადრეულ შუა საუკუნეებისათვის ჩამოყალი-
ბებული ესთეტიკური განსჯანი, მწყობრი კლა-
სიფიკაცია და ზუსტი კატეგორიები — ეს გ. ზ.
აბრესიანის ფანტაზიის ნაყოფია. თუ ის, რის-
თვისაც არსად არ მიუღწევიათ, ამიერკავკასი-
აში იქნა მიღწეული, ეს „აღმოჩენა“ და ასეთ
„აღმოჩენას“ მეტი სიღრმე-სიფართოვით უნ-
დოდა ჩვენება. ასეთი „სახობო“ ნარკვევი
საკითხის დისკრეტიზაციას ახდენს.

შუა საუკუნეების მოაზროვნების თავი-

რამაზ სირაძე

წარსულის ისტორიკოსი ნააზრევის მართ-
ბული გაგებინათვის



სი ღირსება აქვთ და — თავისი ადგილი აზროვნების ისტორიაში. მსჯავრი მათი აზროვნების თავისებურებებზე უნდა გამოვიტანოთ იმის მიზეზებით, რაც მოუთხოვდა შუა საუკუნეების მოაზროვნეს. გ. აბრესიანი კი ძველი დროის მოღვაწეებს მიაწერს იმას, რაც თვითონ იცის ესთეტიკის ცალკეული საკითხების შესახებ და შემდეგ გულდავულ განიხილავს მას.

საქმე ისაა, რომ მას არ სპირდება ფაქტებზე ასეთი ძალმომრეობა; დავით კერაჟანის, დავით ანაჰლიის, ედრემ მერიის, იოანე პეტრიწის და სხვა იმდროინდელ ავტორთა შეხედულების მართებული ანალიზი გვიჩვენებდა, რომ ისინი ესთეტიკური აზროვნების იმდროინდელი წარმომადგენლის აზროვნებითი ნიშანთვისებების ღირსეული გამომხატველნი არიან.

• • •

ზემოაღნიშნულს უკავშირდება კიდევ ერთი რამ: წიგნში მეტად არასრულყოფილდაა გათვალისწინებული (რაცა საერთოდ გათვალისწინებულია) შუა საუკუნეების ესთეტიკური ნააზრევის თავისებურებანი. ეს კლინდება ორგვარად: ა) არასწორადაა შეფარდებული თანამედროვე ესთეტიკური ტერმინოლოგია ძველთან; ბ) წარსულის მოღვაწეთა ნააზრევის შინაარსი არაა სწორად გაშიფრული და ამოცნობილი.

ზემოთ აღვნიშნეთ და კვლავ განვმარტავთ, რომ საერთო აღიარების თანახმად, შუა საუკუნეებში არ არსებობდა ესთეტიკა დღევანდელი გაგებით. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ არ იყო მიღწეული ცოდნის დარგების სპეციალიზაცია. თუმცა ისეც შედეგობითი ხასიათის მოკლენა იყო. მთავარი ალბათ ისაა, რომ თვით ესთეტიკური იდეალი არ არსებობდა წმინდა ესთეტიკური სახით. მას პროექტირების მრავალი კუთხე ჰქონდა: ერთის მხრივ, ღვთაებასთან მიმართებაში და მეორეს მხრივ — ცხოვრებასთან. ამავე დროს ეს ორი ასპექტი გათიშულად და ურთიერთდაპირისპირებულად გაიპარება. თეორიული ესთეტიკა ღვთისმეტყველებიდან არ იყო გამოყოფილი „პრაქტიკულ“ — რეალურ სინტაქსზე კი — ზელოვნებას ზელოსნობიდან არც კი განასხვავებდნენ.

ამ ცნობილ გარემოებათა აღნიშვნა ფრიად სამწუხარო აუცილებლობად მიგვაჩნია, გ. აბრესიანი თითქმისდა ითვალისწინებს ზოგიერთ სწორ ამოსავალ პრინციპს (გვ. 17), მაგრამ ერთი დეკლარაციული ვანცხადება და მეორეა სწორად წარმართვა კვლევისა.

ავტორი ლაპარაკობს დავით უძლეველზე (VI ს.), რომ იგი გამოჰყოფდა სხვადასხვა „ზელოვნებას“ — „მოქაზამოქმედების ზელოვნებას“, „ვანსაზღვრების ზელოვნებას“, „აღრიცხ-

ვის ზელოვნებას“ და ა. შ. გ. აბრესიანის მოსაზრება, რომ „სომეხი მოაზროვნე მხედველას ნასხვავებდა მხატვრულ შემოქმედებას — ზელოვნებას ნამდვილი გაგებით, მისი ესთეტიკური არსით“ (გვ. 28) აი, სწორედ ეს — „ზელოვნება ნამდვილი გაგებით“ და „ესთეტიკური არსით“ იწვევს აქ გაუგებრობას. ესაა სწორედ ქრესტომათიული მაგალითი იმისა, რასაც ჰქვია: შუა საუკუნეების აზროვნების სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა. გამოდის, მიღწეული ყოფილა ყველაფერი — ამოცნობილია ზელოვნების ძირითადი სპეციფიკა, მისი ესთეტიკური არსი. რაღა დარჩა. VI საუკუნეში დავით ანაჰლიის ფილოსოფიაში მიღწეულია ის, რაც ჰეგელის ესთეტიკის საგანია. ლოგიაკა რომ მერე პატივისცემა ღირსებოდა, ავტორს ამის შემდეგ შუა საუკუნეების სომხურ აზროვნებაში უკუსვლაზე და დაქვეითებაზე უნდა ელაპარაკა, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ნეტარ არიან მორწმუნენი“.

ზემოთმოყვანილი სიტყვები სასხვათაშორისო ნათქვამი კი არაა — მას აზლავს კარგად ვრცელი ექსტერსი ზელოვნების არაბაზე სომხურ მწერლობაში (იხ. თავი Искусство как общественная практика и как орудие познания).

მაგრამ განა შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ ამ პერიოდში „ზელოვნება“ და „ზელოსნობა“ გაუთიშავია? განა შეიძლება იმის დადიწყება, რომ ზელოვნების არსს ე. წ. პირველსახეში ეძებდნენ და არა მის ესთეტიკურობაში? თუ სომხური ტერმინი „არვესტა“ გამოყოფა ზელოსნობის აღმნიშვნელ „არვესტა“ — განა ეს იმას ნიშნავს, რომ ზელოვნების დეფინიციის საფუძველი სუფთა ესთეტიკური იყო? ესთეტიკის გამოწვეული ისტორიკოსის ა. ლოსევის სიტყვით, ტერმინით „ზელოვნება“ (ბერძნული techne) ისტორიულად გაიპარებოდა მთელი საზოგადოებრივი პრაქტიკა და მთელი ბუნება, ზან კი მასში მოიაზრებოდა წმინდა პიროვნული შემოქმედებაც და ზელოსნობა, და აგრეთვე რელიგიური და მაგიური აქტები. ეს ტერმინი კიდევაც სხვაობს და კიდევაც უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორიცაა „ბუნება“, „ოსტატობა“, „ზელოვანის შინაგანი შემოქმედება“ (А. Ф. Лосев, В. П. Шостак, История эстетических категорий, М., 1965, стр. 12).

ასეთი ვითარებაა ქართულ მწერლობაშიც, ასეთი მდგომარეობაა სხვაგანაც. ე. ი. ავტორს მოეთხოვებოდა ანგარიში გაეწია სპეციალურ გამოკვლევათათვის და ჩვენებნია მათი დასკვნების ფონზე, თუ როგორ წარმოივლიდა ტერმინის — „არვესტა“ — შინაარსი.

ის თუ შარტლაც ზელოვნების გამომაცალკეებელი ცნების შემომდარკვეული ტერმინია, როგორ შეეფარდება იგი დღევანდელ



ცნებას "ხელოვნებისას" ზ. ტერმინთა იგივეობა არ ნიშნავს ცნებათა იგივეობას: მაგალითად, თვით "სახის" ცნება, ბიზანტიური მწერლობის მონაცემებით, არ იყო ოდენ ესთეტიკური შინაარსის შემცველი ცნება. იგი ითვალისწინებდა სხვადასხვა შინაარსის, ესთეტიკური იქნებოდა თუ ლოგიკურ-თეორიული — თავისებურ გამომავლას, ე. ი. ყოველთვის მხატვრულ აქტთან როდი გვაქვს საქმე. ასე რომ სახე — ესთეტიკურსაც შეიცავდა, — მაგრამ გაცილებით ფართოღმომცველი ცნება იყო (იხ: ჩუგუნე: სახის ცნება ბიზანტიურ ესთეტიკაში, მაცნე, 1969, № 4).

გრანტ აპრესიანი არ უწყევს ანგარიშს სომხური ესთეტიკური აზროვნების მკვლევარის ა. ადამიანის მიერ გამოთქმულ ნათელსა და მარტულ თვალსაზრისს: "მართალია, სომხებს ჰყოფდა ჰქონდათ მაღალი ხელოვნება, მაინც მისაღწეულია საწინაღმდეგო აზრი, — ისინი ვერ მივიდნენ მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა ნათელ გაგებამდე. აქი ცნობილია, რომ მათ ვერ შექმნეს განსაკუთრებული ტერმინი, რომლითაც გაითვალისწინებდა მხატვრული, პოეტური ხელოვნება, როგორც გამოცალკეებული ხელოსნობისაგან. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სიტყვა *արհեստ* (*arhest*) აერთიანებდა ორთავე ამ ცნებას" (А. Адамян, *Эстетические воззрения средневековой Армении, Ереван, 1955, стр. 8*).

გ. აპრესიანი თითქმის უხერხულობას გამოხატავს, რომ შუა საუკუნეების სომხურ მწერლობაში არ გვხვდება მწყობრი ესთეტიკური განსჯანი. მაგრამ ნუთუ ა. ადამიანს ზემოთქმული სიტყვები სომხური აზროვნების ისტორიაში უპატივისცემლობაში უნდა ჩამოერთდეს? ნუთუ რაც არ ყოფილა, იმის აღნიშვნა აუღიარებელი წარსულის დამცირებაა? ა. ადამიანის მოსაზრებათა მიზანი, რასაკვირველია, შორსაა აქედან. ესაა ძველთაგანვე რომ უთქვამთ — პლატონი საპატივემელოაო, მაგრამ იფრო მეტად საპატივემელოა პეშმარტიბა. აღრფეოდალური ხანის სომხეთში ხელოვნების სპეციფიკა აზროვნებისათვის მიუწყდომელია, რა ა. ადამიანის ეს დასკვნა ითვალისწინებს მშინდელი ესთეტიკური აზროვნების ხასიათს (ბიზანტიკაში იქნება ეს, თუ დასავლეთ ევროპაში ან აღმოსავლეთის ქვეყნებში ყველგან ასეთივე ფიქარება გვაქვს, იგი ითვალისწინებს რომ: შუა საუკუნეებში ესთეტიკური თეორიები გაცილებით დაბლა დგანან საშუალო საუკუნეების ხელოვნებასთან შედარებით (*Основы марксистско-ленинской эстетики. М., 1961, стр. 41*).

მშასაღამე, ერთადერთი მართებული პოზიცია იქნებოდა კვლევა და წამოჩინება იმისა თუ რამდენად უახლოვდებოდნენ ხელოვნების თეორიებებს, ანდა, რა ფორმაში, რა კატე-

გორებში ხდებოდა მათი მოაზრება: საჭირო იყო გვეჩვენებინა — "სინკრეტული" ხამარათი ამ ცნებებში. ან ის, თუ რა მომენტები მათში ესთეტიკური, ანდა ისეთი, რაც შემდეგ ესთეტიკურთან მიგვიყვანდა. ამ დროს თვით ხელოვნება იყო სინკრეტული — არასთეტიკური ელემენტების შემცველი და ასეთივე იყო აზრი მის შესახებ. ამიტომ რაოდენ სწორია ა. ადამიანის აზრი, რომ არცა აქვს მნიშვნელობა რამდენად სისტემატურად და სრულყოფილად ფიქრობდნენ ისინი ხელოვნებაზე, მთავარია, რომ ადამიანები ფიქრობდნენ ამაზე, რომ შემდეგ თავიანთი სიტყვა ეთქვათ (გვ. 12).

აი, ყოველივე ამის გათვალისწინება მართებდა გ. აპრესიანს და არა არასებულის ძებნა. მაგრამ საქმე ისაა, რომ წიგნში ზემოხსენებულ მაგალითებზე აღმატებული წილასვლია გვხვდება. მივამცითი ყურადღება: "ესთეტიკური მოსაზრებანი (ლიბ. ესთეტიკური მოსაზრებანი" რ. ს.), აგრეთვე მხატვრული კულტურის მდგომარეობა განიხილება ქართული მემატიანეების და ისტორიკოსების — ლოწმტი მროველი, ჯანფრთხი (ასეა. რ. ს.) და განსაკუთრებით ვახუშტი, სომეხთა — მოვსეს ხორენაცი, გრიგორი მაგისტროსი, თომა არწრუნი, თევში მჭყნელი, აზურბაიჯანელთა — აბას-ჯული-აღა ბაქიხანოვის შრომებში (გვ. 8).

აქ სხვა რაიმე გაუგებრობაც თუ არაა — ესე იგი, რაც წერია, თუ იმის თქმა სურდა ავტორს — სრულიად დაუჯერებელ მოსაზრებასთან გვაქვს საქმე. თურმე ჩამოთვლილ ავტორებთან განხილული ყოფილა ესთეტიკური მოსაზრებანი ("ესთეტიკური მოსაზრებანი განიხილება"). ეს უფრო მეტია, ვიდრე თვით "ესთეტიკურის" კვლევა. ახალი საფეხური წარმოგვესახა — კვლევა ესთეტიკურისა კი არა — ესთეტიკური აზრისა. ასე იქცნენ ესთეტიკური აზრის მკვლევარებად ლ. მროველი და მ. ხორენაცი, რომლებიც, ქვეყანამ იცოდა, რომ მემატიანენი იყვნენ. ასევე გადაჭარბებულად გვეჩვენება შემდეგი სიტყვები: *Мировоззрение Саят-Новы отличается научной стройностью и целостностью формы* (216). აი, კიდევ ფაქტებზე "დაძალებული" მსჯელობის მაგალითი: "ესთეტიკურ შემეცნებით განმანათლებლურ ფუნქციათა გარდა ლირიკა ძველთაგანვე ატარებს ფილოსოფიურ განმანათლებლურ ფუნქციას. სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მოაზროვნე თავიანთ თეორიულ შეხედულებებს, აგრეთვე მთელ ფილოსოფიურ სისტემებს, როგორც ცნობილია, გადმოსცემდნენ საღეჭო ფორმით, აგრეთვე მხატვრულ პროზაში. ასეთია, მაგალითად, თომას მორის "უტოპია", "საგანთა ბუნებისათვის" ლუკრეციუს კა-

რეზა სირაძე
წარსულის მსმთიბიკური ნააზრების მართბული გაგებინათმის



საქმე ისაა, რომ დ. ანპალითი „ხელოვნებათა“ დარგების იმ დროის შესაფერის იერარქიულ მატერიალს ქმნიდა, საკითხებს მოიპოვებდა ფილოსოფიურ-თეორიულ სიბრტყეზე (იხ. Давид Анахт, Определение философии, Ереван, 1960, стр. 10—20).

საიერო დარგებზედაც მსკავრი ასეთი თვალსაზრისით გამოჰქონდა. თეოლოგიასთან მიმართებაში იგი რომ „მდებარე მატერიალ“ მოწვევებოდა — ნუთუ ეს გასაგები არ უნდა იყოს? ნუთუ შეიძლებოდა მის თვალსაზრისს დაპირისპირებოდა ასეთი მსჯელობა: «Нельзя сказать, что искусство фокусника не доставляет людям удовольствия. А акробатика, демонстрирующая силу, ловкость и красоту человеческого тела, смелость, мужество». (იქვე, 36). ერთს კი ვიტყვით: ეს ღია კარების მტრეცაა, რასაკარგვლია, ვერ შეგვიყვანს იმ სამყაროში, რომელშიაც VI საუკუნის ფილოსოფიის აზროვნებითი ინტერესები სუფევდა.

ერთ გვერდზე, სულ მცირედ, გ. აპრესიანი ჰგება სომეხი ექიმის ამირდოვლით ამასიაციის შეხედულებებს. აქაც ჩვეულებრივ ესთეტიკაზე ანაფორია ნათქვამი და გაღმეცემულია მისი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი. საერთო შეფასება კი ასეთია: „მისი შემოქმედება ასახავდა თავის დროის სტიქიურ-მატერიალისტურ ტენდენციებს (190). (ქვემოთ ვნახავთ, თუ რა ფასი აქვს ამასიაციის „სტიქიურ-მატერიალისტური ტენდენციების“ აპრესიანისეულ დასასაბუთებს). ამ შეფასებას მოსდევს სიტყვები: „ამასიაცი მოითხოვდა რელიგიისაგან განთავისებობას გამოყოფას. ის დარწმუნებული იყო, რომ სამყარო შედგება ოთხი საწყისისაგან. მიწა, ჰაერი, წყალი და ცეცხლი (იქვე). ამ კონტექსტის მიხედვით, ვფიქრობთ, სრულიად ნათლად იქმნება აზრი, რომ მისი ავტორი ამასიაციის სტიქიურ-მატერიალისტურ ტენდენციებს სხვათადაც ერთად სამყაროს ოთხელემენტოვანი აგებულების თვალსაზრისშია ცხედვს. ეს კი — საგნებს თუ თავის სახელს დაეკრძა — არის სრული გაუგებრობა. სამყარო ამ ოთხი ელემენტისაგან შედგენილობა საშუალო საუკუნეებში აბოლოვეტიკაში (I—III სს.) პატრისტიკაში და შემდგომ სქოლასტიკაშიც საერთოდ დამკვიდრებული თვალსაზრისი იყო. ეს იყო ემპედოკლეს მოძღვრებიდან აღმდგომი აზრი და გაზიარებული საეკლესიო მწერლების მიერ ბიბლიური კოსმოლოგიის განმარტებისათვის (ეს ნათლად ნაჩვენებები თეოლოგიურ ლიტერატურაშიც. იხ. ა. პარნაკის „ლოგმატების ისტორია“), ფილოსოფიის ისტორიაშიც, პატრისტიკის მკვლევარებთანაც.

ასე რომ ამ ოთხელემენტოვანი ონტოლოგიის მიხედვით ამასიაციის „სტიქიურ-მატერიალიზმის ტენდენციებზე“ იმდენადვე შეიძლება ლა-

პარაკი, რამდენადაც ისეთ საეკლესიო მოღვაწეებზე, როგორიცაა ბასილ დიდი, ავრელ კაპრეცე, იოანე დამასკელი ან თუნდაც ანტონიოვები: „ეგსტატი მცხეთელის წამების“ ავტორი იქნება ეს, თუ „ბალავარიანისა“. გამოდის, რომ მატერიალიზმის ძეგლის სრულიად გასაგები სურვილი ავტორს გაუაღწევია აუცილებლობად: იგი იპოვს იქ, სადაც არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს.

შემდეგ, ავტორის სიტყვებით: „ამასიაციმ, შეიძლება ითქვას, ამირეკავასიაში პირველმა განაცხადა, რომ თუკი ღმერთი, ვითარცა ყოველი არსებულის პირველმთხვე, არის სიყვითის შემქმნელი, იგი ბოროტების წყაროცაა“.

ყველაფერს აღარ გამოვუდგებით, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნოთ: ავტორს ევალეობოდა დაეხსენებინა — რა აზრით ამბობს ამასიაცი, რომ ბოროტებაც ღმერთისაგან იღებს სათავეს. ამას ავალეობა მას შუა საუკუნეების ფილოსოფიურ მოძღვრებათა თავისებურებანი. თუ ამასიაცი ბოროტების სიყვითესთან სუბსტანციურ ერთიანობაზე მიუთითებს, აქ არავითარი სიახლე არაა. მას იცნობს ამასიაცი (XV ს.) წინააღმდეგობის სომხური მწერლობაც. ესაა მოძღვრება ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან ნათლად ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არეოპაგიტულ წიგნებში და რომელსაც კარგად იცნობს იოანე პეტრიწია და რუსთაველიც. ქრისტიანული მონიში მოითხოვდა ბოლოსდაბოლოს ბოროტებაც ღმერთისაგან მომდინარედ მიეჩნიათ, თორემ უნდა დაეშვათ ამ ქვეყნად ისეთი სჯეროს არსებობა, რომელიც ღმერთს არ წარმოუშვია, ესე იგი, უნდა დაეშვათ ორი საწყისი, დუალიზმი. თუ ამ მოძღვრების პრიორიტეტზე ვილაპარაკებთ, გ. აპრესიანს ეს პეტრე ბერისათვის უნდა მიეწერა, რადგანაც, თვითონვე იზიარებს შ. ნუტუბიძე-პონიგმანის თეორიას, არეოპაგისტული წიგნების ავტორი პეტრე ბერიაო. ამ წიგნებში კი ამასიაცი უნდა საუკუნით ადრე კლასიკური ფორმითაა მოცემული ეს მოძღვრება. ზოლოთ თუ ამ მოძღვრებას არ დაუკავშირებდა ამასიაციის მოახრებებს, მაშინ უნდა განემარტა: როგორ შეუთავსდა სხვაგვარად (თუ არა არეოპაგიტის გზით) ქრისტიანულ მონიშმს ბოროტების ღმერთი წარმოშობის თეორია?

და საერთოდ, აუცილებელი იყო ამასიაციის ესთეტიკის მოახროვნეთა შორის განხილვა? (არც ერთი ავტორის მიერ მოტანილი, გამოთქვამი უშუალოდ ესთეტიკის არ ეხება.) შემდეგ ეს უხერხულობაშიც კი ჩააყენებდა

რამაზ სირაძე

წარსულში მსმეტიკური ნააზრების მართაბული გაგებისათვის



ცნობილ სომეხ ექიმს ამიროვლათ ამასიაციის ჩომელსაც, ალბათ, არც კი უფიქრია მედიცინა და ესთეტიკა ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა, როცა წერდა თავის ნაშრომს: „მედიცინის სარგებლობისათვის“.

პეტრე იბერიელზე (412-488) ავტორი წერს: „ქართველი მოაზროვნე ამტკიცებდა, რომ სიკეთე დაკავშირებულია ყოფიერებასთან, არსებულთან, ნეტარების მიწიწებაა აღამიანებისათვის და ამიტომ არ შეიძლება არ არსებობდეს (30). ეს შეფასება ეხება პ. იბერიელის თვალსაზრისს, გამოთქმულს თავის წიგნებში: „საღმრთო სახელთათვის და „ხეცათა მღელვით მოთავრობისათვის“. პეტრე იბერიელის თვალსაზრისით კი, სიკეთეს იმით არ შეუძლია არ იარსებოს, რომ იგია გამოვლენა ღვთიურობისა. მეორეც: დაზუსტება უნდა, რას გვულისხმობთ ფრაზაში: „სიკეთე დაკავშირებულია ყოფიერებასთან და არსებულთან“. რომელ „ყოფიერებაზე“ და „არსებულზეა“ საუბარი? ვიცობრებთ: ამ დაზუსტებას მოითხოვს იმდროინდელი აზროვნების თავისებურება და ასე უაქველსოდ ჩვენი ცნებების შეფარდება იმდროინდელთან არამართებულია.

გარდა ზემოაღნიშნულთა, წიგნში არის შეცდომები, რომელთაც ესთეტიკური აზრის ისტორიასთან უშუალო, პირდაპირი კავშირი არა აქვთ. მაგრამ თავისთავად მოუტყვევებელია ფაქტოლოგიის სწორი გათვალისწინება ხომ აღუცლებელი უნდა იყოს თეორიული განვითარებისათვის. ასე, მაგალითად:

1. გვ. 21: „სომეხთა და საქართველოს არა ერთხელ განუცდილათ ალექსანდრე მაკედონელის თავდასხმა“. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელს საერთოდ არ ულაშქრია.

2. გვ. 204: „პირველი ქართული სტამბა — საერთოდ, პირველი სტამბა ამიერკავკასიაში, — შეიქმნა ვახტანგ VI მიერ 1712 წელს“. ეს ტიპოგრაფია შეიქმნა არა 1712, არამედ 1709 წელს. 1709, 1710, 1711 წლებში მან ათეულზე მეტი ბეჭდური გამოცემა მოგვცა.

3. გვ. 237: ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადოებრივ აზროვნებაში ს. დოდაშვილმა პირველმა შემოიტანა მეცნიერებაში ტერმინი — „ესთეტიკა“.

ასეთი განცხადება დიდ პასუხისმგებლობას უყენებდა ავტორს — ჩვენთვის ხომ ბევრი რამ არის ცნობილი.

ს. დოდაშვილს „ფილოსოფიის კურსი“ I ნაწილი 1827 წელს გამოვიდა. ქართულ მწერლობაში (გამოდის რომ — ამიერკავკასიაშიც) ტერმინის „ესთეტიკა“ პირველი ხმარება კი უნდა მივაკუთვნოთ დავით ბატონიშვილს, რომელმაც 1815 წელს თავისმა ანსიკლოპის „ესთეტიკებრივი განსჯანი“.

4. გვ. 40, აქ ვკითხულობთ:

«Стали распространеными драматические категории трагедии („საქიხობა“) и комедии („სამგერა“), а также — театр („სახილველი“), театрально-зрелищное и пантомимическое представление („სახიობა“), комедия-операция („სამგერის მგერელი“), театр масок („ბარიკაობა“). „სახიობის“ გარდა ყველა სიტყვა თუ შეიტყვება დამახინჯებულია. ასეთივე დღეშია საბეჭდო, რაც, მოსალოდნელია წიგნის სარედაქციო ქირისუფალია უგულობის ბრალად: Ефим Мцире, Джан-шер и да სხვ.

5. არ შეიძლება ასე უაქველსოდ თქმა იმისა, რომ „ხელოვნება განიმარტებოდა ვითარცა ღვთაებრივი გამოცხადება (გვ. 66). თეოლოგიური ლიტერატურის მიხედვით, საღვთო გამოცხადება არა ის, რაც აღამიანის გონებას ეძლევა, რომლის საშუალებითაც თვითონ აღამიანი იღვწირაფვის ღვთიურობისაკენ, არამედ ის, რაც ღვთიდან ენიჭება აღამიანს ხილვაში, სახეობრივი გამოხატულების გარეშე — ასე ვთქვათ, ინტელიტური წვდომის სახით, ესაა აპოკალიპტიკური ცნობიერების პროცესი, იგივე — theologia revelata — საღვთო გამოცხადება. შეიძლება იგი დაუკავშირდეს ხელოვნებას, მაგრამ ხელოვნება საღვთო გამოცხადებააო, — ამას თეოლოგიური აზროვნების წარმომადგენლები არ იტყვიან.

6. გვ. 83 გაუგებარია გამოთქმა: «...сооружения в Гелати, Иверии и других местах».

7. გვ. 202: არა სწორია თქმა, რომ „არჩილი დარწმუნებული იყო, რუსთველის შრომებზედა განვლილი ეტაპით, რომ მის ჰიერარქიულ დაწესებულ საქმეს აგრძელებს თეიმურაზი როგორც ახალი დროის შესაფერისი ხელოვანი“ არჩილმა რუსთველის პოეტური კულტი შექმნა: თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა: „იხილეთ ვერ მიჰყვას რუსთაველის თქმულსა, გადმოზრძანდეს ასე აქეთ, მელექსობა არ შეშვენი, ღაყყენეთ მოსამაქეთ“...

მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც წარსულის ესთეტიკური ნაპრეტს უკავშირდება წიგნში მოლიანად უგულებელყოფილია ან წარმოდგენილია არასრულყოფილად.

მაგალითად, ნიზამი ვანჯელისა და საერთოდ აზერბაიჯანელ მწერალთა ესთეტიკურ მოსაზრებათა განხილვისას არაა სათანადოდ ყურადღებული მათი მიმართება სუფიზმთან. შედარებით მეტია ამაზე ნათქვამი ფიზულისთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ამოწურავს სათქმელს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია დავით კერაქანის (VI ს.) მოსაზრებანი, გამოთქ-



მელი თავის გრამატიკაში, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის საყურადღებო თვალსაზრისითაც (იხ. Адонц Н. Дюнисий Фракийский и армянские толкователи, Л., 1915; Адамян, А.; Эстетические мировоззрения, стр. 96—103).

ამთავან სპეციალურ განხილვას იმსახურებდა სტყვისა და გამოსახვის ურთიერთობის საკითხი.

შემდეგ, როგორც ცნობილია, სომხეთში დამკვიდრდა მონოფიზიტური დოქტრინა ქრისტიანობისა. მისი მიმდევარნი ქრისტეში მხოლოდ ღმერთს ხედავდნენ და არა აღამიანს. ამას თავისი გავლენა ჰქონდა მხატვრული შემოქმედების ზოგიერთ „თეორიულ“ ნორმატული პრინციპებს შემქმნელებისას, კერძოდ, მან გავლენა მოახდინა სომხური მონუმენტური ფერწერის ისტორიულ განვითარებაზე და კარგა ხანს შეაფერხა სომხეთში ხელოვნების ეს დარგი. თუ ქრისტეს მხოლოდ ღმერთად მიიჩნევდნენ, მისი გამოსახვა უარყოფილი უნდა ყოფილიყო. ასეც მოხდა (იხ. III. Амираншвили, История грузинской монументальной живописи, 1957, стр. 20) ეკლესიათა მთავრა სომხეთში იწყება X საუკუნიდან სომეხ-ქალკელთა მიერ, რომლებიც ქართული დოგმატიკის გავლენასაც განიცდიდნენ ბიზანტიურთან ერთად (იხ. Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах - халкедонитах; ВВ, т. XII, № 1-2, стр. 1-62; მისივე Иоанн Петриций, грузинский неоплатоник XI—XII веков ЗВОРПО, т. XIX, 1909, 53—113. დოგმატიკური დოქტრინა ქრისტეში კაცობრივ ბუნებასაც ხედავდა. მისი ღმერთი, ასე ეძღვნათ უფრო ანთროპომორფისტული იყო, მონოფიზიტებისა—უფრო მისტიკური, დოგმატიკობა ითვალისწინებდა, რომ ქრისტეს კაცობრივი ბუნება გამოსახულიყო. ესე იგი, დაბატლყო მაცხოვარი აღამიანური სახებით და ეკლესიასთან კი — ღმერთი. მშასაღამე, ასეთი კონცეფცია ფერწერული ხელოვნების განვითარებისათვის გაცილებით ხელსაყრელ წახამდებარებს ქმნიდა.

ფიქრობ, რომ ამ საკითხებს სათანადო აღგალი უნდა ენახა განხილულ წიგნში. ასევე სათანადოდ უნდა ყოფილიყო ყურადღებული ზემოთხსენებულის საკითხები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მხატვრობის განვითარებაზე და რომელშიც გარკვეული გამოთავილი მპოვა სომხეთში და საქართველოში.

გ. პარსიანი, ამ წიგნის პირობაზე, საკმაოდ დაწერილებით მიმოიხილავს აზერბაიჯანელი პოეტისა და ფილოსოფოსის ფუზულის (1498-1556) შეხედულებებს. აქ არ ვხვდებით ცნობად მთავრებას ორგვარი სიბრძნის შესახებ: რომ არსებობდა, ერთის მხრივ, საღმრთო სიბ-

რძნე, გამოცხადების სიბრძნე (სამყაროს კანონზომიერებათა ხედვა ორაციონალურ სფეროში) და მეორეც — სიბრძნე ამქვეყნიური — მიღებული ბუნებისა და აღამიანზე დაკვირვებით (ცალკეადი, არამყარი სიბრძნე). წინარე წარსულიდან საშუალო საუკუნეებს იგი ნეოპლატონიზმად გადმოსცა. (ჩვენი ვარაუდით, ფუზულის ის შეეძლო აეღო სუფიზმიდან, რომელიც მას ნეოპლატონიზმიდან ითვისებდა). ეს მოძღვრება გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. ფიქრობთ, რომ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მას სომხური აზროვნებისათვისაც.

ავტორი უნდა დაინტერესებულიყო ამირკავკასიის ხალხთა მწერლობაში ამ მოძღვრებას გავრცელებით. ეს ზომ მისთვის საჭირო სიბრტყეზე გადაიტანდა საკითხს: სამთავე მწერლობაში ერთი საერთო პრობლემატიკის არსებობას წარმოაჩენდა. მეტადრე, რომ საქმეში ჩახედულ მკითხველს მოეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოძღვრებას ესთეტიკური აზროვნებისათვის.

ავტორი თითქმის მთლიანად უყურადღებოდ სტოვებს ქართულ და სომხურ ენებზე არსებულ მდიდარ ნათარგმნ ლიტერატურას, რომელსაც ავტორთვე მნიშვნელობა ჰქონდა ესთეტიკური აზროვნებისათვის.

იმის გამოა, რომ ძველი ქართულ და სომხურ მწერლობაში შემუშავებული მრავალი მოსაზრება, რომელსაც ამ წიგნის ადგილი უნდა ეპოვა, ავტორისაგან უგულვებელყოფილია.

ამიტომ დასასრულ უნდა ითქვას, რომ წარსულის თეორიული ნააზრების შესახებ ნაშრომის გამოცემა, მეტადრე თუ ის რამდენიმე ერის კულტურას შეეხება მეტ პასუხისმგებლობასა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას საქართველოში.

ამ წიგნიდან მკითხველი გაიგებს მხოლოდ იმას, რომ შორეულ ისტორიულ წარსულში საზოგადოდ არსებული ამირკავკასიის ხალხთა ესთეტიკური ნააზრები, მაგრამ თუ რა ხასიათისა იყო ეს ესთეტიკური ნააზრები, ამაზე არამართებული წარმოდგენა გვეძლევა.

ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოცემით აღნიშნულ ნაყოფანებათა შედეგები კიდევ უფრო მრავალკეცდება.

ძველი ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის კვლევა, როგორც იტყვიან, ხეირიანად არც კი დაწყებულა და უკვე აღმოჩენილი დასაძლევ და უარსაყოფი „განმაზოგადებელი“ ღესვენების წინაშე, რომლებიც მეცნიერულად მიუღებელია როგორც ფაქტოლოგიური, ისე თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. მათი გადაღების გარეშე, შეუძლებელია ძველი ქართული როგორც ესთეტიკური, ისე თეორიულ-ლიტერატურული, აზროვნების მართებული კვლევა.

ღევანე მენაბერი

ივანე ჯავახიშვილი და ქველი ქართული მენაბერი

დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველ ქართულ მწერლობას. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა დიდი ინტერესი ძველი ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებისადმი, რაც სიცოცხლის მიწურულამდე შეინარჩუნა. საგულისხმოა, რომ მეცნიერის ბირველი ბეჭდური შრომა „ბალაქანისა“ რუსული თარგმანი იყო, ზოლო უკანასკნელი მოხსენება, საერო-მხატვრული ლიტერატურის საკითხებს მიუძღვნა.

როდესაც ი. ჯავახიშვილი მეცნიერულ-მეცნიერებადმიტ ასპარეზზე გამოვიდა, გარკვეული მუშაობა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით უკვე ჩატარებული იყო. საქმარისია მოვეგონოთ მრავალმხრივი მოღვაწეობა, რასაც ეწეოდნენ მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი და სხვანი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ძველი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ნ. მარმა. პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ, სადაც აღიზარდა და გაიწაფა ი. ჯავახიშვილი, ერთობ დიდი და უაღრესად სერიოზული მათხოვნები წაუყენა ძველი ქართული მწერლობის მკვლევართ. თანდათან ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო ძველი ხელნაწერების კიდევ უფრო მეტად გულისხმირებით შესწავლა, ძველი ავტორების თხზულებათა ტექსტების კრიტიკულად დადგენა და მეცნიერულად გამოცემა, ქართულლოგთა მემკვიდრეობის შემოწმება და შემოქმედებითად ათვისება, საცოლობელ პირობებში დაღუპვებმა. ყოველივე ეს ი. ჯავახიშვილმა სავსებით სწორად გაიგო, გაიზიარა და გაათავალისწინა.

ი. ჯავახიშვილი იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის გულდასმით გაცნობას, საფუძვლიან შესწავლასა და მეცნიერულ დახასია-

თებას. ხელნაწერი მემკვიდრეობისადმი, წერილობითი ძეგლებისადმი სიყვარული ჩანს ბირველსავე შრომაში. სავანებო აღნიშვნის ღირსია მისი რეცენზია-ანოტაციები, რომლებშიც შეფასებულია ის მუშაობა, რომელიც გასწიეს ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობის შედგენის მიზნით ნ. მარმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა, ა. ხახანაშვილმა და სხვებმა.¹ მკვლევარი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ზუთი ათონური ხელნაწერის ნ. მარმისეულ აღწერილობას. ძალზე აქებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობას, რომელსაც წლების განმავლობაში აქვეყნებდა. ე. თაყაიშვილი, არ ერიდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს თ. ჟორდანიასა და ა. ხახანაშვილის შრომების მიმართ. მისი მართებული დასკვნით, აღწერილობაში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ხელნაწერის ყველა არსებითი დამახასიათებელი ნიშანი, ზუსტად უნდა გარკვეულიყო მისი შედგენილობა, თხზულებათა ავტორები და ა. შ. სხვათა შორის, ხელნაწერთა აღწერის ის პრინციპები, რომლებიც ი. ჯავახიშვილმა თავის რეცენზია-ანოტაციებში წარმოადგინა, შემდეგში მან კიდევ უფრო სრულყო, დახვეწა და ხელნაწერთა აღწერისათვის საჭირო ინსტრუქციის სახით ჩამოაყალიბა. სწორედ ამ ინსტრუქციით დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებამ (ჯერ კიდევ 1939 წელს) ქართულ ხელნაწერთა აღწერა, ამით დაედო საფუძველი იმ დიდ საქმეს, რომელსაც ეხლა წარმატებით განაგრძობს ა. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

რასაკვირველია, ი. ჯავახიშვილი არ იფარგლებოდა მხოლოდ სხვათა მიერ შედგენილი აღწერილობის ავტორიანობის ჩვენებით, ან

¹ BB, ტ. XI, ნაკვ. 1-2, (1904), გვ. 331-333, 335-336, 347-349, 351-352; ნაკვ. 3-4 (1904), გვ. 780-782.

ხელნაწერთა აღწერის ინსტრუქციის შედგენით მან თვით გასწია უარესად შრომატევადი სამუშაო და ჩვენი მეცნიერება გაამდიდრა სინას მთის ძეგრფას კოლექციის აღწერილობით.

1902 წელს ი. ჯავახიშვილი ნ. მართან ერთად ეწვია სინას მთას. მათ იქ მოიპოვეს და ვრცელ აღწერას ადრე უცნობი ბევრი ხელნაწერი, დაახუსტეს და შეავსეს არსებული აღწერილობანი, გამოავლინეს არაერთი უცნობი ქართული მწიგნობარი და ორიგინალური თუნათარგმნი თხზულება, გამოსაცემად მოამზადეს და შემდგომში გამოაქვეყნეს რამდენიმე დიდებული ძეგლი. სამწუხაროდ, ნ. მარმა გვიან განიზაბა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას გამოცემა. ისე გვიან, რომ აღარ დასცალდა მისი განხორციელება; იგი მხოლოდ 1940 წელს დაიბეჭდა. ი. ჯავახიშვილი, ჩანს, ელოდა მასწავლებლის შრომის პუბლიკაციას, ამას გამო მისი აღწერილობის გამოცემა დაგვიანდა; მკითხველმა საზოგადოებამ იგი მხოლოდ 1947 წელს მიიღო.

ჩვენ არ შეუძლებით სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ი. ჯავახიშვილისეული აღწერილობის ვრცელ დახასიათებას. ვრცელი მხოლოდ, რომ ის წარმოადგენს ნიმუშს იმისა, თუ როგორ უნდა დგებოდეს ძველი ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა. დასავლელმა წიგნში იმდენი ზუსტი და დეტალური ცნობაა თვითმეტი ხელნაწერზე, ისე ბრწყინვალეაა ამოკითხული გადაშტეტალი ტექსტები, ისე დამაჩერებლადაა ვარკვეული ხელნაწერთა შედგენილობა და სრულადაა მოცემული ძველ მწიგნობართა ანდერძ-მინაწერები, რომ მან იმათივედ დიდი მოწონება დაიმსახურა და საერთო აღიარება პოვა. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტის ე. ვარტიის წიგნის გამოქვეყნებამ და სინას მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმებისა და ფოტოპირების მოპოვებამ საესებით ნათელყო, რომ ერ კიდევ საკმოდ ახალგაზრდა ი. ჯავახიშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი ურთულეს ამოცანას და შექმნა პერმარტად შეუცვლელი წიგნი.

აქვე უნდა დავასახელოთ ი. ჯავახიშვილის მზრდილი ნაშრომი: «Материалы для истории Грузинской патристической литературы».

როგორც პირველად 1912 წელს გამოქვეყნდა.² მასში, «ქართული ხელნაწერების კოლექციების არსებულ აღწერილობათა მიხედვით. — მოცემულია ცნობები ქართულ ენაზე შემონახული

ხელი დოგმატიკური, ეგზეგეტიკური, ასკეტიკური, ჰომილეტიკური და სხვა ძეგლების შესახებ.

ძველი ქართული მწერლობის ღრმამეცნიერული შესწავლის წინაპირობად ი. ჯავახიშვილს მიანდა ძველ ხელნაწერებში შემონახული მასალის მეცნიერული პუბლიკაცია. მას კარგად ესმოდა, რომ ძველი ქართული ძეგლების გამოცემის საქმე არ იყო მოგვარებული. მართალია, არსებობდა რამდენიმე თხზულება ბრწყინვალე გამოცემა (განსაკუთრებით ნ. მარის პუბლიკაციები), მაგრამ საერთოდ ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულ-აკადემიური გამოცემის საქმე ერთობ ჩამორჩებოდა. განიცდიდა რა ყოველივე ამას მწვავედ, მკვლევარი თავის ნაშრომებში ხშირად ეხებოდა ძველი ტექსტების გამოცემის საქმეს, მსჯელობდა არსებული გამოცემების აკარგინებაზე, აღნიშნავდა ცალკეულ ხარვეზებს, საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობდა მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციების არარსებობის სავალალო შედეგებზე.

ი. ჯავახიშვილი არა მარტო გულისტყვილს გამოთქვამდა ძველი ქართული ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციების არარსებობის გამო, არამედ ენერგიულად იღწოდა ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით. ჯერ კიდევ ადრე, სინას მთაზე ყოფნისას, გადმოიწერა და 1914 წელს გამოაქვეყნა «თქმული წმიდა იოანე ოქროპისაა ბაღდელისათვის და წინამთვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღვთის მიერ კეთილისა და ბოროტების მიხედვით არა რააჲმ 1947 წელს სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში» დაიბეჭდა იოანე მინჩხის პიმენი, «წამება წმიდისა ბიკტორისი და სტეფანია ნეტარისა დედაკაცისაა», «წამება წმიდისა ივანეტი ანტიოქელ პატრიარქისაა», «კრება თთუეთაა წელიწადისათაა», მოსაქცენებული და მართიანე პატრიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაა, ეგრემ ასურის სწავლანი, ანტონის ეპისტოლე, აპოკრიფები და სხვა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ «ცხოვრება იოანესი და ეფთემესი», რომელიც მეცნიერმა მოამზადა სისტამბოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. მისი მომზადებული ტექსტი მკითხველ

² X.B. ტ. II, ნაკვ. III (1914), გვ. 275-280.

³ ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 145-251.

ლევან მანანაძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი
ქართული მწერლობა

² V.B. ტ. I, ნაკვ. I (1912) გვ. 6-29. მეორედ დაიბეჭდა 1956 წელს (ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 110-129).



საზოგადოებას მიჰყოლა ა. შანიძემ, ეს, მართლაც ჩინებული პუბლიკაციაა. საყოველთაოდ ცნობილია ი. ჯავახიშვილის შემართად მეცნიერული გმირობა; რაც ხანებით ტექსტების მოპოვებაში, წაიკითხვასა და გამოქვეყნებაში გამოიხატა.⁶

ი. ჯავახიშვილს ნათლად ესმოდა, რომ ძველი ქართული წერილობითი კულტურის დადებული ნიმუშების ისტორიული მნიშვნელობის საერთო აღიარებისათვის საკმარისი არ იყო ამ ძეგლების მხოლოდ ქართულად გამოქვეყნება, საჭირო იყო მათი თარგმნა და უცხოელი მკითხველებისათვის მიწოდება. იგი, ერთი მხრივ, დროულად ესმადებოდა ქართული ძეგლების თარგმანებს და თავის კომპეტენტურ აზრს გამოთქვამდა მათ ღირსება-ნაყოფიანებათა შესახებ,⁷ მეორე მხრივ, თვით თარგმნიდა ცალკეულ ძეგლებს. აქ შეგვიძლია დავიმოწმოთ მის მიერ რუსულად თარგმნილი „ბალავარიანი“⁸ და გერმანულად თარგმნილი „ეუსტათი მცხეთელის მარტილობა“⁹ გარკვეულ ინტერესს იწვევს მისი ზეღმძღვანელობით შესრულებული თარგმანი აბო თბილელის მარტილობისა.¹⁰

ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ შექმნილი ლიტერატურული სიკეთეები ი. ჯავახიშვილისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პირველწყაროს ქართველი ერის ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად და მტკიცე საბუთს ქართველთა კულტურული მოწიფულობის წარმოსაჩენად. თავის კაპიტალურ ნაშრომში — „ქართველი ერის ისტორია“ ი. ჯავახიშვილი თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყენებდა ძველ ქართველ მწერალთა თხზულებებს, ხშირად იმორჩებდა მათ გამოთქვამებს, ჩვენე-

ბებს და ამ გზით კიდევ უფრო სრულყოფილობდა ჩვენი ხალხის ისტორიული ცნობიერება, სახელმწიფოებრივ მშენებლობასა და პოლიტიკურ მდგომარეობას, საეკლესიო-სარწმუნოებრივ ვითარებას, სოციალურ გარემოს, ეროვნულ ტენდენციებს და ა. შ. რომელი ძველი ავტორი არ გვხვდება „ქართველი ერის ისტორიაში“ იაკობ კურტაველი და იოანე საბანისე, გიორგი მერჩულე და ბასილ ზარბაძე, ათონელები და ეფრემ მცირე, რუსთველი და მეხოტბენი, არჩილი და სხვა მრავალი. ასევე უხედავ იყენებდა ი. ჯავახიშვილი ძველ ავტორთა ნაწერებს, როდესაც სწავლობდა ქართული სამართლის ისტორიასა და საქართველოს ეკონომიურ ისტორიას, ქართული მუსიკის ისტორიასა და ძველი მშენებლობის ხელოვნებას, საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებასა და ქართულ სიგელთმცოდნეობას და ა. შ. ცალკე უნდა გამოვეყოთ „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“, რომელშიც არა მხოლოდ ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია განხილული (ქართული ანბანის წარმოშობა, ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები და ა. შ.), არამედ ძველი თხზულებებიდან ამოკრეფილი უამრავი მასალა ქართული სამწიგნობრო ზელოვნების შესახებ.

ი. ჯავახიშვილს არ დაუწყია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კურსი ან მოზრდილი ნარკვევი ასეთი ხასიათისა. მართალია, მის კალამს ეკუთვნის ერთ რუსულ ენციკლოპედიაში მოთავსებული წერილი ძველი ქართული მწერლობის შესახებ, რომელშიც იმდროინდელი მეცნიერული დონის მიხედვით მოცემულია სურათი ქართული მწერლობის განვითარების ისტორიისა უძველესი თარგმანებიდან გარდამავალ ხანამდე (ჩათვლით), მაგრამ, რასაკვირველია, ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ წერილში ი. ჯავახიშვილი ვერ შეილებდა თავისი ნააზრევის სრულად გადმოცემას; იგი ამ შემთხვევაში ხასიათის ნაშრომში მხოლოდ ზოგადი ცნობების მოწოდებით დაკმაყოფილდა.

საინტერესოა ი. ჯავახიშვილის ისტორიულ-ლიტერატურული შტუდიები, რომელთაც ხშირად გვხვდებით „ქართველი ერის ისტორიაში“. ასეთია, მაგალითად, ქვეთავები თუ პარაგრაფები ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნების შესახებ, მსჯელობა ძველი ქართული მწერლობის კერებზე და განსაკუთრებით ათონის სკოლისა და ათონელი მოღვაწეების ვრცელი დანახილვა, დაკვირვება საერო-მხატვრული ლიტერატურის აღმოცენებასა და სპეციფიკაზე, გაანალიზება მეხოტბეთა ნააზრევისა და

⁵ გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ი. ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1949, გვ. 274-366.

⁷ XV, XXI, ნაკვ. 1—2 (1904), B. 323—328.

⁸ Мудрость Балавара, ЗВОРАО, XI (1899), გვ. 1-48 (—ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 163-196).

⁹ Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha. Aus dem georgischen übers. von Dschawachoff (Vorgelegt und bearb. von Harnack). Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin, XXXVIII (1901), გვ. 875—902.

¹⁰ K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis, Texte und Untersuchungen, N. Folge XIII, 4, Leipzig, 1905.



„ვეფხისტყაოსნის“ სიდიადის წარმოჩენა, შემწეობა II და IV პერიოდების ქართულ მწერლობაზე და ა. შ.

ამ შტუდებში ი. ჯავახიშვილმა გამოამჟღავნა ძველი ქართული მწერლობის ღრმა ცოდნა და დიდი სიყვარული სახელოვანი წინაპრებისადმი, გამოთქვა არაერთი საინტერესო მოსაზრება დასახელებულ ძეგლებსა თუ ლიტერატურულ ფაქტებზე და დიდად შეუწყობა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმის დაწინაურებას. მიუხედავად ამისა, უბრალოდ დაესძინათ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ი. ჯავახიშვილის შრომების იგი კრებული: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“. პირველში მოცემული ნარკვევები იაკობ ცურტაველის, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორის, იოანე საბინისძის, გიორგი მერჩულის, გიორგი ათონელისა და სხვა ქართველ აგიოგრაფთა შესახებ ნარკვევები ჯერ კიდევ ადრე (1916 წ.) დაიბეჭდა. შემდეგში გადამუშავდა, დაზუსტდა საგრძნობლად შეიცოცხა დამატებითი თავებით (მაგალითად, იაკობ ხუცესი, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა; კოლაელთა მარტვილობა) და განმეორებით დაიბეჭდა 1921 წელს. ევსტაქელად გამოქვეყნდა 1945 წელს.

„ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ ყაზილული ძეგლები ავტორის მეტწილად აინტერესებდა როგორც წმინდა საისტორიო ახსულებანი, მაგრამ ნარკვევებში იმდენი საინტერესო დაკვირვება, საგულისხმო მსჯელობა და მართებული დასკვნაა, რომ მას გვირდნება აუხვევს ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ვერც ერთი მკვლევარი.

ი. ჯავახიშვილი სწავლობდა რა ძველ ავტორთა ნაწერებს, ცდილობდა გაერკვია თითოეული მწერლის „პაროქენება“, — თუ რა წესსა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო“. მას, როგორც ჩანს, აღუდგა ის გარემოება, რომ სპეციალისტები მხოლოდ სამოქალაქო ისტორიის შესწავლა იფარგლებოდნენ და ძველ აგიოგრაფთა ახსულებანი — წამება-ცხოვრებათა უბუდე-ბუდეოვანი იყო. მისი მტკიცებით, „ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარებას შესწავლა სურს, არც შეუძლია და არც ეძლევა აქვს ქართულ საეკლესიო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტვილთა და წმიდათა ცხოვრებებს გვერდი აუხვიოს და განუხილავდეს დატოვოს“. სწორედ ამიტომ დაეწყო მკვლევარმა ასე დიდი ადგილი წამება-ცხოვრებათა ტექსტებს: ჯერ მოკლე გამოთქვა თუთის ზოგადი შეხედულება მათ შესახებ, ხოლო შემდეგ ცალკე ნარკვევებიც უძღვნა.

განსაკუთრებით გულსეყრით ეკიდებოდა მკვლევარი უძველეს ქართულ ახსულებას —

შუშანიის მარტვილობას. ხშირად იყენებდა მას თავის მრავალრიცხოვან შრომებში. მანვე მოიძებნა სოლიდური ნარკვევი — „იაკობ ხუცესი“.

ი. ჯავახიშვილმა გულდასმით შეისწავლა იაკობის ნაწარმოები, შეუდარა იგი სამხტურ რედაქციას, გაარკვია მისი ღირსება, წარმოაჩინა ავტორის, — ვითარცა მიუყვარებელი მთხრობელის, — დამსახურება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის წინაშე.

ი. ჯავახიშვილმა ამ უძველესი ქართული საისტორიო ახსულებს ავტორად მიიჩნია შუშანიის ხუცესი იაკობი და უხვად დაძებნა ნაწარმოებში ამ ადრეც გამოთქმული ვარაუდის დამადასტურებელი მასალა. მისი დაკვირვებით, იაკობი მოთხრობილი ამბის თანამედროვე, თვითმხილველი, თანადამხედური და მონაწილე იყო. იგი გაკვირვების ჟამსაც ახლოს იყო შუშანიიდან და მის მწუხარებას იზიარებდა. იაკობ ხუცესის ნაწარმოებში, როგორც თანამედროვის მიერ დაწერილ ახსულებსა შუშვანის, მაშინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა-ჩვეულებების შესახებ მრავალი საუცხოო ცნება მოიპოვება, რომლებიც მთელ მოთხრობაში ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თანსდევნა ამბის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშლება.

ი. ჯავახიშვილმა პირველად მიამკიცა განსაკუთრებული ყურადღება შუშანიის მარტვილობაში შემონახულ ცნობებს V საუკუნის ქართლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის, საწმუნოებრივი ვითარების, სოციალური სტრუქტურის შესახებ. მანვე პირველმა გახადა მსჯელობის საგნად ის გულწრფელობა, უშუალოება და ბუნებრიობა, რომლითაც იაკობ ხუცესის მოთხრობის კილოა გამსჭვალული თავიდან ბოლომდე, რის წყალობითაც ნაწარმოებში მაშინდელი ყოფა-ცხოვრება მთელი თავისი ღირსება-ნაყოფიანებით გვეხატება და არც ერთხელ ყალბი და განზრახ თუ უნებლიეთ გაზვიადებული და დაუჯერებელი სტლიური მდგომარეობის აღწერილობა არ გვხვდება.

მართალია, შუშანიის წამება ი. ჯავახიშვილს პირველ რიგში „ქეირფას და შინაარსიან საისტორიო წყაროდ“ მიაჩნდა, მაგრამ იგი იმასაც დასძენდა, რომ „იაკობ ხუცესის უტყუარი მხატვრული ნიჭი და მშვენიერი ცოცხალი ენა ამ ახსულებას სასიამოვნო საკითხავ ნაწარმოებადაც ხდის“.

ლევან მენაზღა

ივანი ჯავახიშვილი და ძველი ქართული მწერლობა

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე თარგმნა ევსტათი მცხეთელის მარტილოზა. მან (ა. მარნაქიან ერთან) წერილიც გამოაქვეყნა ამ ძეგლზე გერმანულ ჟურნალში, ხოლო შემდგომში საგანგებო ნარკვევი შეიტანა „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“. მისში ავტორმა ყურადღება გაამახვილა ევსტათის ცხოვრებასა და მისწამებრივ აღსასრულზე, სპარსეთსა და ქართლში ქრისტიანთა მდგომარეობაზე, უცნობი აგიოგრაფის მიერ მოწოდებულ პოლიტიკურ-ქრონოლოგიურ ცნობებზე, ნაწარმოებში მოცემულ სარწმუნოებრივ მოძღვრებაზე და ა. შ.

ნარკვევში, რომელშიც ი. ჯავახიშვილმა აბო თბილელის მარტილოზას მიუძღვნა, ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიცაა განხილული და აქა-იქ მის მხატვრულ ფორმასაცაა საუბარი, მაგრამ ავტორის მსჯელობას ნათლად ეტყობა, რომ მის მთავარ მიზანს ითან საბანისის ნაზრევის შეფასება და ქართულ საეკლესიო-საისტორიო მწერლობაში მისი როლისა და ადგილის გარკვევა წარმოადგენს.

ი. ჯავახიშვილის დასკვნით, იოანე საბანისძე ცნობილი მწერალი იყო და მას უთუოდ სხვა თხზულებანიც ექნებოდა დაწერილი. მან გარკვეული მიმართულება შექმნა ცხოვრებასა და მწერლობაში და თავისი თხზულება ჩვეულებრივი მოთხრობის სახით კი არ დაწერა, არამედ ორიგინალურად გაიზარა, გონივრულად დგებდა, თავებად დაყო და თვითღებულ თავში განსაზღვრული დედაზრი გაატარა. იოანე საბანისძე ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მწერალია, მას კარგად აქვს შეგნებული სამშობლოში შექმნილი რთული სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივი ვითარების საშიშროება, სწორად აქვს გათვალისწინებული ქართველთა ქოროვნული გრძნობის შესუსტებისა და არაბთა ძალმომრეობის ზრდის საფალო შედეგები და სწორედ ამიტომ ყურადღებას ამახვილებს აბოს ტრაგიკულ აღსასრულზე. ი. ჯავახიშვილმა ზავილგონივრულად შენიშნა, რომ იოანე საბანისძემ, — „თავისი ღრისი მისაბამი, სამავალითი ისტორიკოსმა“, — შეძლო ის, რაც ვერ შეძლო, მავალითად, ევსტათი მცხეთელის მარტილოზის ავტორმა: „ცხოვრების კერძო მოვლენაში მან საზოგადო-მნიშვნელოვანი გარემოება დაინახა“, კონკრეტულ-ისტორიული მოვლენა — აბოს წამება — განსაზღვრა და ქართველთა სამსჯავროდ გამოიტანა. მისთვის აბოს წამება იყო არა მხოლოდ აბოს ტრაგიკული აღსასრული, არამედ ქართველთა ავადიღი-ი აწმყო და მამასიტურებელი და კიდევ უფრო დანისლული მომავლის მაუწყებელი უაქტი. ამიტომაც მან საგანგებოდ გაამახვილა ქართველთა ყურადღება აბოს წამების მნიშვნელობაზე, თავისი ღრმა მსჯელობითა და „პოეტური სურათებით“ მკითხველს გაიტაცა, დააფიქრა და ეროვნული თვითშეგნების

გრძნობა გაუღვივა, თავის თანამოაზრეს დაინახა და აგრძნობინა არაბ დამპყრობთა ბატონობის სუსტი და სიმწვავე. **ქართული**

როგორც ცნობილია, ქართველთა მსახურის ლესივს შორის კარგა ხნის მანძილზე წარმოებდა სარწმუნოებრივ-დოგმატიკურ საკითხებზე კამათი და ბრძოლა, რაც გველენას აღედნა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ასე საეკლესიო მწერლობაზე. ი. ჯავახიშვილი გულმოდგინედ იკვლევდა საეკლესიო განხეთქილების საკითხებს. ბუნებრივია, მან სათანადო ყურადღება მიაქცია ცნობილ ანტიმონოფიზიტურ ტრაქტატს: „განყოფისთვის ქართლისა და სომხეთისა“, რომლის ავტორად გრიგოლ ხანათელის (759-861) მოწიფე და თანამოღვაწე არსენ კათალიკოსი (IX ს.) მიიჩნია.

ასევე დიდი გულისყურით ეკიდებოდა ი. ჯავახიშვილი ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას და მის ახასხველ წყაროებს, კერძოდ — ნინოს ცხოვრებას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 1898 წლის 15 დეკემბერს ი. ჯავახიშვილმა წარადგინა თავისი ნაშრომი: „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, რომლითაც დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქული არასდრის არ ყოფილა საქართველოში და ცნობები ნინოს მშობლბებისა და აღზრდის შესახებაც მერმინდელი შეთხულობა. ამ შრომამ ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებსა და სასულიერო წოდების წრეებში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია, რადგან იგი აქარწყულდა მანამდე არსებულ ზღაპრებს საქართველოს ისტორიის სფეროში. ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ ამ გზით საფუძველი ეყრებოდა ავადმითრ კვლევა-ძიებას. უნივერსიტეტის პროფესორთა სამბომ ი. ჯავახიშვილი ოქროს მედლით დააჯილდოვა და მისი შრომის გამოქვეყნება დაადგინა. მაღე იგი დაიბეჭდა როგორც ქართულად, ისე რუსულადაც.

ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნინოს ცხოვრების უძველეს რედაქციას, რომელიც ე. თაყაიშვილმა ახალი ევრაანტის სახელით გამოაქვეყნა, ხოლო იგი შატერდისეულს უწოდებდა. მან შესწავლა ძეგლის შედგენილობა, გაარკვია მისი არქიტექტონიკის აკარგინაობა, ამხილა კომპოზიციური ნაცლოვანებანი და ფსევდოეპიგრაფიკულობა (ყალბსათაურიაობა), დაახასიათა ნინოს ცხოვრების ავტორის წერას მეთოდები, წარმოაჩინა მისი ძირითადი მიზანდასახულობა, ნაწარმოები გამოცხადა ძველ ქართველთა აზროვნებისა და სულიერ მისწრაფებათა გასაცნობად საინტერესო ძეგლად, მაგრამ მისი საისტორიო ხასიათის ცნობების დიდი ნაწილის შეწყნარება შეუძლებელად მიიჩნია.

მოზრდილი ნარკვევები უძღვნა ი. ჯავახიშვილმა ქართული აგიოგრაფიის თვალსაჩინო



წარმოადგენლებს ბასილ ზარზმელსა და გიორგი მერჩულეს.

მან, როდესაც გამოქვეყნდა ი. ჯავახიშვილის შრომა ბასილ ზარზმელზე (1916 წ.), სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება არადაშავაყოფილებლად იყო გამოცემული, ამასთან გამოცემის წინასიტყვაობაში ბევრი საკითხი გულგრილად იყო გაშუქებული. ამდენად სწორედ ი. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა; მწერად მან შეაფასა ჯეროვნად აღნიშნული ძეგლი და გაარკვია მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ი. ჯავახიშვილი იყო პირველი მეცნიერი, ვინც საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ბასილ ზარზმელის თხრობის წესსა და მეთოდებზე. პა. წყაროებსა და საისტორიო ცნობათა დარბეულებზე. კიდევ უფრო მაღალი შეფასება მისცა ი. ჯავახიშვილმა ნ. მარს მიერ „სელჟუკი“ მოპოვებულსა და „საუცხოვოდ“ გამოცემულ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას. მკვლევარმა იგი მიიჩნია „ფრიალ საყურადღებო და რწირფას საისტორიო თხულებად“ და გაამახვილა ყურადღება მის მხატვრულ ფორმას. მისი დაკვირვებით, ნაწარმოების ავტორი „ერად გაცნობს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი ეტაპის გამოჩენილ პირველ მოღვაწეებსა და იმ დროის ისტორიულ-კულტურულ ვითარებას. იგი ძირითადად საქართველოში გაბატონებულ ქრისტიანულ-ოფიციალურ იდეოლოგიას ატარებს, მისი „თხულებსა თავიდან ბოლომდე მონაზონებს ცხოვრების ალტაცებითა და ამაყ გრძნობით არის გამსჭვალული“, მაგრამ ავტორი „ასთანვე ალტაცებით შეჰხარობს ბუნების ლამაზსა და მომხიბლავ სურათებს“, „დიდი პოეტური ნაჭით იყო დაჭოლილი, სხვაგვარადაც მარტო საეკლესიო და საშინაო ცხოვრებით არა აქვს დაბნული მხედველობა“. ი. ჯავახიშვილმა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება „მხოლოდ პირველხარისხიან საისტორიო წყაროდ მიიჩნია და გაარკვია მისი ჩვენეთა დიდი ღირსება თუ წყაროები, არამედ იგი აღიარა დიდ მხატვრულ ტილოდ, რომლის ავტორს ეხერხება ბუნების სურათების ხატვა და მიქმედ გმირთა ფსიქოლოგიური განცდების აღმოცენა.

გიორგი ათონელის (1009-1065) მრავალმხრივ მოღვაწეობა, მისი მონაწილეობა ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ზრუნვა მშობლიურ ერის სულიერ განსაზღვრებასა და კულტურულ-საზოგადოებრივ დამოუკიდებლობის დაცვაზე ყოველთვის იქცევა ი. ჯავახიშვილის ყურადღებას. მკვლევარმა კარგად წარმოგვიდგინა გიორგი ათონელის შემოქმედებითი საქმიანობა და ნათლად წარმოაჩინა მისი პირველადი როლი ქართული კულტურის

ისტორიაში. ი. ჯავახიშვილის დასკვნით, გიორგი ათონელი არა მხოლოდ „შესანიშნავი მთარგმნელი“ იყო, არამედ „გამოჩენილი ისტორიკოსი“. მისი ორიგინალური ნაწარმოებები, რომელიც იოანე და ექვთიმე ათონელების თავგადასავალს გვაცნობს, „უაღრესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანი, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართული და მომხიბლავი გულწრფელი კოლოტი ნაწერია იგი სამართლიანად ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს“¹¹

ი. ჯავახიშვილმა გიორგი ათონელის განსაკუთრებულ ღვაწლსა და აღიარა ის გარემოება, რომ მწერალი არ შემოიფარგლა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს თავგადასავლის გადმოცემით, მან გამოიყენა სათანადო წყაროები და შემოქმედული გადმოცემები, ოსტატურად მოიმარჯვა ნივთიერი საბუთები, ვრცლად ასახა ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა, დაადასტურა ქართველთა უფლებები ათონის მონასტრზე.

კალკე უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის ნარკვევი ეფრემ მცირეზე (XI ს.). მკვლევარმა კრიტიკულად გააანალიზა წყაროთა ჩვენებათა ეფრემის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, საფუძვლიანად გააშუქა მისი ორიგინალური ისტორიულ-აგიოგრაფიული ნაწერები, კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, ვრცლად დააბასათა მისი მთარგმნელობითი პრინციპები და მეთოდები და ბუნებრივად დაასკვნა, რომ „ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუბოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგისა და ისტორიკოსი იყო.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ი. ჯავახიშვილის ნარკვევი: „ნიკოლოზ კათალიკოზი“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის მოზრდილი ნაშრომი: „აღმაიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“, რომელშიც თანმიმდევრობითაა განხილული სამი საკითხი: მოძღვრება აღმაიანზე, აღმაიანის სოციალ-ეთიკურ იდეალები, აღმაიანი ვითარება მოვლადე. ავტორი უხვად იმოყმება ძველი მოღვაწეების თხულებებს, — ორიგინალურსა თუ ნათარგმნს, — და მათზე დაყრდნობით ზუსტსა და სრულ პასუხს იძლეოდა დასმულ საკითხზე.

ასეთივე გულსსხივებით განიხილა ი. ჯავახიშვილმა კოლაელთა მარტვილობა, კოსტანტის მარტვილობა, გობრონის მარტვილობა და სხვა ძეგლები.

¹¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 14.

ლევან მანაშაძე

იზანი ჯამახიშვილი და ძველი ქართული მწერლობა



თავის ზანგარდლივი კვლევა-ძიებით მიღებული შედეგები ი. ჭავჭავაძელმა დასკვნის სახით ასე ჩამოაყალიბა: „ქართული საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: იოანე საბანისძეს, რომელმაც თავისი შრომა გარკვეულ გეგმაზე ააგო და ცხოვრების კერაში მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანი გავრცელება შეინიშნა და თავის თანამედროვეებსაც დაანახავ; ბასილ ზარზმელს, რომელსაც თხრობის წესისა და მეთოდების შესახებ საყურადღებო ცნობები მოუბოვებ; განსაკუთრებით კი გიორგი მთაწმინდელს, რომელსაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უაღრესად განავითარა და მისაბამი მაგალითი შექმნა; გიორგი ხუციშინაშონს, რომელმაც ღვაწლის შედარებით მოფხვრება პირველად შემოიღო ქართულ მწერლობაში, და, რასაკვირველია, ფვრემ მცირეს, ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდებზე და ტექნიკის საუკეთესო თეორეტიკოსსა და ჩვენში ანალოგიის შემომღებს.“¹²

„ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხებში“ დაბეჭდილია რამდენიმე წერილი საერთო-მხატვრული ლიტერატურის შესახებ. შედარებით დიდი ადგილი ეთმობა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. ასეთია, მაგალითად, „შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო“, „Личность и мировоззрение“, „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“, „ვეფხისტყაოსნი“ ახალი გამოცემის ირგვლივ“, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანის“ ანარეკლი „ვეფხისტყაოსანი“, „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“ და სხვა.

ამ შრომების გაცნობა ნათელყოფს, რომ ი. ჭავჭავაძელმა მუშაობის დიდი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიური პრობლემების დაძვრებაში. მკვლევარს აინტერესებდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა და გამოცემების ღირსება-ნაყოფიანებანი, პოემის ტიპი და მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები, ავტორის ენობა და მოღვაწეობის ხანა, მისი ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა და ა. შ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ი. ჭავჭავაძის წერილი: „შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო“, რომელიც ცხადყოფს, რომ ღვაწლმოსილ მეცნიერს „გული სიხარულითა და ექაოფილებით აევსო“, როდესაც გაიცნო საქართველოს კ (პ)

12 ი. ჭავჭავაძე ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 5-56. ი. ჭავჭავაძის რუსთველოლოგიური შეხედულებანი ახლახან მოკლედ განიხილა ი. მეგრელიძემ (იხ. მისი რუსთველოლოგიები, თბ., 1970, გვ. 112-224).

ეცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება რუსთველის მემორიალური დღესასწაულის თაობაზე.

ი. ჭავჭავაძის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ „იმ მოღვაწეთა შორის, რომელთა ღვაწლი და შემოქმედება ქართველთათვის სამარადისოდ დაუვიწყარი დარჩება, რომელთა ქმნილებასათვის ვერც დროთა ცვალებადობასა და ვერც სივრცის ვერაფერი დაუქლია, ერთი პირველი ადგილთაგანი, უმკველია, შოთა რუსთაველს ეკუთვნის“¹³ ასეთი აღმომჩინი, ასეთი შემოქმედი კი ღირსია იმისა, რომ შთამომავალთა ყველაფერს აკეთებდეს მისი სიღაღის წარმოსახვად; მეცნიერი ერთგვარი უკმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „ქართულ მეცნიერებას თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე ზნეობრივი მოვალეობა მოხდელი არა აქვს“.¹⁴ აღნიშნული გავრცელების გამო რუსთველისა და ქართველი საზოგადოებრიობის ურთიერთობის საკითხი ი. ჭავჭავაძის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. მან სწორად გაითვალისწინა, რომ ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“ ყველა „ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შეხედია“. თუ, ერთი მხრივ, პოემას გამოუჩნდა ბევრი თავყვანისმცემელი და მადიდებელი, მეორე მხრივ, იყვნენ „ძლიერი მოწინააღმდეგენი უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის“. მოწინააღმდეგეებს რუსთაველის „მომხიბლავი ნაწარმოების“ მოსპობა არ შეეძლოთ, მაგრამ „იმედენი ძალა მანც შესწევდათ, რომ ამ გენიოსი მგოსნის სახელი, ვინაობა და ღვაწლი აცუქნეთა განმეგობაში წყვილიდით ყოველიყო მისილი და იმდროინდელი ცხოვრებას მომხიბლავის საისტორიო თხზულებებში მისი ხსენებაც კი არ გამოჩენილიყო“.¹⁵

ი. ჭავჭავაძელმა მკითხველთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თამარის ისტორიკოსთა ნაწერებში არსად გვხვდება ხსენება რუსთველისა და მისი პოემისა და ამის ახსნა-რუსთველის გარშემო გაჩაფხული ბრძოლით მოიწადინა.

„ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი შესწავლის წინაპირობად ი. ჭავჭავაძის პოემის ხელნაწერთა გულდასმით შესწავლასა და მეცნიერულ ანალიზზე დამყარებული კრიტიკული გამოცემა მიიჩნა. მას ერთგვარად აოცებდა რუსთველოლოგიაში აღმოცენებული თეორიების სიმრავლე არსებულ ვითარებაში — როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულ დადგენისა და მეცნიერულად გამოცემის საქმეში მიუტყვებელი ჩამორჩენილობა შეინიშნებოდა. ბევრ ხელნაწერში გვხვდება სხვათა

13 ი. ჭავჭავაძე ი, ქართული ენა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 5.
14 იქვე, გვ. 11.
15 იქვე, გვ. 6.



მარ შეთხზული სტროფები. პოემის კეთილის-
შერეგებსა და მტრებს არაერთი სტროფი
საფერით ხელნაწერთა ეკლზე. შემდგმა გა-
ლაღებებმა ყოველივე ეს საერთოვე ტექსტში
შეატანეს და დღეს ძნელი გასარკვევია, რა
კუთხის რუსთველს და რა სხვას. ამ მიმარ-
თლებით ნაყოფიერი შემოაბა ჩაატარეს ეპი-
ტან მეექვსემ, „ქართულ მწერალთა და ინ-
ტელიგენტთა წრემ ი. ქაქავაძის მეთაურო-
ბით, ა. სარაჯიშვილმა, ნ. მარმა და სხვებმა,
მკრამ ძირითადი ნაწილი ნაკლადვე დარჩათ.

ი. ჯავახიშვილმა მოკლედ, მაგრამ კმაყოფი-
ლებს გრძნობით დახასიათა ჩვენში წარმოე-
ბილი რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება, სი-
ხრელთა აღნიშნა, რომ „შოთა რუსთაველის
დღევანდელი კმნილების შესწავლა წარსულთან
რეალური გატოვებულა, ძალიან დაწინაურდა
ეს უნდა არაერთი ძვირფასი მონაპოვარიცა
გვქვს შეძენილი“, მაგრამ ისიც დასძინა, რომ
„მოკლე მსჯელობა წინანდებურად პოემის
„დღევანდელი ტექსტებზეა დამყარებული“. 16
მოტივად მას ყველაზე საშუაო საქმედ „ვეფ-
ხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემა
ჩაანდო.

რუსულად გამოქვეყნებულ წერილში: „Лич-
ность и мировоззрение“¹⁷, რომელიც ინგლისუ-
რულად დაბეჭდა,¹⁸ ი. ჯავახიშვილმა მოკლედ,
ბოლო შემოკლებულად მოგვცა თავისი შეხე-
დებები რუსთველის პიროვნებაზე, განათლე-
ბაზე, მღვდელმთავრობის ხანაზე, არმოღწეულ თხუ-
ლებზე და ა. შ.

მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი —
შოთა რუსთველი დაბეჭდვით მიიჩნია თამა-
რის ხანის მოღვაწედ, საგანგებოდ გაამახვილა
ყურადღება მის სოციალურ წარმომადგენლასა
და მღვდელმთავრობაზე, ნათელყო პოეტის სიმპა-
თიები რაინდული წრეებისადმი, გამოავლინა
მისი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულება-
ნი, განიხილა პოემაში პანთეონის ელემენტე-
რის არსებობის საკითხი, დაახასიათა რუსთა-
ველის თვალსაზრისი სიყვარულსა და მეგობ-
რობაზე, გახაზა განსაკუთრებული პატივისცემა
მწიფილენისადმი და წარმოაჩინა ძმობა-მე-
გობობის ყოვლისშემძლეობა.

მოხსენებაში „რუსთაველის ეპოქის სოცი-
ალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოს-
ნი“, რომელიც ი. ჯავახიშვილმა საბჭოთა მწერ-
ლების კავშირის V პლენუმზე წიკითხა 1937
წლის დეკემბერში, საგანგებოდაა გამახვილე-
ბული ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ კავშირ-
ფართობებზე იმდროინდელი საქართველოს
სოციალურ კულტურასთან, მოცემულია მსჯე-
ლობა პოემის ტიპაჟზე და ა. შ. ი. ჯავახიშვი-

ლის აზრით, „რა თქმა უნდა, გენიალური პო-
ეტის კმნილება პოლიტიკური ტრაგედიის რა-
დია“, მასში ყველა საკითხის წამოჭრა ავტორსა-
ბრ შეეძლო, მაგრამ „კმნიდა რა დიად მხატ-
ვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწუვე-
საკითხებით აღელვებული, თავის უკვდავ ნა-
წარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს,
ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეას,
რომელთა სრული გამოარკვება მას სურდა ეხი-
ლა მაშინდელ საქართველოში“.¹⁹ მკვლევარმა
საგანგებოდ აღნიშნა, რომ მატერიალური კულ-
ტურის თვალსაზრისით პოემაში გადმოცემუ-
ლია ზოგიერთი ისეთი პირობა თუ ჩვეულება,
რომელიც მაშინდელ საქართველოში იყო გავ-
რცელებული. პოემის გმირები, მართალია, უც-
ხოელები არიან, მაგრამ მათში „ქართველის
გული ძვრს“.

თავის წერილებში ი. ჯავახიშვილი ხშირად
მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებზე.
მაგალითად, რამდენჯერმე შეეხო იგი პოემის
ვახტანგისეულ გამოცემას, დაახასიათა გ. ქარ-
თელიშვილის გამოცემის ავტორიანობა და სხვ.
მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი „ვე-
ფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ
— გამოხმაურება, იმ დისკუსიისა, რომელიც გა-
მოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამო-
ცემაში. მასში ავტორი სპეციალურად განიხი-
ლავდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკი-
თის და ასკენიდა: „ვახტანგ მეექვსის გამოცე-
მა ძველს ხელნაწერულს ტრადიციებზე უნდა
იყოს დამყარებული და ინდოხატეულთა ამბა-
ვრ და მასზე უწინარესი რამდენიმე ტიპიც
გერმინდელი დანართია“.²⁰

ი. ჯავახიშვილის ყურადღების მიღმა არ დარ-
ჩენილა რუსთველოლოგიის ისეთი მტკივნეუ-
ლი საკითხი, როგორიცაა „ვეფხისტყაოსნის“
სიუჟეტის წარმომადგენლობა. საყოველთაოდ ცნო-
ბილია, ძველთაგან როგორი კამათს იწვევდა ეს
საკითხი ჩვენს საზოგადოებრიობაში. ამ კამათს
ვერც ი. ჯავახიშვილი გადაურჩა. ერთხანს იგი
ნ. მარს უჭერდა მხარს და „ვეფხისტყაოსნის“
სიუჟეტს სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნე-
და.²¹ შემდგომში ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა
სპეციალურ ნარკვევში — „ვეფხისტყაოსანი“,
რომელიც პირველად 1956 წელს გამოქვეყნ-
და.²² აქ ი. ჯავახიშვილმა დაწვრილებით განი-

19 ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერ-
ლობის ისტორიის საკითხები, გვ. 19.

20 ი. ქ. ვ. ი, გვ. 30.

21 ი. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეც-
ნიერება, თბ., 1904, გვ. 41-42 დაშმა.

22 ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერ-
ლობის ისტორიის საკითხები, გვ. 31-47.

16 ი. ქ. ვ. ი, გვ. 10.
17 ი. ქ. ვ. ი, გვ. 13-15.
18 „Georgica“, № 4-5, (1937), B. 10-12.

ლევან მინაშვილი
ივანე ჯავახიშვილი და მკვლევარი
ბატონი მწიფილობა

ხილა ნ. მარის თვალსაზრისი რუსთველის მამ-
ალიანობისა და XIV საუკუნეში ცხოვრების
შესახებ და კატეგორიულად უარყო მისი შეწყ-
ნარების შესაძლებლობა, დაიმოწმა რუსთვე-
ლის ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სპარსუ-
ლობის შესახებ და გააანალიზა სხვადასხვა
მკვლევართა შეხედულება ამ საკითხზე, საგან-
გებოდ შეისწავლა რუსთველის ცნობები სპარ-
სეთის შესახებ და დაასკვნა, რომ ამ ცნობებ-
ში „შეუძლებელია აღამაინა არ შეამჩნიოს
ინდოელთა ეროვნული გრძნობისა და ხვარაზმ-
შა-სპარსთადმი ძლიერი სიძულვილის ცხადი
გამოხატულება... რაკი „ვეფხისტყაოსანში“
სპარსეთსა და სპარსთა სამეფო სახლს ასეთი
მეორეხარისხოვანი და დამამცირებელი აღვი-
ლი ქვეს დათმობილი და პოემა სპარსელები-
სადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის
გამსვენებული, საეჭვო და შეუძლებელია, რომ
რომ იქ მოთხრობილი ამბავი სპარსული იყოს.
დღედაზრითა და პოლიტიკური მრწამსით მას
სპარსული არაფერი აქვს“.²³

ი. ჯავახიშვილის ნააზრევში აქა-იქ გვხვდება
ზოგი რამ საკამათო თუ პიპოთეზური, მაგრამ
ეს გარემოება, რასაკვირველია, ოდნავადაც
გერ აყენებს ჩრდილს მის ლაწლს.

²³ ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერ-
ლობის ისტორიის საკითხები, გვ. 31-47.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვა-
ლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

1. დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჯავახიშვი-
ლი თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ყოველ-
თვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს
და ძველ ქართულ მწერლობას. ჩვენი სახელო-
ვანი წინაპრების მიერ შექმნილი ლიტერატუ-
რული საგანძური მისთვის წარმოადგენდა
მნიშვნელოვან პირველწყაროს ქართველი ერი-
ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად
და მტკიცე საბუთს ქართველთა კულტურული
მოწიფულობის წარმოსაჩენად.

2. ძველი ქართული მწერლობა აღრევს აღ-
მოჩნდა ი. ჯავახიშვილის ინტერესთა სფერო-
ში. მისი პირველი ნაბიჯები მეცნიერულ-მე-
მოქმედებით ასპარეზზე უშუალოდ დაკავშ-
რებულია ძველი ქართველი წერილობითი კუ-
ლტურის ძეგლებთან.

3. ზღნაწერითა აღწერითა და მათში შემო-
ნახულ ძველ თხზულებათა პუბლიკაციებითა
და თარგმანებით, განსაკუთრებით თავისი ის-
ტორიულ-ლიტერატურული ნარკვევებით ი. ჯა-
ვახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ძველი
ქართული მწერლობის მეცნიერულად შესწავ-
ლასა და მისი კულტურულ-შემეცნებითი მნიშ-
ვნელობის წარმოჩენაში.



ნოღაქ ასათიანი

მე 15-18 საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხები

მეტად მძიმე იყო გვიანი საუკუნეების ფეო-
დალური საქართველოს საშინაო და საგარეო
პოლიტიკური პირობები. XV საუკუნის 60-ანი
წლებიდან ერთიანი ქართული ფეოდალური
სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა მთელ რიგ
ფაქტორებზე პოლიტიკურ ერთეულებად —
საქუთ-სამთავროებად. ამ პროცესს უშუალოდ
გულისხმობდა საგარეო მდგომარეობის მკვეთრი
უკუხრახტი. 1453 წლის 29 მაისს თურქ-ოსმა-
ლებმა სისხლისმღვრელი ბრძოლებით აიღეს
მანისის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და
ამით ბოლო მოუდეს ერთ დროს მსოფლიო
აზიის პრეტენზიების მქონე „მეორე რომს“.
საბუთის მალაგანეთარებულ სახელმწიფო-
თს საქართველოს საუკუნეების მანძილზე
მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულ-
ტურული ურთიერთობა ჰქონდა. კონსტანტი-
ნოპოლის კედლებთან ბრძოლაში დაეცა ბიზან-
ტიის უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე
II, რომელსაც აღარ დასცალდა დაქორწინე-
ბულიყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი
სეფს გიორგი VIII-ის ასულზე. საქართველო
იძულებად დასავლეთის სამყაროს. მასსა და ევ-
როპის შორის ბარბაროსული ოსმალეთი გაღა-
მობა, რომელიც თავის მეზობლებს მხოლოდ
სასაბუთად უყურებდა. უშედეგო აღმოჩნდა
ქართველი და დასავლეთეობელი პოლიტი-
კოსების მცდელობა ერთიანი ძალით განედევ-
ნათ ოსმალელები საბერძნეთსა და წინა აზიიდან
(1459-1461 წწ). ამის შემდეგ ევროპის ცალ-
კუთრი სახელმწიფოები ოსმალეთთან მორიგე-
ბას არჩევენ. ამ შეუთანხმებლობით სარგებ-
ლობენ ოსმალეები და კიდევ უფრო აფართოე-
ბენ თავიანთ დამპყრობლურ ბრძოლებს. 1461
წელს თურქებმა ბოლო მოუდეს ტრაპიზონის
იმპერიასაც. მალე მათი გავლენა გავრცელდა
უბრძვლად, ჩრდილოეთ კავკასიაზე. ოსმალთა წა-
კეცებით მთიელი აზრებები იწყებენ თავისუ-
ფებს ფეოდალური შინაომებით მოკულ საქარ-

თველოზე და იტაცებენ ოსმალეთის ბაზარზე
ასე ძვირად ღირებულ ტყვე-აღამიანებს. მალე
ოსმალეთი უშუალოდ მოადგა საქართველოს და
ჩვენი ქვეყნის დამპყრობა მისი მტაცებლური
საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა.
XVI საუკუნის ბოლოს მათ მიიტაცეს სამცხე-
საათაბაგო, დაიწყეს ბრძოლები იმერეთისა და
საქართველოს სხვა მხარეების საბოლოოდ და-
საპყრობად...

არანაკლებ მძიმე იყო საქართველოს საგა-
რეო მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთის
მხრიდან. აქ, ირანისა და აზერბაიჯანის ერცულ
ტერიტორიაზე XVI საუკუნის დასაწყისიდან
ჩამოყალიბდა სეფიანთა ძლიერი ყიზილბაშუ-
რი სახელმწიფო, რომლის სათავეში მდგომარე
მომთაბარე-თურქმანი ტომები იწყებენ გააფთ-
რებულ ომებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში
გასაბატონებლად.

სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართვე-
ლო ჰქონდა მაინც არ უხრის ძლიერ დამპყრობ-
ლებს, იბრძვის თავისი საზოგადოებრივი წყო-
ბილების, კულტურის, სახელმწიფოებრიობის
(„ქართველობის“) შესანარჩუნებლად. ამ უთა-
ნისწირო ბრძოლაში ქართველ პოლიტიკოს-
თა ერთადერთ რგალურ იმედად რუსეთის მზარ-
დი სახელმწიფო ჩანდა. „ბარბაროსული ფეოდა-
ლიზმის“ საფუძვრზე შერჩენილი ირანისა და
ოსმალეთის სახელმწიფოებთან შედარებით გა-
ცილებით უფრო პრაგმატული რუსეთი თან-
დათანობით უახლოვდებოდა ამიერკავკასიას.
მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საკითხი
ხდება აღმოსავლეთის ბაზრებზე ფეხის მოკი-
დება და ამ საქმეში ევროპის ქვეყნებ-
თან შემეტოქება. რუსეთის მმართველმა
წირებმა ხალისით წარმძღვარეს აღმოსავ-
ლეთის ქრისტიანი ხალხების მფარველო-
ბის იდეა და მოსკოვი „რესამე რომად“ გა-
მოაცხადეს. საქართველო იყო ერთ-ერთი პირ-
ველი, რომელმაც რუსეთი იცნო მაჰმადიანთა

მიერ დაძალებული ქრისტიანული ქვეყნების გამათავისუფლებელ ძალად, მართლმადიდებლური სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად და ბიზანტიის შემცვიდრედ. ჭერ კიდევ XV საუკუნის ბოლოს აკეთების მეფე ალექსანდრე I მიმართავდა მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-ეს, როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანთა ერთადერთ მფარველს, ხოლო XVI საუკუნეში უკვე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა საქართველოს ამბეზში რუსეთის აქტიურად ჩასხმად. მოკლევნების ასეთი განვითარება კიდევ უფრო აშმაგებდა ოსმალეთსა და ირანს. ისინი ზედზედ ცლიან საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს. მაგრამ მათი მიზანს — საქართველოს ოსმალურ საჩაყად ან ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევა — მოუღწეველი რჩება. შაჰ-აბასი თუ შაჰ-სეფი, ნადირ-შაჰი, თუ რომელიც გენბაუთ ან პერიოდის ოსმალთ ხონთქარი ხან სისხლისმღვრელი რეპრესიებით, ხან დაყვავებით და ქვეყნის შიგნით რეაქციული ძალებითავე ხელის შეწყობით ცდილობდნენ თავიანთი განზრახვა ბოლომდე მიეყვანათ, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს ზურგად რუსეთი მიაჩნდათ და მტრის ყოველგვარ ცდებს შეუთრგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შეინიშნავდა „ქართულ ფეოდალურ რეაქციის თვალს ერან-ოსმალეთზე ეჭირა, პროგრესული ძალები საქართველოს გამოხსნა-აღდგომის საქმისათვის ბრძოლაში, საქართველოს პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა“.

საბჭოთა კავშირის ზალბებთან საქართველო
ერთიერთობის ისტორიის საკითხების შესწავ
ლა. განყოფილების მუშაობაში ტანსაცმელზე
ლი ყურადღება დაეთმო რუსეთში საქონელ
ლოს ერთიერთობის ისტორიის საკითხებს.
მომართულებით უკვე გარკვეული წარმატებ
ბია მოპოვებული. 1970 წელს გამოქვეყნდა
განყოფილების მიერ მომზადებული კრებუ
ლ „ქართული სამეფო-სამთვარეობის საგარ
ო პოლიტიკის ისტორიიდან“, 1, რომლის მიმოხ
ვასაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

საქართველოს წარმომადგენლების მოწოდება ამ კრებაში და მათ მიერ დაკავებულ პოზიცია უკანასკნელ დრომდე არ იყო სათანადოდ შეფასებული და ახსნილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. თ. ყუთუნძაძემ პირველმა სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხები. ბერძნულ-ლათინური, რუსული და ქართული წყაროები მონაცემების შეპირისპირებით იგი ადგენს საქართველოს დელეგაციის შემადგენლობას. ისინი იყვნენ თბილეთ-მანგლელი ეპისკოპოსი გრიგოლი და იოანე და ერთიც ქართველი თავადი, რომლის სახლის დადგენა ვერ ზღადავდა. როგორც ავტორი უჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გადარჩანილი ჰქონდა მტად მძიმე პერიოდი ჯერ მონღოლთა ბატონობისა და შემდეგ თემურ-ლენგის სისლანის შემოსევებისა, მისი ეკლესია მაინც სარგებლობდა ღიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით მაშინდელს მსოფლიოში. მართლმადიდებელთა ეკლესიის ჩამოთვლისას საქართველოს წარმომადგენლები დაყენებული არიან მესხეთ ადგილზე თთბი მსოფლიო პატრიარქის შემდეგ, ისინი ღიდის პატივისცემით იხსენიებიან არა მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მესხურთა მიერ, არამედ, განსაკუთრებით, მაშინდელს რუსულ საეკლესიო ლიტერატურაში. ასეთი ავტორიტეტი საქართველოს ამ წარმომადგენლებს მოპოვებული ჰქონდათ თავიანთი მტკიცე პოზიციით მართლმადიდებლობის დაცვის საქმეში და, აგრეთვე, ფართო განათლებითა და შესანიშნავი მეცერმეტყველების უნარით. ამ მხრივ საყურადღებოა რუსულ საეკლესიო მწერლობაში დატული ცნობები ფერაონ-ფლორენციის საეკლესიო კრებაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ, და როგორც ავტორი შენიშნავს, «ეს თხზულებანი და მათ მიერ საქართველოს დელეგაციის უნდის მიმართ უპირობო და მოთხოვნილობის ჩვენება საინტერესოა».



საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის
საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის

რუსთა ზენთვის იმდენად, რამდენადაც ერთი-
ცა და მეორეც იმდროინდელი რუსეთის ოფი-
ციალური ლიტერატურის ნიმუშებს წარმოად-
გენს, იმ ლიტერატურისა, რომელიც ავითარებ-
და იდგას „მოსკოვი — მესამე რომის“ შესა-
ხებ და აღცხადებდა რუსეთს მსოფლიო მასშტა-
ბით მართლმადიდებლობის მფარველად. რუსი
პოეტები ამ ნაწარმოებებში პოეტურად აღ-
ივსებენ მიტროპოლიტის ისიდორეს, რომელ-
მაც ხელი მოაწერა უნიის და ამავე დროს პა-
ტრიარქის მოიხსენიებდნენ საქართველოს,
რომელმაც არ სცნო პაპის პრიმატი“. მკვლევარ-
ის განცხადებით, რუსეთის დღევანდელი, რო-
მელიც თავის მხრივ იძულებული შექმნილა ხე-
ლ მოეწერა ეკლესიების გაერთიანების აქტზე,
რუსეთში დაბრუნების შემდეგ ყველას მოუ-
ხირობდა საქართველოს წარგზავნილების პო-
ლიტიკა და ამდენად საქართველო ცნობილი
შეიქმნა არა მხოლოდ მოსკოვით დიპლომატთა
გზით წრისათვის. ცნობები საქართველოს შე-
სახებ ვაგრცელდა უკრაინაში, ნოვგოროდში,
რიაზანში. საქართველოსადმი ინტერესის ზრდას
მოწივს ის ფაქტი, რომ რუსეთში ამ დროი-
დან იქმნებოდა და ვრცელდებოდა მთელი რი-
გი თქმულებებისა, რომელთა მოქმედი პირები
ქართველები არიან. ავტორი ასევე აღნიშნავს,
რომ ქართულ პოლიტიკოსთა ასეთი მკვეთრი უარყოფ-
ითი დამოკიდებულება უნიისადმი ემყარებო-
და მაშინდელი საერთაშორისო ვითარების სწორ
შეფასებას და მათ მიერ დაკავებულ რეალის-
ტურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რადგან
ქართველი პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ,
რომ დასავლეთ ევროპისა და რომის პაპს არ
შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია აღმოსავლე-
თს ქრისტიანი ქვეყნებისათვის.

ავტორი აკრიტიკებს მ. თამარაშვილის
თვალსაზრისს საქართველოსა და კათოლიკურ
სამყაროს შორის მუდამ კეთილგანწყობილი და-
პოკიდებულების შესახებ და საუბრობს სამარ-
ტლიანად ასევე, რომ ეს ურთიერთობა ზოგ-
ჯერ იცვლებოდა და ყოველთვის შეგობრული
არ ყოფილა. „საქართველოს მმართველნი წრე-
ებს მიდიოდნენ რომთან დასავლეთაზე მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ამას კარ-
გებოდა პოლიტიკური აუცილებლობა“.

გამოკვლევაში უაღრესად საყურადღებო სა-
კითხებია დაყენებული და შესწავლილი, რომ-
ლებიც დამატებით შექმნა ფენის საქართველოს
ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს. სამწუხა-
როდ, ნიჟეირმა მკვლევარმა ვერ მოასწრო სა-
თანადო სისრულით გამოკვლევა ეს საკითხები.
ამას მოწმობს მის მიერ შესწავლილი წყაროე-
ბისა და ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა,
რომელიც ამავე კრებულშია გამოქვეყნებული
და გვიჩვენებს, რაოდენ ფართოდ ჰქონდა
განხილული მკვლევარს ამ საკითხების შესწავ-
ლა. მის მიერ შესრულებული ეს სამუშაო უაღ-

რესად ძვირფასია და დიდ სამსახურს გაუწევს
მომავალ მკვლევართ.

მეორე წერტილი, რომელიც კრებულშია შე-
ტანილი, შეეხება საქართველო-რუსეთ-იარანის
ურთიერთობას და ბახტრიონის აჯანყების
პრობლემას. მისი ავტორია ისტორიულ მეც-
ნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ნაყაში-
ძე. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი
მნიშვნელობის მოვლენა იყო კახეთის 1659
წლის სახალხო აჯანყება, რომელიც ქართულ
ისტორიოგრაფიაში ბახტრიონის გმირული ეპო-
პეის სახელითაა ცნობილი. მან უდიდესი რო-
ლი ითამაშა ქართველი ხალხის ეროვნული მე-
ობის, „ქართველობის“ (ე. ი. ქართული სო-
ციალ-ეკონომიური წყობის და ეროვნული სა-
ხის) შენარჩუნების საქმეში. მაგრამ ამ აჯანყე-
ბასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ჩვენს
ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ დრომდე სა-
თანადოდ არ არის გამოკვლევული. ამდენად,
უაღრესად საყურადღებოა ნ. ნაყაშიძის წერი-
ლი, რომელშიც ავტორი განიხილავს საქართვე-
ლო-რუსეთის ურთიერთობას აჯანყების წინა
პერიოდში, კერძოდ, ამ ურთიერთობის ზეგა-
ვლენას საქართველოს მიმართ იარანის დამოკი-
დებულებაზე და აჯანყების მომწიფებასა და
შედეგებზე.

იარანის შაჰის მიერ ქართლში დასმულმა გა-
მაჰმადიანებულმა როსტომ ხანმა 1648 წ. ეი-
ზილბაშთა ჯარის დახმარებით დაამარცხა თეი-
მურაზ I და მისი სამფლობელო კახეთიც დაი-
კავა. როსტომის გამარჯვება ნიშნავდა მთელი
აღმოსავლეთ საქართველოს დაღვრას „მშვი-
დობიანი ირანისაჲცის“ გზაზე, რომელიც საზო-
ლოო ანგარიშით საქართველოსათვის მეტად
მძიმე შედეგები უნდა მოეტანა. იმერეთში
გადახვეწილი თეიმურაზი სასწრაფოდ უკავშირ-
დებოდა მოსკოვს და რუსეთის მეფისაგან მოი-
თხოვს საქართველოს ამბებში აქტიურ ჩაბე-
რებას. რუსეთთან ურთიერთობა რომ უფრო
შედეგიანი ყოფილიყო და რუსეთის ზეგავლენა
უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეგრძნო საქარ-
თელოს მიმართ, თეიმურაზი 1652 წელს მოს-
კოვის მეფის ყარზე გაზავნის თავის შვილს
შვილს, ერეკლე დავითის ძეს. რუსეთისაგან
მიმავალ ერეკლე დავითის ძეს და მის ამაღას
იმიერკავკასიაში შაჰის ბრძანებით თავს დაესხ-
ნენ ყუმუხები და ქართველი ბატონიშვილის
შეპყრობა სცადეს. ყარზე ერეკლე მისმა მხლებ-
ლებმა გადაარჩინეს. 1653 წ. იგი უკვე მოსკოვ-
შია. კახეთის ტახტის მემკვიდრის მოსკოვში
ჩასვლამ ირანი მეტად შეაშფოთა. შაჰი სამარ-
თლიანად შემოხდა, რომ დღეს თუ არა ზედა
რუსეთი საქართველოსთვისაც მოიცდოდა. იგი
მიმართავს ღონისძიებებს, რათა საქართველოს

ნოდარ აბატიანი
XV-XVIII საუკუნეების საქართველოს
საზღვარი პოლიტიკის ისტორიის საკითხები



ძლიერ მფარველს კავკასიისკენ მისასვლელში გადაუტეროს. მისი წაქეზებითა და ბრძანებით მარჯანის ხანი და იმიერკავკასიელი მამამლიქნი მფლობელებით თავს ესხმან იმიერკავკასიაში მდებარე რუსეთის ციხე-ქალაქებს და მათ ხელში ჩაგდებას ან განადგურებას ცდილობენ. შაჰმა დიპლომატიურ მანევრსაც მიმართა. მისი რჩევით რუსეთთან დაკავშირება სცდნა როსტომ ხანმა, რომ ამით რუსეთ-თეიმურაზის ურთიერთობაში ბზარი შეეტანა. მაგრამ რუსეთის იმჯერად საქართველოსთვის რეალური დახმარების გაწევა არ შეეძლო: იგი დასავლეთის რუსული იმპერიისა და უკრაინის გამო პოლონეთთან ომში იყო ჩაბმული. დრო კი არ ითმენდა... 1657 წ. 68 წლის თეიმურაზ მეფე რუსეთისკენ გაემართა, რათა თავისი პირადი ჩასვლით დაეჭვებინა რუსეთიდან სამხედრო დახმარების მიღება. 1658 წლის ივნისში იგი უკვე მოსკოვშია, სადაც მას დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ირანი გადაწყვეტი მოქმედებაზე გადავიდა. ჯერ კიდევ 1656 წელს შაჰმა კახეთი როსტომის ჩამოართვა და განჯის მფლობელს სელიმ ხანს ჩააბარა, „რაც გარკვეული ნაბიჯი იყო კახეთის დასაცავად რუსეთის ქაღის მოსალოდნელი გამოქრისიდან“. ავტორის მტკიცებით, ეს ზომა შაჰმა ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების საპასუხოდ მიიღო, ხოლო როდესაც რუსეთში თეიმურაზ მეფე I გაემგზავრა, შაჰ-აბას მეორემ კარდინალურად გადაწყვიტა კახეთის საკითხი: მან განიხნა თავისი მოსიხსლე წინაპრის შაჰ-აბას პირველის პოლიტიკა და კახეთში მომთაბარე თურქმანი ტომების დასახლება ბრძანა. ავტორი იზიარებს პროფ. ა. ცინცაძის მოსაზრებას და თავის მხრივაც ახალი ფაქტებით ასაბუთებს, რომ თურქმანთა ჩამოსახლება კახეთში ორსამ წელიწადს კი არ გრძელდებოდა, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო გაქმდე მდებარე, არამედ ეს მოხდა მხოლოდ 1659 წელს. შაჰის განზრახვით თურქმანები სიბოლოოდ უნდა დასახლებულიყვნენ კახეთში, მაგრამ ეს გამოიწვევა ადგილობრივი, შედარებით მაღალი სამეურნეო კულტურის მოშლას, ჩამორჩენილი სოციალურ-ეკონომიური ნორმების გაბატონებას. ამ აქტს წინ აღუდგა ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენა. აღსანიშნავია, რომ კახეთიდან თურქმანთა განდევნის საქმეში განსაკუთრებული აქტუოზა გამოიჩინა მთამ, კახეთის მთის მოსახლეობამ გადაწყვეტი როლი ითამაშა ბაქტრაონის აჯანყების ორგანიზაციისა და წარმატებით დამთავრების საქმეში. კახეთის მთის (თუშ-ფშაბ-ჯესურეთის) მოსახლეობა აჯანყების წინა პერიოდში რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარებას ცდილობდა და მისგან მოელოდა სამხედრო დახმარებას. რუსეთიდან მოწყვეტილი ერეკლე ბატონიშვილი დიდი ხნით თუშეთში გაჩერდა და აქედან დიწყო ბრძო-

ლა კახეთის დასაცავებლად. წარუქმდეშენი ბრძოლების შემდეგ იგი აქედან დაეპყრო თუშეთში ბაქტრაონის აჯანყების პერიოდში ქართველი პოლიტიკოსების რუსეთთან ურთიერთობის კვლევისას ბევრი ახალი საკითხი დგება რომელთა შესწავლა დამატებითი შუქს უნნს საქართველოს ისტორიაში ამ პეტად მწაწენ-ლოვანი მოვლენის სრულყოფილად შესწავლას საქმეს. ამის თვალნათელი მაგალითია ნ. ნაკაშიძის განხილული გამოკვლევა, სადაც ავტორმა ახლებურად წარმოგვთვინა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი ფაქტები.

ცნობილია, რომ გვიანი საუკუნეების ძნელბედობამ ქართული საბუთების დიდი ნაწილის განადგურება გამოიწვია, ამიტომ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ფაქტების აღდგენა-შესწავლა ხშირ შემთხვევაში საქართველომ ვარტ დაცული მასალებით თუ ხერხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუსეთის არქივებში დაცული საბუთები, რომელთა შესწავლამ არა ერთი ახალი ფაქტის დადგენის საშუალება მოგვცა. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ეპიზოდის გამოვლენა-შესწავლისადმი მიძღვნილი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ტიკაშის წერილი „ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“.

1667 წელს ნიკონის გასამართლებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩაივლენ აღმოსავლეთის მსოფლიო პატრიარქები მაკარიოს ანტიოქელი და პასიოს ალექსანდრიელი. მათ ამაღში ოთხი ქართველიც ერიო, რომელთა შორის მეკლევარის, ყურადღება აზნაურმა მათემ მიიპყრო. მოსკოვში ჩამოსვლამდე პატრიარქები საქართველოში იმყოფებოდნენ, საიდანაც მათ ეს ქართველი აზნაური გამოჰყოლიათ. ასტრახანში ჩასვლისას ამ მათემ თავი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის შემკვირდელ გამოაცხადა, მაგრამ იქ მყოფმა ქართველებმა უარყვეს ეს მტკიცება, რის გამოც მათ შორის დიდი ჩხუბი და კონფლიქტი წარმოიშვა. მოსკოვში ჩასვლისას მათეს უცდია რუსეთის მეფესთან უშუალო შეხვედრა აღდენ-ციაზე, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია. მას პატრიარქები და მოსკოვის მეფის კარზე მყოფი ერეკლე ბატონიშვილი უქმნიან დაბრკოლებებს. მათემ არა ერთი წერილით მიმართა მეფე ალექსი მიხეილის ძეს, რომლებშიც იგი საქართველოში თავის თავგადასავალს შემდეგნაირად გადმოვცემს: როდესაც ლევან II დადიანი გარდაიცვალა მათე 12 წლისა დარჩენილა. სამეგრელომ მთავრად შექმნილა ლევან II ძის შვილი ლევან III დადიანი, რომელსაც უცდია მათეს ხელთ გდება. მათე ქართლში გააპარეს და მის მამიდას ქართლის დედოფალს მარიამს შეავედრეს. ამის



შედეგ მათე ქართლში კარგა ხანს ცხოვრობდა, უფრო აქ ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი და შემდეგ პატრიარქის მოსკოვში წასაყვანად საეპისკოპოსოში იეროლიმის მღვდელი არ ჩამოვიდა. როგორც ცნობილია, პატრიარქი მაკარიოსი ანტიოქიის ქართლში ჩამოვიდა 1664 წ. თავის საპატრიარქოსთვის შესაწირავების შეტანის მიზნით. მას თან ახლდა მისი ეპისკოპოსი პავლე, რომელმაც რუსეთში ჩასვლის შემდეგ საქართველოს აღწერილობაც შეადგინა (საქართველოს აღწერილობა შედგენილი აქვს არაბულ ენაზე პატრიარქ მაკარიოსისათვის). 1665 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის მეფის მიერ მასთან წარმოგზავნილი იეროლიმის მღვდელი, რომელსაც ევალებოდა მოსკოვში წაყვანა პატრიარქი მაკარიოსი ანტიოქიის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მღვდელის, მათეს სახელი რომ გაუგება, ურჩევია, მოსკოვში წასულიყო და დახმარება რუსეთის მეფისათვის ეთხოვა. მღვდელის მეტად გაუჭირდა მაკარიოსის დაყოლივა მოსკოვში წასვლაზე, ეს უკანასკნელი უარს ამბობდა იმის გამო, რომ დიდძალი შესაწირავი ჰქონდა შეგროვილი და ჭკობდა თავის საპატრიარქოში დაბრუნებას. ამდგომარეობაში მღვდელი თავის თანმხლებ პირებთან ერთად შეეხებათ კი წასულა საქმეში ჩარეულა დედოფალი მარიამი, რომელსაც დაუყოლიებია პატრიარქი მოსკოვში გამგზავრებაზე და თან მათეც გაუყოლებია. მათე პატრიარქთან ერთად მოსკოვში ჩავიდა 1666 წ. ნოემბერში. მათეს მოსკოვში გამოჩენა არაღირდა სიამოვნებია ერეკლე ბატონიშვილის. მათეს მტკიცებით, კახელ ბატონიშვილს წაუტეხება მაკარიოსი ანტიოქიელი და პავლე, რომელსაც უსამართლო ბრალდება შეუდგენიათ და მეფე ალექსი მიხეილის ძესთან დაუტეხლებათ. რა ბრალდება წაუყენებიათ, არ ჩანს. მხოლოდ ცნობილია, რომ 1667 წ. ივლისში მათე და მისი მსახური ვაჟსამართლებლად ციმბირში გადასახლეს და ტომოსკოვში ზნამენსკის მამათა მონასტერში გამოკეტეს. მათე მაკარიოსისა და პავლეს მისდამი ასეთი მოქმედების მიზეზად იმას თვლის, რომ უკანასკნელებმა მოითხოვეს მარიამ დედოფლის მიერ მათეს ზედოვით რუსეთის მეფისათვის გამოგზავნილი სატყუარები. ჩვენი წერილის ავტორი თვლის, რომ მათეს ეს განცხადება საფუძველს მოკლებულია, რადგან არ შეიძლება მათეს ასეთი დიდი ვანძი (დაახ. 80.000 მანეთზე მეტი ღირებულებისა, როგორც მათე ამტკიცებდა) ჰქონოდა თან. ავტორი მსჯელობს: „ამ ცრუ განცხადებით მას ალბათ სურდა სამეფო კარი შეტეომაში შეეყვანა. მათესათვის ხელსაყრელი იყო გადასახლებიდან 9-10 წლის გასვლის შემდეგ თავისი უბედურების მიზეზად ერეკლე ბატონიშვილის სიხარბე დაესახლებინა, რათა არ შეესწავლინა მეფისათვის საქმის ნამ-

დგელი ვითარება, სახელდობრ ის, რომ 1666-67 წლებში ქართველმა უფლისწულმა და მკაცრმა პირებმა იგი ლევან დადიანის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1672 წლიდან მათე მოსკოვში წერილს წერილზე აგზავნის შეწყველების თხოვნით. მან ბერძნულ მიმართა (ტომოსკის ეპისკოპოსს) განუცხადა დიდი საიდუმლო ვიცი და მეფის მეტს ვერაფერს ვაუწყებელი. მის თხოვნა-განცხადებებს მხოლოდ ახალი მეფის — თეოდორე ალექსის ძის ტახტზე ასვლის შემდეგ მოაქცეეს ყურადღება და მათეს საქმის ახალი გამოძიება დაიწყო. მათე 1678 წ. მოსკოვში გამოყვანეს, ხოლო შემდეგ წელს მას სამშობლოში დაბრუნების ნებაც მისცეს. 1679 წ. ნოემბერში იგი თავისი მხლებლებით (ციმბირში მასთან ერთად გადასახლებული მსახური, ნაილი ყალმუხი) ბეჭით და მოსკოვში მიყვლდებოდა, ტყვეობიდან გამოქცეული მეგრელით) საქართველოსაკენ გამოემგზავრა, მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნება მაინც არ ედირსა. ასტრახანში მათეს სიყაბის ჩიღნა დააბრალეს. ამას სხვა რაღაც დანაშაულიც დაერთო და ბოლოს მოსკოვში იგი სიკვდილით დაუსჯიათ. თ. ტიუაძის წერილში წარმოდგენილი ამ მეტად საინტერესო ფაქტების საფუძველზე დგება არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, ჩანს რომ ვახტანგ მეხუთის კარი, მოუხრედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად ირანის ერთგულ ყმად ითვლებოდა, რუსეთთან საიდუმლოდ დაკავშირებას ცდილობს. ეს აზრი ჩვენ მაკარიოსის და პავლეს საქართველოში მოგზაურობისა და მათ მიერ შედგენილი საქართველოს აღწერილობების შესწავლის საფუძველზე დაგვეჩვენა. თ. ტიუაძის მიერ შემოთავაზებული მასალები ამას კიდევ უფრო ასაბუთებენ. ამ საკითხს ნაწილობრივ ქვემოთაუც განვიხილავთ, აშკარად ჩანს ერეკლე ბატონიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება ქართლის სამეფო კარის რუსეთთან დაკავშირების ცდისადმი. ყოველივე ამას გარდა, ახალ დეტალებით ივსება ჩვენი ცოდნა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ. არსებული მასალებით ვერ ხერხდება მათეს ვინაობის დადგენა. ავტორი მხოლოდ შესაძლებლად თვლის, რომ იგი ან ლევან დადიანის უკანონო შვილი იყო, ან ვინმე თვითმარტყვია. თ. ტიუაძე სამართლიანად მსჯელობს, რომ შეუძლებელია მათეს სამეგრელოს ტახტის ხელში ჩასაგდება მარტოს ემოქმედა, რომ მისი მოქმედება მის მომხრეთა დასის წინააღმდეგობრივად გვემხროს, მაგრამ ავტორს არსებული

ნოღარ ასათიანი
XV-XVIII საუკუნეების საქართველოს საბარბო პოლიტიკის ისტორიის საკითხები

მასალა ამ ვარაუდის დასაბუთების საშუალებას არ აძლევს.

როგორც ვხედავთ, წერილში წამოჭრილია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში დიდი მნიშვნელობისაა. მართალია მათი ნაწილი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება, მაგრამ ისინი აქ მოტანილი სახით საკმაოდ საფუძველს იძლევიან ამ საკითხებზე დაფიქრებას და შემდგომში კვლევარებს საშუალებას. მომავალში აღნიშნული დოკუმენტები სრული სახით შევა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა მასალების კრებულის სათანადო პუბლიკაციაში, რითაც საქართველოს ისტორიის მეცნიერებას საშუალება ექნებათ გაეცნონ მას და თავისი მოსაზრებები გამოთქვან იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრაზე ჩვენ ვერ შევძლებთ — შეინიშნავს დასასრულ ავტორი.

„უახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის“ — ასეთია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ დ. კაპარაძის ნარკვევის სათაური, რომელიც ამავე კრებულშია შეტანილი. ეახტანგ მეხუთე (შაჰ-ნავაზ I) ქართლში 1658-1675 წლებში მეფობდა. ეს იყო როსტომის შემდეგ მეორე შაჰმადიანი მეფე და ქართლის სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის მუხრანბატონთა შტოს ფუძემდებელი. გამაჰმადიანებული ბაგრატიონების ქართლში გამეფებით ირანის შაჰის კარმა ერთგვარად შეცვალა საქართველოში ქართველობის წინააღმდეგ აშკარა შეტევის პოლიტიკა და ქვეყნის თანდათან გამაჰმადიანება-ასიმილაცია დაიწახა მიზნად. საქართველოს მესვეურებს კი ეს ღრობებითი შესვენება ხანგაძლიერ ბრძოლებით მოღლილი ქვეყნის ფიზიკური თუ სულიერი ძალების აღსადგენად სურდათ. ირანის შაჰი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაეჩქარებინა ეს „მშვიდობიანი ირანიზაციის“ პროცესი, ქართველი პოლიტიკოსები კი იმუღებულნი იყვნენ შაჰის ერთგულ ვასალებად ელიაბიანთ თავი. ფართლად კი ქართული საქმე ეკეთებინათ, საქართველოს მომავლისთვის საბრძოლველად მოეზადებინათ იარაღი. შაჰის კარის ნამევილ განზრახვას და ქვეყნისთვის მძიმე შედეგებს პირველ რიგში სწორედ ესენი ხელდაუდნენ, ამიტომ ეს რჯულგამოცემილი თითქოსდა შაჰის ერთგული ყმები ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ფართულ მომზადებასა თუ აშკარა გამოსვლას მოთავეობდნენ. ასეთი „გამაჰმადიანებული“ და შაჰის „ერთგული“ ყმები იყვნენ ეახტანგ V (შაჰ-ნავაზ I), გიორგი XI (შაჰ-ნავაზ II), არჩილი (შაჰ-ნაზარხანი), ეახტანგ VI და სხვ. რომელთა მოღვაწეობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის ნამდვილი არსი მაშინდელმა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ, რა თქმა უნდა, სათანადოდ ვერ ასახა. ყოველივე ამის წარმო-

ჩენა და თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის შეიძლება სრული სახით გაგვიხსნას ისტორიოგრაფიის საპატიო ვალია. ამ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ზემოხსენებული წერილის ავტორი, დ. კაპარაძე განიხილავს ეახტანგ V-ის ურთიერთობას როგორც სხვა ქართულ სამეფოებთან (იმერეთის, კახეთის), ისე ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან და ცდილობს ახლებური შეფასება მისცეს ქართლის გამაჰმადიანებული მეფის საგარეო პოლიტიკას. ავტორი ეხება ეახტანგის გამეფების ამბავს, მის საშინაო ღონისძიებებს და ბრძოლას ურარ ფეოდალებთან, ქართლის საგარეო მდგომარეობას, ირანის სახელმწიფოს შედარებით დასუსტება-დაქვეითებას და შეინიშნავს, რომ „ეახტანგი კარგად სარგებლობდა ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ გაართულებებით და ცდილობდა შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. ეახტანგმა კარგად შეაფასა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, იცოდა, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს დაუძლურებისა იყო მისი სახელმწიფოებრივი დაშლა-დაქუცმაცება. ამიტომ თავდაპირველად ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა პოლიტიკურად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს შეკავშირება-გაერთიანება. ასეთ გაერთიანებულ საქართველოს, ბუნებრივია, მტერი და მოყვარეც მეტ ანგარიშს გაუწევდა. საქართველოს გაერთიანების იდეა, რომელიც ერთგვარად ჩამოყალიბდა იყო წინა საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალური გახდა გიორგი სააკაძის მოღვაწეობის დროიდან; თეიმურაზ I 1625-1632 წლებში გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფეა, გიორგი სააკაძე აღმოაჩინა საქართველოს საქმეებში იმერეთის მეფისა და სამცხის ჩაბმასაც ცდილობს, შემდეგში ამ იდეას დამარცხებული და იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზიც არ ეშვება და საქმის განხორციელებას რუსეთის დახმარებით ცდილობს. მის მტოქედ ეახტანგ V გამოდის, ამ უკანასკნელს ერთგვარი წარმატებები აქვს. გარეგნულად კი ეს ბრძოლა ქართლისა და კახეთის სამეფო დინასტიებს შორის ბრძოლად ჩანს. თეიმურაზ მეფის ერთგული მოკავშირე და თანამოაზრე იყო მისი სძლე, იმერეთის მეფე ალექსანდრე III, რომელიც 1660 წლის მარტში გარდაიცვალა. იმერეთის ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ბაგრატმა, მაგრამ მალე ბაგრატის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომელსაც მისი დედინაცვალი, თეიმურაზის ქალიშვილი დარეჯანი მეთაურობდა. შეთქმულებმა ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდეს და თავალები ამოსწვეს ამას მოჰყვა გაუთავებელი შინა ომი, რომელშიც მეზობელი ხელისუფლებანი ხშირად ერეოდნენ. ეახტანგ მეფემ ორჯერ ილაშქრა იმერეთში, რის შედეგადაც იმერეთი მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ეს ფაქტები და-



ხუტებით შესწავლას მოითხოვს. ჯერჯერობით ამ აზრების ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა კი არ არის დადგენილი. ეს გარეობა თავს იჩენს ზოგიერთ უზუსტობაში, ჩამოყალიბებული ავტორის შრომაში გვხვდება.

ავტორის ანტერესებს ვახტანგის იმერეთში აღმშენებლის საქათობა. ქართლის მეფის ეს ნაბიჯი მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს სხვა პოლიტიკურ ფაქტორებთან. მასზე მსჯელობას გათვალისწინებული უნდა იქნეს თეიმურაზ I-ის პოლიტიკა საერთოდ, მისი მოსოცოვ დაკავშირების ნამდვილი მიზანი, 1659 წლის კახეთის აჯანყება და შედეგები; ამ აჯანყების მოთავეთა შემდგომი მოქმედება და ზნეები. გამეფების პირველ წლებში ვახტანგ მეფის მოთავარი მიზანი იყო თავისი ხელისუფლების განმტკიცება. ამ საქმეში მისი დასაყრდენი შაჰის კარია და თვადარიველად შაჰის მანათი სამხედრო ერთეული ჩანს. მისი მოთავარი მეტოქე თეიმურაზ I იყო, რომელიც, მართალია, ხელმოკარული დაბრუნდა რუსეთიდან, მაგრამ აქ დახვდა აჯანყებული კახეთი, რომელიც მის დაბრუნებას ელოდა. იგი 1637-70 წლის მხოტეი იყო, მაგრამ ჰყავდა 2 შვილიშვილი და ერთგული მოკავშირე სიძე — აზრეთის მეფე ალექსანდრე III. საქართველოსკენ მომავალ თეიმურაზს ქალაქ სარატოვში აცნობეს, რომ იმერეთში მყოფი მისი შვილიშვილი, ყრმა ვთილ-მოსასადე გარდაცვლილიყო. თეიმურაზმა გვიდანვე გაუგზავნა თხოვნა რუსეთის მეფეს, რომ საქართველოში გაგზავნა მისი მეორე შვილიშვილი ერეკლე. ავადმყოფობით დაუძლურებული მხოტეი თეიმურაზის იარაღსხმულ კახეთში ჩასვლას აზრი არა ჰქონდა, ამიტომ იგი თავის ერთგულ მოკავშირე ალექსანდრესთან მიემართება იმერეთში, სადაც შეეძლო უშინარდ დაღუღეობა თავის ერთადერთ მემკვიდრეს ერეკლე ბატონიშვილს. ამასობაში გარდაიცვალა ალექსანდრე III, იმერეთის ახალ მეფეს, ბაგრატს ისეთი ხალხის აღარ ექნებოდა თავი გამოედო თეიმურაზის საქმეებისათვის. ჩანს მას თავისი დედინაცვლის გავლენისგან თავის დაღწევა და თურქეთთან დაკავშირება უცდია. დარჩენის შეთქმულება მხოლოდ მისი ბოროტი ბუნებით არ უნდა აიხსნას. მან ხომ მეფობა თავის მამას — თეიმურაზს შესთავაზა. თეიმურაზს კახეთის აჯანყების მეთაური ზაალ არაგვის ერისთავიც თხოვდა ჩასვლას: „ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი მემკვიდრე ბატონი არსად დარჩომილაო. მანდ ნუღაბარ, კახეთს ჩამოზრანდიოთ, ქართლიც თქვენი იქნებდისო“ (ფარსადან გორგიჯანიძე), ან, ასეთ ვითარებაში ამოქმედდა ვადამწყვეტად ვახტანგ V: მან ზაალ ერისთავიც მოაკვლევინა მის ძმისწულეს (1660 წ. 9 მაის) და იმერეთშიც ილაშქრა სადაც პირველ რიგში

თეიმურაზი ეგულებოდა. ისე გაუგებარი იქნება მისი იმერეთში ლაშქრობა როცა ზურგში აჯანყებული კახეთი ჰყავდა (ჩვენს ავტორს არასწორად მიაჩნია რომ აჯანყება კახეთში ამ ლაშქრობის შემდეგ მოხდა თუ მზადდებოდა. მის მიერ მოტანილ ცნობაში ხომ 1659 წლის კახეთის აჯანყებაზეა ლაპარაკი და არა სხვა რაღაც ახალ გამოსავალზე). იმერეთში გაშლილი შინა ომის გამო მდგომარეობა ხელსაყრელი შექმნილიყო და ვახტანგ მეფემ იმავე 1660 წელს (და არა 1661 წ., როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული და რა თარიღსაც ჩვენს ავტორი უქერს მხარს) დაახლ. აგვისტო-სექტემბერში ილაშქრა იმერეთში, აიღო სკანდის ციხე და შეიპყრო მეფე თეიმურაზი, გ. პაიჭაძის მიერ ამ უქანსკელ ხანებში გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ როდესაც თეიმურაზი გამოუერთა მდგომარეობაში ჩავარდა და შამაგაზის მხრივ მისი შეპყრობა გარდაუვალი იყო, მან სასწრაფოდ გაგზავნა თავისი ელჩობა რუსეთში და ტყვეობიდან დაბრუნდა ითხოვა, ასევე, როდესაც თეიმურაზი თბილისში ჩამოიყვანეს და ირანში უპირებდნენ გასტუმრებას, აქედანაც ფარულად გაგზავნა თავისი მოციქული რუსეთის ხელისუფლებთან ზეგზავნა-მუდართ, რომ ემოქმედათ სპარსეთის შაჰზე და სპარსეთის ნაცვლად იგი რუსეთში წაყვანათ. ამავე დროს თხოვს, რომ ერეკლე ბატონიშვილი ჯერჯერობით საქართველოში არ გამოგზავნათ, ვიშეორებთ, ყველა ეს საკითხი ცალ-ცალკე გულდაგულ კვლევას მოითხოვს და წარმოდგენილ წერილში ისინი მთელი სისრულით, კერძო მოთავსდებოდნენ, მაგრამ ვახტანგ V-ის პოლიტიკის გაანალიზებისას მაინც საჭირო იყო მათი გათვალისწინება.

ასევე დაზუსტებას მოითხოვს ერეკლე ბატონიშვილის თქმით მოსვლის თარიღი. ეს მოხდა არა 1660 წ., როგორც სარეცენზიო წერილშია აღნიშნული; არამედ 1661 წ. ალბათ ვახტანგ მეფის იმერეთში მეორედ ლაშქრობისას. გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოვლენების შეფასებისა და დადგენისათვის ამ თარიღის ზუსტად წარმოდგენას. შემდეგ ავტორი იხილავს 1664 წ. ვახტანგ მეხუტესთან ბრძოლაში ერეკლე ბატონიშვილის

1. გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), საისტორიო მოამბე, 23-24, თბ., 1970, გვ. 155-156.
2 იქვე, გვ. 159.

ნოღარ ახათინი

XV-XVIII საუკუნეების საქართველოს საბარამო პოლიტიკის ისტორიის საკითხები



დამარცხების და თორღას ციხის აღყის ამბავს. როგორც ცნობილია, ვახტანგ მეფემ ალყაში მოქცეული ერეკლე ბატონიშვილი არ შეიპყრო და მისცა საშუალება გადასულიყო თუ-შეთში. ვახტანგ მეხუთის ამ ნაბიჯს მკვლევარი შემდეგ ახსნას აძლევს: ამ დროს საქართველოში ჩამოსული იყო პატრიარქი მაყარიოს ანტიოქელი, რომელიც აქედან შემდეგ (1666 წ.) რუსეთში წავიდა ნეკონის გასამართლებამდე მონაწილეობის მისაღებად. ავტორს მოაქვს ჩვენს მოსაზრება, რომ ვახტანგ V მაყარიოსის საშუალებით ცდილობდა არაოფიციალურად დაეკავშირებოდა რუსეთს, რომ რუსეთში მიმავალ პატრიარქს ქართველმა პოლიტიკოსებმა გარკვეული თხოვნა დააბარეს და ასკვნის, რომ „იმ დროს, როდესაც ვახტანგი მაყარი ანტიოქელის საშუალებით რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა არ შეეძლო ერეკლეს შეპყრობა. ერეკლეს მფარველად რუსეთი გამოდიოდა... ვახტანგი რუსეთს საქართველოს მომავალ მოკავშირედ თვლიდა და არ სურდა მასთან ურთიერთობის გაფუჭება. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მაყარი ანტიოქელს სპეციალურ დავალებას ატანდა რუს ხელმწიფესთან“. ავტორის ასეთი მსჯელობა მართალი იქნებოდა, აქაც ქრონოლოგიურ შეუსაბამობას რომ არ ჰქონდეს ადგილი. თორღას ციხის აღყის ამბები და ერეკლეს გაშვება 1664 წ. მოხდა, ხოლო მაყარიოსის რუსეთში წასვლა გაირკვა მხოლოდ 1665 წელს. ამრიგად, როდესაც ერეკლეს ვახტანგი გულმოდგინედ მოეპყრო, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მაყარიოსი რუსეთთან მოციქულად გამოადგებოდა.

წერილი კარგად არის გადმოცემული ვახტანგ V-ის ლონისძიებების მნიშვნელობა და წესდებები, რომ თანდათანობით თითქმის მთელი საქართველო მოექცა ვახტანგ მეხუთის გავლენის ქვეშ და რომ მისი ასეთი გაძლიერება ირანისთვის მიუღებელი იყო. შაჰისთვის ვახტანგის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით მაშინ შეიქნა აშკარა, როდესაც ქართლის მეფემ საკუთარი ფული მოჭრა და დამოუკიდებელი ხელისუფლების ნიშნებიც გაიჩინა. ვახტანგმა მოსინჯა ნიადაგი რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, მაგრამ ასეთი მცდელობა აშკარად უეჭრატრებელი ჩანდა. მოსკოვს კავკასიის ამბებში მაშინ ჩაჩვენა არ შეეძლო და არც ირანთან სურდა ურთიერთობის გაფუჭება. ირანის წინააღმდეგ გამოსასვლელად კი შაჰნავაზს ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა, ასეთად მხოლოდ თურქები გამოადგებოდა, ქართლის მეფემ მიმოწერა გამართა თურქ ხელისუფლებთან. ქართულ წყაროებში და მაშინდელს ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტები სათანადოდ არ ასახულა. ავტორი ყოველივე ამას მხოლოდ არაპრობლემური მონაცემებით ადგენს და საკმაოდ წარმატე-

ბითაც. მას ამ მხრივ გამოადგებოდა ნიშნული ბატონიშვილის წერილი მეფე იმედულმეფეს, რომელაც მოსკოვში 1673 წლის 22 ნოემბერს მიიღეს და სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ შაჰნავაზმა «еже делал деньги на свое имя и особую печать, и с турками списывался». როგორც აღვნიშნეთ, ავტორი ამ მასალებს იცნობს, მაგრამ სრულად ვერ იყენებს. ვახტანგის განდგომით განრისხებული ირანის შაჰი საქართველოში ამირებს გამოაძეგრებას. ამ შემოსევის ქვეყნისათვის თავიდან ასაცილებლად ვახტანგი თვითონ გაემგზავრა ირანის შაჰთან, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. ავტორს მაინც, რომ ვახტანგ მეფემ თავი მოიწაღა. ეს ვერსია ჩვენ ნაყლებად დასაბუთებული გვეჩვენება.

ამრიგად, განხილულ წერილში, მიუხედავად ზოგიერთ საკითხზე ჩვენ განსხვავებულ თეოსაზრისისა, ახალგაზრდა მკვლევარი დ. კაპარავა უაღრესად საინტერესო დაცვირებებს გვთავაზობს და იძლევა ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის და მოღვაწეობის ახლებურ შეფასებას.

1735-1739 წლებში რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა. შექმნილი ვითარება იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთემ ხელსაყრელად მიიჩნია თავისი ქვეყნის თურქეთთან გასათავისუფლებლად და რუსეთში მიაგვლინა ელჩობა ცნობილი მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის მეტაურებით. რუსეთის იმპერატორს ანა ივანეს ასულს იმერეთის მეფემ თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გაბედული გეგმა შესთავაზა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ეს უარესად მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენს ისტორიოგრაფიაში აქამდე სათანადოდ შესწავლული არ ყოფილა. მის შესწავლას სპეციალურ წერილს უძღვნის აღნიშნული განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. პაიჭაძე — „ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში“, რომელიც ამჟამად კრებულშია დაბეჭდილი. მკვლევარი ამ ელჩობის საკითხზე განიხილავს მაშინდელი საერთაშორისო ვითარების და რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის ფაქტებთან მჭიდრო კავშირში, იგი იყენებს ახალ საარქივო მასალებს და ადგენს ამ ელჩობის ისტორიის საინტერესო დეტალებს. ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში ჩაივდა 1738 წ. და ოფიციალურად იმპერატორ ანას წარუდგა ივლისის თვეში. აუღენციკაზე ტიმოთე გაბაშვილმა სიტყვა ქართულ ენაზე წარმოთქვა და გადასცა იმპერატორს იმერეთის მეფის ალექსანდრეს წერილი. მიღებაზე თარგმანობდა დავით ფანჭულიძე. ქართველ ელჩს თან ჩამოტანილი ჰქონდა მის მიერ შედგენილი იმერეთის რუკა. პრაქტიკული მოლაპარაკება გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველ პეტრე კურბატოვთან. რუსეთ-თურქეთის ომი მის დასასრულს.

ეტაზე რუსეთისთვის წარუმატებლად განვი-
თარღი. ვართულება ურთიერთობა შევდითთან,
საფრანგეთთან, რამაც რუსეთი აიძულა დთ-
ობაზე წასულიყო. ასეთ ვითარებაში რუსეთის
მთავრობამ არ მიიღო იმერეთის მეფის წინა-
დადება. ალექსანდრე მეფე კი სთავაზობდა
რუსეთს იმერეთში გაეგზავნა ოციათასიანი არ-
მია. იმერეთთან დაკავშირება შეიძლებოდა შა-
ჰი ზღვით. დასავლეთ საქართველოში თურქთა
მხოლოდ მცირერიცხოვანი გარნიზონები იდგა
და რუსეთ-იმერეთის გაერთიანებული ძალებ-
ით მათი განდევნა დიდ სიძნელეს არ წარ-
მოადგენდა. შემდეგ კი შეიძლებოდა ფლოტის
აქტიური დახმარებით უშუალოდ ანატოლიაზე
წეტება. ეს კი თურქეთს მძიმე მდგომარეობა-
ში ჩაავდებდა. მაგრამ ამ დროის რუსეთის
მთავრობასა და სარდლობას, რომელიც ძირი-
თადად გერმანელებისაგან შედგებოდა, ასეთი
გაბედული გეგმის მიღების ხალისი არ გამოუ-
ჩენია. ავტორის დასკვნით, ეს გეგმა უსათუოდ
სწორი და რაციონალური იყო და იგი უფრო
ჯვან, ეკატერინე II-ის დროს ვანზორციელდა
ოდეს. ამჯერად კი ეს ოთხწლიანი ომი, რომ-
ელმაც დიდი სახსრები და ადამიანთა მსხვერპ-
ლი მოითხოვა, მხოლოდ უმნიშვნელო შედე-
გებით დამთავრდა. რუსეთის მთავრობას მაინც
არ სურდა გაეფუჭებინა ურთიერთობა მის მო-
მავალ მოკავშირე იმერეთთან, ამიტომ ტიპოთე
გაბაშვილთან მოლაპარაკება განზრახ გააჭი-
აწერეს და მას არც პირდაპირი უარი უთხრეს
და არც თურქეთთან საზავო ხელშეკრულების
დადების ამბავი შეატყობინეს. იმერეთის ელ-
ჩი კი ცდილობდა რუსეთის თურქეთთან მოლა-
პარაკებისას იმერეთის ინტერესებზე დაცვა
არ ოფიციალურად მაინც გამოეცხადებინა სა-
მოსო მზადყოფნა, მაგრამ, ტიპოთე გაბაშვილის
ენერგიული მცდელობანი თითქმის უშედეგოდ
დამთავრდა. 1740 წ. უკან გამობრუნებულ
ქართველ ელჩს იმპერატორ ანას სიგელი მოჰ-
ქონდა, რომელშიც რუსეთის მთავრობა იმე-
რეთის მეფისადმი მხოლოდ მომავალში დახმარე-
ბის სურვილს გამოთქვამდა.

განხილულ წერილში მკვლევარი სხვა არა-
ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც ეხება. მას მო-
ტიანილი აქვს მთელი რიგი დოკუმენტები და
საბჭივო მასალა, რაც დიდ სარგებლობას
ბოლტანს აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური
ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ. გა-
მოყვლევა მაღალ მეცნიერულ დონეზეა შეს-
რულებული და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას
XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-
საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის
შესახებ.

დასასრულ კრებულში გამოქვეყნებულია
ქართლ-კახეთის სამეფოს 1783 წ. რუსეთთან

დადებული ხელშეკრულების ტექსტი, რომელ-
ლიც საყოველთაოდ ცნობილია გეორგიევსკის
ტრაქტატის სახელწოდებით. ტექსტი გამოსა-
ცემად მოამზადეს და შენიშვნები დაურთეს რ.
მიმინიშვილმა და გ. პაიჭაძემ.

როგორც ცნობილია, ამ ხელშეკრულების
ტექსტი არა ერთხელ ყოფილა გამოცემული.
იგი პირველად დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1784 წ.,
უკანასკნელად კი გამოქვეყნდა 1965 წ., მაგ-
რამ არც ერთი პუბლიკაცია არ ყოფილა
სრული და როგორც გამოცემულები შენიშნა-
ვენ „ყველა გამოცემას აკლია რაღაც მნიშ-
ნელოვანი ნაწილი“. ამ გარემოებამ უკარნახა
მათ, რომ მკითხველისათვის მიეწოდებინათ
„ტრაქტატის სრული ტექსტი სათანადო ვა-
რიანტებით, სადაც გათვალისწინებულია არა
მარტო ხელნაწერთა, არამედ გამოცემათა ყვე-
ლა წაკითხვა. გეორგიევსკის ტრაქტატის ამოსა-
ვალ დედნად გამოიკემლებს აღებული აქვთ
1783 წ. პ. პოტიომკინის, ი. მუხომან ბატონის
და გ. ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ტექსტი,
რომელიც ამჟამად ინახება მოსკოვში, რუსეთის
საგარეო საქმეთა პოლიტიკის არქივის ფონ-
დებში. ასეთივე დედნის ძალა აქვს ერეკლეს
მიერ 1784 წ. რატიფიცირებულ ტექსტსაც,
რომელიც პირველ ტექსტთან შედარებით მცირე-
ოდენ სტილისტურ და ორთოგრაფიულ გან-
სხვავებულობას იძლევა.

ყველაშათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშ-
ვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტო-
რიაში 1783 წლის ტრაქტატს, რომლის ძალი-
თაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპე-
რიის მფარველობის ქვეშ შევიდა. ამ ხელშეკ-
რულების რუსულ-ქართულ ტექსტების სრულ
მეცნიერული პუბლიკაცია უსათუოდ მი-
სასალმებელია და დიდ სამსახურს გაუწევს
ჩვენს ისტორიკოსებს რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის პრობლემის დამუშავების საქ-
მეში.

კრებულს დართული აქვს უდროოდ გარდა-
ცვლილი ახალგაზრდა მკვლევრის, აღნიშნული
განყოფილების წევრის, ოლეგ გიორგის ძე ძუ-
ენძაძის ნეკროლოგი — „ამხანაგის ხსოვნას“,
რომელშიც მოკლედ მიმოხილულია მისი
ცხოვრების გზა და მეცნიერული მოღვაწეობა.
როგორც ვხედავთ, საქართველოს სსრ მეც-
ნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახე-
ლობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნო-
გრაფიის ინსტიტუტის, საბჭოთა კავშირის ხალ-
ხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტო-
რიის განყოფილების მიერ გამოცემული კრე-
ბული „ქართული სამეფო-სამთავროების სა-
გარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, (I), ქართულ
და საბჭოთა ისტორიოგრაფიის. უაღრესად
მნიშვნელოვანი შენაძენია.

ღეპანე ზეიძე

მესხეთ-ჯავახეთის ყოფა-ცხოვრების გეოგრაფია

ერისთავის უანგარო და ერთგული სამსახური კაცს უკვდავებას ანიჭებს. სწორედ ამიტომ შაღლიერების გრძნობით ეხსენებთ დღეს, დაბადებიდან 140 წლის თავზე, მესხეთ-ჯავახეთის გულმართალ მემკვიდრეს ივანე გვარამაძეს.

ივანე გვარამაძე იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც შთამომავლობისათვის ფუტკარივით წვეთ-წვეთად აგროვებდა სულიერ და გონებრივ საზრდოს. ჩუშს, დაუღალავს, სამშობლოზე სუსხლვრდო შეყვარებულს, მუდამ შესწევდა ძალა და ენერგია დაღუპვისაგან გადაერჩინა წინაპართა ნაამაგარი ტაძარი, ციხე, ეტრათი თუ წარწერიანი ქვა, დავიწყებისაგან ესხნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტი და ყველგან, ყოველგვარ პირობებში ექადაგა მისი მოყვასის, სალოცავი ხატის — საქართველოს დიდება.

გადაფურცლავ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წააწყდები ვინმე მესხის ვრცელ წერილს თუ პატარა სტატიას და წაყითხვისთანავე იგრძნობ, რომ თითოეული მათგანის დედააზრი და მიზანდასახულობა ერთია: ქართველი ხალხის მთლიანობის აღდგენა, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, დიდი და ბედნიერი საქართველოს აღშენება.

ამ საპატიო მიზანს ემსახურება ივანე გვარამაძის მთელი შემოქმედება. მის პუბლიცისტურ ნაწერებში თითქმის ყველგან შეიკნობა დამოუკიდებელ თანამემამულეებზე გულისტკივილი და დაკარგულ მიწებზე გაუნელებელი ურვა. ეს ბუნებრივია. მას, ახალციხის მკვიდრს, მეტად რთულ ეპოქაში მოუხდა მოღწეობა.

ივანე გვარამაძის ბავშვობაში (დაიბადა 1831 წელს) ჯერ კიდევ იგრძნობოდა თოფისწამლის სუნე, დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობათა სიმძიმე კვლავ აუტანელ ტვირთად აწვა აღვილობრივ მოსახლეობას. ომს, აოხრებას, რბევა-თარეშს, ფიზიკურ თუ იდეოლოგიურ ძალდატანებას სასოწარკვეთადღე მიყვავდა ხალხი.

ასეთ გარემოში იზრდებოდა პატარა ვანო. გარეშე და შინაური მტერი ცდილობდა დაეთრუნა, მოესპო, მიწასთან გაესწორებინა ყოველივე ქართული. მგრძნობიერმა და კაცთმოყვარე ბავშვმა დედის რძესთან ერთად, საკუთარ მიწა-წყალზე, იგემა ეროვნული ჩაგრვის შხამი. იგემა და ამ გაუგონარ უსამართლობას ჯერ კიდევ ქაბუჯი შეეჭიდა როცა თვალსაწიერი გაუღმართოდა, მტკივნეულად შეიკნო, რომ ხალხთა მტრობის ფილა საუკუნეთა განმავლობაში ასევე მის თანამომემებს, შეურყვენს ენა, სინდისი, რელიგიური ღანატიზმით დააბრმავეს და ძმა ძმას მტრად მიუჩინეს.

...ვინმე მესხმა მოვლო თურქეთი, რუსეთი, შეისწავლა უცხო ენები, მიიღო იმ დროისათვის ფართო განათლება და სულიერ მკურნალად მოველინა დატანჯულ სამშობლოს.

...1878 წელი, ბერლინის ტრაქტატი, მეფის რუსეთს თურქეთთან დაუთმო აჭარა, არტანუჯარსი. ისტორიული საქართველოს გაერთიანების იდეას ხორცი შეესხა, თითქმის ახლა ქართველ მოღვაწეთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება და ამ დროს განსაკუთრებული ძალით იხანა თავი მუჰაჯირობამ, თანამემამულეთა ნაწილმა სამშობლო გაწირა — დაიწყო გამამადაინებულ ქართველთა მასიური ემიგრაცია თურქეთში. ქართველი ერისათვის ამ დამღუპველ მოვლენის წინააღმდეგ ივანე გვარამაძემ ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა. აი რას წერს იგი 1878 წელს გაზეთ „დროებაში“: „ჩვენი ერთ-ხორცილო და ერთ-სისხლო ტუბილი მამონო, დედანო, ძმანო და დანო! განა არ გეყო ამდენი ტანჯვა და შევიწროება, შიმშილი-წყურვალი, სიგალაჰე და სიშიშველე, რაც დღემდე გამოიარეთ! სად არიან თქვენნი ქვეყნად მშვენიერებით განთქმულნი საუკეთესო ქალიშვილები? ლერწამტანოვანი, შავ-თვალ-წარბნი ვაჟ-კაცნი? ვინ ასიამოვნებენ და აკტობენ

წეთის ნუგეშითა? განა კონსტანტინეოლის სსელმწიფო პარამებში, ასიის ჩინებულს ქალქების დიდკაცთ ოჯახებში, ეგვიპტეს, თურქს და მისთანა მივარდნილს ადგილებში? მე თვითონ მინახია მრავალნი და ბევრი ცხარი ცრემლიც მდენია თვალთაგან. ამისთანა წარსული და მომავალი კარგად იფიქრეთ და ისეთ საქმეს ნუ იქმნით, რომ ბოლოს ინანოთ.“¹

მხოლოდ სიყვარული, მშობა და ერთგულება გადგარჩენსო — ურჩევს გაქცეულთ ვინმე მესხი, — მშობლიური მიწა-წყალი კი არ უნდა დაეტოვოთ, არამედ „ძმურად ხელიხელთ მიცემითა ისეთი ძლიერი ციხე-ქალაქი უნდა დავდგათ, რომ ყოველს ჩვენს გაპირებებაში სიადრულით შეგვეძლოს იმაში ჩვენი თავის შეფარება და ესეც უნდა კარგად ვეცოდეთ, რომ იმ ციხე-ქალაქის უპირველესი საძირკველი ქართული წერა-კითხვა არის.“²

ვინმე მესხი იბრძვის ლტოლვილთა უფლებებისათვის; ცდილობს საქართველოს ისტორიული საზღვრები საქვეყნოდ ცნობილი გახადოს. და როცა ცხადი ხდება, რომ ქართველი ერის ინტერესები საერთაშორისო არენაზე უფლებულყოფილია, მაშინ მსოფლიოს ახსენებს ივერიეთის დამსხვრეებას ბარბაროსთა და მეტადრე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მერე კი გელდაკოდლო, მწარედ შენიშნავს: „არა ემბრა, რაც აქამდის მოწყვეტილ-დაშორებულნი იყვნენ ჩვენგან ჩვენი ძმანნი და უმოწყალოდ ისრისებოდნენ მძლავრ ოსმალის ხელში, რომ ახლაც ხელ-ახლავ იმახედ უარეს ქირში არ საცვიდნენ საცოდავები? რა ბევრი რიცხვისა ჩვენ ვართ, სრულ ერთ მუქა ერთ ზორც-სისხლის, ერთი მოგვარე ერთი ვართ და ისიც ორ სახელმწიფოს შუა ვიგლივებით!“³

ცარიზმის მესვეურნი მუშაობის უმოთვარეს მიზეზად რელიგიურ ფანტოზებს თვლიდნენ, ვინმე მესხი არ ეთანხმება ოფიციალურ აზრს და გაბედულად აცხადებს, რომ ემიგრაციის მართლად მიზეზებია მეფის რუსეთის უხეშო, დაპყრობითი პოლიტიკა, მოხელეთა უსამართლობა, მეჭრთამეობა, ჩაგვრა, ეროვნული და რელიგიური გრძნობების შეზღავნა, ვაჭარ-მევასშეთიან ყვლეფა და ბოლოს დასკვნის: იმიტომ ვართ იმე, რომ „უცხო რამ ნახეს სამიერო ჩვენს ხელში“. საწყლები ოსმალეთში ტყვეობას, ტანჯვას უფრო რჩემულობენ, ვიდრე ჩვენთან სიხარულსა? განა მართლა ეგრე უკუყო და წინდაუხედავი არიან? არა, მაგრამ „გაპირებება მაჩვენებ და გაქცევის განიერეფო“ ეს არის მათი გარდახვეწის მიზეზი!“⁴

მოსახლეობას სულს ხდიან ბეგვარა-გალასახადებით. ზიზაბერელი ეფრემ მამუკაშვილი შე-

მოშიროდო, წერს ივ. გვარამაძე: „გვიშველ რამე, ღვთის გულისათვის! ბატონები ჩვენ გვინდობენ, მოსამართლენი თავში გვეცმენ, მამასახლისი და ნაცვლი სისხლს გვიქცევენ, გარე ხალხი მტრად გვადგია, სულამდის ხელი ჩამოგვატანეს; ლამის ჩვენი მიწა-წყალიდან ხელი აგვალბინონ. შეატყობინეთ, მისწერეთ „დროებას“ ჩვენი გაპირებება, ეგება გამოჩნდეს ვინმე ღვთის მადლიანი, შეგვეწოდოს! ცოტად არის შალავათი მოგვეცეს, ან არა და გზავალი მოგვეცენ, რომ ავადგეთ სოფლურათ ერთიან სადმე გარდავიხვეწოთ! ეს რა უღმერთოება! თვალს გვახედო, შიგ ნაცარს გვაყრიან, ზმას ამოვილებთ პირში ბურთს გვჭრიან, ყურს მიუყრობთ ჩვენს სასიკეთო საქმის გასაგონად ბამბას გვიცობენ; ფეხს წავდგამთ სადმე — გვიბორკებენ კანდლითა, ხელს გაფრავთ — გვიტარვენ ბორკილითა; თავს ზე ავიღებთ — მძიმე დადიანს გვადებენ ზედ კისერზედა.“⁵

მეორე გლეხი მოსთქვამს: „ბატონო, ოსმალს დროს არ მინახია ჩვენი სოფლის ასრე უსინდისო აკლება: ქალი, რძალი, სულ ერთიან შეამტკავლეს, გოგობივი დააწიოკეს, ძუძუმწოვარ დედებზე წიხლით შესდგნენ ჩაფრები და ორსულთ რაღა სიკეთე დაეყრებოდათ? განა მოთარობა ნებას აძლევს ამგვარ ბარბაროსულ საქმეზედა?“⁶

ეს ზიზაბერელები ჩაცვიდნენ ამ დღეში, რომელთაც ქელი არ მოუღრკეით ოსმალთა და ლეკთა თარეშის ქაშს, მათი შეუპოვრობით და მამაკობით თვით მეფე ერეკლე იყო აღტაცებული, ახლა წარმოიდგინეთ სხვა სოფლის მცხოვრებთ რა დღე დაადგებოდათ. აი ობიექტური მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ ისედაც სისხლისაგან დაკლილი კუთხეების გაუცარიელებას.

ქართველები მიდიან და სადღაც ანატოლიის გადარუჯულ ველებზე უსახლკარობით და შიმშილით იხოცებიან. მათ ჯერ კიდევ თბილ კერას, მეფის გენერლების გულმოდგინე დახმარებით, უხეშ ტომენი იჭერენ, მაშინ როდესაც, შეტევადავად განუწყვეტელი რბევა-ამოწყვეტისა, მიწის სივიწროვეს განიცდის მესხეთი ქაუბეთის სოფლები. მავალითად, ზიზაბერის ადგილმამული ორმოც კომლს თუ გამოკვედის მამლისად, იქ კი ასი კომლი ცხოვრობს, ამიტომ საჭიროა ბეითალმან — ნაოხარ ადგილებში ქართული სოფლებიდან ბუნებრივი ნამატი გამოეყუთ და წინაპართა პარტახზე დაეცასახლოთ, მაგრამ „ჩვენდა სამწუხაროდ, — აღნიშნავს გვა-

5 დროება, № 251, 1881, გვ. 2.

6 იქვე.

1. დროება, № 203, 1878, გვ. 2.

2. იქვე.

3. დროება, № 43, 1879, გვ. 3.

4. დროება, № 251, 1881, გვ. 3.

ლევან ზრუშია

მისხიმი-ჯამახიმიის ყოფა-ცხოვრების
მიმართიანი

რამაძე, — სანამ ჩვენმა ქართველ-მეცხოზამ ეს მოიფიქროს, ამგვარს ღონისძიებით თავს და თავს სახლობას რამე უშველოს,“ მანამდის ათასი ჯურის ბედისმამიებელი, მთავრობის მხარდაჭერით და „ქრთამ-შესილდითა“ იჭერს ნასოფლარებს და ინტენსიურად სპობს ყოველივე ქართულს, არა მარტო ძველ-წარწერებს, არამედ აქა-იქ გადარჩენილ ძველ მოსახლეობასაც.⁷

განუსაზღვრელი ივანე გვირგვინის სეფი. როცა უღვთოდ გაღწეულ, განადგურებულ ქვეყანას ხედავს: ძირს ყრია ნაშესრები ტაძრებიდან და ციხე-სიმაგრეებიდან ჩამოცვენილი ჩუქურთმითი ქვები. უცხოტომელნი ფხევენ ქართულ წარწერებს, სპობენ, ფეჭქვეშ თელავერ უძველესი ქართული კულტურის ჭეშმარიტ რელიკვიებს. მესხეთ-ჯავახეთის რომელ სოფელშიც არ უნდა მივიდეს, ყველგან ერთნაირი სურათი ხვდება, თმოგვისა და ვარძიის ნახვისას თავს ვეღარ იკავებს და ჰოჯებს: „ცოტა ხანს დავდებ, დაუწყებ ცქერა გალმა-გამოღმა მიდამოსა, არ ვიცი, რა ნაირი ქვის გული იქმნება, დავირგვებით აქაურობას თვალს გადავლოს, გულუღმრთელობით არ ამოახენგნოს და თვალთვალს ცხარე ცრემლები არ გადმოჰყაროს! როცა წარმოიდგენს, რომ აქ ერთ დროს ჩვენის წინაპართ მეფეთა, დიდებულთა, თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა, მხედართა და გლეხკაცთა კეთილ განწყობილი მდიდარის სული სიციხეებით ღულდა და გარდმოიდოდა. შინაგან ღმთის მსახურება, სამართალი, კეთილ გაწყობილი წარმატება და ძმური სიყვარული; გარეგან ბრძოლა, გამაჩვენება, სიმდიდრე და განთქმულობა; ერთ მხარეს უცოდველი ღმერთი, ნადიმი, შექცევა, ასპარეზობა, რბევა და ვეჟაცობის გამოჩენა; მეორე მხარეს სწავლა, მეცნიერება, ეკლესიების შენება, მონასტრების დაფუძნება... ამის მაგიერ ახლა ისეთი გულ-საკლავი სიჩუმე არსებობს, რომ კაცს აეტირება! მიწას, შენობას თუ ნანგრევ-ნაობრებთ ყვავ, ყოვანი, ორბი ძეგრა, კაპკაპი და კირკიტე ახვევია დღისით და ღამე, ზღ და ღამურა მწუხრის ხმით დასტირია!“⁸

დიდებული მესხეთის მართლაც რაინდული ღატარება, მაგრამ არა, სასოწარკვეთას როდელმეცა ბუბლიცისტი. მართალია, მუხანათმა მტერმა საქართველოს სხეულიდან მესხეთ-ჯავახეთის დროებით მოწყვეტა შესსილ, მაგრამ იქაურ მკვიდრთ სამშობლოსათვის აშკარა თუ ჩუმი ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ქართლ-კახეთიდან და იმერეთიდან გატაცებული ტყვეების გათავისუფლებისათვის მარტო ზიზაბე-

რელთა თავდადება რაღა ღირს. არა, ისეთი ხალხს სიკვდილი არ უწყრია და ამიტომაც იგი გვირგვინი გულწრფელად აცხადებს: „...მეჩნდა ჩემთან ჩემი ტყილი სამშობლოს, ვახუშტიმეშველემ მანამ ყოველნივე მოვიმხრო: ერთნი ვიყვნეთ ყოველ კეთილ საქმესა, ღირსა და ღმერთს, ჩვენი სამშობლო მამულის წარსამატებლად.“⁹ და ამ ჰუმანური, მაღალი მიზნისათვის გაბედულად ეტყენება ისეთ ძლიერ მებრძოლებს, როგორიცაა რუსეთის თვითმპყრობელობა, თურქეთის დამპყველი ზეგავლენა, შინაური შუღლი, ენისა და სარწმუნოების აღარევა და სხვ. მართლაც გასაოცარია ძალა, თავი განწირვა მარტოსული მამულიშვილისა, რომელსაც დათმია ყოველივე პირადული და სამშობლოს მტლად დასდებია. მას არ აწინებს დენა, შანტაჟი, ორპირობა, დღალატი და ყოვლის გამბედაობა დასვას თავსატეხი უთხოვო: „რანი ვიყავით,“ „რანი ვართ,“ „რა მოგველის“. ცდილობს ისტორიული პარტუზენლობით უზამტოს ამ კითხვებს და როცა საბრძოლო თვით მის სათავეშო წართველ ხალხს პირში ახლის მწარე სიმართლას: „ვინ ჩვენი ბრალისა რა ტყუილბრალთო ვემაყობთ და ვმედიდურობთ ჩვენს გმირთ წინაპართ სიძლიერეს, მეფეების სიმძლავრესა და ჩვენს ქართველობაზედა, როცა ჩვენ დღეს დადევნებულ ვართ სულთაღ გულითაც, მოქმედებთაც რას გვირგვინ ან რას მოგვეფიქრებთა ცარიელ-ტარიელი ტრაბახი, ბაქი-ბუქი და დაქანება? რაც შეგვიძლიან და ზედიდან გამოგვივა სიადვილით საქმის გარიგება, გაკეთება, იმას არ ვკადრულობთ, ხელს არ ვკიდებთ და მაღლა მთებზედ თვალი გვიჭირავს, ღრუბლებში დავფრინავთ და საწყურთოს ყოველ ქარის ქროლვას ვავსებთ უბრალო ოცნებითა.“¹⁰

მეფობა, დამოუკიდებლობა დავკარგეთ, იმის ნაცვლად, რომ შრომით და გარჯით დავწინაურდეთ მცონარეობაში ვართ ჩაფლული, არ ვსწავლობთ, ხელოსნობა და ვაჭრობა დავივიწყეთ, „სხვათ ხელს შემყურენი ვართ,“ იოლ გამოჩენას, ძლიერება ნასუფრალს ვეძალდებით, „ქმარა ამდენი ჩვენი სიზარმაცე, გამოშტერება და დაუდევრობა“, „რა გვარგო რა მართა წითელმა ღვინომ, ცვირანმა მწვებმა, ღმინ-ნადიმებმა და ქალაღის თამაშობამ!“¹¹

ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, — სწუხს ვინმე მესხი, — რომ ეროვნულობა მუცელმგრეთობამ შესცვალა. მოხვეჭა, გამდიდრება გახდა სულმოყვითა ოცნება. ისინი „ბევრს რამეს თხოულობენ ცხოვრებაში, ვერცხლისა და ოქროს ქამრებს ეძებენ, ბრალიერტის ნივთეულობას, ბაგრასტის ტანისამოსსა, დიბაგლასის კაბებსა და ალმას-ზურმუხტის

⁷ დროება, № 146, 1881, გვ. 3.

⁸ დროება, № 251, 1878, გვ. 2.

⁹ დროება, № 209, 1879, გვ. 2.

¹⁰ იქვე, გვ. 2.

¹¹ დროება, № 219, 1880, გვ. 3.

ჭირფას ბეჭდვება. მათ ამგვარ თავისუფლებას უნა მოსდევს შერი, ერთი მეორის გარდაცემა მოტყვილება, ყალბაზნობა, ხელმეტობა, მოჭრაობა, უსამართლობა და ყოველი კაცის ტომობის ძირის ამომფხვრელი შედეგები. ¹² ზოგიერთმა ხალხის ინტერესები თანამდებობას და წვრილმან საოჯახო კეთილდღეობას აწევალა. გიზნდნენ ადამიანები, რომლებიც დწინაურებისათვის არაფერს არ ზოგავენ, ამიტომ ხელშეკრებებს, გულგზას სული ამოხადეს: „გამკათობი და შემბრალებელი არაიენ არის. ასეთი უსინდისო მოპყრობა, ტაცვა-გლუ-ჩა ხდება აღმინისტრაციის დადგენილი მოხელეებისაგან, რომ კაცი გაოცდება“. მათ „ოღონდ თავიანთზე მინდობილი საქმე მაღალ მჭლობღობიდან მლე თავს გაიტანონ, თავიანთ სახელი გაიყეთონ და გლგზაცის ჭანიმც გაეჩაღნა.“ ¹³

დასამალი არ არის, რომ „რა ერთიც დრო გაოს, წინ მივდივართ, იმდენი უკან მიდის ზეინ ბედის-წერა, გვეკარგება სიმხნევე, გვიწმდება ენა და გვეძლება ხელიდან მამა-პა-ჭერი ზნე-ხასიათი.“ ¹⁴

„დროა გამოფხვზილდეთ ქართველებო, შევიწნოთ თავი ჩვენი, მკალივით მოდებულ გარჩმელ მტერს იმდენი არ უენია რა ჩვენთვის, ჩამდნიც ერთმანეთის გაუტანლობას და დამღბველ ქმთმკველ შინაოშს. ახლა კი, მშვიდობის ეამს ნუ მივეცემით განცხრომის ცდუქებას, იოლ ცხოვრებასა და ჩინ-მენდლებზე ნუ გავცლით მამულს, ნუ გავზრდით შვილიშის უცხოთ წესზე, მონურ სულითა. არ დაივიწყოთ, რომ საქართველო ბევრ აღზევებულ სახელმწიფოს დაუპყრია, მაგრამ ქართველს ქართველობა დღემდე მოუტანია. სამარცხიონ და წარმავალია ძლიერბა მოწყალობა. რა განდ მორჭმული არ უნდა იყოს უცხოთა მსახური, მაინც უმადურნი იქნებიან უცხონი, ამიტომ დიდა-შვილობას არ ეილატება.“

დროა ქართველებო, გააჩიოთ მტერი მოყ-ჩისსაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის ფელებას ნუ მისციებთ, საკუთარ სახლში ნათესავთ ნუ გააბატონებთ... დროა აღადგინოთ, დაიკაოთ თქვენი ძველითა-ძველი, მდიდარი და სამაყო დედანა. ტყუილად კი არ უთქვამთ გაცაცობით სახელგანთქმულ ზიზზაურელებს:

სამშობლო მისთვის შემრგვა,
ვინც დედა-ენა იცისო,
ვინც არა, აღარც კაცია
არა მწამს მისი ფიცოი.“ ¹⁵

ასე ქალაგებდა ეინმე მესხი და ისეთ ეპოქაში ცხოვრობდა მართლაც ჰქონდა შეშფოთების

საფუძველი. მაშინდელი მესხეთ-ჯავახთი ზაზბილონის გოლოლს გაედა, იქ ერთმანეთში იყო აღრეული ერები, ენები, ხალხთა რელიგიური და პოლიტიკური მრწამსი. მღვრიე წყალში თევზის დაჭერას თვით რუსეთის იმპერია, ოტომანთა ბრწყინვალე პორტა და დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა ცდილობდა. მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ბუმბერაზთა ჭიდილით ყველაზე მეტად, ბუნებრივია, უმწეო ადგილობრივი მოსახლეობა ისრებისოდა. იმ დროს რელიგია განსაზღვრავდა ეროვნებას, ვინც არ გამამადაიდებოდა. ე. ი. არ გათურქდებოდა ან უნდა გადბეჭეწილიყო ან დაღუპულიყო. ხსნის ერთ-ერთი საშუალება იყო კათოლიკობის ან გრიგორიანობის მიღება. ასე წარმოიქმნა ძირძველი ქართული მოსახლეობიდან „სომხები“, „ფრანგები“, ეინაიდან ეს უკანასკნელნი უცხო ენის უცოდინარობის გამო სომხურ ტიპიონს აღიარებდნენ, ამიტომ სომხებად ითვლებოდნენ. ამ პროცესს ადრე ხელს უწყობდა თურქეთი, ხოლო შემდეგ მეფის რუსეთი, რადგან ორივე დამპყრობელი სახელმწიფოს ბატონობის საფუძველი მოძმე ერთა შორის შედლი იყო. ასეთ მზაკერულ პოლიტიკას წინ აღუდგა ივანე გვარამდე. მან თავის დროისათვის შესაწინააღ დაასაბუთა, რომ რელიგია სხვაა და ეროვნება სხვა. ქართველმა შეიძლება დათმოს რეული, მაგრამ იგი ისევე ქართველად რჩება. რწმენა და მამულიშვილობა მტრად არ უნდა იქცენ და სიცოცხლე არ უნდა მოუწამლონ პიროვნებას, ხალხს, ყოველგვარი ეროვნული და რელიგიური ჩავგრა დამღუპველია კაცთმოყვარეობისა. ყოველი ხალხი თავის ენაზე უნდა აღიდებდეს მოყვასს, ეუფლებოდეს ცოდნის საგანძურს, შეეძლოს მშობლიურ ენაზე წერა, საქმის წარმოება. დეი, საკუთარ მამულში არაიენ გრძნობდეს უზერხულობას დამპყრობთა ენის უცოდინარობის გამო. ამ დიდი საქმისათვის იბრძოდა ეინმე მესხი.

ივანე გვარამაძის მოსაზრებითა სისწორე განსაკუთრებით ნათლად ჩანს დღეს, როცა მოგვებოება ერის შესახებ მწყობრი, მარქსისტული თეორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარწმუნოებრივ ნიადაგზე ეროვნების შეცდლის მაინც შედეგები ახლა იქნეს დროს, რომელთა აღმოფხვრა გადაუდებელი საქმეა. ეროვნული თავისუფლება ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაბოგარია. საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს შეუძლია სახელმწიფო პარტიის დროს ჩაეწეროს იმ ეროვნებად, რომელი ერის წარმომადგენლადაც მიაჩნია თავი. აქ შეზღუდვა, რაიმე ზეგავლენა დაუშვებელია და დამნაშავე მკაცრად

¹² დროება, № 200, 1879, გვ. 3.

¹³ დროება, № 219, 1880, გვ. 3.

¹⁴ იქვე.

¹⁵ აკაკის კრებული, I, 1897, გვ. 26.

ლევან ფრშიძე

მისხიმ-ჯაზახიშის უოფა-ცხოვრების მებატინა

ისჯება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ისევ სარწმუნოებრივ ხედვებში რჩება და ამ საპატრიო დიდ უფლებას სათანადოდ ვერ იყენებს. ჩვენი ვალია მათ განეუფმარტოთ საბჭოთა კანონი. ასეთ ფონზე ნათელია ივ. გვარამაძის ღვაწლი, როცა ჯერ კიდევ მე-19 ს. 70-იან წლებში ქადაგებდა ეროვნულობისა და რელიგიის ჩამოშორებას და ხალხთა ძმობას.

ასეთია მოკლედ თავისი დროის ნიჭიერი ქურნალისტის, ფართო დიპლომატის მქონე შველევარის ღვაწლი. მეტადრე აღსანიშნავია მისი მახვილი სოციოლოგიური ჰერეტიკა და თანდაყოლილი ეთნოგრაფიული ალბი. ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელზე შეგვირდებით, რის ნათესაყოფად გავიხსენებთ ივ. გვარამაძის ერთ-ერთ აღბრუნებულ მხატვრულ ნარკვევს „მხედრის სიზმარს.“ ყირიმის ომის დროს, რუსთა მხარდამხარ მებრძოლი მესხი მხედარი სიზმარში თავის მშობლიურ სოფელს ხედავს, მას ენატრება გლეხკაცის მშვიდობიანი საქმიანობა „მაშ ისევ ტბილ ძილს მიეც თავი, — მიმართავს მხედარს ავტორი, — გაახანგრძლივე შენი სანატრული სიზმარი, ხელთ აიღე პირვენდულე სახლის შველა-მშართელობა, შენს საყვარელ დას... გაჟყევ მტელში და ნახე აბრეშუმის ჭიის ნაწარმოები ქსელები, გარდახედე ვენახის დარეგებსა და გადაავლე თვალს დიდ ქრწახელ მსხმოიარე ვაზების ნაყოფსა, ხეხილნარსა, ახალ ნაყენებსა და ბოსტნეულსა. აუცავებულა თუთუნის, გადაეცნია თეთრად ბამბა და უქადის მშრომელს კარგ მოსავალს! გაჟყევ მამა-შენს ყანაში და ნახე პურის ოდოში თუ როგორ კარგად აღლიათ დოლი და თავ-მეც დადრეკილან თავთავნი! ასწავლე შენს შემდგომ წამოშრდილ ძმას ნადირობის გზაკვალი და შთაგონე, რომ მეტად კარგი არის ხარის უღელში შებმის შედეგები.“¹⁶

ამ პატარა ამონაწერში ცოცხლად დახატული ძველი მესხეთის მეურნეობა. მარტო ტერმინები „მტილი“, „დოლი“, „დარევი“, და „ოდოში“ რაღა ღირს.

ვინმე მესხი ეთნოგრაფის, ისევე როგორც ისტორიკოსი ერთი გარკვეული მიზნით — ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობების გასაღვივებლად იყენებს. ასე, მაგალითად, აღწერს რა საფარის მონასტერზე მარიამობის დღესასწაულს, მას თვით რიტუალი კი არ აინტერესებს, არამედ ის ფაქტი, რომ ისტორიული ძნელდებლობით გათიშული ქრისტიანი და მამალიანი მესხები „ერთი სისხლის“ გამო თუ „მიწის ყვილის“ ზეგავლენით მამა-პაპათა საქმეებზე ერთად მისულან. მოვესმიერთო თვით ავტორს: „ხედავდი, რომ მრავალნი პირნი, მამანი და დედანი თვალთაგან ღვაპ-ღვაპად ცხარე ცრემლს აღედნენ თავთავიანი წინაპართ წავიწყებულ და წამიწყებულ სიძარს. ამათში ერ-

იყნენ სხვა-და-სხვა სოფლებითგან მრავალი მესხ-მამალიანები. ესენი რომ ხედავდნენ თავიანთ მოძმე ქრისტიანთ ამგვარ მდგომარეობაზე, ყოფა-ქცევას, თვითონაც გულმოდგინედ მწუხარები თვალს თვალში უყრიდნენ და ეუბნებოდნენ გულითგან გულში: ჰა, რა ცეცხლო თქვენ გეყიდებთ და გწამსთ, ძმანო, ისევე ცეცხლი ჩვენც გვინათა გაუქრობლად სულმერთი ვართ ჭირში და ლბინშიცა, როგორც დღემდის, ეგრეთ ამის წაღმართ უუქნისამდე ვიქნებთ!“¹⁷

აღსანიშნავია აგრეთვე ივ. გვარამაძის ეთნოგრაფიული ნარკვევები „ს. ვალე“¹⁸ და „შვიდფერობა, ახალი წელი და ბედობა.“¹⁹

მაშინ ძილებული წესის თანახმად დამახასიათებელია ვალეს ბუნებრივი პირობები, მოკლემულია ტიპიზაციური და თნომასტიკური მასალა. სავულისხმო ცნობებია ფლორისა და ფუნის, ხალხური სპორტის და ვართობა-თამაშობების შესახებ, ნაივებებია ლხინი, ქორწილი. მოკლედ განხილულია მეურნეობის დარგები: მემინდერობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეიბრეშუმეობა, აგრეთვე სახვნელი იარაღები და ტრანსპორტის საშუალებანი. ავტორი არ ავიწყდება ტყის გამოყენების ხალხური წესები, გარეული ხილის და ფხალეულის მოხმარება, ამისთანავე იძლევა მრავალ უცნობ ტერმინს და ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს.

შთამბეჭდავად არის აღწერილი დღესასწაულები შვიდფერობა, ახალი წელი და ბედობა. ავტორი ცდილობს მეცნიერული ახსნა მოიხსნოს ხალხის ამ უძველეს ჩვეულებებს, რომელთაც სათავე ქრისტიანობის წინააუ ხანაში აქვთ. საქმით სისრულით არის გადმოცემული რიტუალური ქმედებანი. საინტერესოა, რომ მესხეთ-ჯავახეთში მესაქონლეობის პროდუქტების გვერდით სალხინო თუ ყოველდღიურ სუფრაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხილს, ჩურჩხელას, ტბილკვრის, უმთავრესა სასმელი ღვინოა, ხოლო უღვინოდ ლხინი წარმოუდგენელია. ეს ფაქტი უძველეს ხდის მევენახეობა-მეღვინეობის დიდ მნიშვნელობას. საგულისხმოა აგრეთვე ახალ წელს სხვა ხილულობით ერთად თურინჯ-ნარინის მიკვლევა-მიგებება, რაც ცხადყოფს ამ კუთხეებში აღნიშნულ კულტურათა ნაყოფის ძველთაგანვე გაგრძელება-გამოყენებას. აქვე გვაგონდება დიმიტრი ბაქრაძის ცნობა, რომ მესხეთში „სადაც ავა საშვალეობას იძლეოდა აწენებდნენ ტროპიკულ მეცნარეებსაც ზეთისხილს, ლიმონს, ნარინჯს, რომელთაც ამდენი საუკუნეების შემდეგ ახლაც პოპულარს მოგზაური ველური სახით“²⁰

¹⁷ დროება, № 117, 1872, გვ. 2.

¹⁸ აკაკის კრებული, III, 1897, გვ. 5-12.

¹⁹ აკაკის კრებული. I, 1899, გვ. 83-91.

²⁰ Д. Бакрадзе, Древняя Месхия, Кавказ, № 28, 1855, გვ. 95.

¹⁶ დროება, № 60, 1873.

ეთოდ მართალია ეინმე მესხი, როცა წერს: „სიგლებში მშვენიერად დატულია მამაპაპუ-ხო ჩველებანი, ახლანდელი ქალაქ დაბების შემოსული ევროპული მსუბუქი მოდეები ვერ შედრებიან ადგილობრივს კეთილ წესიერებას.“²¹

მესულმანური რელიგიის ღვარძლს ვერ აღმოუფერია მაჰმადიან მესხთა გულეში ძველ-ქართული რწმენანი და „ბევრგან წმიდად ასრელებენ შვილ-ფერობა დღეს, ახალ წელსა და ხეობის დღესა.“ უფრო მეტიც „ამ 40 წლის ჩინდ ოშორელი მაჰმადიანები ხიზაბაერელებთან სამოპაო ალილოზედ შეერთებულნი და-ბოდუნ თურმე ქრისტიანების სიფლებში.“²²

თავის „არხეოლოგიურ ფურცლებში“²³ ივა-ნე გვარამაძე ცდილობს ქართული ხალხის ეთ-ნოგენის გარკვევას. მართალია ეს ცდა არ გამოირჩევა ზუსტი მეცნიერული კვლევა-ძი-ებთა და ისტორიული ფაქტების შეუთალობა-შეჯიშვობით, მაგრამ მკითხველს იზიდავს და სძლავს ავტორის გულწრფელი და მშობე-რული ვერსიის განუზომელი სიყვარული. ამ ნაშრომთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავზაროთ უფრონად „აქაიის კრებულის“ რე-დაქციის აზრი: „ამ პატრიც. ავტორის ისტორი-ული მოსაზრებას თუმცა ზოგან არ ეეთანხმე-ბით, მაგრამ მაინც სიამოვნებით იმეჭიდეთ, მთ უფრო, რომ სხვა გვარ ღირსებებს გარდა, დიდი კეთილი აქვს ზეპირ გადმოცემებთან.“²⁴

ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ეთნო-გრაფიულ მასალას შეზღუდულად იძლევა, უმ-იერეს ადგილს საკუთარ მსჯელობას და გან-სჯილობებს უთმობს, რაც ყოველთვის რო-დღაც სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ მისი ნაშრომები მაინც ძვირფასი ისტორიულ-ეთნო-გრაფიული წყაროა უშუალო დაკვირვებით იშველი და დღეს უკვე საბატიო ხანდაზმუ-ლობით შემოსილი.

ფაქტებს იე. გვარამაძე ხალხური გადმოცე-მებით და ლექსებით აცოცხლებს. მის ნაწერებს ამჟღავნებს ბრძმული ანდაზები და ფრთიანი სტილი სიტყვათქმანით. ეინმე მესხის ენა მეს-ხურ-გაგაბური დიალექტით ძარღვიანი, წი-ღიანი და ომაზიანია.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ

საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერი გვერდს ვერ აუღვლის იე. გვარამაძის ვერცერთ კორესპონდენციას. იქ ყოველთვის იზივს ფასიულ მასალას როგორც მეტრნოზ-ის ფორმებზე, ისე მატერიალურ და სულიერ კულტურაზე. მაგალითად, ერთი შეხედვით თი-თქოს უმნიშვნელო ცნობაა, რომ 1881 წელს დიდმა ყინვებმა აწყვერისა და ხერთვისის „ერ-თიან აყვავებული ნაჟყენ-ხილნარი მოწვა-მოტ-რუსა, ამ უხილობის ნაკლებობაზე ლივანა-აქა-რა დაგვეგზმარა და დამაყოფილა ჩვენი მზა-რე,“²⁵ მაგრამ ზერელე დაკვირვებითაც ადვი-ლი მისახედრია, თუ რა დიდი გამოყენება ჰქონია ხილს ადგილობრივ მცხოვრებთა ყო-ფაში. აგრეთვე აშკარაა იმ დროისათვის მოძმე კუთხეთა შორის მტკიცე ეკონომიური კავშირის არსებობა.

ეინმე მესხის მახვილი თვალი ყოველთვის ამჩნევს მეცნიერებისათვის საშიშრო დეტალებს. მას გული სტკივა, რომ მესხეთ-გაგაბეთში თურქთა ბატონობას რაც ვენახები გადაურჩა, ისინი ცარიზმის რეჟიმის დროს მოისპო: ადრე სადაც ვენახები ყოფილა, თოქს, როკეთს, შვი-რიდავანტს, ტოლოშს, გულსუნდას, ნაქალაქ-ევს, ასპინძას და ოშორას სულ გაუქმებითა ზარმაცობით, მეტადრე ოშორას,“ განთქმული იყო იქაური ღვინო და დარბაისლური გალობა, განსაკუთრებით კი სუფრული. „თუმც მაჰმადი-ანები იყვნენ, მაგრამ უღვინოდ იმათი ღვინო, წვეულება და ქორწილი არ იქნებოდა. ახლა, რაც რუსეთის მფლობელობაში შევიდა ჩვენი ქვეყანა, ნელ-ნელა გააჟღეს ვენახები და მოს-პეს მამა-პაპური ჩვეულება.“²⁶

ივანე გვარამაძემ კარგად იცის, რომ მევე-ნახეობა-მეღვინეობა მისი სამშობლოსათვის მხოლოდ მეტრნოზობის დარგი კი არ არის, არ-ამედ ეროვნული თვითმპყრობელობის ერთ-ერთი საფუძველია. მოვლილი ვენახი და გა-მართული მარანი საქართველოში ხომ ოდით-განვე მშვიდობისა და ზედნიერების სიმბოლო იყო. ამიტომ სულმანათი მოღვაწე შეუშვოთ-ებლად გვერდს ვერ უფლიდა ნავენახარს და ნამარნევეს, ისევე როგორც მტრისაგან პე-რანგშემოფლეთილ წმინდა ტაძრებს, ნაშუს-რევ ციხე-ქალაქებს და არაკაცთაგან შერ-ყვნილ ბატონან ჩუქურთმებს, თუ ნატოფ წარ-წერებს. ასეთი იყო იგი, ჩვენი თვალსაჩინო. წინაპარი და მგზნებარე მამულიშვილი.

²¹ აქაიის კრებული, I, 1899, გვ. 89.

²² იქვე, გვ. 90.

²³ აქაიის კრებული, № 5, 6, 1899, № I, 1900 და სხვ.

²⁴ აქაიის კრებული, № 5, 1899, გვ. 18.

²⁵ დროება, № 203, 1881, გვ. 3.

²⁶ დროება, № 219, 1880, გვ. 3.





თამაზ პიპინაძე

ერთი სკანდალის ქრონიკა

რ ი ბ ა

ჩვენს დროში სიტყვები — ქალაქი და ხმაური თითქმის ერთმანეთის სინონიმები გახდა. თანამედროვე ადამიანი სინამდის, მყუდროებას ეძიებს, ეძიებს და მერე როგორ...

ამ მხრივ რიგა ბედნიერი გამოხატულებაა. ალბათ ამიტომაც აირჩიეს ის ხელშეორედ ორთაბრძოლის ადგილად ნონა გაფრინდაშვილმა და ალა კუშნირმა. სწორედ რომ უცნაურია, იმყოფები ქალაქში და ქალაქისთვის დამახასიათებელი ცხოვრების მაქისცემა, რიტმი არ იგრძნობა.

უამრავი ხეივანი, პარკები, მოკირწყლული ვიწრო ქუჩები, არქიტექტურული დეტალებით უხვად შემკული შენობები, ცამდის აწვდილი უკლესიების გუმბათები, წარსულის აცოცხლებენ თითქმის. ასე გგონია, შუა საუკუნეების ქალაქში იმყოფები. თუმცა ყველგან არა... ახალი და ძველი რიგა თითქმის ემიჯნება ერთმანეთს, რათა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი არც ერთმა არ დაკარგოს.

მზიანი დღეა. აქ მზე იშვიათია და ძალაც არა აქვს. ამიტომ საკმარისია ოდნავ გამოახილოს თვალი, რომ ჩრდილოეთელს გაგანია სიცხე მგონია და რისი გახდაც შესაძლებელია, ზრდილობის ფარგლებში, ყველგან იხდის.

ქალაქის ცენტრი ხალხითაა სავსე. მაგრამ მიუხედავად ასეთი ხალხმრავლობისა, სულის დამაყუჩებელი სიწყნარია. გამწვან-გამომწვან-ნი ისე ხმადაბლა ესაუბრებიან ერთმანეთს, რომ სამხრეთელი უეჭველად გაკვირდება.

გარდა ამისა, მანქანებიც — თანამედროვე ცივილიზაციის ეს უდიდესი საკეთე და ამავე დროს ბოროტებაც, შედარებით იშვიათად მოძრაობს ქუჩაში.

მწიანშია ჩაფლული პადომიუს ბულვარი. ზელოვნურ ტბაში გედები ამაყად იღვრებენ ყელს. არავისი არ ეშინიათ და არც ერიდებთ.

ლამით სწყინდებთ ხოლმე ტბის სანაპიროზე და ხშირად ჩაძინებული ქალაქის ქუჩებს გაუყვებიან მოუქნელი, მძიმე ნაბიჯით.

დომის ტაძარი, ლატვიელების სვეტისცხოველი, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლია ტაძრის წინ მოედანი მტრედებით არის სავსე. ტაძრის გვერდით, ქონგურებიანი შენობის ქვემოთ, პატარა კაფეა. ამ კაფეში ხის მორზე ეზოვარ და გაუყურებ მოედანს. სადღაც დაბალ ხმაზე ქლერს ტანჯო. საოცარი სიმშვიდით იესება სული. ჩვენთან, საქართველოში, ბევრ კაფეა, იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა. მაგრამ ასეთ კაფეებს ვერ შეხვდებით.

ფოტოგრაფირების გასაპირი

საათს შევხედე. დიდი დრო გასულა. სასწრაფოდ სასტუმრო „რიგას“ მივაშურე. ლატვიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი იური ევლტუხინი უკვე მელოდებოდა იქ.

ის მესმარება, რათა მასალები საჭირო ფოტოებით შევიკო და, როგორც იტყვიან, გამოვაცოცხო. ორივენი მოუთმენლად ევლოდებით ნონა გაფრინდაშვილის სასტუმროდან გემოსვლას. ორივე, ვამბობ, მაგრამ ცოტა ვტყუი. რეპორტიორი ისე მშვიდად სცემს ბოლოს, თითქმის არაფერი აწუხებდეს. ზომავს მეტად აუღელვებელი კაცი ჩანს. მაგრამ უნდა გენახათ, როცა მსოფლიოს ჩემიონი გამოჩნდა ჩემს მიერ სიმშვიდის ეტალონად აღიარებულ კაცი, რა მარად დარბოდა მის გარშემო და ფოტოაპარატს აჩაყუნებდა.

ნონა გაფრინდაშვილი მეუღლისა და ძმის თანხლებით რიგის ოფიცერთა სახლისაკენ მიიქარის, სადაც ტარდება მსოფლიოს ორი უნლიერესი მოქალაქის ორთაბრძოლა. რეპორტიორმა ახლა კუშნირს დაუწყო ძებნა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა ადვილი. საქმე ისაა რომ ა. კუშნირის სასტუმრო ოთახი ფორმალურად



ქონდა დაკავებული. ძირითადად კი ქალაქგარეთ, ზღვის სანაპიროზე, სანატორიუმში ცხოვრობდა. ექვტუხინი შეუთვარი აღმოჩნდა და ღარბაზის მუსისველ კართან ჩასაფრდა პრეტენდენტს...

ა. კუშნირი მარტოა მოვიდა. წინა მატრის დროიდან, 1969 წლიდან, არ მენახა, გაახალგაზრდებული მეჩვენა.

ორთან ღარბაზში, სადაც მატრი ნიშნინარობს, ორთაბროძის მონაწილენი მაყურებლებისაგან ოდნავ შემოღებული სცენით აიან გამოყოფილნი. ზუსტად 16 საათსა და 30 წუთზე ჩემპიონი და პრეტენდენტი სცენაზე გამოჩნდნენ და ერთმანეთს მიესალმნენ. ზოგადად მსაჯმა გლადს მიყენასმა საათი ჩარბო და ბრძოლა დაიწყო. რეპორტიორი მაშინვე მუშაობას შეუდგა. იცოდა, შემდეგ გვიანი იქნებოდა.

მართალიც აღმოჩნდა. ალა კუშნირმა სვლა გაუეთა თუ არა, ჩვენცენ მოიხედა. მერე მთავარ მსაჯთან მივიდა და ჩურჩული გაუბა. კორესპონდენტი, ეტყობა, ამგვარ სიტუაციებში ბევრჯერ მოხვედრილა. ამიტომ აუღელვებლად დაგაგრძობდა თავის საქმეს. მთავარმა მსაჯმა თავიანად შეახსენა, ხომ არ არის დრო, გუდანაბდი აიკრათო. მან ჯერ წაუყრუა, ვითომ ვერ გაუგეო, მაგრამ როცა მიკენასმა მეორეჯერ გაემორა თხოვნა და თან ხმაში ცოტა ფოლადი გაურიდა, იკარა უკან დახევა. ეს დახევა გაქცევის როლი ჰქონდა. მსაჯის თხოვნა თუ მოთხოვნა, რაც გინდათ უწოდეთ, ისეთი ადამიანის სახით მოისმინა, რომელმაც სრულიად შეიგო თავისი დანაშაულის სიმძიმე და გულწრფელად წუხს, მაგრამ ცოდნის მონაიების სენიდან ხეითი წუთიც არ იყო გასული, რომ ტუჩებთან ხელი მიიღო — გაჩუმიდო, მანიშნა. შემდეგ უკან ამოეფარა და ჩემს მხარეს ზემოდად ფორტაპარატი დაუმოხნა სცენას. ღარბაზში თითქოს თოფი გაგარდნილიყოს, ისე მიღო მიკენასმა ფორტაპარატის დამახასიათებელი, სპეციფიკური ხმაური.

გაყვირებისაგან ხელები ვაშალა და ღარბაზის ჰერისკენაც კი აღაპყრო თვალები.

ამის შემდეგ სხვა რა გზა გვქონდა, ღარბაზი დეტრევით.

ალა კუშნირისთვის ბრძოლა არის შემოქმედებითი წვის პროცესი. ოდნავი ხმაურიც კი, მასი აზრით, ამ პროცესს ანელებს და ამიტომ ფორტაპარატსონდენტებს დასასახადად ეწერა. პრეტენდენტი სწორია, მაგრამ კორესპონდენტებსაც ვერ გამაძყუნებ. მათ მასალებს ზილონობით მკითხველი ელოდება. ამიტომ ზოგიერთი რეპორტიორი ორიგინალური ხერხის ავტორი გახდა. მაგალითად, ვახუთ „ლეონს“ კორესპონდენტი მ. ზარგარიანი პიჯაკს წაფარებდა ხოლმე აპარატს და ისე იღებდა. ბევრჯერ მინახავს სადემონსტრაციო დაფას ამოფარებულნი. ძალზე გაწმენდნენ კორესპონ-

დენტები, ბოლოს ისევ ა. კუშნირი დაეხმარათ. როცა მისთვის მატრის ანგარიში არასახარბიელო გახდა, მოლბა და ნება დართო.

პრესბიურო

მაყურებელთა ღარბაზში სიჩუმე უნდა იყოს. ამ წესს ევრაყინ დაარღვევს. მაგრამ ამ პატარა ოთახში, რომლის კარებზეც აწერია, „პრეს-ბიურო“ გაცილებით მეტი მრავალფეროვნება და მხიარულებაა.

პრესბიუროში მთელი საღამოს განმავლობაში მაყურებლებისათვის და ეურნალისტებისათვის ორჯერ ან სამჯერ გამოდის ბიულეტენი. ბიულეტენში სპეციალისტები აღწერენ ბრძოლის სიერთი ხასიათს. აფასებენ შექმნილ პოზიციას. ბიულეტენი ეხმარება რიგით მაყურებელს უფრო სრულად, ცხადად შეიციოს ბრძოლის პერსპექტივები.

ტელეფონების რიგი, ერთი, ორი, სამი. მათი გახმული რკეცა. საბჭული მანქანის კაყუნი. საჭადრაკო დაფასთან შეჭვდიული ადამიანები ფიგურებს აქეთ-იქით დააქანებენ. ყოველ სვლას კომენტარს უყვებიან. ზოგი საქმიანს, ზოგი მახვილგონიერულს, მოჭადრაკეთა ენაზე ყველაფერ ამას შექმნილი პოზიციის ანალიზი ჰქვია. ანალიზის მიზანი ქეშმარიტების ძიებაა. ძიება კი აზრთა სხვადასხვაობაა. რამდენი თავია, იმდენი აზრია.

დაფაზე მრავალი ხელი მოძრაობს. მღვდლარობა კინომატოგრაფის სისწრაფით იცვლება. ხან გადვინდაშვილი იგებს, ხან კიდეა. კუშნირი. პრესბიუროშია ლატვიის მოჭადრაკეთა თითქმის მთელი ნაკრები. ბუნებრივია, ლატვიურ ენაზე მეტყველებენ ისინი. რის გამოც ჩვენ გვიჭირს გავარკვიოთ, რას ამბობენ, რაზე კამათობენ. მაგრამ არც ისინი არიან უყუთეს მღვდმარობაში, როცა ქართულად გავაბამთ ხოლმე საუბარს.

მემბრანი აპაზს...

ეინ არის ეს ტანმორჩილი. ხანშიშესული, საოცრად მოძრავი სახის კაცი?

სალო ფლორი 30-იან წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო. ის-ის იყო ა. ალოხინთან მატრი უნდა ეთამაშა მსოფლიოს პირველობაზე, რომ ომმა მოუსწრო. ს. ფლორი საინტერესო, მახვილგონიერი მოსაუბრეა. ამიტომ ერთ რამედ ღირს იმის მოსმენა, როგორ გაეცა ფაშისტებს, როგორ მიიღო საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. ეარვა ხანია ს. ფლორმა საჭადრაკო მაგიდა საწერ გიდაზე გაცვალა.

ალბათ ბევრ თქვენგანს წაუკითხავს მისი იუმორით აღსავსე, საინტერესო სტატიები. როცა ამ ადამიანს სახეში შევყურებ, ასე მგონია,

თამაზ კიკიანი

ერთი საღამოს ქრონიკა

მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რა თქვას, რომ ირგვლივ მყოფთ ღიმილი მოჰგვაროს, სინამდვილეში კი მისი იუმორი ძალზე ბუნებრივია.

ს. ფლორი მატჩზე „სოვეტსკი სპორტის“ მიმომხილველად ჩამოვიდა. თუმცა დასაწყისში ნანობდა, რატომ ჩამოვედიო... არ მოელოდა საინტერესო ორთაბრძოლას, მაღალი ხარისხის პარტიებს. ზომ იცით, ჯერჯერობით ქალთა პარტიებზე მამაკაცები ცისკენ იყურებიან და ისე ლაპარაკობენ. მაგრამ რამდენიმე ტური გავიდა თუ არა, დიდოსტატმა სასწრაფოდ შეიცვალა აზრი. კმაყოფილებისაგან არა ერთხელ წამოცდა მატჩის მონაწილეთა მისამართით: ყოჩაღ გოგონებო; ძალზე მოეწონა პარტიების ხარისხი და კიდევ... კინაღამ დამავიწყდა, ვენური ყავა, რომელსაც მთელ ქალაქში მხოლოდ ამ სასტუმროს რესტორანში ამზადებენ. ერთდღით, რაც აწუხებდა დიდოსტატს, ეგ იყო, რომ ყავის დაღვევა მარტოა არ უნდოდა! და გვონით პარტნიორის მოძებნა ყოველთვის ადვილია? ყველას კი არ ესმის ვენური ყავის გემო და სიკეთე.

აბა არ ესმის.

30 იანვარი

პრესბიუროს ცენტრში გაშლილ საჰაერაყო დაფასთან, მარჯვნივ, მხარბუქიანი, ცისფერთვალა მამაკაცი რომ ზის—ნონას მწკრივნილი, დიდოსტატი აივარ გიპსისია. მართალი გითხრათ, მის ათლეტურ აღნაგობას, სახის მსხვილ ნაკლებს, ცოტა არ იყოს, არ უხდება სათვალე, რომელსაც ის „ზოგჯერ ატარებს ხოლმე“. არ უხდება კი აბა, როგორღაც ორგანულად არ ერწყმის მის გარეგნობას. აივარი ტიპური ჩრდილოეთელია სახითაც და ქცევითაც, ჩემის აზრით, ასე გამოიყურებოდნენ ვიკინგები. ოღონდ ძველი რაინდების ჩაცმულობა-აქტურობობით, წვერით და რა თქმა უნდა, უსათვალოდ.

აი ახლა აივარი პრესბიუროში ზის და ნონას მხრიდან ავარძლებს შეტევას. ის უტევს და სხვები კი თავს იცავენ.

მოვეხსენებთ, დიდოსტატის წინააღმდეგ რა ძნელი თავდაცვა. ასეთ დროს გიპსლისი სრულებით ვერ მალავს სიხარულს.

იმ მომენტში, როცა ნონას სვლა ძალზე მოეწონება, ლატეითრიდან რუსულზე გადადის და აღტაცების გამომატყველ სიტყვებს მოაყრის და მოაყრის ხოლმე. დარბაზიდან სვლები მეორე აივარს, — მის შვილს შემოაქვს. ძალზე ჩამოგავს მამას. ისიც ცისფერთვალა და ოპროფრონიანია. სვლას რომ მოიტანს, შემდეგ ბიჭი პარტიის გარჩევაში იღებს მონაწილეობას. როცა დამსწრეთ კარგ სვლას შესთავაზებს, მამა იბადრება. მხარზე დაჰკარავს ხელს და ხშირად იტყვის ხოლმე:

— ერთს ვერ მიძლავდებით თორემ... ორთა რას გახდებით!

ჩემი პატი მამოლის ბანაბიდან

ალა კუშნირის შტაბის მთავარი მთავარი გენილი ვლადიმირ იურკოვიც აქ არის, პოზიციის გარშემო გაშართულ კამათში უხალისოდ მონაწილეობს. ან რა აქვს სახალისო, როცა პრეტენდენტს მიმე პოზიციის აქვს. გარდა ამისა, ბუნებით წყნარი კაცია და ამავე დროს უპრეტენზიოც. თქვენ თვითონ განსაჯეთ: პრეტენდენტის ყველაზე დიდი წარმატებები არ აღამაზნებდა არის დაჯავშნებული თვითონ კი საბჭოთა კავშირის კი არა, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწკრივლის წოდება მხოლოდ ახლახან მიიღო. მასთან მრავალჯერ გვექონია საუბარი. მატჩის დაწყებამდე, მატჩის მიმდინარეობის პროცესში და შემდეგაც. მას არ სჯეროდა პრეტენდენტის წარმატებისა და ამას დაუფარავად გვეუბნებოდა ჩვენ, საწინააღმდეგო ბანაბის წარმომადგენლებსაც. შეიძლება ეს ღრმად ჩაფიქრებულ სტრატეგია იყო ან კიდევ წრეს ვადასუღ გულწრფელობა.

ვინ იცის?

უსწოლო შერანაღისტი და მხვენიერი ლუსია

ერთ მომენტში, როცა დაფაზე ძალზე მწკრივ პოზიციის შეიქმნა, პრესბიუროში დიდი დავა და ხმაური ატყდა. სწორედ ამ დროს ლატეითრი ვაზეთის ვილა უცნობი კორესპონდენტი ლევიტანისებური ხმით ტელეფონით ელაპარაკება რედაქციას. იგი ცნობას რუსულ ენაზე გადმოცემს, მაგრამ, იგარბობა, შოპოლიერ ენაზე საუბარი ყველაფერს ურჩევნია. მის ყოველ ორ სამ წინადადებაში ფიგურირებს გამოთქმა: „როგორც სპეციალისტები ამბობენ“.

„როგორც სპეციალისტები ამბობენ, ჩემპიონმა პაიკი მახვილგონიერულად შესწირა, პრეტენდენტი უზუსტოდ თამაშობდა და ახლა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სპეციალისტების აზრით, მეტოქის დახმარების გარეშე მას გაუქორწინება პარტიის გადარჩენა. კორესპონდენტი ჯერ კიდევ გადასცემდა ოპერატიულ ცნობას, როცა საბეჭდო მანქანამ მხარი აუბა მას.

ისეთი კავადონია ატყდა, რომ ს. ფლორმა ყურებზე ხელები აიფარა. „სპეციალისტები ამბობენ, რომ კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა“. ვადაჰკრა მან ლაბტი კორესპონდენტს.

კარი გაიღო და მთავარი მსაჯი შემოვიდა და იქ მყოფთ სიუჟეტსკენ მოუწოდა. პრესბიუროდან ზმლორი თურმე დარბაზშიც აღწევდა.

ზომ არ გვონიოთ, პრესბიუროში მხოლოდ ჰადრაზე შეიძლება ლაპარაკი და ფიქრი ვინც ჰადრაგისგან გადაიღალა, შეუძლია სხვა უფრო სასიამოვნო ვასართობი მოძებნოს. პრესბიუროში ზის მშენიერი მბეჭდავი გოგონა, ლუსია, შეგიძლიათ ამ მოხდენილი გოგონა



ნს გვერდით დაჭედო, ერთი-ორი კომპლიმენტი უთხრაო. თუმცა უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს ადგილი ძალზე ხშირად დაკავებულია. აქ სის ელადიმერ ჟურნალით, რიგელი ახალგაზრდა, ოსტატობის კანდიდატი.

იმავე ოპერის დაბრუნება

ჩემპიონი სცენაზე სეირნობს. ხოლო პრეტენდენტს თავზე ხელები შემოუწყვია და დასხულად ფიქრობს. „ნუთუ გამოსავალი არ არსებობს? ნუთუ?“ — ამბობს მისი სახე.

ერთი შეხედვით ქალბატონი წყნარი, მსუბუქი ხმითა აღელვებული, უხმარო... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

გახსენეთ დანიელი კარიკატურისტის ნ. ბილსტრუპის ნახატი: მოქალაქე ტურნირისთვის ემზადება, ფიზიკურად იწითობა, ჩვენს წინ დგას წას-ღონით აღსავსე ადამიანი. ტურნირის ღმთავრების შემდეგ კი გმირს ვხედავთ დასვენებულს, მხრებზე ამოყრდნულს. დიახ, ქალბატონო სულეიცა და ფიზიკურ ენერგიას მოიხრავს.

სცენიდან მასურებლისკენ გამექცა მზერა, დაფიქრებულნი, გაფრთხილებული თვალებით შეყურებენ ისინი სადემონსტრაციო დაფას.

ამ ამ დაფასთან არის დაკავშირებული უხილავი რეჟისორი მთელი მსოფლიოს ქალბატონი ზოგადრეზონანსი გულგებნი. ხშირად მებაღეება შეკითხვა: რატომ უყვართ ასე ქალბატონი. რატომ არის ენისა ერთხელ შეყვარა მისი სიყვარული სწავლა შემდეგ მწედალ თუ დაუხსნია თავი. რატომ?

ზამრახი

ქალბატონი თავის ყოფილ თავყვანისმცემლებს არასდროს არ კარგავს, რადგანაც ქალბატონი სიბრძნე, სიბრძნე კი დაუბერებელია.

როგორც ხელოვნების რომელიმე დარგის ძველი უძეგლებს ფაშთა სვლას და არ კარგავს ზემოქმედების ძალას, ასევე საქალაქო პარტია, შექმნილი ღიმილი ხნის წინათ, დღესაც იწვევს ჩვენს აღტაცებას. ქალბატონი ღიმილი ესთეტიკური სიამოვნების წყაროა. მას გააჩნია თავისი შინაგანი პოეზია და მუსიკა. ასეთ დროს მელამ მასხენდება მ. გორკის სიტყვები. „მე შესმოდა ზღვის ღელვისა და ბურჩების შრილის იღუმელი მუსიკა“. დიახ იღუმელი მუსიკა გააჩნია ქალბატონს.

ქალბატონის რაობის შესახებ კამათი აგერ ორ-მოცდაათ წელნიდან შეტია გრძელდება.

ქალბატონი სპორტი, რადგანაც მისი არსებითი ნიშანი მოწინააღმდეგის დამარცხებაა, მაგრამ სპორტის მეორე არსებითი ნიშანი გააჩნია, მან აღამიანი ფიზიკურად უნდა გამოაწყოთ. მხოლოდ მოწინააღმდეგის დამარცხების სურვილი თუ ხდის ქალბატონს სპორტად, მაშინ გამოდის, რომ მუსიკოსები, გოგალისტები, მოცეკვავები სპორტსმენები ყოფილან. რადგანაც კონკურსებში მონაწილეობენ.

არაფერს, რომ სპორტული ელემენტები მონაწილეობენ ქალბატონს, მაგრამ ეს ელემენტები ყველაფერში მონაწილეობენ. ჩვენ კი ვერ დავიშლავთ, მოქალაქეზე რომ იტყვიან, სპორტსმენი, მედიკოსი.

რა თქმა უნდა, ქალბატონი ლოგიკურ აზროვნებას ხელს უწყობს, მაგრამ იგი არ შეიძლება მეცნიერებას აყოს, რადგანაც შესწავლის ობიექტი არ გააჩნია.

ა. ალიოზინი ამბობდა: „ჩემთვის ქალბატონი თამაში კი არაა, ხელოვნებაა და თავს ვიღებ ყველა იმ მოვალეობას, რასაც ხელოვნება აკისრებს თავის მსახურთ“.

მეც ამ აზრს ვიზიარებ. საქალაქო პარტიის მიხედვით თამაშად შეიძლება მოთხრობის დაწერა. და ამ მოთხრობის გმირი იქნება ძალზე ხორციელი და სულიერი, რადგან საქალაქო პარტიაში თავს იჩენს მისი შემოქმედის ბუნება, სიხარული თუ მწუხარება, ოპტიმიზმი თუ პესიმიზმი, სიმბალა თუ სიმამცე, სიხარბე თუ გულუხვობა, რეალიზმი თუ რომანტიზმი.

ამ თემაზე საუბარი სასწრაფოდ უნდა დავამთავრო ტივრან პეტროსიანის კომპრომისული სიტყვებით: „მე ქალბატონი იმიტომ მაყვარს, რომ ქალბატონია“.

სასწრაფოდ იმიტომ, რომ ალა კუშნირმა საპასუხო სვლა გააკეთა. მსოფლიოს ჩემპიონმა მაშინვე დაიკავა ადგილი მაგიდასთან და გაცივრებები შეხედა დაფას. ამ სვლას ეტყობა არ მოელოდა. პრეტენდენტის პოზიცია აქამდე მძიმე იყო, მაგრამ ამ მოულოდნელი რეპლიკით ყველაფერი შეტრიალდა, ორივე მეტოქე დაფას ჩასციებია თვალებით. მათთვის ახლა ქალბატონის გარდა აღარაფერი არსებობს.

ჩემს გვერდით საერთაშორისო ოსტატი ელენა რუბცოვა აღმოჩნდა.

— ძლიერი სვლა გააკეთა კუშნირმა, — მიითხრა.

რუბცოვა პროფესიით ფსიქოლოგია და მატჩზე მივლინებით ჩამოვიდა. მან უნდა შეისწავლოს მოქალაქეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა ფართო ასპექტში.

პრეტენდენტი წამოდგა და სეირნობს. საერთოდ, დაფას იშვიათად სცილდება, მაგრამ ახლა შეიძლება ამისი ნება მისცეს თავს. პოზიცია გამოაწყო, საშინოვანება უკან დარჩა.

პრეტენდენტი 1965 წელს გავიციანი ნონასთან პირველი მატჩის დროს. მას შემდეგ ოდნავ შეცვლილა, ახალგაზრდულად გამოიყურება, მოღუტად აცვია. შარვაზე კაბა უხდება. ა. კუშნირი მეტად განათლებული ქალია. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობით პოლიგრაფისტია, ძალზე იტაცებს ლიტერატურა და მუსიკა. მის გარეგნობაში არაფერი მეტყველებს

თამაზ კიპიანი

ერთი საღამოს ჰრონიკა

გაუტეხელ ნებისყოფაზე, შეუპოვრობაზე. მხოლოდ როცა სათვალეს გაიკეთებს, მაშინ სახე ცოტა ცივი უხდება. არავის სჯერა, რომ ის დამაპრეტებელი მსოფლიო ჩემპიონს. თვით მწერთნულსაც კი. მაგრამ მაინც იბრძვის. ძნელია ბრძოლა, როცა შენი არავის სჯერა.

იქალბოთი სიბრძნა

ისევ მაყურებლებს გადავხედე. აქ არიან ნონას მრავალრიცხოვანი ახლობლები. მხოლოდ მეუღლე და მისი ორი წლის შვილი დათო დამავლდა თვალში. ახლა ოფიცერთა სახლის წინ, პატარა პარკში რომ შეხვედნით, დაინახავთ მოსიერი ნონა-შვილს.

პატარა მოუსვენარი ბიჭისთვის შეიძლება ეს სასიამოვნო გასეირნება, მაგრამ მამისთვის კი იძულებითია. როცა თამაში მომდინარეობს, დათოს ღარბაზში ყოფნა მთლად უხიფათო როდია. ბიჭი სცენაზე შეიძლება ავარდეს და ფიგურები გვერდზე მოისროლოს. მისთვის ნონა ჯერ მხოლოდ დედაა და მეტი არაფერი. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რა მოუთმენლად მოელოს ნონას მეუღლე შეხვედრის დამთავრებას.

სიხარული და მწუხარება

შეხვედრა კი ისეთ რთულ ხასიათს ატარებს, შეიძლება დიდხანს ვაგრძელდეს და შეიძლება უცებ შეწყდეს. ერთი შეცდომა გადაწყვეტს პარტიის ბედს.

ორივე მეტოქე მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდა. და ბოლოს, როცა ცეცხლი განელდა და ხუთსაათიანი ბრძოლა საცაა ყაიმით უნდა დასრულდეს, მოხდა წარმოუდგენელი რამ. შედარებით უკვე მარტივ პოზიციაში ალა კუშნირობა შემოიხილა მუქარა ვერ შემჩნია. ეს იმდენად საშინელი შეცდომა იყო, რომ მან თავზე ხელი წაივლო.

შემდეგ, როცა გონს მოეგო, მეტოქეს ხელი გაუწოდა და ღარბაზი სასწრაფოდ დატოვა. მწერთნული არ გაეარებია მას. ასეთ დროს ნუ-გუქის ცემა ძნელი საქმეა.

ირანული ანდაზა ამტკიცებს: ქალბაი ათასი სიხარულის თამაშშია, ხოლო ინდური კი ამბობს — ათასი წყენის თამაშშია.

გამარჯვებას დიდი სიხარული და ეჭაუფილება მოაქვს. მსოფლიოს ჩემპიონი ცდილობს დამოკლას სიხარული, მაგრამ ის თვალშია სინათლე ჩამდგარა. ყველაფერში იგრძნობა ეს სიხარული, უმნიშვნელო გამოხედვაშიც კი. აი ახლა ძალზე საინტერესო შეხვედრა შედგა, ჩემპიონის შვილი დათო შემოვიდა. მასთან შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონს ყოველთვის ერთ ანუ ერთელ სიხარულს გვრის, ყოველთვის.

პარტიის დამთავრების შემდეგ ე. რუბცოვასთან ერთად დავტოვე ღარბაზი. ყველას თავისი ღარბი აქვს: ასეთი პარტიის წაგების შემდეგ

კუშნირი ახლოს არ გამიკარებს და პოლს, ან გამაჰინჯინებს. წუხს ის.

სალამოს ავტობუსის გაჩერებასთან ა. კუშნირი და მისი მწერთნული ვ. იურკოვი შეენიშნენ. ორივენი დუმდნენ. დალილი-დაქანკლილი სახეები ჰქონდათ. ცხადია, პრეტენდენტს ამ სალამოს მშვიდი ძილი არ ექნება. გახსოვთ პაოლო იაშვილი რომ ამბობს: „არავის არ სძინავს ისე შეუთიანად, როგორც რომ ლექსის და ქალბაის ისტატებს“.

როგორ დაიწყო...

ამგვარად, ნონა გაფრინდაშვილმა სამჯერ წარმატებით მოიგერია საოცრად ჯიუტი, გაუტეხელი მოჭადრაკის ალა კუშნირის შემოტევა. ჩვენი თანამემამულე მეოთხეჯერ შეამჩნია დაფნის გვირგვინი. ჩემბოინო რიგიდან მატარებელი ჩამოვიდა. საქართველოს მიწაზე, მრავალადგისს, სადაც მატარებელი ჩამოდგა, შეხვედრა მოუწვეს. მრავლის მომსწრე თბილისის ქუჩებში ღია მანქანით ჩამოატარეს გვირგვინოსანი. იყო ყვავილები და მისკენ მომზირალი სიბოხადგრილი თვალები. ვინ არ იცის, რა საოცრად ძნელია გზა მწვერვალებსაკენ. მე კი გამახსენდა გზის ერთი მონაკვეთი — დასაწყისი. შეიძლება იმიტომ, რომ ის ჩემს თვალწინ დაიწყო:

ყველაფერი თითქმის შემთხვევით მოხდა. ზუგდიდის ნაკრები გუნდი ქალბაში, რომლის წევრიც ამ სტრატეგების ავტორი გახლდათ, ბათუმში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც საქართველოს პირველმა ტარდებოდა მოსწავლეობა მოიხსი. გუნდის ერთ-ერთი დაფაზე გოგონას უნდა ეთამაშა. ნონა იმ დროს სუსტი მოჭადრაკე იყო, მაგრამ ვინმე რომ უნდა წაგეყვანა აი აქ შეხვედრა ის აღაბიანს, რომელმაც პატარა გოგონას ცხოვრება მკვეთრად შეცვალა. ეახტანე ქარსელაქეს ერთი ძალზე ღირსშესანიშნავი თვისება ჰქონდა: ისე გატაცებით, პოეტურად იცოდა საუბარი, რომ აღაბიანს ატყვევებდა. ის ხშირად მოსწავლეობა თანდასწრებით არჩევდა მათ პარტიებს და უთითებდა შეცდომებზე. ერთ ასეთ ჩვეულებრივ დღეს ქარსელაქემ გარსშე-მოხვეულ მოჭადრაკელა შორის შეამჩნია გოგონა, რომელსაც მხოლოდ თვალები მოუჩანდა. ამ თვალებში კი იმდენი სურვილი, ცნობისმოყვარება იკითხებოდა, რომ გაელიმა. მოიხში, თავზე გადაუსვა ხელი და მაგიდასთან დასვა. შემდეგ ნონამ ბატისფეხურით ჩაწერილი ერთადერთი მოგებული პარტიის ჩვენება გაბედა. ბეგრი არაფერი დაშველებოდა, დამწყებ მოჭადრაკელა დონეზე ნათამაშები ეს პარტია ქალბაზე არ აღუქმდილიყო.

1954 წელს უკვე თბილისში მოეწყო მოსწავლეობა რესპუბლიკური პირველობა. გაბედული თამაშით ეახტანე ქარსელაქის უტრადღებმა თავიდანვე მიიპყრო მისმა ძველმა ნაცნობმა მწერთნულს საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა. ალტაცების დამალვა არ ეხერხებოდა და არც

დაშალა. ქარსელაძის რწმუნა ღიდი საბუთი
ეკი ნონას დიდდასთვის და მან თბილისში გად-
იყვანა საცხოვრებელად გოგონა. შემდეგ დი-
ნო შრომითა და ძიებებით აღსავეს დღეები,
წყრთელი ასწავლიდა, რომ დაუმარცხებელი
მოქალაქე არ არსებობს. დაცემა იღვლია,
მაგრამ წამოდგება? აი არ არის ძნელი. ვინ მო-
ვლის, რამდენი პარტია უნდა წაავსო მოქალ-
აქე, რათა მოგება ისწავლოს, რადგან დამარ-
ცხებშია გზა გამარჯვებისაკენ ვინ მოთვლის,
რამდენჯერ გახდა ნონა იძულებული წარმოეთ-
ვა მოქალაქისათვის ესოდენ სამთლელი სიტუ-
აგნებდებით. ბევრჯერ დაწეროდა მისი გვა-
რა არა სატურნირო ცხრილის თავსა და შუა-
ში, არამედ უფრო ქვემოთაც. ამის საწინდარი
უი ნონა გაფრინდაშვილის შრომისმოყვარეო-
ბა და ნათელი ტალანტი.

ამაოდ დაშვარა

ორთაბრძოლის დაწყებამდის ცოტა თუ ვინ-
ზე ვგვობდა, რომ გაფრინდაშვილი ამ მატჩში
ღიდი უპირატესობით გაიმარჯვებდა. ჩემპიონმა
მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით დამარცხა
ჩემოვ.

რომ არ შეედინენ სპეციალისტები?
ნონა გაფრინდაშვილს კლასით ჯერჯერობით
ბოლო არა უყვს მსოფლიოში. 1970 წელს მან
ქალთა დღისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომე-
ლიც ბელგრადში გაიმართა 13-დან 13 ქულა
მოაგროვა. ხოლო 1971 წელს თბილისში საერ-
ო-შრომის ტურნირი ჩატარდა მამაკაცთა შო-
რის ნონამ ამ ასპარეზოდაში ოსტატის ნორმა
შასტრულა. უფრო ცხადად რომ წარმოვიდგი-
ნით ამ მიღწევის მნიშვნელობა, ვიტყვი, ნო-
ნა ქალთა შორის ამ წოდების ერთადერთი მა-
ტრჩელობა. გარდა ამისა, ნონა მატჩს ძალზე
მომაზრბეული შეხვდა, რაც აივარ გიჟსაისის
ღიდი დამსახურებაა. მაშ ყველაფერი თუ რიგ-
ზე იყო, რატომ გაუჭირდა მსოფლიოს ჩემპიონს
გამარჯვება? ამაში პირველ რიგში დამნაშავეა
ნონას ავადმყოფობა, ალა კუშნირი და ნაწი-
ლობრივ თვით ჩემპიონიც.

ალა კუშნირი უკანასკნელ წლებში როგორც
მოქალაქე ძალზე გაიზარდა. სხვას რომ თავი
დაეწყო, მსოფლიოს ჩემპიონთან საპირდაპო-
რდებზე გადახდებოდა 50, უფრო ზუსტად 51
ხელისამ უკვალოდ როდი ჩაიარა. გაიხსენეთ
ეს ღიდი წარმატებები, რომელიც მომოგვა მან
განსილი სამი წლის განმავლობაში. გაიხსე-
ნეთ, რა დამაჯერებლად დამარცხა მან პრე-
ტენდენტობისაკენ მიმავალ გზაზე ტატანა ზა-
ბეტლოვსკაია და ნანა ალექსანდრიძე.

რაც ითქვა, ყველაფერი მნიშვნელოვანია.
მაგრამ არა მთავარი. საოცარი ნებისყოფის მო-
ქალაქეა ა. კუშნირი. ამჟამად არ შეგულება
მოქალაქე, რომელიც ამ მხრივ მას ტრალს დაუ-
ღებს. დამარცხებულია ა. კუშნირი, ამ დამარ-
ცხებათა მიზეზი ძირითადად მუდამ თამაშის

კლასი იყო და არა უიმედობა, გულგატეხილ-
ობა. ყველაზე მძიმე პოზიციასაც კი პრეტენ-
დენტი, როგორც იტყვიან, უკანასკნელ ვაზნამ-
დის იბრძვის. მრავალი მაგალითის მოყვანა შე-
იძლება. მაგრამ შორს წასვლა არ დაგვპარდება.

ამ უკანასკნელა მატჩის დროს მსოფლიოს
ჩემპიონმა სტარტზე ძალზე ბევრი დარტყმა მია-
ყენა პრეტენდენტს.

სამი ქულით უსწრებდა ის მეტოქეს. ბევრს
უკვე ეგონა, რომ პრეტენდენტი დამარცხებას
შეურჩებოდა. ჩემპიონმა, რა თქმა, ყველაზე უკეთ
იციოდა მეტოქის ხასიათი, მაგრამ ერთ მომენტ-
ში ყურადღება მოაღუნა. ალბათ იმდრო, რომ
გამარჯვება ძალზე ახლოს იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ჩემპიონმა
მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით მოიგო, ჩვენ
უნდა განვხილავთ: ობიექტურად ბოლოდა უნ-
და დამთავრებულიყო სამი-ოთხი ქულის სხვაო-
ბით ნონა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. ამა-
ზე მეტეველებს მატჩში გათამაშებული თექვს-
მეტი პარტია.

მაშ ასე! ალა კუშნირის მესამე ცდაც დაეპყ-
რო მსოფლიო ჩემპიონის ტახტი მსოფლიო დამ-
თავრდა. ზემოთა ხომ არ არის, სამჯერ გაიარო
ასეთი წინაღობებით აღსავეს გზა და სამჯერვე
გაუბილებულმა უკან დაიხია.

პრეტენდენტი უკვეყვალა ჩემპიონობის ღირ-
სი მოქალაქეა, მაგრამ თავიდანვე ბედი არ
წყალობდა. არ წყალობდა იმ მხრივ, რომ ნონა
გაფრინდაშვილთან ერთად მოუწია ასპარეზზე
გამოსვლა. ეს არა მატრჩე მისთვის, არამედ
სხვებისთვისაც არ იქნა ზელსაყრელი.

რა თქმა უნდა, ბევრი მოქალაქე-ქალი თამა-
შობს ძლიერად, მაგრამ ნონა მათ შორის ერ-
თადერთია, ვის შემოქმედებაშიც, სტილში, ხელ-
წერაში, როლიც მამაკაცური ქაღრავის სულა
იგრძნობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. გაფრინდაშვილი
და ა. კუშნირი ერთმანეთს გადაყიდებული მე-
ტოქეები არიან, მათ შორის ახლა კარგი პირა-
დი დამოკიდებულებაა.

ამას წინათ ჩემპიონმა ინტერვიუ მისცა კო-
ველკირიულ საპარდაყო გაზეთ „64“. ჩემთვის
მოულოდნელი იყო იმის ვაგება, რომ ა. კუშ-
ნარი, ჩემპიონობის სამგზის პრეტენდენტი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი არ არის“,
განაცხადა მან და გამოთქვა იმედი, რომ ეს შე-
ცდომა გამოსწორდება.

ვლადიმეროვს რა დღევანდელზე, უნდა კი-
დექროთ ხვალისდღეზეც.

ვინ იქნება ნონას მეტოქე მომავალში? შეიძ-
ლება თუ არა პრეტენდენტთა სიდიდან ამოვი-
ღოთ ალა კუშნირი? რა თქმა უნდა, არა, მაგ-
რამ ამ უკანასკნელს ღიდი მეტრქეობას გაუწე-
ვენ ახალგაზრდა მოქალაქეები. პირველ რიგ-
ში ნანა ალექსანდრიძე, ელენე რუბიკოვა, ირინა
ლევიტინა და სხვები.

მაშ ასე! რიგის მატჩი უკვე ისტორია გახდა.



არგენტინა

ფილმი გლახთა ბრძოლაზე

„სიკვდილის გზა მოხუცი რეალისტისა“ — ასეთ დასათურებული რეჟისორ ზე-რარდო ვალეზოს ფილმი, რომელმაც ეკრანზე გამო-ვლისთანავე მიიპყრო პრო-გრესულად მოაზროვნე ადამიანთა ყურადღება მთელს ლათინურ ამერიკა-ში.

ფილმი არგენტინის ერთ-ერთი პროვინციის — ტუკუმანის გლეხთა ცხოვრებას ასახავს და ყველა-ფერი, რაც კი აქ ზღვება, სინამდვილეზეა დაფუძნე-ბული. კომპოზიციურად სამი ნოველისაგან შემდგა-რი ეს კინონაწარმოები მო-ზუცი რეალისტის სამი ვაჟი-შვილის ბედზე მოგვითხ-რობს.

რეალისტის უფროსი ვაჟი-შვილი — ანხელი მთელი წლის მანძილზე მხოლოდ სამ თვეს თუ მუშაობს, შე-მდე კი დროებით სამუ-შაოს დაძებნა. იგი ცხოვრებაში მოდრიკა, დანაჩანა-კა და ბოლოსდაბოლოს ისე შეურიგდა უსამართ-ლობას, რომ აუცილებლო-ბადაც კი მიიჩნია.

მეორე ვაჟიშვილი — მა-რიანო სამსახურს პოლიციაში იწყებს. რეალისტის მე-სამე ვაჟიშვილი — პიეტო გლეხთა გათავისუფლები-სათვის იბრძვის.

რეალისტის სხვ სამივე ნოველაში გვხვდება, იგი უფრო მკვეთრად ავლენს და უპირისპირებს ერთმა-ნეთს თავის ვაჟიშვილთა ხასიათებს.

„სიკვდილის გზა მოხუცი რეალისტისა“ „ახალ კინოს“ „საერთაშორისო კონკურსზე

პესაროში არგენტინულ კი-ნემატოგრაფს წარმოადგენ-და. ყიურის წევრებმა ერ-თსულგუნად აღნიშნეს ფი-ლმის დიდი მხატვრული სიმაღლე.

ბრაზი

„ხეივანი და ქარი“

ყურნალი „ალ-ადიბი“ მკითხველს აუწყებს, რომ გამოვიდა ერაყელი მწერ-ლის აბდ-არ-რაზაკ ალ-მთულაბის ახალი ნაწარმო-ები — „ხეივანი და ქარი“. ეს მწერლის მესამე დიდი წიგნია. აქამდე მან გამოაქ-ვეყნა რომანები „მწყურო-ვალენი“ და „ქუქრუტა-ნა უანგიან კედელში“. ამ ნაწარმოებებმა არაბული კრიტიკის მოწონება დაიმ-სახურა. მწერლის შემოქ-მედების ძირითადი თემა ერაყის სოფლის ცხოვრე-ბაა.

ისრაელი

ბარაბანცაბა ბ. პენი

ისრაელის პრესის ცნო-ბით გარდაიცვალა ცნობი-ლი პოეტი აღექსანდრ პე-ნი. გაზეთი „ნუ გადერაბი“ („გზა“) წერს, ციბირის ქალაქ ნიჟნიკოლინსკში და-ბადებულმა ა. პენმა, პალე-სტინაში გადასვლის შემ-დეგ, სიცოცხლის ორმოცი წელი ივრიტული პოეზიის განვითარებას შეაღწია.

ა. პენი სამართლიანად ითვლება ისრაელის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტად. იგი ისრაელის პირველი პროლეტარული მწერალია. ა. პენმა ბევრი რამ გააქე-თა თავის ქვეყანაში საბ-ჭოთა პოეზიის პოპულარი-ზაციისათვის, ბრწყინვა-ლიდ ღირგმნა ივრიტულ ენაზე „ვლადიმერ ილიას

ძე ლენინი“ და მაიაკოვს-კის სხვა ნაწარმოებები.

ალექსანდრე პენის სიკე-დილი დიდი დანაკლისია ისრაელი პოეზიისათვის.

პერუ

ჯაგვროსანი „კომიო-პინი“ პერუში

პერუს ხელისუფლებამ გააუქმა აკრძალა ფილმი-სა „ჯაგვროსანი პოტიოკი-ნი“. ყველა სხვა წინა მთა-ვრობები კრძალვადნენ ამ ფილმის ჩვენებას, რო-გორც „სამიში იდეოლო-გიის“ პროპაგანდას. ამჟა-მად ეიზენშტეინის შედეგ-რის ჩვენება ნებადართუ-ლია პერუს ნებისმიერ კი-ნო-თეატრში.

კოლონეთი

მ. პისხლის კრეპული

გამოვიდა მარიან პესა-ლის ლექსების ახალი კრე-ბული. წიგნის შესავალი წერილი ცნობილ კოლო-ნელ პროზაიკოს იულიან კავალეტს ეკუთვნის. პესა-ლის ლექსები იმ მოქადაგი-რეებს ეძღვნება, რომლებსაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ციციხლს გამოსტა-ცეს ნაციონალური კულ-ტურის სხვადასხვა საუწყე-როცა დიქტატორის ერთ უწი-ვიან ღამეს ციციხლი მოე-დო მებატონის კარმიდა-მოს. სხვათა შორის, მოქა-მაგირეებმა მაშინ დალუპ-ვას სხვაარჩინეს ზელნაწე-რი ადამ მიცეკეჩიის „პან ტადეუსისა“.

იულიან კავალეტო, რო-მელიც თავად იმ კუთხი-დანაა, სადაც ეს ამბავი მოხდა, მაღალ შეფასებას აძლევს მარიან პესალის ახალ კრებულს.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტყეშელაშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწეობად 10/VI 72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-72 წ., ქალაქის ზომა
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.
თაბახი 14,5. შეეკვეთა 2411. უფ 08022. ტირაჟი 26400.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6.157/71



ფან 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236